კვირის პალიტრა

ქალი

N11 (405) 11.2008
80 თეთ

ვინ „გადააგდო“ სამი გოგო და

მამაკაცები, რომლებიც მათზე ზრუნავენ

ბასა ფოცხიშვილის ექსტრავაგანტური ფოტოსესია „ბომონდში“

აფხაზ ბოევიკებს რომ არ ეპოვათ, დედამ შვილის საფლავზე ბოსტანი გააშენა

ქართველი ქალის წილი პოლიტიკაში

„მათი ქალურობა და სინაზე აგრესიამ და სიმკაცრემ შეცვალა“

რა საიდუმლო გაანდო ახალგათხოვილმა თამუნა ლეკვეიშვილმა ნიკა არაბიძეს

მოდაში „საბედისწერო ქალის“ სტილი მკვიდრდება

ISSN 1987 - 5029

საბა SABA

სამზარეულოები იტალიიდან

MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.

BERLONI

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info@saba.ge (+995 32) 38 44 54

კვირის პალიტრა
„გზა“
№11 (405)
13 - 19 მარტი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

დაელოდეთ!



ბესტსელერ „მგლების“ ავტორისაგან

„...ომში დაიკარგა მუროჩი... არ სჯეროდათ მისი დაღუპვისა... ოცი წლის მერე დაუბრუნდა მშობლიურ მთას... უცხო და უჩვეულო ცოდნა შეეძინა ფხოველს: შიშველი ხელით შეეძლო კაცის განკურნებაც და მოკვლაც. მაგრამ ყველაზე უცნაური სხვა თვისება თუ ცოდნა შეეძინა. დროდადრო, როცა ძალიან უჭირდა ფხოვს, მის თავზე მფრინავ ჯვარს ხედავდნენ. შედედებული სისხლისფერი ყოფილა ის ჯვარი, ისეთივე ფერის, როგორც ფხოველის სამოსზე მოქარგული ჯვარი... დიდი სამსახური გაუწიეს მშობლიურ მთას დაიაურმა და იმ ჯვარმა... მერე დიდგორის ომი მომხდარა. მასაც არ გამოკლებია. თავის გაწვრთნილ მეომრებთან ერთად შეერთებია ქართულ ლაშქარს...“

დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

მალე!

„გზის“ ფურცლებზე გოჩა მანველიძის ისტორიული რომანი

■ მინიატიურები
ერთი კაცის შიმშილობა კი არა ანუ „ამოდით, ჭამეთ და ისევ ჩადით!..“ 5

■ ფაქტი და კომენტარი
✓ „საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან მოშიმშილეები არიან“ 6
✓ მალხაზ ბასილაია: იქ ნებისმიერი ქართველის სიცოცხლე რეალური საფრთხის წინაშეა... 7

■ პოლიტიკა
ვის უნდა ენდოს ხალხი? 8

■ ბომონდი
„გადაღებისას დამავიწყდა, რომ ჩემ წინ რეჟისორი იდგა“ 10

■ ჟურნალისტის როლში
რა საიდუმლო გაანდო ახალგათხოვილმა თამუნა ლეკვეიშვილმა ნიკა არაბიძეს 12

■ შოუბიზნესი
✓ ვინ „გადაკაგდო“ სამი გოგო 14
✓ რუსა მორჩილაძე და მისი მეგობრები 8 მარტს ერთად ამღერდნენ 15

■ კრიმინალი
„შუამავალი უნდა გამოვლინდეს... მკვლელობის შემკვეთებმა პასუხი უნდა აგონ“ 16

■ ეკრანს მიღმა
გადაშენებული სპანური გვარები და სისხლის აღების ტრადიცია 18

■ ტანდემი
მოდის ჩვენება მორაგბეებთან ერთად 20
ანტიდეპრესანტი 22

■ შემოქმედი
ქეთი გაბისიანის „ახალი რუსული რომანსები“ 22

■ ერუდიტი
კითხვები, რომლებიც გიგა ნასარიძემ ინტუიციის კარნახით გამოიცნო 24

■ ნამდვილი ამბავი
რკინისებური ლოგიკა... 26

ომის გავშვები და თენგიზ სიგუას შიღბლო სიყვარული

ვალოდია ჯინჭარაძე კლასში არ გვყოლია. 70 წელს გადავცილდით, მაგრამ ჩვენი მეგობრობა დღემდე არ მოშლილაო, — მეუბნებიან სტალინის სახელობის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის 52 წლის კურსდამთავრებულები და ისევე, როგორც ყველა პირველსკოლელი, ამაყობენ, რომ მათი გამორჩეული მეგობრობა სწორედ პირველი სკოლის ტრადიციების შედეგია.

71

სისხლის აღების ტრადიცია



„სვანს“ საერთაშორისო ასპარეზზე გამოხმაურება უკვე მოჰყვა. ეს ფილმი საქართველოს კინოთეატრებიდან მოიხსნება თუ არა, მისი ჩვენება რუმინეთში, პოლონეთში, ჩეხეთსა და სლოვაკიაში დაიწყება“.

18

■ თემა
ქალები ქართულ პოლიტიკაში 27
■ თინეიჯერული პონტები
✓ რა შემთხვევაში უნდა მივმართოთ სოზარ სუბარს 30
✓ „თუ გიყვარს, მისთვის იბრძოლე!!!“ 32
■ თეთრი ლაქები
შეხვედრა დედასთან 8-წლიანი განშორების შემდეგ და მამის მოლოდინში გალეული ბავშვობა 34
■ ტკივილი
„აფხაზური გვარი მაქვს, მაგრამ მთელი გულით ქართველი ვარ“ 35
■ ჯანმრთელობა
პაიმორიტი 37
■ ჟურნალი ჟურნალში
გზავნილები 39-70
■ არაჩვეულებრივი „გამოფენა“
ომის ბავშვები, თენგიზ სიგუას უიღბლო სიყვარული, ოროსანი გურამ გეგეშიძე და... 71
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
ქარის საიდუმლო (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ტანსაცმელი, მაკიაჟი და ვარცხნილობა 80
✓ ოჯახური მყუდროება რომ შეინარჩუნოთ... 81
■ ბესტსელერი
გოჩა მანველიძე. მგლები 4 (გაგრძელება) 82
■ ტაქარი
ხირსის მონასტერი — სამისიონერო ცენტრი 86
■ ვარსკვლავები
✓ თიკა კანდელაკი ქსენია სობჩაკს სიყვარულში გამოუტყდა... 88
✓ სკარლეტ იოჰანსონი აუქციონზე „იყიდება“! 88
✓ ქველმოქმედი დრიუ ბერიმორი 88
✓ თვალცრემლიანი გვენ სტეფანი 89
■ ცოცხალი ლანდები
კაცურკაცობის მაგალითები, კეთილშობილი მთაკაცები და „კომუნისტურად“ დასჯილთა „გაკომუნისტება“ 91
■ ბელადი
მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება) 94
■ დაიჯესტი
ჯონ მაკქეინი — რუსეთისგან ჩაგრულთა ქომაგი დამოუკიდებლობას გამოაცხადებს 96
■ ბრძენკაცები
„...ქართველობისთვის სული უნდა გესმოდეს...“ 98
■ სპორტული მოზაიკა 101
■ ავტო 102
■ პროგნოზი 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ კალეიდოსკოპი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მთე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ნუ მეძეყიალები
და ამ
მოგაცყეებ.

ამბავი სიდედრზე

ფოტოტესტი

სიტუაცია

39-70

ლუკა ელვის სისწრაფით სწვდა ყელში და გამეტებით დაახეთქა სავარძელზე.

— ქურდებო, რას უყურებთ! — ყვირილი განაგრძო გამზათმა. — ქურდ კაცს ხელით შემეხო!

— ნუ ჭყიავ დაზარალებულივით. ისედაც ბევრი ლაპარაკი მოგიწევს!.. — ლუკა დაელოდა, ვიდრე გამზათი არ გაჩუმდა და მერე განაგრძო ლაპარაკი: — აბა, შენ გგონია, რომ მართლა შენ გეძებდა ირაკლის ხალხი?

გამზათმა დუმილით უპასუხა.

— მე ვიცოდი, სოხუმში რომ იყავი. იქაურობა გაიხადე „მალინად“. იქ მართლა შინ გრძნობ თავს. სოხუმში ვერ დაგითრევდი და რუსეთშიც ვერ შეგხვდებოდი სხვანაირად. შენ ხომ ეგრევე ჩამიშვებდი შენს ძმაკაც რიჟკოვთან და მთელ „ფეესბეს“ თავზე დამაყენებდი. მაგრამ ჩემდა სასიხარულოდ, ჩაქუჩივით მარტივად ხარ მოწყობილი. პატარა ხმაური და შენი ფეხით მოხვედი ჩემთან!..

ერთი ყაცის შიმშილობა კი ვრა ანუ „ამოდით, ჭამეთ და ჩადით ისევ!..“

იმის ოჯახი დაიქცეს, ვინც ეს შიმშილობა მოიგონა პროტესტის ფორმად!.. გახსოვთ, ალბათ, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, როცა მაძღრები ვიყავით, მსოფლიო გააკვირვა ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ წამოწოლილმა პროფესორმა ჰაიდერმა, რომელიც რაღაც პროტესტის გამო, 60-ზე მეტი დღის განმავლობაში შიმშილობდა. ვერ გეტყვით, რამდენად დააკმაყოფილა რონალდ რეიგანმა მისი მოთხოვნა, მაგრამ თურმე, ის კაცი ჩუმ-ჩუმად ჭამდა და 60 დღე ისე „იშიმშილა“, წონაში 1 გრამიც არ დაუკლია. ისიც ფაქტია, რომ პროფესორ ჰაიდერს საქართველოში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა და პროტესტის ეს უკიდურესი ფორმა, როცა ადამიანი მზადაა მოკვდეს კიდეც, იმდენად ხშირად გამოიყენება, რომ შიმშილობის სხვადასხვა სახეობაც კი დამკვიდრდა: უვადო შიმშილობა, ცუდად გახდომამდე შიმშილობა, მოშივებამდე შიმშილობა; „განტვირთვის მიზნით კი მოარტყამდა კაცი ერთ-ორდღიან“ შიმშილობას, სადილიდან ვახშამამდე შიმშილობას და ა.შ.

და რატომღაც, შიმშილობის ინიციატორები ყოველთვის ხელისუფლებაზე განაწყენებული ადამიანები არიან. ხომ შეიძლება, ერთხელ ხელისუფლებამაც იშიმშილოს მანამ, სანამ ოპოზიცია შიმშილობას არ შეწყვეტს — ანუ, პროტესტის პროტესტი მოაწყოს?! როგორ არ შეიძლება, მაგრამ ხელისუფლებამ თუ იშიმშილა, მერე ვინ უნდა ჭამოს?! ახლაც, როცა გაერთიანებულმა ოპოზიციამ პარლამენტის წინ საპროტესტო აქციები განაახლა და რამდენიმე კარავიც კი გაშალა, ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით (და არა მარტო), შიმშილობაც დაიწყო. მოკლედ, ვიღას ახსოვს უგულავას დიეტა, მთელი ოპოზიცია „პრეზიდენტის დიეტაზეა“ გადასული...

არ გირჩევთ, ჩემო ძვირფასებო! ჯობს, მაისში დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადოთ და იმის შედეგებსაც ხომ უეჭველად გააპროტესტებთ? ჰოდა, სანამ ხელახალი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, იმასა და იმას შორის, აჯობებს ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, თორემ ამასობაში, საკრებულოების არჩევნებიც მოგისწრებთ და იმას რომ გააპროტესტებთ და ხელახლა დანიშნავთ, იმათ შორის ხელახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მომზადებას ვეღარ მოასწრებთ... გაიგეთ, რამე?! მეტი არაა ჩემი მტერი!..

აგერ, თქვენს ღია ცის ქვეშ შიმშილობას მემარჯვენეთა ელიტაც შეუერთდა, ოღონდ არა პარლამენტის წინ, — ეგღა აკლია გამყრელიძეს და მის გარემოცვას, ქვაფენილზე წამოწვეს! მათ „ლუქსის“ პირობები არჩიეს და თან, პროტესტიც უფრო მწვავე ფორმით გამოჩნდა, რადგან პარლამენტის თავმჯდომარის მისაღებში დაიწყეს შიმშილობა...

ვერ გეტყვით, რამდენი დღე გაგრძელდება ეს ყველაფერი, მაგრამ ფაქტია, რომ უამრავ უცხოელ სტუმარს — დიპლომატს თუ ბიზნესმენს, ქვეყნის მეორე პირთან შესახვედრად, ადამიანებზე გადაბიჯება მოუწევს.

იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი მოშიმშილეები ზემოთ ხსენებული ამერიკელი ჰაიდერივით არ იქცევიან და საკუთარ ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებენ. ამიტომ, რა შეუთანხმებლობა გვჭირს, ხალხო, რას ვერ ვაგებინებთ ერთმანეთს?! ბაბილონივით ენების აღრევა დაგვატყდა თუ ბუტიაობის თამაშმა გაგვიტაცა?! იქნებ, საქართველო მართლაც იმდენად უცნაური ქვეყანაა, რომ აქ „ორი სიმართლე არ არსებობს“ პრინციპი უაზრობაა და ორივე მართლები ხართ? მე მგონი, არც ერთი მხარე არაა მართალი, რადგან არსებობენ „მესამენიც“, რომლებიც ასევე ითხოვენ ხელისუფლების შეცვლას, მაგრამ არც მოშიმშილე ოპოზიციას ემხრობიან. თუმცა, ვერც მათი სიმართლის იმედით ვჭამთ პურს. ამიტომ, ან სამივე მხარემ უნდა იშიმშილოს, ან — არც ერთმა. ისე, თუ შიმშილობის დროს პურის და ყველის ჭამა არ შეიძლება, მაშინ ერთმანეთის ჭამასაც უნდა დაანებოთ თავი. ჭამა ჭამაა და თუ შიმშილობ, რა მნიშვნელობა აქვს, რას შეჭამ ან ვის შეჭამ?! ამ პრინციპით, მართლაც ჯობია, ყველამ იშიმშილოთ და უფრო იოლად მიაღწევთ შეთანხმებებს.

გამოსავალს კიდევ იმაში ვხედავ, რომ ამ პრობლემის მოგვარებაც ხალხმა უნდა იკისროს, მართლა გამოაცხადოს შიმშილობა მანამ, სანამ მოშიმშილეები შიმშილს არ შეწყვეტენ; თუ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ მოეწონება, მის გაუქმებამდეც იშიმშილოს... მოკლედ, ხალხი მაინც შიმშილობს და ბარემ, მანამ იშიმშილოს, სანამ სახელმწიფო ხალხს არ დააპურებს...

P.S. *პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სატელეფონო საუბარი:*

— ნინო, რა ხდება, დაამთავრეს თუ ისევ ქვემოთ არიან?

— ისევ ქვემოთ არიან.

— დაუძახე, თორემ ხომ იცი, ეგენი თვითონ ვერ მოიფიქრებენ.

— კარგი, დავუძახებ... ბიჭებო, ამოდით, ჭამეთ და ჩადით ისევ!..

პროვოკატორი

„??????????????...“

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ცნობილი ქართველი პოეტი, ანა კალანდაძე გარდაიცვალა. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის სწორედ ეს ამბავი გახდა კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი და ტრაგიკული მოვლენა. ჩვენი გამოკითხვით გაირკვა ისიც, რომ ამ დღეებში, ყველაზე მეტად, ხალხი ოპოზიციის მიერ გამოცხადებულმა შიმშილობამ გააღიზიანა.

„საითაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან მოშიმშილეები არიან“

ნათია ქივიძე

ნანა დიდიძე, *ინჟინერი, 37 წლის:*

— გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა დიდი პოეტის, ანა კალანდაძის გარდაცვალება იყო. ერთ კვირაში ორი ისეთი დიდი ადამიანის გარდაცვალება, როგორებიც ქალბატონი: ანა კალანდაძე და სოფიკო ჭიაურელი იყვნენ, საქართველოსთვის ნამდვილად დიდი დანაკლისია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გამომცემლობა „სამშობლოსთან“, ჟურნალისტ გიორგი მამაცაშვილის შიმშილობის ფაქტიც. ეს შენობა გაიყიდა, მას თავისი მფლობელი ჰყავს და რამდენიც არ უნდა იშიმშილოს მამაცაშვილმა, შენობაში ოფისს აღარავინ დაუთმობს. ამას ალბათ, უკვე თავადაც მიხვდა, რადგან შიმშილისგან დაუძლურებული, საავადმყოფოში გადაიყვანეს და ამ ფაქტზე რეაგირება, ოპოზიციის გარდა, არავის მოუხდენია.

ანზორ მეტრეველი, *პენსიონერი, 72 წლის:*

— ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ, ოპოზიციის მიერ გამოცხადებული შიმშილობაა, მაგრამ მეეჭვება, ამან რაიმე შედეგი გამოიღოს. სიმართლე გითხრათ, ჩვენი ხელისუფლების მომხრე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ახლა, ოპოზიციისაც აღარ მესმის — რაც კი მათ გამო ხელისუფლების წარმომადგენლებმა დათმეს, ამათმა არ შეიფერეს და კიდევ უფრო მეტი მოითხოვეს. არა მგონია, მათი მოთხოვნები ვინმემ დააკმაყოფილოს. ოპოზიციამ დანაქადი შეასრულა და პარლამენტის წინ „კარვების ქალაქი“ გაშალა. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი არცთუ ისე ლამაზია. აჯობებს, ცივილიზებული მოლაპარაკებები განაგრძონ და ერთმანეთთან ადამიანურად შეთანხმდნენ. ზვიად ძიძიგური რომ გამოდის და ყვირის, — მიხეილ სააკაშვილს მხოლოდ ქუჩიდან თუ დაუყვირებ, მაშინ ესმისო, სისულელეა. როგორიც არ უნდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, საზოგადოების თვალში მისი ასე დამცირება არ შეიძლება....

ნანული გეწაძე, *დიასახლისი, 49 წლის:*

— ყველაზე მეტად, ანა კალანდაძის გარდაცვალებამ ამაღელვა. ქალბატონი ანა, გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი პოეტი იყო, საქართველოს დიდი პატრიოტიც გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ ასაკოვანი იყო, მისი გარდაცვალება მაინც ძალიან განვიცადე. ასეთი დიდი ადამიანები არ უნდა იღუპებოდნენ... გარდა ამისა, ამაღელვებელია ის, რომ რუსეთმა აფხაზეთს ეკონომიკური სანქციები მოუხსნა. თანაც, საქართველოსთან შეუთანხმებლად. სულ მალე, ალბათ, რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობასაც აღიარებს და ამაში ვინ შეუშლის ხელს? მიხეილ სააკაშვილი ყოველი სატელევიზიო გამოსვლისას გვპირდება, — მალე დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთო, მაგრამ ახლა, აფხაზეთში ისეთი სიტუაციაა, რომ ალბათ, ამ დაპირების თავადაც არ სჯერა.

ლიანა იოგიძე, *ფიზიკოსი, 57 წლის:*

— უკრაინაში, ადამიანის გატაცებისთვის ქართველების დაკავების ფაქტმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გაგვიფუჭდა სახელი. რამდენიმე თვეა, რაც საბერძნეთიდან ჩამოვედი. იქ ჩასულს, სამუშაოს რომ ვეძებდი, მეუბნებოდნენ, — ნებისმიერი ეროვნების ადამიანს მივიღებთ, ქართველის გარდაო. ესეც არ გვაკმარეს და მაღაზიებში აბრები გააკრეს, სადაც ქართულად ეწერა: „ქართველებო, არაფერი მოიპაროთ“. იმის აღიარების მრცხვენოდა, რომ ქართველი ვიყავი. რატომ იქცევიან ჩვენი თანამემამულეები ასე? ერთმანეთს ვეტრაბახებით, — ყველაზე კარგი ერი ვართო, სინამდვილეში კი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სახელი გვაქვს გატეხილი.

დავით აფრასიძე, *ეკონომისტი, 58 წლის:*

— ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებია. საითაც არ უნდა გავიხედოთ (პარლამენტშიც კი), ყველგან მოშიმშილეები არიან. პრობლემების „კარვების ქალაქით“ გადაჭრა არ შეიძლება. ადამიანები არ არიან? ხომ შეიძლება, ორივე მხარე გარკვეულ დათმობაზე წავიდეს და ერთმანეთთან მოლაპარაკებები ნორმალურად აწარმოონ? ორივე მხარე პატარა ბავშვივით იქცევა. ისინი ერთმანეთს ებუტებიან, ჯიბრში უდგებიან. ამათმა რა სახელმწიფო უნდა აგვიშენონ? ვიდრე ერთმანეთში ურთიერთობა ვერ გაურკვევიათ, რუსეთმა აფხაზეთს ეკონომიკური სანქციები მოუხსნა და ალბათ, მალე აფხაზეთის დამოუკიდებლობასაც გამოაცხადებს. ჩვენი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები კი, ამ დროსაც ერთმანეთის „ჭამით“ იქნებიან დაკავებულები. უკვე იმედი გადამეწურა და ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას აღარაფერი ეშველება...

გიორგი არაბიძე, *სტუდენტი, 18 წლის:*

— ანა კალანდაძის გარდაცვალების ამბავი ძალიან მეწყინა. მისი პოეზია მართლა მიყვარდა და ამიტომაც, ამ ქალს დიდი პატივს ვცემდი. საწყენია, საქართველოს კიდევ ერთი დიდი ადამიანი რომ დააკლდა... ■

მალხაზ ბასილაია: იქ ნებისმიერი ქართველის სიცოცხლე რეალური საფრთხის წინაშეა...

„მალხაზ ბასილაიას დასაკავებლად აფხაზებმა სპეციალური ოპერაცია დაგეგმეს“, — ეს ინფორმაცია აფხაზეთის „მედიაცენტრმა“ გაავრცელა. თავად ტყვეობიდან გათავისუფლებული ჟურნალისტი ფიქრობს, რომ სეპარატისტებს, მისი გალში გადასვლის შესახებ ინფორმაცია ზუგდიდიდან მიაწოდეს. ამ და სხვა დეტალებთან დაკავშირებით, თავად მალხაზი მოგვითხრობს.

ხათუნა ბახტურიძე

— მალხაზ, რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ შესახებ ინფორმაცია აფხაზებს ზუგდიდიდან მიაწოდეს?

— იმ სამხედროებს შორის, ვინც ჩვენ დაგვაკავა, აფხაზეთის კონტრდაზვერვის უფროსი — ედიკ ენიზადეც იმყოფებოდა. ის, რომ იმ დღეს აფხაზეთის მაღალჩინოსანი ჩვეულებრივ რეიდზე იმყოფებოდა, ჩვეულებრივი ამბავი ნამდვილად არ არის. ენიზადემ აშკარად იცოდა, რომ ქართველი ჟურნალისტი აფხაზეთის საკონტროლო პუნქტზე აპირებდა გადასვლას. ვეჭვობ, რომ მას ინფორმაცია ზუგდიდიდან მიაწოდეს.

— ასეთი ინფორმაციის მიწოდება კონკრეტულად, ვის შეეძლო?

— მე კონკრეტულ ადამიანზე მაქვს ეჭვი, მაგრამ ჯერჯერობით, მისი დასახელებისგან თავს შევიკავებ.

— გალში გადასვლა სპონტანურად გადაწყვიტეთ?

— სპონტანურად. უფრო სწორად, გალში გადასვლა წინა ღამით, ორ უახლოეს პირთან ერთად დავგეგმე. ესენი არიან: ჩემი ნათლია მაია დანელია და მისი შვილი — დავით წოწორია. ეს ადამიანები წარმოშობით ოჩამჩირის რაიონიდან არიან. ახლა იქ დავითის ბებია ცხოვრობს, რომელიც ხშირად ავადმყოფობს. გავიგე, რომ მაია და მისი შვილი ბებიის მოსანახულებლად, ოჩამჩირეში მიდიოდნენ და გადავწყვიტე, მათთან ერთად წავსულიყავი. ამის შესახებ მხოლოდ ჩემს თანამშრომლებს შევატყობინე.

— აფხაზეთის ტერიტორიაზე არაოფიციალურად გადახვედით?

— აბა იქ, ოფიციალურ ფორმატში, ქართველ ჟურნალისტს არავინ შეუშვებს. საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით (ლაპარაკია რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე), რეპორტაჟის გაკეთებას ვაპირებდი.

— პატიმრობის დროს, როგორ პირობებში იმყოფებოდით?

— ძალიან ცუდ პირობებში. მაია და დათო ცალკე საკნებში მოათავსეს. პირადად მე, სამი დღის განმავლობაში, ე.წ. კარცერში ვიმყოფებოდი, სადაც დღის სინათლეც კი არ შემოდიოდა. ამ სამი დღის განმავლობაში ჩაი და უბრალო წყალიც კი არავის მოუწოდებია. ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა. უნდოდათ, რომ მათთვის აღიარებითი ჩვენება მიმეცა.

— კონკრეტულად, რას მოითხოვდნენ?

— მოითხოვდნენ, მეთქვა, თითქოს აგენტი ვიყავი და საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში მიზანმიმართულად გამგზავნა, რათა აფხაზეთის სტრატეგიული ობიექტები გადამეღო. სტრატეგიულ ობიექტებს შორის ასახელებდნენ აეროპორტს და მთავრობის სასახლეს. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მათ მიერ შეთითხნილი სისულელე იყო და სიმართლესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. მათი ბრალდება რომ მეღიარებინა, საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე აგენტების შეგზავნაში დავადანაშაულებდი.

— თქვენს სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა?

— კი. იქ მარტო ჩემი კი არა, ნებისმიერი ქართველის სიცოცხლე რეალური საფრთხის წინაშეა. აფხაზ სეპარატისტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ, ქართველი კაცის სიცოცხლე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ.

— როგორც ვიცი, თქვენ სერგეი შამბასთან გართულებული ურთიერთობა გქონდათ. ამის მიზეზი რა იყო?

— მარტო შამბასთან კი არა, რუსლან ქიშმარიასთანაც გართულებული ურთიერთობა მქონდა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ მე ყოველთვის ობიექტურად ვაშუქებდი აფხაზეთის კონფლიქტს, ვიყავი ის ჟურნალისტი, რომელიც თამამად დადიოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე და ხშირად რეალურ ინფორმაციას მოიპოვებდა.

— იყო მოსაზრება, რომ სეპარატისტები თქვენს გათავისუფლებას უფრო ადრეც გეგმავდნენ, მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილის, მწვავე განცხადების შემდეგ, უკან გაგაბრუნეს...

— არ ვიცი, ასეთი ინფორმაცია ვინ გაავრცელა, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ჩემი გათავისუფლება არავის დაუპირებია მანამ, სანამ საქმეში საქართველოს პრეზიდენტი, საერთაშორისო ორგანიზაციები და ჟურნალისტები არ ჩაერივნენ. ■

საქართველოს „პოეზიის დედოფალი“ დაემშვიდობა...

„რაც უფრო ხანში შედის ადამიანი, ბავშვობის წლები უფრო მეტად უდგას თვალწინ, — ბრძანა ქალბატონმა ანამ გაზეთ „ვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და იქვე, მოულოდნელი რამ დასძინა: — წარსული, რაც არ უნდა კარგი იყოს, არ მაინტერესებს. კარგიც ბევრი მინახავს, ცუდიც, მაგრამ მაინც მხოლოდ მომავლისკენ ვიყურები. არადა, რა რჩება ჩემთვის მომავალში...“

იმ დღიდან, მაინც ბევრი ჰქონდა „მომავალში დარჩენილი“: ქალბატონ ანას ლექსების წერა არ შეუწყვეტია... სამაგიეროდ, ბოლომდე ერთგული იყო თავისი პრინციპისა — ჩრდილში ყოფნა ერჩივნა, „მზეზე გამოსვლას“. ამიტომაც, მის ინტერვიუს იშვიათად წააწყდებოდით ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. და სწორედ ამიტომ, მისი მადლიანი სიტყვის გასახსენებლად, იმ ინტერვიუს მივუბრუნდით, რომელიც რამდენიმე წლის წინ „ვირის პალიტრისთვის“ ჟურნალისტ ლელა ჯიყაშვილს მისცა. აი, კიდევ ერთი ფრაგმენტი ამ პუბლიკაციიდან:

„— როგორი ცხოვრებით გინდოდათ გეცხოვრათ და როგორ იცხოვრეთ? დიდია სხვაობა თქვენს ნაოცნებარსა და სინამდვილეს შორის?

— არც თქვენ დამიჯერებთ და არც დღევანდელი ახალგაზრდები, მე კი მართლა დაუფიქრებლად მივყვებოდი ცხოვრების დინებას. რაც შემემთხვეოდა, კარგი იყო თუ ცუდი, ალბათ, ასეც იყო საჭირო... კმაყოფილი ვიყავი ყველაფრით. ყოფიერება თითქოს არც არსებობდა. ჩემთვის არაფერი არსებობს იმაზე უფრო სასურველი, ვიდრე მშვიდად, მარტო, უცხო თვალის გარეშე ყოფნაა. რომ გამიშვან მინდორ-ველში, ძალიან კარგად ვიქნები, ჩემთვის, ჩემს ნებაზე, ბუნებასთან ახლოს.

ხალხის ყურადღების ცენტრში ყოფნა არ არის ჩემი საქმე, არ მიყვარს გამოსვლები და შეხვედრები. როცა ასეთი რამ ხდება, ყოველთვის თავს ძალას ვატან ხოლმე. ვერ შევეჩვიე — ვერც შევეგუები. თურმე ადამიანი როგორიც დაიბადება, ისეთი რჩება ბოლომდე...“ ■

ვის უნდა ეშინოს ხალხი?

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის ჩიხში შესვლის შემდეგ, ერთიანმა ეროვნულმა საბჭომ ყველაფერი თავიდან დაიწყო. ხელისუფლებასთან საბრძოლველად, მათ პროტესტის უკანასკნელ ფორმას, შიმშილობას მიმართეს. მოშიმშილეებს „რესპუბლიკელები“ და „ლეიბორისტები“ არ უერთდებიან. შესაბამისად, ეროვნული საბჭოს ელექტორატი მნიშვნელოვნად შემცირდა. შეძლებს თუ არა მხარდამჭერების შენარჩუნებას დაშლილი ოპოზიცია და ვინ იმსახურებს საზოგადოების ნდობას — ხელისუფლება, რომლის წინააღმდეგაც ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვიდა, თუ ოპოზიცია, რომელიც ამომრჩეველს, მხარდაჭერის სანაცვლოდ, სააკაშვილის რეჟიმისგან გათავისუფლებას ჰპირდება? — ამ კითხვაზე ექსპერტებსა და პოლიტოლოგებს არაერთგვაროვანი პასუხები აქვთ.

„ყველამ იცის, რომ დაპირების შესრულების პრეცედენტი არ არსებობს...“

ლალი პაპასკირი

ნოდარ სარჯველაძე, *ფსიქოლოგი:*

— ნოემბრის მოვლენების შემდეგ, ოპოზიციამ ხელისუფლების ქმედებების გამო ხალხში დაგროვილი უკმაყოფილება კი გამოიყენა, მაგრამ თავად, ამ ადამიანებს უკეთესი პროგრამა ვერ შესთავაზა. საზოგადოებაც მალე მიხვდა, რომ ქუჩაში გამოსული პოლიტიკოსები მათ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებდნენ და არც მათ გვერდში დგომას ჰქონდა აზრი. მით უფრო, რომ ოპოზიციურ სპექტრში ყველას პირველობა უნდა (სწორედ ამის წყალობით დაიშალა ის საბჭოც). გარდა ამისა, ოპოზიციურ პარტიებს ერთიანი იდეაც არ აქვთ. კონსტიტუციის შეცვლის მოთხოვნის გამო, ხალხი ქუჩაში არ გამოვა. კაცს რომელიც პურის ფულის შოვნაზე ფიქრში ათენ-აღამებს, კონსტიტუციის მუხლებით ვერ დააინტერესებ. მასთან არც პრეზიდენტის არალეგიტიმურობის ძახილი ჭრის. სიმართლე გითხრათ, არც დსთ-დან გასვლის მოთხოვნას აჰყვება ხალხი, რადგან შეიძლება, ამას რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება მოჰყვეს. მოსახლეობას, პირველ რიგში, პირადი კეთილდღეობა აინტერესებს.

— როგორ ფიქრობთ, რა უნდა შეეთავაზებინა ოპოზიციას ხალხისთვის?

— ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მაგრამ ამას შეპირების სახე კი არ უნდა ჰქონოდა, არამედ ამისათვის რაიმე პროგრამა უნდა შეემუშავებინათ. ყველამ იცის, რომ საქართველოში დაპირების შესრულების პრეცედენტი თითქმის არ არსებობს... ოპოზიცია ხალხს სააკაშვილის გადაყენებისკენ მოუწოდებს, მაგრამ ეს იდეა არ არის. მეტიც, ასეთი გამოსვლებით, „პოლიტიკურ ბაზარზე“, მათი „ფასი“ თანდათან ეცემა. ვფიქრობ, ოპოზიციამ არც იცის, რა აწუხებს ხალხს და თავის პოლიტიკას საზოგადოების მოთხოვნებზე კი არა, საკუთარ ინტერესებზე აგებს. მათ ჰგონიათ, რომ მოსახლეობას ეწყინა, ხელისუფლებამ მაჟორიტარებთან დაკავშირებით, კონსტიტუციაში ცვლილებები რომ შეიტანა. არადა, ხალხს წარმოდგენაც არ აქვს, რითია ეს ცუდი ან კარგი. სიმართლე გითხრათ, ამაში საფუძვლიანად ვერც მე ვერკვევი და ეს არც მაინტერესებს. ოპოზიცია კი ამით იმიტომ ინტერესდება, რომ პარლამენტში მოხვდეს.

— ხელისუფლების ქმედებებზე რას იტყვით?

— საქმე ისაა, რომ ხალხის პრობლემებზე ზრუნვით არც მთავრობა იკლავს თავს და არც — ოპოზიცია. ძალაუფლების მოსაპოვებლად ორივე ერთნაირად იბრძვის. ხალხის ნდობის მოსაპოვებლად, ერთმა ქუჩა აირჩია, მეორემ — შეხვედრები რეგიონებში. ამ რთულ ვითარებაში კი, საზოგადოებამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რომელი ურჩევნია — ძალაუფლების შენარჩუნებისთვის მებრძოლი ხელისუფლება თუ ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ოპოზიცია. მაშინ, როცა ოპოზიციური პარტიები ხალხს ხატოვნად მიმართავენ, — თქვენს სამსახურში გვიგულეთო, სინამდვილეში, იმას იკვლევენ, თუ რომელ ადგილზე არიან ხალხის შეფასებით და არა იმას, თუ რა პრობლემები აწუხებთ მათ. ხელისუფლებასთან დიალოგის დროს, გაჩეჩილაძესა და მის თანამოაზრეებს არც კი გახსენებიათ, რომ მმართველი პარტიისთვის საზოგადოებაში არსებული პრობლემების ჩამონათვალი დაედოთ მაგიდაზე. ეს არის არათანამიმდევრული, მეყსეული და არამყარი პოლიტიკური ძალის მუშაობის შედეგი და ამიტომაც, ისინი ხალხის მხარდაჭერას სრულიად ლოგიკურად კარგავენ.

— ეს შენიშვნები „რესპუბლიკელებსაც“ ეხებათ?

— ნაწილობრივ — კი. სხვათა შორის, მოსახლეობის პრობლემას, გარკვეულწილად, ლეიბორისტული პარტია იზიარებს. ისინი სოციალურ საკითხებზე კი არიან ორიენტირებულნი, მაგრამ არც მათი მუშაობაა სრულყოფილი.

— როგორ ფიქრობთ — ოპოზიციის სისუსტის ფონზე, საზოგადოებისთვის ხელისუფლება უფრო მისაღები ჩანს?

— შეიძლება, ამ ეტაპზე არ ჩანს, მაგრამ სიტუაცია იქითკენ მიდის, რომ ხალხი არჩევანს ხელისუფლების სასარგებლოდ გააკეთებს. სამწუხაროა, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებაში თანდათან მკვიდრდება ასეთი აზრი, — ოპოზიციას ისევ მიშა სჯობიაო...

— ბატონო ნოდარ, გამოდის, რომ ხელისუფლებას საპარლამენტო არჩევნების მოგება არ გაუჭირდება, ხომ?

— ცხადია, რომ ხელისუფლება ოპოზიციას უფრო თანამიმდევრულად უტევს. გარდა ამისა, მას საზოგადოებრივი მოთხოვნების

დაკმაყოფილების მეტი რესურსი აქვს. ხელისუფლებამ, თავისი იდეებით, ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე აჯობა ოპოზიციას. მაშინ ქვეყანაში ერთდროულად, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკაკაშვილის სლოგანი — „საქართველო სიღარიბის გარეშე“ უფრო მომგებიანი აღმოჩნდა.

— ოპოზიციის ლოზუნგი — „საქართველო პრეზიდენტის გარეშე“ — ხალხისთვის მისაღები არ იყო?

— იცით, ხალხისთვის გაუგებარია — როგორ იქნება ქვეყანა პრეზიდენტის გარეშე. მათ არ იციან, საპარლამენტო ხელისუფლება გაამართლებს თუ არა. მით უმეტეს, რომ თუ დღევანდელ ოპოზიციას გადავხედავთ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი წყობილება ქვეყანას უკეთესობისკენ წაიყვანს.

გაგა ნიჟარაძე, *ფსიქოლოგი, საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ჯგუფის ხელმძღვანელი:*

— თებერვლის დამლევს, ჩვენმა ორგანიზაციამ თბილისში ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივთა 55% გაერთიანებულ ოპოზიციას უჭერდა მხარს, ხოლო საზოგადოების მეორე ნაწილი, საპარლამენტო არჩევნების მიმართ ოპტიმისტურად იყო განწყობილი. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ხელისუფლებამ ჭკუა ისწავლა და ისეთი არაობიექტური აღარ იქნება, როგორიც 5 იანვარს იყო. კვლევის შედეგებმა ასევე გვიჩვენა, რომ „რესპუბლიკელები“, „ახალი მემარჯვენეები“ და „ლეიბორისტები“ 12-13%-იან რეიტინგს ინაწილებდნენ. სრულიად მოულოდნელად, მაღალი ნდობა დაიმსახურა ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ, ხოლო გიორგი თარგამაძე, პოლიტიკოსებს შორის, ყველაზე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა. მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი სიტუაციურია, რადგან როდესაც გოგა ხაინდრავა მინისტრობიდან გაათავისუფლეს, მას ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა... კვლევის ასეთი შედეგი იმის მიმანიშნებელია, რომ რაღაც დიფერენციაცია ხდება და საზოგადოება ერთ პიროვნებას კი არა, რაღაც იდეას, მიმართულებასა და პროგრამას უჭერს მხარს.

— ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანებული პოლიტიკური ძალა უკვე დაიყო. თქვენი აზრით, რამდენად შეინარჩუნებს ოპოზიცია ხალხის მხარდაჭერას?

— ოპოზიციას ელექტორატის შენარჩუნება გაუჭირდება. მან „რესპუბლიკელების“ წასვლით დიდი დანაკლისი განიცადა, რადგან ძირითადი ინტელექტუალები ამ პარტიაში იყვნენ (ერთი-ორი კაცის გამოკლებით)... მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მთლიანად საკაკშვილთან და ნაწილობრივ, ბურჯანაძესთან ასოცირდება, მმართველი გუნდის მხარდამჭერთა კონსოლიდაცია მაინც მოხდა და საპარლამენტო არჩევნებისთვის ისინი გააქტიურდებიან.

— საპარლამენტო არჩევნებამდე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგი ისევ ჩიხში მოექცა და ოპოზიციამ ყველაფერი თავიდან დაიწყო. ეს ლოგიკურია?

— ეს არის ერთგვარი ტაქტიკა და მისი ერთმნიშვნელოვანი შეფასებაც ძნელია. ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია ყოველდღიურად იცვლება და ამიტომაც, რაიმე პროგნოზის გაკეთება რთულია. ოპოზიციის დაშლაში ზოგმა ხელისუფლების ხელი დაინახა, მაგრამ ჩემი აზრით, ეს იდეების შეუთანხმებლობამ გამოიწვია. დანარჩენებისგან განსხვავებით, „რესპუბლიკელებს“ სრულიად გამოკვეთილი, ცენტრისტული მიმართულება აქვთ. მათ გარშემო იყვნენ მემარცხენეები, რადიკალები და ქუჩის პოლიტიკის მომხრეები, რაც „რესპუბლიკელებს“ აღიზიანებდათ. პარტიაში ამაზე ხშირად ლაპარაკობდნენ და ბოლოს, იდეურად შეუთავსებელი მოკავშირეები ერთმანეთს გაემიჯნნენ. თუმცა, მე ვფიქრობდი, რომ ეს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხდებოდა.

— ფაქტია, რომ ოპოზიცია ისეთი ძლიერი აღარ არის, როგორიც 5 იანვრის არჩევნებამდე იყო. ეს ხელისუფლების თანამიმდევრული პოლიტიკის შედეგია?

— საქმე ისაა, რომ ოპოზიცია რაღაც საკითხებში ერთსულოვანი იყო, მაგრამ იმდენად ჭრელი შემადგენლობით იყვნენ წარმოდგენილნი, მათი თანამშრომლობა დიდი ხნის განმავლობაში, შეუძლებელი იყო. რაც შეეხება ხელისუფლებას, — მან გაკვეთილები მიიღო და სოციალური საკითხების მოგვარებაზე გადაერთო. ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია მისი პროგრამები, მაგრამ ფაქტია, ამან საზოგადოებაზე დადებითად იმოქმედა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ ეკრანს ჩამოაშორა ის ოდიოზური ფიგურები, ვინც მათ მოწინააღმდეგეებს კი არა, მომხრეებსაც აღიზიანებდათ. გარდა ამისა, მაჟორიტარების პარლამენტში გაყვანით, ხელისუფლებამ ძალიან ტაქტიკური და მომგებიანი ნაბიჯი განახორციელა, რომელიც სახელმწიფო ინტერესებისკენ კი არა, საპარლამენტო არჩევნებში კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვებისკენაა მიმართული.

— რამაც უკმაყოფილების ახალი ტალღის აგორება გამოიწვია...

— იმიტომ, რომ ეს გეგმა ძალიან სწრაფად, ჩუმად განახორციელეს. ყოველივე ამას კი, წინ ვიღაც უცნობი დეპუტატების მიერ დაწერილი განცხადებები უძღოდა. ფაქტია, გადაწყვეტილება არ შეიცვლება და შესაძლოა, ხელისუფლებამ კონსტიტუციური უმრავლესობა მართლაც მოიპოვოს, მაგრამ ეს ისევ მისთვის იქნება ცუდი.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ყველაფრის ბატონ-პატრონნი იქნებიან. კონსტიტუციაში შენიშვნების შეტანა ისე, როგორც ამას ვთქვათ, საკუთარ უბის წიგნაკში ვაკეთებთ, არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ ხდება. რაიონებიდან თითო კაცის გაყვანა, პარტიის გაყვანაზე ადვილია, მაგრამ როდესაც პარლამენტში ანგარიშგასაწევი ოპოზიცია არ იქნება, ეს დეგრადაციას გამოიწვევს. ის 75 ადამიანი მხოლოდ ფორმალურად იქნება პარლამენტის წევრი და შეიძლება, ქვეყნაში ისევ ნოემბრის მოვლენები განმეორდეს. ■



განახლებული „ბომონდი“ შემოქმედთ ახალ ამპლუას სთავაზობს

მარტში, განახლებული ჟურნალ „ბომონდის“ მეოთხე ნომერი გამოვიდა. მოგეხსენებათ, აღნიშნული ჟურნალის „მოდის“ რედაქტორი — ჯიჯი რეჯინი გახლავთ, რომელიც ყველა ნომერში ცნობილი ადამიანების განსხვავებულ და ორიგინალურ ფოტოსესიას გვთავაზობს. მან „ბომონდის“ ახალ ნომერში რეჟისორ ბასა ფოცხიშვილის საკმაოდ არაორდინარული ფოტოები შემოგვთავაზა. როგორი ფოტომოდელია ბასა და როგორ დაითანხმეს იგი იმაზე, რომ კამერის წინ ეპოზიორა? — ამის შესახებ თავად ჯიჯი გვიამბობს.

„ფოტოებისას დამაჯერეს, რომ ჩემ წინ რეჟისორი იდგა“

ნათია ქივიძე

— ჯიჯი, არაერთ გამომცემლობაში გიმუშავია და დამოუკიდებლადაც ბევრი ფოტოსესია გაგიკეთებია. ამ ბოლო დროს კი გადაწყვიტე, ჟურნალ „ბომონდთან“ გეთანამშრომლა...

— „ბომონდი“ ჩემთვის სიახლე იყო. ქართულ ბეჭდვით მედიაში ამ ჟურნალმა ახალი სიტყვა თქვა. ის კარგად ილუსტრირებულია და რაც ყველაზე მთავარია, საქართველოშია დამზადებული. აქცენტი თავიდანვე იმაზე იყო გაკეთებული, რომ „ბომონდში“ ყველაფერი ქართული ყოფილიყო: ფოტოებიც, მასალებიც და ა.შ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი კარიერა აქ გამეგრძელებინა. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ბევრი რამ არ განგვიხორციელებია, რადგან ჯერ მხოლოდ მეოთხე ნომერი გამოვიდა, მაგრამ თუ ისეთივე ტემპით ვიმუშავებთ, როგორც ახლა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ბაზარზე ის ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკავებს.

— უამრავ ცნობილ ადამიანთან და მოდელთან გიმუშავია. „ბომონდის“ მიმდინარე თვის ნომერში კი რეჟისორ ბასა ფოცხიშვილის საკმაოდ ორიგინალური ფოტოები დაიბეჭდა. რატომ გადაწყვიტე, რომ მოდელების ნაცვლად, კამერის წინ ცნობილი რეჟისორი დაგეყენებინა?

— პირველ რიგში, ბასა საკმაოდ საინტერესო და არაორდინარული პიროვნებაა. გარდა ამისა, იგი ექსტრავაგანტურობითაც გამოირჩევა. მისი ჩაცმის სტილი ყოველთვის მომწონდა — ასე ჩაცმულს, თბილისში სხვას ვერავის ნახავთ. მე ხომ „ფეშენის“ ანუ მოდის ფოტოგრაფი ვარ. ამიტომ, პირველ რიგში, განსაკუთრებულ ყურადღებას ჩაცმულობას ვაქცევ. ჩემთვის ფოტოების გადაღება მხოლოდ აპარატის გაჩხაკუნებას კი არა, გაცილებით მეტს ნიშნავს. ბასასთვის ფოტოსურათების გადაღება ჩემთვის და „ბომონდისთვის“ კიდევ ერთი ექსპერიმენტი იყო. მეგონა, ეს საკმაოდ გამიჭირდებოდა, რადგან მას მსგავსი ფოტოები არასოდეს გადაუღია, მაგრამ შევეცადი. ჩვენი ტანდემი შედგა და ვიცი, ხალხს ეს ფოტოები მოეწონა.

— ბასას პროექტში მონაწილეობა რომ შესთავაზე, როგორი რეაქცია ჰქონდა?

— პირდაპირ ბასასთან არ დამირეკავს. ჯერ მის მენეჯერს დავუკავშირდი, რომელმაც შეხვედრა დამინიშნა. როცა მასთან მივედი, საკმაოდ დიდი შესავალი გავაკეთე, ბევრს ვლაპარაკობდი, ბასა კი ისეთი სახით მიყურებდა, რომ მივხვდი, ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა მინდოდა. ბოლოს, ძლივს ვუთხარი, — მინდა, „ბომონდისთვის“ ფოტოები გადაგიღო-მეთქი. მიპასუხა: რატომაც არაო?! რატომღაც, მეგონა, ბასა ჩემს წინადადებას არ მიიღებდა და მისმა დადებითმა პასუხმა ამაღელვა.

— უარი რატომ უნდა ეთქვა?

— იმიტომ, რომ ის მოდელი არ არის და ასეთ ფოტოებს არ იღებს. ცოტა არ იყოს ძნელი საქმეა, რეჟისორი კამერის წინ დააყენო და მას ფოტოები გადაუღო. როგორც ვიცი, ჩვენი მუშაობით ბასაც კმაყოფილია...

— როგორი ფოტომოდელია ბასა ფოცხიშვილი?

— სიმართლე გითხრა, არ ველოდი, რომ ამ საქმეს ასე კარგად გაართმევდა თავს. მართლა გამაოცა. რასაც ვეუბნებოდი, ყველაფერს უსიტყვოდ ასრულებდა. თავიდანვე ვუთხარი: ვიცი, ძნელია, ახალგაზრდა ფოტოგრაფს საკუთარი თავი მიანდო, მაგრამ მე ამას მაინც გთხოვ-მეთქი. მან კი მიპასუხა, — რადგან აქამდე მოვედი, ეს იმას ნიშნავს, რომ გენდობიო. ბასასთან მუშაობის დასრულებისთანავე აღვნიშნე: ასეთი კარგი ფოტოსესია ჯერ არ მქონია-მეთ-

ქი. იმ დღეს მართლაც, აბსოლუტურად სხვანაირი აურა იგრძნობოდა.

— ბასამ კამერასთან მუშაობის საკუთარი გამოცდილება არ გაგიზიარა? შენიშვნებს არ გაძლევდა?

— არა. ის რეჟისორია და შესაბამისად, კარგად იცის, რას ნიშნავს განათება, კადრი... მოკლედ, ბევრი ისეთი რამ იცის, რაც შეიძლება, მე მისგან ვისწავლო, მაგრამ ჩემთვის არანაირი შენიშვნა არ მოუცია.

— როგორც ვიცი, გადაღებებისას ბასამ თავისი გარდერობი გამოიყენა.

— მართალია. რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, რომ მისთვის შესაფერისი ტანსაცმელი მომეძია, მაგრამ თავადვე შემომთავაზა, — იქნებ, ჯერ ჩემი გარდერობი დაგეთვალიერებინაო. მისი გარდერობის ნახვისთანავე მივხვდი, რომ მას ის ყველაფერი ჰქონდა, რაც გადაღებისთვის დამჭირდებოდა. მისი გარდერობით აღფრთოვანებული დავრჩი. ბასა ტანისამოსის შერჩევაში თავად დამეხმარა. ერთი კომბინეზონი ძალიან მომეწონა და თვითონ მისი შესაბამისი პერანგი გამოიღო, — ეს მოუხდებაო...

— ისიც ვიცი, რომ მაკიაჟთან და მანიკიურთან დაკავშირებით, მასთან პრობლემები შეგექმნა...

— ფოტოსესიისთვის ძალიან კარგია ფრანგული მანიკიური, ე.წ. ფრენჩი, რადგან ის ფოტოებში საკმაოდ ლამაზად ჩანს. ბასას ეს რომ ვუთხარი, მაშინვე იუარა და თქვა, — ვერ ვიტან ფრანგულ მანიკიურს, ცხოვრებაში არ წამისვიო. ვუთხარი: კარგი, როგორც გინდა-მეთქი. მეორე დღეს ფრანგული მანიკიურით მოვიდა. რაც შეეხება მაკიაჟს, მითხრა, — რაც გინდა, გამიკეთე, ოღონდ ტონალური კრემი არ წამისვა, ვერ ვიმუშავებ, თუ სახეზე რაღაცას წამისვამო. ასეც მოვიქეცით. ცოტა უცნაურია, მაგრამ ყველა ფოტო ტონალური კრემის გარეშეა გადაღებული. აი, ასეთი საინტერესო პიროვნებაა ბასა. ის იმდენად არაჩვეულებრივი ადამიანია, რომ მისთვის ფოტოები ვისაც არ უნდა გადაეღო, მაინც ძალიან კარგი გამოვიდოდა.

— მოდელის მაკიაჟსა და ვარცხნილობაზეც შენ ზრუნავ?

— რა თქმა უნდა?! უბრალოდ, სტილისტი და ვიზაჟისტი მყავს, მაგრამ ვარცხნილობისა და მაკიაჟის სტილს ყოველთვის მე ვარჩევ და მათ ვეუბნები, თუ რა და როგორი მინდა. ბასას ყველა ვარცხნილობა ჩემი შერჩეულია. ამ გადაღებებისას აბსოლუტურად თავისუფალი ვიყავი და ამიტომაც გამოვიდა ასეთი კარგი.

— როცა ბასას მზა ფოტოები გაუგზავნე, როგორი რეაქცია ჰქონდა?

— ყველა ფოტო გავუგზავნე და ვკითხე, — როგორ ფიქრობ, აქედან რომელი არ უნდა დაიბეჭდოს-მეთქი? მან ერთ-ერთ ფოტოზე მიმითითა და მიპასუხა: ეს ერთი ფოტო ცოტა სუსტია, მაგრამ შენ თუ გინდა, მაინც დაბეჭდეო. რომ დავაკვირდი, ბასა მართალი იყო და ის ფოტო ჩემთვის შევინახე... ბასამ კომპლექსი მომიხსნა. გადაღებებისას დამავიწყდა, რომ ჩემ წინ რეჟისორი იდგა.

— როგორ ფიქრობ, „ბომონდის“ ასეთმა ექსპერიმენტმა გაამართლა?

— რა თქმა უნდა. ამ ფოტოებით მკითხველმა, ბასა სულ სხვა ამპლუაში ნახა. ამასთან, თითოეული ფოტო რეჟისორის ხასიათს ასახავს. მოკლედ, ამ ფოტოებით ბასამ ხალხს უთხრა: ნახეთ, როგორი ვარო.

— მსგავსი ექსპერიმენტების განხორციელებას კიდევ ხომ არ გეგმავ?

— ბევრ ექსპერიმენტს ვგეგმავ, მაგრამ ამაზე წინასწარ არ ვილაპარაკებ, რადგან საინტერესო აღარ იქნება. „ბომონდის“ მკითხველებს მინდა ვუთხრა, რომ მათ საკმაოდ ბევრი სიურპრიზი ელოდებათ და ჩვენი ჟურნალის მეშვეობით, კიდევ ბევრი ადამიანის განსხვავებულ და არაორდინარულ სახეს ნახავენ. ■

„ძალიან რთმ მოთმენთან შენი ქმარი, იმიტომ გაკვატანე შენი თავი...“

ამჯერად რუბრიკის სტუმრები მაყურებლისთვის საყვარელი სახეები, „კომედი შოუს“ მსახიობები — ნიკა არაბიძე და თამუნა ლეკვეიშვილი არიან. ინტერვიუს დაწყებამდე, ნიკამ მისაყვედურა, — გეთქვათ, ამ რუბრიკაში რომ უნდა ჩაგეწერეთ, თამუნას მეზობლებს დავივლიდი და მის შესახებ კომპრომატებს შევაგროვებდიო. ინტერვიუმ, როგორც მოსალოდნელი იყო, მხიარულ ვითარებაში ჩაიარა.

ნათია ქივიძე

ჟურნალისტი – ნიკა არაბიძე
რესპონდენტი – თამუნა ლეკვეიშვილი

— ვისარგებლებ შემთხვევით და ჟურნალის საშუალებით, გათხოვებას კიდევ ერთხელ მოგილოცავ. ღმერთმა ბედნიერი გამყოფოს...

— დიდი მადლობა, შენთვისაც მალე მომელოცოს...

— რა უნდა მოგელოცოს, გოგო, გათხოვება?

— არა, ცოლის მოყვანა. ჩემი წყალი გადაგესხას.

— რას შვრები, როგორ ხარ?

— ძველებურად. სამსახური-სახლი-სამსახური — აი, ეს გახლავს ჩემი სამოძრაო არეალი. სხვა განსაკუთრებული, ჩემს ცხოვრებაში არაფერი ხდება.

— სადაც უნდა წავიდე, ყველა მეკითხება, თამუნა მართლა გათხოვდაო? ისე გაოცებულები მისვამენ ამ შეკითხვას, თითქოს ბიჭი ყოფილიყავი და გათხოვდი. რატომ უკვირთ, ვერ გავიგე. გემრიელი კერძების კეთება გეხერხება თუ არა-მეთქი, ამ შეკითხვას არ დაგისვამ, ვეცდები, ცოტა სერიოზული შეკითხვა დავსვა. როგორც ვიცი, „რუსთავი 2“-ში ჩემზე ადრე დაიწყე მუშაობა. აქედან დაიწყო შენი იუმორისტული კარიერა?

— როგორც მახსოვს, ამ ტელეკომპანიაში 2005 წელს დავიწყე მუშაობა. სწორედ მაშინ კეთდებოდა გადაცემა „შაბათის შოუ“, რომელსაც, მოგეხსენება, რომ ახლა „კომედი შოუ“ ჰქვია. ამ შესანიშნავ კოლექტივთან ჩემი თანამშრომლობა მაშინ დაიწყო.

— პროფესიით ვინ ხარ?

— მუსიკოსი ვარ, უფრო კონკრეტულად კი — კომპოზიტორი. ჩემი პროფესია ჩემს ამჟამინდელ საქმიანობასთან არანაირ კავშირში არ არის, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „ვანოს შოუში“ მუსიკალური ბენდის ხელმძღვანელი ვარ.

— აბა, როგორ მოხვდი ამ „გაუგებრობაში“?

— მოვხვდი, რა (*იცინის*). აბსოლუტურად შემთხვევით...

— დღეს დილით, ქვედა სართულზე მცხოვრები მეზობელი შემხვდა, რომელმაც შენთან დამბარა, თამუნას ჰკითხე: „ვანოს შოუში“ ზესტაფონელობაზე რომ ეხუმრებიან, რა აზრი აქვს ამასთან დაკავშირებითო?

— არ მწყინს, რადგან პროექტი ასეთ ხუმრობას ითვალისწინებს. რაც მთავარია, ზესტაფონელობაზე ხუმრობა ჩემი ოჯახის წევრებსაც არ სწყინთ, რადგან ხვდებიან, რომ ეს იუმორისტული შოუა.

— სხვათა შორის, საკმაოდ შეგნებული ოჯახის წევრები გყოლია...

— რა თქმა უნდა. ხუმრობას ხუმრობით ვხვდები და ბევრ რაღაცაზე მეცინება ხოლმე.

— რომ გათხოვდი, ყველას რატომღაც ეგონა, რომ ცოლად შენი ბენდის წევრ გირშელს გაჰყევი.

— ჰო, ეს ჩემ შესახებ გავრცელებული ერთ-ერთი ჭორია. მინდა, დაგამშვიდოთ და გითხრათ, რომ ცოლად გირშელს არ გავყოლივარ.

— საერთოდ, ჭორებზე რა რეაქცია გაქვს?

— თავიდან ჩემზე ჭორებს რომ ავრცელებდნენ, ცოტა გულზე მხვდებოდა. ახლა კი, ყურადღებას საერთოდ აღარ ვაქცევ. როცა ადამიანი ცნობილია, მასზე ჭორებიც ითხზვება. ასე რომ, ხან ვის შეყვარებულობას მაბრალებდნენ და ხან ვის ცოლობას. ახლა გავთხოვდი და ალბათ, ჭორიკანები დაისვენებენ.

— არა მგონია, ახლა შენსა და შენს ქმარზე „დვაინოი“ ჭორებს შეთხზავენ... დავანებოთ ამ საკითხს თავი და მითხარი, გლობალურ დათბობაზე რა აზრის ხარ? რა ვკითხო, აბა (*მე მომიბრუნდა. — ავტ.*)?

— გლობალური დათბობა მხოლოდ ჩემი კი არა, მთელი მსოფლიოს პრობლემაა. შესაბამისად, ამ პრობლემას მთელ მსოფლიოსთან ერთად განვიცდი (*იცინიან*).

— მუსიკალურ სფეროში თუ გეგმავ რაიმე ახალს?

— ნიკა, საიდუმლოდ გეტყვი, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ნაწილობრივ დაწყებული მაქვს, მაგრამ საზოგადოებამ ამის შესახებ ჯერ არაფერი იცის. უამრავი ჩემი დაწერილი სიმღერა მაქვს და სტუდიაში მათ ჩაწერას ვაპირებ. სხვათა შორის, ჩემი მეუღლეც წერს სიმღერებს. ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ რამდენიმე დუეტი ერთად ჩავწეროთ.

— რომ თქვი, ჩემს მეუღლესაც აქვს სიმღერები დაწერილიო, მაშინვე მივხვდი, რომ შენი ქმარი ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტია.

— რა გონებამახვილი და ჭკვიანი ხარ, ნიკა...

— შენს დაწერილ სიმღერებს არ ყიდი?

— სხვათა შორის, არა. სიმღერები სანოტო ფურცლებზე მაქვს გადატანილი და სახლში ვინახავ.

— მაგ მიმართულებით მუშაობა აუცილებლად უნდა გააგრძელო. მართალია, ჩემი რჩევა არ გჭირდება, მაგრამ ჩემიანი რომ ხარ და გული რომ შემტკივა შენზე, ამიტომ გეუბნები. ხმა გაქვს, კომპოზიტორი ხარ, უკრავ, როგორც ინტრუმენტზე, ასევე — ნერვებზეც... მოკლედ, გადასარევი გოგო ხარ. მოდი, ახლა შენ მიერ ნათამაშებ როლებზე შეგეკითხები, რომელი გიყვარს ყველაზე მეტად?

— ვაიმე, ყველა როლი ძვირფასია, ყველა მათგანი შვილივით მიყვარს...

— მაშინ მე გეტყვი. შენ განსახიერებული როლებიდან ყველაზე მეტად მომწონს პატარძალი, რომელსაც თავი ტორტში ჩააყოფინეს...

— ისე, მეც გამოვარჩევ ერთ როლს. არ ვიცი, მაყურებელს ახსოვს თუ არა, მაგრამ ძალიან მომწონდა, კობა ბარათელთან ერთად ტყეში რომ დავიკარგე.

— ჩაინკასთან ერთად ტყეში რომ წახვალ, უარესის ღირსი ხარ. შენ ის მითხარი, მანქანის ტარება თუ ისწავლე?

— ახლა ვსწავლობ. იმ დონეზე ვარ, რომ ქალაქში შექმნილ საცობებში ავტომობილის მართვა ძალიან მიჭირს, თორემ თეორიულად ყველაფერი ვიცი და თავისუფალ ტრასაზე გადასარევად ვმოძრაობ (*იცინიან*).

— შესაბამისად, აუცილებლად ავ-

ტომობილი უნდა შეიძინო. ჰოდა, თუ დაგჭირდა, მითხარი, უამრავი ახლობელი მყავს და იაფად ჩამოვაყვანინებ... ჩემი კარის მეზობელმა შენი გათხოვების შესახებ რომ გაიგო, თავს იხრჩობდა, ეგ გოგო ჩემი ძმისშვილისთვის მინდოდაო. ამის გამო, ერთი კვირა არ მელაპარაკებოდა. მეჩხუბა, თუ გათხოვებას აპირებდა, დროზე ჩაგეყენებინე საქმის კურსშიო. ჰოდა, იმ ქალს აინტერესებს, რა დადებითი და უარყოფითი თვისებები გაქვს?

— ძალიან კარგი ხასიათი მაქვს. ჩემი დადებითი თვისებებია, რომ ვარ უკონფლიქტო, კეთილი და დამთმობი. უარყოფითი თვისებების ჩამოთვლა კი ძალიან მიჭირს.

— **კარგი, ჩავთვალოთ, რომ უარყოფითი თვისებები არ გაქვს. სხვათა შორის, შენ თათიას მოსვლამდე, ჩვენს გუნდში ერთადერთი მანდილოსანი იყავი და სულ ხელისგულზე გატარებდით... ძალიან მიყვარხარ და მინდა, რომ წარმატება და ბედნიერება გისურვო, როგორც ოჯახში, ასევე კარიერაში.**

— დიდი მადლობა, ჩემო კარგო.

ჟურნალისტი – თამუნა ლეკვეიშვილი
რესპონდენტი – ნიკა არაბიძე

— **რამდენი ხანია, მინდა გკითხო: ასაკი უკვე ხელს გიწყობს და ცოლი რატომ არ მოგყავს?**

— შენ რომ მაგას მეუბნებოდი, კინაღამ დედაჩემის სახელი დაგიძახე, რადგან ისიც სულ ამ საკითხზე მელაპარაკება. ჯერ ერთი, ცოლს მე ვინ გამომატანს? ყველას თავისთვის სჭირდება.

— **სხვის ცოლზე კი არ გეუბნები, გასათხოვარი გოგო ვიგულისხმე...**

— ჰო, ეგენი სულ ერთმანეთში მერევა... ეს საკითხი ჩემი ოჯახის დღის წესრიგში დგას და ალბათ, უახლოეს მომავალში ეს პრობლემა უნდა მოვაგვარო (ჩემთვის ცოლის მოყვანა უკვე პრობლემაა). ცოტა ხანში, შენც და სხვა დანარჩენებსაც ჩემს ქორწილში დაგპატიჟებთ და კარგადაც მოვილხენთ.

— **რადგან ცოლის მოყვანის საკითხი შენს ოჯახს ასე აღელვებს, ალბათ, გოგოებსაც გირიგებენ...**

— პირადად ჩემთან არავინ მოსულა. დედაჩემთან კი მიდიან ხოლმე ვიღაცები და ეუბნებიან: ისეთი კარგი ძმისშვილი მყავს, სულ ვფიქრობდი, ვის გავურიგო-მეთქი და მაშინვე ნიკა გამახსენდა, რომ ჩამოვა ნიკა თბილისიდან, ან შენ უთხარი ეს ამბავი, ან ტელეფონის ნომერი მომეცი და მე დავურეკავო. აი, ასეთი სახის გარიგებები მიმდინარეობს. ამ საკითხზე, პირადად მე, არავინ მაწუხებს.

— **ოდესმე შეყვარებული თუ ყოფილხარ?**

— შეხედე, რამხელა შეურაცხყოფა მომაყენა!.. შეყვარებული როგორ არ ვყოფილვარ. ვის არ ჰყოლია შეყვარებული და მაინცდამაინც მე რატომ ვიქნები გამონაკლისი?! კი, მყავდა შეყვარებული, მერე სამამულო ომში წავედი, ის სხვა ფრონტზე მოხვდა მედდად და ასე დავკარგეთ ერთმანეთი...

— **რას იტყვი ჩვენს სამსახურზე?**

— ბანალური შედარებაა, მაგრამ სამსახურზე ხომ ამბობენ, მეორე ოჯახივითაა, ზუსტად ასეა, რადგან ყველაზე მეტ დროს აქ ვატარებ. ხანდახან ისეთი შეგრძნებაც მქონია, რომ თქვენი დანახვაც აღარ მინდა... ისე, მართლა კარგი კოლექტივი გვაქვს. მიხარია სამსახურში მოსვლა. ჩვენთან ხომ სრული იდილია სუფევს.

— **მე რომ შემეკითხე, რომელი როლი გიყვარსო? — მინდა, იგივე გკითხო: შენი მრავალფეროვანი როლებიდან რომელს გამოარჩევდი?**

— შენი არ იყოს, მსახიობისთვის ყველა როლი განსაკუთრებული და საყვარელია, მაგრამ მე „კავკასიური ცარცის წრეს“ გამოვარჩევდი. იქ ხომ აზდაკის როლი შევასრულე. ამ როლით ცნობილი ერთი ბატონი — რამაზ ჩხიკვაძე გახდა და მეორე მე ვარ... იუმორისტულ როლებში კი გადასარევად გამომდის მთვრალი კაცის როლი. კიდევ ის მიყვარს, მე და შენ გადაცემა „რაო-რაოს“ პროდია რომ გავაკეთეთ.

— **შენ მიერ განსახიერებული მთვრალი კაცი ყოველთვის ძალიან სასაცილოა. ცხოვრებაშიც ასე თვრები ხოლმე?**

— ცხოვრებაში ისე არ ვთვრები, რომ სახე წამეშალოს, როგორც იმ როლში. ზომიერად ვსვამ. კარგ ხასიათზე რომ დავდგე და კარგად მოვილხინო, იმდენ ალკოჰოლს ვიღებ.

— **როგორი გოგონები მოგწონს?**

— კარგი გოგოები მომწონს. ისეთი მაღალი არ უნდა იყოს, რომ უკან გასაშლელი კიბით დავდევდე. არც ისეთი მინდა, მე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვას და იმას — „ესპადრელები“. ნორმალური ზომა-წონის უნდა იყოს. მნიშვნელობა არა აქვს, შავგვრემანი იქნება თუ „თეთრგვრემანი“, თუმცა რომ გითხრა, ზანგს მოვიყვან ცოლად-მეთქი, მოგატყუებ. მოკლედ, მთავარია, რომ ქალი ხასიათით იყოს კარგი. შეიძლება, გარეგნულად გადასარევი იყოს, მაგრამ ცხვირჩამოშვებული და უჟმური. ასეთ ქალს გვერდით ვერ შევეგუები. ისეთი უნდა იყოს, დედაჩემს რომ გული არ გაუხეთქოს.

— **როგორც იცი, მე და ჩემი ქმარი 3 წელი შეყვარებულები ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ გვიანობამდე სამსახურში მიწევდა ყოფნა, მას ჩემი ესმოდა და პრობლემას არ მიქმნიდა. ახლაც ასე გრძელდება...**

— სხვათა შორის, შენს ქმარს თქვენი შეყვარებულობის დროსაც ვიცნობდი. ძალიან რომ მოგვეწონა, ამიტომაც გავატანეთ შენი თავი, თორემ რომ არ მოგვწონებოდა, ვინ გაატანდა მას შენს თავს?! დღეს როგორც კარგი ბიჭია სანთლით საძებარი, ისეთივე საძებარია კარგი გოგოც...

— **ჰოდა, იმის თქმა მინდოდა, ჩემი ქმარი ჩემს სამსახურს გაგებით ეკიდება. ალბათ, შენც ასეთი „გაგებული“ ცოლი გჭირდება-მეთქი...**

— რა თქმა უნდა. თუ ამ ყველაფერს გაგებით არ მოეკიდება, სამი დღე ვატარებ სამსახურში და ფსიქიკურად რომ შეირყევა, მერე კარგად გამიგებს.

— **ახლა კარგი ჟურნალისტური შეკითხვა უნდა დაგისვა: როგორ ჩაცმულობას ანიჭებ უპირატესობას?**

— პირველ რიგში, ტანსაცმელს უპირატესობა რომ მივანიჭო, ჩემი ზომა უნდა იყოს. ისე კი, სპორტული სტილი მირჩევნია, თორემ ჩვენს სამსახურში კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილები რომ დავდიოდეთ, ცოტა დისკომფორტი შეგვექმნებოდა...

— **კიდევ მაქვს ერთი წმინდა ჟურნალისტური შეკითხვა: რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდი?**

— (*იცინინავ*). ისე, ეს ის შემთხვევაა, როცა კურიოზს მართლა გავიხსენებ, ეს საახალწლო კურიოზებშიც აჩვენეს: ვასო ექიმი რომ იყო და ვახო ბიჭიკაშვილს ოპერაციას უკეთებდა, ბევრი ვიცინეთ. თუმცა, ხალხი ვერ მიხვდა, რატომ ვიცინოდით ასე არანორმალურად. ნაყიდი გვქონდა საქონლის ღვიძლი, რომელიც, როგორც ჩანს, დიდხანს იდო პარკში. ამ სკეტჩისთვის ღვიძლი პარკიდან რომ ამოვიღეთ, სიცილი მაშინ აგვიტყდა, რადგან საშინელი სუნი ჰქონდა...

— **ბოლოს კი მინდა, რომ სიხარული, სიყვარული და დაოჯახება გისურვო. ხალხისთვის სულ ასეთი საყვარელი იყავი, როგორიც ახლა ხარ...**

— რაც ახლა მისურვე, ცოლის მოყვანის გარდა, ყველაფერი — თქვენიანად (*იცინის*)...


ჩვენი ნომერი ერთ-ერთი საუკეთესო იყო

ვინ „გაღალაგღო“ საკი გოგო

1-ელ მარტს, ფილარმონიაში გამართულ „ევროვიზიის“ საკონკურსო ტურში გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, საზოგადოებასა და თავად კონკურსანტებში, გარკვეული მითქმა-მოთქმა ატყდა. ზოგიერთი მონაწილე ამბობს, რომ დიანა ღურწკაიას გამარჯვების შესახებ, მათ ჯერ კიდევ კონცერტის დასრულებამდე იცოდნენ. მაგრამ რა აძლევთ ამის თქმის საბაბს, ამაზე დაუფარავად ლაპარაკს, რატომღაც ერიდებიან. მიუხედავად ამისა, ისინი დიანას გამარჯვებას ულოცავენ და „ევროვიიზის“ კონკურსზე წარმატებას უსურვებენ. თუ რატომ იყო გამარჯვებაში ჯგუფი „3G“ დარწმუნებული, ამას მისი ერთ-ერთი წევრი, ქრისტინე იმედაძე გვეტყვის.

ნანობს თუ არა ქრისტინე იმედაძე კონკურსში მონაწილეობას

სოფო ჭონიშვილი

— **ქრისტინე, „ევროვიზიის“ შესარჩევ კონკურსში შენი ჯგუფის — „3G“ — მონაწილეობით კმაყოფილი ხარ?**

— მიმაჩნია, რომ ჩვენი ნომერი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რისთვისაც თითოეულმა ჩვენგანმა ბევრი დრო და ენერგია დახარჯა.

— **ჯგუფის წევრების საკონცერტო ჩაცმულობაზე ვინ იზრუნა?**

— დიზაინერმა ავთანდილ ცქვიტინიძემ, რომლის ნამუშევრით კმაყოფილები ვართ.

— **რას გვეტყვი კონკურსში გამარჯვებულ დიანა ღურწკაიაზე?**

— ჩვენ ვიცოდით, რომ დიანა გაიმარჯვებდა.

— **ამის საფუძველს რა გაძლევდათ?**

— ასე მარტო ჩვენ არ ვფიქრობდით. კონკურსამდე თითქმის ყველა ამბობდა, — დიანა გაიმარჯვებსო. მას ძალიან მაგარი პიარი გაუკეთდა და ამან, რასაკვირველია, მომღერლის სასარგებლოდ იმუშავა. მიმაჩნია, ასეთ კონკურსებზე გამარჯვებულს შემოსული მესიჯების მიხედვით არ უნდა ავლენდნენ. როგორც ფეხბურთის მატჩს ჰყავს მსაჯი, რომელიც არც ერთი გუნდის მხარეს არ წარმოადგენს, ასეთივე „მსაჯი“ უნდა წყვეტდეს კონკურსანტის ბედს. როცა გამარჯვებული მესიჯების რაოდენობის მიხედვით ვლინდება, ამ შემთხვევაში, იმარჯვებს ის, ვისაც ბევრი ფული აქვს.

— **გამოდის, რომ დიანას ბევრი ფული აქვს?**

— ???

— **ირაკლი ფირცხალავა ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, — ვნანობ, კონკურსში მონაწილეობა რომ მივიღეო. თქვენც ამ აზრის ხომ არ ხართ?**

— ამას ნამდვილად არ ვნანობთ. პირადად ჩემთვის, ამ კონკურსისთვის მზადების პროცესი ძალიან საინტერესო იყო. გარდა იმისა, რომ ჩემს მეგობრებთან — ნინისთან და თაკოსთან ერთად მიწევდა მუშაობა, აქტიურად გვეხმარებოდნენ სტეფანე და კახუჩელა. ეს ის მამაკაცები არიან, რომლებიც ჩვენზე სერიოზულად ზრუნავენ. ვფიქრობთ, ამ კონკურსზე მონაწილეობით, წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით და დიდი გამოცდილება შევიძინეთ.

— **საზოგადოების დიდი ნაწილი, ამ კონკურსში თქვენს გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა.**

— სანამ ფილარმონიაში კონცერტი გაიმართებოდა, ერთი დღით ადრე, თითოეულმა მონაწილემ ჩვენ-ჩვენი სიმღერა შევასრულეთ. ეს ჩანაწერები „ევროვიზიის“ კონკურსის ორგანიზატორებს გაუგზავნეს, საიდანაც მოვიდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამ კონკურსზე, „ევროვიზიის“ ორგანიზატორები, ჩვენს ჯგუფს კონკურსგარეშე იწვევდა — ეს გოგოები „პირდაპირ გამოუშვითო“. ამიტომ, დიდი იმედი გვქონდა, რომ გავიმარჯვებდით, მაგრამ... არა უშავს...

— **როგორ ფიქრობ, ამ კონკურსისთვის ღირსეული კანდიდატები იყვნენ შერჩეული?**

— გულწრფელად გეტყვი, რომ ყველა მონაწილე არაჩვეულებრივად გამოვიდა. არ შემიძლია რომელიმე მათგანი გამოვყო, რადგან თითოეული მათგანი ძალიან მიყვარს, ისინი ჩემი მეგობრები არიან. თბილისში ასეთი კარგი კონცერტი ჯერ არ ჩატარებულა და მიხარია, რომ მისი ერთ-ერთი მონაწილე მეც ვიყავი.

ჩვენ ვიცოდით, რომ დიანა გაიმარჯვებდა

— **რა შანსი აქვს დიანა ღურწკაიას „ევროვიზიაზე“?**

— დიანა ძალიან კარგი გოგოა და მჯერა, საქართველოს ღირსეულად წარადგენს. მინდა, წარმატება მთელი გულით ვუსურვო. თუ გაიმარჯვებს, ძალიან გამიხარდება.

— **დაბოლოს, შენი უახლოესი გეგმების შესახებაც გვითხარი რამე.**

— ვმუშაობ რამდენიმე ახალ სიმღერაზე. აქედან ერთ-ერთი სიმღერის მუსიკა ნინი ბადურაშვილის დაწერილია, ტექსტი კი მე მეკუთვნის. ამას გარდა, უამრავი გეგმა მაქვს და ვნახოთ, რა გამოვა.

— **წარმატებებს გისურვებ!**

— დიდი მადლობა. ■

რუსა მორჩილაძე და მისი მემოპრეკი 8 მარტს ერთად აღლესდნენ

ქალთა დღეს, ქართული ელიტური საზოგადოების გარკვეული ნაწილი (თვით ქალაქის მერიც კი) იმ კლუბისკენ დაიძრა, სადაც კომპოზიტორ რუსა მორჩილაძის შემოქმედებითი საღამო უნდა გამართულიყო. კლუბში შესულების ყურადღებას, საგანგებოდ მოწყობილ დარბაზში, კომპოზიტორის უზარმაზარი ბილბორდი იქცევდა... არსებული სივრცე, ქართული ხასიათის გათვალისწინებით, ნელ-ნელა ივსებოდა. ისიც გაირკვა, რომ იმ დღეს, ნაწილი ადამიანებისა, კლუბში ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას დაბადების დღეზე იყო მისული (ინგა იუბილეს მეგობრების გარემოცვაში აღნიშნავდა)...

ლალი ფაცია

კონცერტის დაწყებამდე, რომელსაც „რუსა მეგობრებთან ერთად“ ერქვა, კომპოზიტორი სტუმრებს დიდი სიყვარულით ეგებებოდა და მათ მადლობას უხდიდა იმისათვის, რომ საღამოზე ეწვივნენ. სულ მალე, დარბაზში სინათლე ჩაქრა და სცენაზე წამყვანი — ზუზუ (ნინო ნოდია) გამოჩნდა. მან საღამოს მთავარ გმირს ანუ იმ შემოქმედს მოუხმო, რომელიც ერთი პერიოდი, ქართული შოუბიზნესის „მოტორად“ მიიჩნეოდა, რადგანაც სწორედ ის წერდა ქართველი მომღერლებისთვის სიმღერებს, რომელთა უმრავლესობა პირველი შესრულებისთანავე ჰიტად იქცეოდა... და აი, სცენაზე კომპოზიტორის შესრულებით, პირველი სიმღერა — „ვერხვებიც“ გაისმა, რომელიც მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა. რუსამ გადაწყვიტა, ყველა მისი ცნობილი და მსმენელისთვის საყვარელი სიმღერა მისსავე საავტორო საღამოზე შესრულებულიყო და ასეც მოხდა. კლუბში იმღერეს: ნინო ქათამაძემ, სოფო ხალვაშმა, თამთა ჭელიძემ, თათია გიორგობიანმა, ხათუნა ჟორდანიამ, დათო გომართელმა, მერაბ სეფაშვილმა, აჩიკო მეფარიძემ, თემურ თათარაშვილმა, თამუნა აბზიანიძემ, ლელა წურწუმიამ, მაია ჯაბუამ, ეკა კახიანმა, გოგოლა კალანდაძემ, მალხაზ ქვრივიშვილმა, ნინი ქარსელაძემ, თიკა ჯამბურიამ... სცენაზე გამოსულთ არც ინგა გრიგოლია ავიწყდებოდათ და მას დაბადების დღეს ულოცავდნენ... საღამოზე, ძველ სიმღერებთან ერთად, კომპოზიტორის ახალი ნამუშევრებიც შესრულდა. სულ ბოლოს კი, მუსიკისა და დრამის თეატრის დასმა წარმოადგინა ნაწყვეტი სპექტაკლიდან — „გაყრა“, რომელიც დათო დოიაშვილმა დადგა, ხოლო მუსიკალურად რუსა მორჩილაძემ გააფორმა. კონცერტის საფინალო ნომრის შესრულებისას, სცენაზე ფეიერვერკი მოაწყვეს... არ წყდებოდა ტაში და ოვაცია. მღეროდა ყველა. საღამო, რომელიც ლამაზი და საკმაოდ თბილი გამოვიდა, კომპოზიტორს კომპანია „ART**შვიდეულმა**“ და მისმა ხელმძღვანელმა, **გია გუმგერიძემ** მოუწყო.

დათო დოიაშვილი:

— რა გითხრათ?.. რუსა ყველაზე მაგარია! აი, ჩემი პასუხი!..

ვერიკო ტურაშვილი:

— რუსა ჩემი საყვარელი კომპოზიტორია. როცა მუსიკალური კარიერა დავიწყე, მინდოდა, პირველად მისი სიმღერა შემესრულებინა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჯერ-ჯერობით, ეს სურვილი სურვილადვე დარჩა. ახლო მომავალში ვაპირებ, მისი არაერთი სიმღერა შევასრულო.

სოფო ხალვაში:

— რუსა მორჩილაძე უნიჭიერესი შემოქმედია და მე ის ძალიან მიყვარს. რუსას შესანიშნავი სიმღერები აქვს შექმნილი. ცოტა ხნის წინ, მან სიმღერა დამიწერა და დღეს, მის საღამოზე, ის პირველად შევასრულე.

თათია გიორგობიანი:

— რუსა ძალიან მიყვარს. ნიჭიერი კომპოზიტორია. მოხარული ვარ, რომ ჩემს რეპერტუარში არის მისი სიმღერა, რომელიც ახლა, აქ შევასრულე.

თამთა ჭელიძე:

— უნდა ვაღიარო, რომ ჩემს შემოქმედებაში რუსა მორჩილაძეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მე სწორედ მისი სიმღერით — „უცნობი ქალი“ დავიწყე კარიერა და ამ სიმღერითვე გავხდი პოპულარული. ამ ნამუშევარმა წარმატება მომიტანა. შემდეგ, ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. მოგვიანებით კი, რუსა ჩემი შვილის ნათლიაც გახდა.

ხათუნა ჟორდანია:

— მე და რუსა მეგობრები ვართ და ჩემი ნათქვამი შესაძლოა, სუბიექტურიც კი იყოს, მაგრამ სათქმელს მაინც ვიტყვი. რუსას შემოქმედებაში არ არსებობს სიმღერა, რომელზეც ვიტყვი, რომ „მას ის ისე რა გამოუვიდა“. თითოეული მისი ნამუშევარი ძალიან მაგარია. სანამ მას გავიცნობდი, ვგიჟდებოდი, ისე მინდოდა, თუკი ოდესმე სცენაზე გამოვიდოდი, მისი სიმღერა შემესრულებინა. თან ვიცოდი, რომ ამ შემთხვევაში, წარმატება გარანტირებული მექნებოდა. სხვა კომპოზიტორის ნამუშევრით კი, სცენაზე გასვლის მეშინოდა. რუსამ იმედი არ გამიცრუა და ნამდვილად, არაჩვეულებრივი სიმღერა დამიწერა. რაც შეეხება ნინის, რუსა ის კომპოზიტორია, რომელმაც მას ალბომი შეუქმნა და რა თქმა უნდა, ნინის წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის, რის გამოც, მისი მადლიერი ვარ... იმედი მაქვს და მჯერა, რომ რუსა კვლავაც ბევრ სიურპრიზს მოგვიმზადებს. ■

მიხეილ ცაგარელი, ასტროლოგი:

— კარგად მახსოვს, თუ როგორი იყო „გზის“ პირველი ნომრები. იმასთან შედარებით, დღეს-დღეობით, ჟურნალს პროგრესი აშკარად ეტყობა ანუ პროფესიონალურად იზრდებით. მნიშვნელოვან და საინტერესო სტატიებს კი ბეჭდავთ, მაგრამ შემეცნებითი ხასიათის, იდუმალებით სავსე ინფორმაციის შემცველ მასალებს იშვიათად სწყალობთ. არადა, პოლიტიკისა და შოუბიზნესის შესახებ სტატიების კითხვა, ვფიქრობ, უკვე ძალიან დამღლელია. თუკი საერთოდ, ბეჭდურ მედიაში პოლიტიკური შეფერილობის მასალები შემცირდება, დამიჯერეთ, ქვეყანაც უფრო დამშვიდდება. უნდა ეცადოთ, რომ სიყვითლისგან მთლიანად გათავისუფლდეთ. დაბოლოს, კარგი იქნება და სასურველია, თუ ასტროლოგიურ პროგნოზს, რომელიც თქვენს ჟურნალში იბეჭდება, საქმის მცოდნე, კომპეტენტური ადამიანები შეადგენენ. ■

„შუამავალი უნდა გამოვლინდეს... მკვლელობის შემკვეთმა პასუხი უნდა აგოს"

სამართალდამცველის მკვლელობაში დაზარალებული ნათესავ ცოლ-ქმარს ადანაშაულებს

2007 წლის 23 აპრილს თბილისში, წულუკიძის ქუჩაზე შემზარავი მკვლელობა მოხდა. 37 წლის გიგა კანდელაკი — შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელი — შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა საკუთარი სახლის სადარბაზოსთან უმოწყალოდ ჩაცხრილეს. როგორც ამბობენ, გასროლის ხმა 5-ჯერ გაისმა. კანდელაკს 3 ტყვია მოხვდა და სასიკვდილოდ დაჭრილი ადგილზევე გარდაიცვალა...

მოკლული გიგა კანდელაკი (მეუღლესთან ერთად)

მეგი ცანავა

ამ დროს ოჯახის წევრები შინ იმყოფებოდნენ. სროლის ხმა კანდელაკის მეუღლემაც გაიგონა, მაგრამ იმ მომენტში ვერც წარმოიდგენდა, თუ ეს ტყვიები მის ქმარს ესროლეს. თუმცა ამბობს, რომ საფრთხე რეალურად, არსებობდა და ამის შესახებ ოჯახმა, ისევე, როგორც თავად გიგა კანდელაკმა, დიდი ხანია, იცოდა... დაზარალებულის თქმით, მას მკვლელობამდე წელიწად-ნახევრით ადრე გადაემტერნენ და ბოლოს, შურიც იძიეს. მოკლულს ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა...

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რომელიც გამოძიების დასრულების შემდეგ, საქალაქო სასამართლოს გადაეცა განსახილველად. განსასჯელების სკამზე ამჟამად ორი ახალგაზრდა, ეროვნებით იეზიდი — 25 წლის თენგიზ უსუბიანი და 24 წლის ჯემალ შამოიანი იმყოფებიან. პროკურატურა სასტიკ მკვლელობაში სწორედ მათ ადანაშაულებს. სასამართლო პროცესი უკვე რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს. ის დასასრულს მიუახლოვდა და მალე მოსამართლე განაჩენსაც გამოაცხადებს. ამ დროს, მხარეები აცხადებენ, რომ სინამდვილეში, საქმე გამოუძიებელია, სიმართლე — დაუდგენელი, გამოძიების მიერ დაფიქსირებული დანაშაულის მოტივი — აბსურდული, სასამართლო პროცესი კი — მხოლოდ ფორმალური.

რა მოხდა მკვლელობის დღეს და ვის სურდა, სამართალდამცველზე სასტიკი ანგარიშსწორება? რა აკავშირებდა გიგა კანდელაკს იეზიდ ახალგაზრდებთან? ამ შეკითხვებს პროკურატურა საბრალდებო დასკვნაში ასე პასუხობს:

თენგიზ უსუბიანი და ლევან შამოიანი კანდელაკების ოჯახის მეზობლად, გვერდით მდებარე კორპუსებში ცხოვრობდნენ. გიგა კანდელაკს, რომელიც იმ უბანში საცხოვრებლად ახალი გადასული გახლდათ, კარგად იცნობდნენ და შესაბამისად, როგორც მეზობელთან, ურთიერთობა ჰქონდათ. კონფლიქტი მათ შორის, 2007 წლის აპრილის დასაწყისში (ზუსტი თარიღი დაუდგენელია) წარმოიშვა. თბილისში, ჯავახეთის ქუჩაზე მდებარე ტოტალიზატორ „როტონდაში" თამაშისას, უსუბიანმა, შამოიანმა და კანდელაკმა მოქალაქე თენგიზ მუსტაფაევთან სანაძლეო დადეს და ფული — 500 დოლარი წაგეს. ვალის გასასტუმრებლად, უსუბიანმა და შამოიანმა თავიანთი წილი თანხა კანდელაკს გადასცეს, მოგვიანებით კი, მუსტაფაევისგან შეიტყვეს, რომ კანდელაკს მისთვის ფული არ გადაუცია. ამის გამო, უსუბიანს, შამოიანსა და კანდელაკს შორის უთანხმოება მოხდა. ურთიერთობა უკიდურესად, ბოლო პერიოდში დაიძაბა და ის ჩხუბსა და „საქმის გარჩევებში" გადაიზარდა. განაწყენებულმა ახალგაზრდებმა შურისძიება გადაწყვიტეს და მეზობლის მოკვლა განიზრახეს. წინასწარ შეთანხმდნენ და ჩანაფიქრის განხორციელება 2007 წლის 23 აპრილისთვის დაგეგმეს. საღამოს, დაახლოებით, 8 საათზე, უკანონოდ შეძენილი რევოლვერითა და პისტოლეტით შეიარაღებული უსუბიანი და შამოიანი კანდელაკს საცხოვრებელ კორპუსთან ჩაუსაფრდნენ და სამსახურიდან მის შინ დაბრუნებას დაელოდნენ. უსუბიანმა პოზიცია ავტოფარეხთან დაიკავა, შამოიანი კი სადარბაზოსთან ჩასაფრდა. მალე, კანდელაკის „ოპელ-ვექტრაც" გამოჩნდა. მანქანა კორპუსთან ახლოს გაჩერდა. კანდელაკი გადმოვიდა და სადარბაზოსკენ აიღო გეზი. სწორედ ამ დროს, უსუბიანმა რევოლვერიდან გაისროლა, პისტოლეტი კანდელაკს შამოიანმაც დაუმიზნა და ზედიზედ ორჯერ მანაც ისროლა. დაჭრილი მაშინვე ჩაიკეცა, თუმცა, მიღებული ჭრილობების მიუხედავად, უკანასკნელი ძალების მოკრებით, თავის დაცვას მაინც შეეცადა და ხელი ტაბელური იარაღისკენ წაიღო. „მაკაროვის" პისტოლეტიდან ერთხელ გასროლა მოახერხა. ტყვია არავის მოხვედრია...

აღნიშნული საბრალდებო დასკვნა ამ სახით, საქალაქო სასამართლოს გადაეგზავნა. რამდენიმე სხდომის შემდეგ, პროცესის დროს დაფიქსირებული უზუსტობების, გამოძიების მიერ უპასუხოდ დატოვებული ბევრი კითხვისა და ბუნდოვანი დეტალის გამო, სასამართლომ გადაწყვიტა, საქმე დამატებით გამოსაძიებლად, კვლავ პროკურატურისთვის დაებრუნებინა. ხელახალი ძიება, როგორც ბრალდების მხარე აღნიშნავს, ჩატარდა, სასამართლოს მითითებებიც შესრულდა და ახალი საბრალდებო დასკვნაც დაიწერა. მაგრამ ბრალდების ნაწილში არაფერი შეცვლილა. ახალსა და ძველ დასკვნებს შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამჯერად, პროკურატურამ დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებულთა მოძრაობები უფრო დააკონკრეტა. გამოძიებამ უსუბიანსაც და შამოიანსაც ორ-ორი მუხლი — ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა და, დამამძიმებელი გარემოებებით ჩადენილი, განზრახ მკვლელობა წაუყენა. არც ერთმა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო. ისინი დღემდე აცხადებენ, რომ სრულიად უდანაშაულონი არიან და გამართლებასა და პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ. მათი თქმით, არც კანდელაკების ოჯახთან, არც თავად გიგა კანდელაკთან, მიუხედავად იმისა, რომ მათ მეზობლად ცხოვრობდნენ, ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ. არც ტოტალიზატორში უთამაშიათ და არც კონფლიქტი მოსვლიათ. ორივე ამბობს, რომ ალიბი აქვს. შამოიანი, რომელსაც მაშინ ფეხმძიმე ცოლი და მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა, ვაგზლის ბაზრობის ტერიტორიაზე ტკბილეულობას ყიდდა. მისი ოჯახის წევრები, ისევე, როგორც მეზობლები, ამბობენ, რომ ყოველ დილით, ადრე მიდიოდა სამუშაოდ და შინ საღამოს ბრუნდებოდა. იმ დღეს სამსახურიდან შედარებით ადრე დაბრუნდა, რადგან შინ სტუმრად ნათესავები ჰყავდა. *„ყველანი ერთად ვიყავით, ვსაუბრობდით. სამუშაოდან მოსვლის შემდეგ, ჯემალი გარეთ ერთი წუთითაც არ გასულა, სულ ჩვენთან იყო. შემდეგ, ბავშვის ოთახში შევიდა. როცა გარეთ სროლის ხმა გაისმა, ჯემალი ამ დროს ბავშვს ეთამაშებოდა და ეფერებოდა. სროლის ხმაზე ყველას გვქონდა რეაქცია. მაშინვე ეზოში გავიხედეთ. მერე გარეთაც გავედით. ჯემალიც გამოგვყვა. გავედით თუ არა, გვერდით კორპუსთან, სადარბაზოსთან მიწაზე დაგდებული მამაკაცი დავინახეთ. სხვებიც გამოცვივდნენ სახლებიდან. ყველანი მისკენ გარბოდნენ. მაშინ ვნახეთ, რომ მეზობლად მცხოვრები გიგა კანდელაკი იყო მოკლული. მასთან ურთიერთობა არასდროს გვქონია, არც ვიცნობდით წესიერად. ახალი გადმოსული იყო და მხოლოდ „გამარჯობას" თუ ვეტყოდით. სახლიდან მოკლულის დედაც გამოვიდა. გაუბედურებული ქალი ცუდად გახდა. ჯემალი იქვე იყო და მას, რომ არ წაქცეულიყო, შეეშველა კიდეც, სკამიც გამოიტანა და მიაწოდა... ამ საქმესთან ჩემს ქმარს არაფერი აკავშირებს და ის მხოლოდ უსამართლობის მსხვერპლია. უბოროტო ადამიანია, დაბალი და დაუცველი ფენიდან და ხელი შეახოცეს. ცეცხლსასროლი იარაღი ხელშიც არ ჰქონდა დანაჭერი და მკვლელობა დააბრალეს. კანდელაკთან რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემს ქმარს? ან ტოტალიზატორში სათამაშოდ როდის იცლიდა? დილიდან საღამომდე ბაზარზე იდგა და ცოლ-*

შვილი როგორლაც რომ გამოვეკვეთეთ, 20-თეთრიან კანფეტებს ყიდდა. არც უსუბიანთან უმეგობრია ოდესმე, მას, როგორც მეზობელს, ისე იცნობდა“, — ამბობს **ეკა შამოიანი**, განსასჯელის მეუღლე.

ალიბის არსებობას ირწმუნება თენგიზ უსუბიანის მამაც: *„7 ადამიანია იმის მოწმე, რომ იმ მომენტში, როცა მკვლელობა მოხდა და სროლის ხმა ისმოდა, ჩემი შვილი კორპუსთან მოშორებით მდებარე ინტერნეტკაფეში იჯდა და კომპიუტერზე თამაშობდა. გამოძიებას ამ ადამიანებმა ჩვენებები მისცეს და გარკვევით დააფიქსირეს, რომ მაშინ თენგიზთან ერთად, ინტერნეტკაფეს ერთ ოთახში ისხდნენ და როცა სროლის ხმა გაისმა, ასევე ერთად გაცვივდნენ გარეთ. შეეშინდათ და ისევ შენობაში შებრუნდნენ. ამ ჩვენებებს გამოძიებამ ყურადღებაც არ მიაქცია. ახლა არც მოსამართლე ითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნას, რომ პროცესზე დაიკითხოს შვიდივე მოწმე და სასამართლოს წინაშე გაიმეორონ სიმართლე. საქმე ისაა, რომ არც პროკურატურას, არც სასამართლოს არ სურს და არ აწყობს სიმართლის გარკვევა, ყველაფერზე განგებ ხუჭავენ თვალს და მზად არიან, უდანაშაულო, უპატრონო ბიჭებს მთელი ცხოვრება ციხეში გაატარებინონ“.*

უსუბიანი და შამოიანი პოლიციამ მკვლელობიდან ორ თვეში დაიკავა. ამბობენ, რომ მათ ერთ-ერთმა მეზობელმა და დანაშაულის თვითმხილველმა, მოწმე ხატოევმა დაადო ხელი. *„როცა პოლიციაში სურათები დაუდეს წინ დამნაშავეების ამოსაცნობად, ხელი ამ ორს დაადო. მერე გვითხრა, რომ გამომძიებელმა აიძულა, ასე მოქცეულიყო, ფულიც შესთავაზა, ხოლო წინააღმდეგობის შემთხვევაში, დაემუქრა. ახლა ხატოევი არსად ჩანს, არც სასამართლოში ცხადდება. ხალხში კი ამბობს სიმართლეს, მაგრამ ოფიციალურად, ამის დაფიქსირებას ერიდება, ეშინია“,* — ამბობს **ეკა შამოიანი**. აღსანიშნავია, რომ არც ერთი განსასჯელი წარსულში ნასამართლევი ან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში შემჩნეული არ გახლდათ. აქედან გამომდინარე, კითხვა — თუ საიდან უნდა სცოდნოდა მათ შესახებ გამოძიებას? — დაზარალებულსაც უჩნდება. ის კატეგორიულად ეწინააღმდეგება პროკურატურას და სრულიად გამორიცხავს გამოძიების მიერ დაფიქსირებულ დანაშაულის მოტივს, მაგრამ მკვლელობაში შამოიანისა და უსუბიანის მონაწილეობას დასაშვებად მიიჩნევს. *„შესაძლებელია, ისინი შემსრულებლები იყვნენ, მაგრამ საქმეში შუამავალიც არსებობს“,* — აღნიშნავს დაზარალებული. ის შეკვეთილ მკვლელობაზე ლაპარაკობს...

ნინო კანდელაკი, მოკლულის მეუღლე:

— მკვლელობამდე დახლოებით 10 დღით ადრე, სამსახურიდან დაბრუნებული, შინ ძალიან დაფიქრებული შემოვიდა. დაეჭვებულმა მკითხა, — დღეს ჩემთან ვინმე ხომ არ მოსულა, ხომ არ ვუკითხივარო? — არამეთქი, — გაკვირვებულმა ვუპასუხე. როცა ჩავეკითხე, მითხრა, — სადარბაზოში რომ შემოვედი, ზევიდან კიბეზე ორი უცნობი ახალგაზრდა ბიჭი ჩამოდიოდა, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს პირდაპირ ჩემკენ წამოვიდნენ და ამ დროს იარაღის გაჩხაკუნების ხმაც მომესმა, მეც ინსტინქტურად პისტოლეტისკენ გავწიე ხელი; არ ვიცი, დაინახეს თუ რა, გვერდში ჩამირბინეს, გაიქცნენო. ვერც ერთი მათგანი ვერ უცნია, მაგრამ თქვა, აშკარად, ამ უბნელები იყვნენო. სხვათა შორის, ჩემი ქმარი არც შამოიანსა და უსუბიანს იცნობდა სახეზე და არ არის გასაკვირი, რომ ისინი ვერ ეცნო. არ ვიცი, შეიძლება, ის უცნობი ახალგაზრდები სრულიად შემთხვევითი ადამიანები იყვნენ და ჩემი ქმრის ინტერესი სულაც არ ჰქონდათ, მაგრამ ეჭვი, უსიამოვნო გრძნობა მაინც გაჩნდა და 10 დღეში ეს ავი წინათგრძნობა გამართლდა კიდეც. მკვლელობას ბევრი თვითმხილველი ჰყავდა. მოგეხსენებათ, აპრილის ბოლოს, საღამოს 8 საათზე ისე არ ბნელა, რომ რაიმე ვერ დაინახო, მით უმეტეს, ასეთი შემთხვევა. ბოროტმოქმედების დანახვა, მათი ცნობა ან რაიმე დამახასიათებელი გარეგნული ნიშნის დამახსოვრება ყველა იქ მყოფს შეეძლო. საქმეც ისაა, რომ კარგად დაინახეს, მაგრამ არავინ არაფერს ამბობს. ყველა ჩუმადაა. ეს ამბავი რომ მოხდა, ის ბინა სასწრაფოდ გავყიდეთ და სხვაგან გადავედით. იქ აღარ გვიცხოვრია, შესაბამისად, იქაურ მეზობლებთან, უბნელებთან ურთიერთობაც არ გვქონია, ასე რომ, რას ამბობდნენ ან რა ხმები დადიოდა მათ შორის, არ ვიცი.

— გამოძიებასთან ალბათ, თავიდანვე თანამშრომლობდით. ეჭვმიტანილები მკვლელობიდან ორ თვეში დააკავეს. არის თუ არა თქვენთვის ცნობილი, მანამდე რა ვერსიებზე მუშაობდა ძიება?

— არაფერს მეუბნებოდნენ. რაც შეიძლებოდა, ვაქტიურობდი და ვცდილობდი, გამოძიების ყურადღება საქმისთვის მნიშვნელოვანი დეტალებისთვის მიმეპყრო, მაგრამ ამაოდ. ყველა ჩემმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა და ბოლოს, საბრალდებო დასკვნაში სრულიად აბსურდული მოტივი ჩაიწერა. წარმოუდგენელია, ჩემს ქმარს ტოტალიზატორში ვინმესთან „ხელის მაზიანი“ დაედო, წაეგო და შემდეგ, რაღაც 500 დოლარისთვის თავი ასეთ საფრთხეში ჩაეგდო ან ვინმეს მოეკლა იგი. ასეთი თანხისთვის, მკვლელობაზე არავინ მიდის. გიგა ამ ფულისთვის თავს ხათაბალაში არ გახვევდა, რადგან საკმარისი ფული ყოველთვის ჰქონდა. მკვლელობის დღესაც, ძვირად ღირებული მობილური ტელეფონი და ძვირფასი ოქროულობა ეკეთა. თუკი ფული იყო მიზეზი, როგორ ფიქრობთ, ბოროტმოქმედები არ გაძარცვავდნენ და 3.000 დოლარის სამკაულს დაუტოვებდნენ? მოტივი გამოძიების მიერ განგებაა შეთხზული და ამაში ისეთი ადამიანები არიან ჩარეული, რომელთაც პროკურატურაზე გავლენის მოხდენა და მითითებების მიცემა შეუძლიათ.

— ვის გულისხმობთ ამ ადამიანებში და როგორია თქვენი ვერსია?

— ეს შეკვეთილი მკვლელობაა. მომხდარი ფაქტი, დანაშაულის ჩადენის ფორმა, დეტალები სწორედ ამაზე მეტყველებს. კონკრეტული ადამიანების გვარებს პროკურატურას ჯერ კიდევ მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე ვუსახელებდი. ვამბობდი, რომ ჩემს ქმარს, ჩვენს ოჯახს ემუქრებოდნენ, ავიწროებდნენ, ათასგვარ უსაფუძვლო საჩივარს სწერდნენ და თხზავდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ გიგაზე შური ეძიათ. წელიწად-ნახევრის განმავლობაში, პოლიციასა და პროკურატურაში დავდიოდი, ვრეკავდი, განცხადებებს ვწერდი და შველასა და დახმარებას ვითხოვდი, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. გიგა ბუნებით, უკეთილშობილესი, უკონფლიქტო ადამიანი იყო. ცუდი არასდროს არავისთვის უთქვამს და მით უმეტეს, არ გაუკეთებია. მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე სამართალდამცავ სისტემაში მუშაობდა, მისთვის აგრესია ან გადაჭარბებული ემოცია არავის შეუმჩნევია. პოლიციასა და უშიშროებაში ნამუშევარს, ერთი მტერიც კი არ ჰყავდა მანამდე, ვიდრე დეიდაჩემის ქმარი არ გამოჩნდებოდა... ადრე დეიდასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, ერთმანეთთან ხშირად დავდიოდით. ჩემი ქმარიც ყოველთვის ყურადღებას იჩენდა მის მიმართ. მერე დეიდამ გაიცნო მამაკაცი — მალხაზ ჩახნაშვილი, რომელიც იმ პერიოდში პოლიციაში „ოპერად“ მუშაობდა. დეიდა იმ დროს შპს „ლამბადას“ ბუღალტერი გახლდათ და კარგი შემოსავალი ჰქონდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ შემოსავლით დაინტერესდა ჩახნაშვილიც, დაუახლოვდა დეიდაჩემს, ერთგულება და სიყვარული შეჰფიცა და მალე ცოლადაც მოიყვანა. ამ პერიოდში, ბიზნესიც ერთად წამოიწყეს, სასტუმრო ააშენეს, ჯერ — ერთი, შემდეგ — მეორე... საქმე ააწყვეს, მაგრამ პირადი ურთიერთობა დაეძაბათ. ჩახნაშვილს ცოლის მიმართ გული გაუცივდა, რაღაც პერიოდის შემდეგ კი გამოუცხადა, რომ ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ. ეს ამბავი დეიდამ ცუდად გადაიტანა. ერთხელ ღამით ჩვენთან ატირებულმა დარეკა და გვითხრა — მიშველეთ, მალხაზი მიდის და მთელ ჩემს ქონებას შუაზე მიყოფსო. შევდით მის მდგომარეობაში, ეს ამბავი გიგამაც გულთან ახლოს მიიტანა და დეიდას პრობლემის მოგვარებაში დაეხმარა. მალხაზ ჩახნაშვილმა საწადელს რომ ვერ მიაღწია, მუქარაზე გადავიდა. მაგრამ ეს მუქარები ჩვენი მისამართით ისმოდა, რაც შეეხება დეიდას, — როგორც ჩანს, მისგან სარგებლის მიღებას ისევ დაახლოების გზით შეეცადა და შეურიგდა. დეიდის დახმარების გამო სიბრაზეს ისიც ემატებოდა, რომ ჩახნაშვილი, სამსახურიდან მის გათავისუფლებაშიც ჩემს ქმარს ადანაშაულებდა. სამსახურიდან მართლაც, დაითხოვეს, მაგრამ სინამდვილეში, ამის მიზეზი მისი ახალი ბიზნესი — სასტუმროები გახლდათ, რომლებიც დღემდე, საეჭვო რეპუტაციის დაწესებულებებად ითვლება. მალხაზი გიგას ადანაშაულებდა, მიიჩნევდა, რომ ამაში მისი ხელი ერია. ფაქტია, რომ ჩახნაშვილმა შურისძიება გადაწყვიტა. ეს არ არის მხოლოდ ეჭვი და ვარაუდი, არსებობს ფაქტები, რის თაობაზეც, ისნის რაიონის პოლიციაში არაერთი განცხადება დავწერე. ქმართან შერიგებამდე, დეიდამ ტელეფონით საუბრისას თვითონ მითხრა, — ფრთხილად

გაგრძელება იხ. გვ. 100

ვადაუმნიშვნელი სვანური ვესტერნი და სისხლის აღების ტრადიცია

ანუ ფილმი, რომელიც „განაჩენს“ ელის

ქართულ მხატვრულ ფილმს — „სვანს“ ვენეციასა და ბელორუსიაში „ფიპრესის“ (კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის) პრიზი გადასცეს, ხოლო ინდოეთში ის „ოქროს ფასკუნჯით“ დააჯილდოეს. ფილმის რეჟისორები, ძმები — სოსო და ბადრი ჯაჭვლიანები ამჯერად, ქართველი მაყურებლის „განაჩენს“ ელიან და „სვანს“ საფრანგეთში, ამერიკასა და რუსეთში „სამოგზაუროდ“ ამზადებენ. ფილმში რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული, რამდენიმე ტრაგიკული ამბავია გადმოცემული. თითოეული მათგანი ცოდვის ჩადენით, სიტყვის გატეხით, შურისძიებით გამოწვეულ უდიდეს ტრაგედიას ასახავს და ადამიანებს ერთმანეთის სიყვარულის, შენდობისა და შერიგებისაკენ მოუწოდებს. „ეს ფილმი სპეციალურად ქართველებისათვის, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსებისათვის გადავიღეთ. გვინდოდა მათთვის გვეჩვენებინა, თუ რა შედეგი მოჰყვება სიტყვისა და ფიცის გატეხას, ცოდვის ჩადენას და რა ძალა აქვს სიყვარულსა და ერთგულებას“, — გვითხრა **სოსო ჯაჭვლიანმა**, რომელიც ძმასთან, ბატონ ბადრისთან ერთად რედაქციაში მოვიწვიეთ.

ხათუნა ბახტურიძე

— „სვანში“ გადმოცემული თითოეული ამბავი იმდენად დიდ ემოციას იწვევს და იმდენად დრამატულია, რომ მათზე თითო ფილმის გადაღება შეიძლებოდა. რატომ გადაწყვიტეთ, რომ ეს ყველაფერი გაგეერთიანებინათ?

ვენეციაში, კინოფესტივალის შემდეგ 400-გვერდიანი კატალოგი გამოუშვეს, რომლის პირველ გვერდზეც ჩემი და ბადრის სურათები იყო დაბეჭდილი

ბადრი:

— სვანურ თემაზე, დღემდე, არც ერთი ფილმი არ გაკეთებულა. ძალიან ბევრი სათქმელი დაგვიგროვდა და გვინდოდა, ეს ყველაფერი მაქსიმალურად გადმოგვეცა.

— ეს ფილმი ვენეციასა და ინდოეთში გქონდათ წაღებული. იქაურ მაყურებლისთვის შურისძიების თემა რამდენად გასაგები იყო?

სოსო:

— ფილმი ვენეციაშიც მოეწონათ, ინდოეთშიც და ბელორუსიაშიც. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, რომ „სვანს“ ინდოეთში ასე კარგად გაიგებდნენ. პრესკონფერენციის დროს, ქალაქ გოას მთავარმა არქეოლოგმა ფილმის ჩვენებისათვის მადლობა გადაგვიხადა. მან ისიც კი გვითხრა — მართა (ერთ-ერთი მთავარი გმირი) რა ძლიერი ქალია, თქვენს ქეთევან დედოფალს ჰგავსო. მერე დისკი გადმომცა და მითხრა, — ამაში დოკუმენტური ფილმია ჩაწერილი, რომელშიც თქვენი წმინდა დედოფლის ამბავია გადმოცემულიო. დისკი უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს მივუტანეთ. თუ საპატრიარქო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ამ ფილმს ქართველი ხალხიც იხილავს. ვენეციაში, კინოფესტივალის შემდეგ, 400-გვერდიანი კატალოგი გამოუშვეს, რომლის პირველ გვერდზეც ჩემი და ბადრის სურათები იყო დაბეჭდილი. იცით, ერთმა ქართველმა რა გვკითხა? — ხომ არ ჩააწყვეთო? ვენეციაში საქმე რომ ჩაგვწყო, ხომ მაგარი ტიპები ვიქნებოდით?!.

ბადრი:

— „სვანს“ საერთაშორისო ასპარეზზე გამოხმაურება უკვე მოჰყვა. ეს ფილმი საქართველოს კინოთეატრებიდან მოიხსნება თუ არა, მისი ჩვენება რუმინეთში, პოლონეთში, ჩეხეთსა და სლოვაკიაში დაიწყება. რუსეთიდან და უკრაინიდანაც საკმაოდ საინტერესო შემოთავაზებები გვაქვს, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ქართველი მაყურებელია. ეს ყველაფერი თქვენთვის შევქმენით.

სოსო:

— პრემიერის შემდეგ მეგობარმა დამირეკა და მითხრა, — კაცის მოკვლა რომ მნდომოდა, ამ ფილმის ნახვის შემდეგ, აუცილებლად გადავიფიქრებდიო. თუ სხვებმაც ასე იფიქრეს, გამოდის, რომ ჩვენს შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია.

— ფილმის მთავარი გმირები ჯაჭვლიანები არიან, დანარჩენები კი უკვე გადაშენებულ გვარებს ატარებენ. ამით რისი თქმა გინდოდათ?

— ერთ ამბავს მოგიყვებით და ყველაფერს თავად მიხვდებით. თავდაპირველი სცენარის მიხედვით, მთავარი გმირები სეტიელები უნდა ყოფილიყვნენ. ერთხელ, ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჩემთან მოვიდა და მითხრა: ხომ იცი, სეტიელი ჩემი გვარია და ისეთი არაფერი გააკეთო, რომ ჩირქი მოგვეცხოსო. სცენარი მის თვალწინ ამოვიღე და სეტიელი ჯაჭვლიანად გადავაკეთე.

— გადაშენებულ გვართა რაოდენობა მართლა 200-ამდე აღწევს?

— სინამდვილეში, სულ 400 სვანური გვარია გადაშენებული, მაგრამ ფილმის შესავალში ვთქვით, რომ 200 გვარი გადაშენდა. აბა, სიმართლე რომ გვეთქვა, მაინც არ დაიჯერებდნენ.

— სიმართლე გითხრათ, მაყურებლის ერთ ნაწილს ფილმში მოთხრობილი ამბები დაუჯერებლად მოეჩვენა.

— მერწმუნეთ, ამ ფილმში მოთხრობილი ყველა ამბავი ნამდვილია. სამწუხაროდ, ასეთი ამბები სვანეთში დღემდე ხდება.

— გინდათ თქვათ, რომ სვანეთში სისხლის აღების ტრადიცია დღემდე არსებობს?

— აბა, რა! რა, ეს გიკვირთ? თბილისში ასეთი რაღაცები არ ხდება? ხომ არ დაგავიწყდათ, რომ „კულინარებმა“, ვერის საძმოებმა და მხედრიონელებმა ერთმანეთს მუსრი გაავლეს?

— ისინი კრიმინალები იყვნენ.

— მერე, თქვენ გინდათ, რომ სვანეთში კრიმინალები არ იყვნენ? სხვათა შორის, იქ კაცი რომ კვდება, ყველამ იცის, ვისი ხელით და რა მიზეზით მოკვდა, აქ კი არავინ არაფერი იცის, სრული ქაოსია.

— ფილმს მძიმე ფინალი აქვს. რატომ გადაწყვიტეთ, რომ მთავარი

გმირი მოგეკლათ?

ბადრი:

— „სვანი“ დრამაა და ისე უნდა დამთვრებულიყო, როგორც დასრულდა.

სოსო:

— ჩემი იდეა იყო, რომ სამი მთავარი გმირიდან (ჯაბეგი, მეუღლე და დედა) რომელიმე მომკვდარიყო. სხვათა შორის, საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებაში ჩვენმა მეუღლეებმაც მიიღეს მონაწილეობა. ისინი სცენარის თანაავტორები არიან და სრულიად სამართლიანად მოითხოვეს, რომ ჯაბეგი მოგვეკლა.

— ევროპელ მაყურებელს ძირითადად, ისეთი ფილმები მოსწონს, რომელთაც ბედნიერი დასასრული აქვთ.

— ევროპელები მაგარი მანიაკები არიან. ისინი ფილმებში ქალისა და კაცის ან კაცისა და კაცის ინტიმურ ურთიერთობებს დეტალურად აღწერენ. ჩვენი „სვანი“ მძიმეა, მაგრამ მე თუ მკითხავთ, მათი ნამუშევრები ორჯერ მძიმე და მანიაკურია. მე და ბადრიმ იტალიაში, 22 საკონკურსო ფილმი ვნახეთ. აქედან 16, პირადად ჩემთვის, „ნაგავი“ იყო, დანარჩენი ოთხი კი მართლაც, ძალიან მაგარი გახლდათ. იტალიაში იცით, რა მითხრეს? — ეს თქვენი „სვანი“ კიდევ ბევრ პრიზს მიიღებს, თუ ფილმს „ჰეფი ენდით“ დაამთავრებთო. მე ვუთხარი, — სენ სიმონის, ოუენის და ფურიეს ფუტურისტი დედაც, ჩვენ რეალისტები ვართ და არაფერს შევცვლი-მეთქი.

ბადრი:

— ეს ფილმი „ჰეფი ენდით“ რომ დაგვესრულებინა, მაშინ ჩვენი „სვანი“ აღარ იქნებოდა.

— ორ სვან რეჟისორს ერთად მუშაობა არ გაგიჭირდათ?

(*ორივე გულიანად იცინის*).

— კი, გაგვიჭირდა. ეს ძალიან რთული, მაგრამ ამავე დროს, საინტერესოც იყო. ერთმანეთს არაფერს ვუთმობდით. ხომ გაგიგონიათ: შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო.

სოსო:

— სულ ვჩხუბობდით და ერთმანეთს ვაგინებდით, მაგრამ ბოლოს, მაინც ვთანხმდებოდით.

— ახალი იდეები არ გაქვთ?

— კი, რაღაცებზე ნამდვილად ვფიქრობთ. სვანეთში ამოუწურავი მასალაა.

— ესე იგი, ისევ სვანურ თემატიკაზე იმუშავებთ?

ეს ფილმი „ჰეფი ენდით“ რომ დაგვესრულებინა, მაშინ ჩვენი „სვანი“ აღარ იქნებოდა

— სვანურზეც და ადამიანურზეც. მე ჩემი იდეები მაქვს, ბადრის — თავისი და ვნახოთ, რა გამოვა.

— ერთად მუშაობას აღარ აპირებთ?

ბადრი:

— ჯერ ერთმანეთისგან უნდა დავისვენოთ, მერე კი ვნახოთ.

— გადაღებები ერთ თვეში დასასრულეთ. ასეთ მოკლე დროში როგორ ჩაეტიეთ?

— ჩვენ ხომ სვანები ვართ (*იცინის*)! ალბათ, უფრო მალეც დავასრულებდით, დიზელ-გენერატორის მძღოლი რომ არ დაგვეკარგა.

— რას გულისხმობთ?

— შუა გადაღებებია, მეექვსე დღეა, ვმუშაობთ და უეცრად, დიზელ-გენერატორის მძღოლი გაქრა. ალბათ იცით, რომ ამ მოწყობილობის გარეშე, ფილმის გადაღება შეუძლებელია. ოთხი დღე თავქუდმოგლეჯილები დავეძებდით ამ კაცს, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. ერთხელ, შემთხვევით მაღლა ავიხედე და რას ვხედავ? — ჩვენი „ძებნილი“ ხეზე ზის. როგორც გაირკვა, ამ კაცს ნევროზი ჰქონია. თურმე, წამლები გაუთავდა, მოჩვენებები დაეწყო და ხეზე აძვრა. თან, ოთხი ყუთი სიგარეტი ჰქონდა ატანილი და დღე და ღამე ეწეოდა.

კადრი ფილმიდან

„სვანის“ გადასაღებ მოედანზე

— ბატონო ბადრი, პროფესიით თქვენც კინორეჟისორი ხართ?

— პროფესიით რეჟისორი ვარ, მაგრამ ვიდრე სარეჟისოროზე ჩავაბარებდი, სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე, შემდეგ — ორდინატურა, ასპირანტურა და მეცნიერებათა კანდიდატიც გავხდი.

— ახალგაზრდა კაცი ხართ. ამდენი რამ როდის მოასწარით?

სოსო:

— და ამ დროს როგორი უბრალოა, არა?

ბადრი:

— სხვათა შორის, მოსკოვის სამედიცინო აკადემიაში რვა წელი ვიმუშავე ქირურგად. იქ მომუშავე ორი ათასი ქირურგიდან, ოთხი ქართველი ვიყავით. იქაურები „გრუზინსკაია მაფიად“ მოგვიხსენიებდნენ. ზუსტად იგივე ხდება დიდ თეატრში — იქ სულ ორი ქართველია და მათაც მაფიოზებს უწოდებენ. ისე, ყოფილი ქირურგი არ არსებობს, მე ყოველთვის ექიმად დავრჩები.

— ამბობენ, რომ მსახიობის ამპლუასაც შესანიშნავად ართმევთ თავს.

— (*იცინის*) კი, ამბობენ.

— ეს პირველი მცდელობა იყო?

— არა. გოდერძი ჩოხელმა ფილმში — „მგლები“ — მთავარ როლზე დამამტკიცა. მე და სოსოს მსახიობის ნიჭი გენში გვაქვს.

სოსო:

— სხვათა შორის, ინდოელებმა ერთ-ერთ ფილმში მთავარი როლი შესთავაზეს, მაგრამ უთხრეს, — წონაში 20 კილო უნდა მოიმატოო.

ბადრი:

— ახლახან მოსკოვში დამამტკიცეს მთავარ როლზე და წონაში ოცი კილო მაქვს დასაკლები.

— „სვანის“ პრემიერაზე მთელი პოლიტიკური სპექტრი დაპატიჟეთ, მაგრამ მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლები მოვიდნენ. ხელისუფლება ბოიკოტს ხომ არ გიცხადებთ?

ბადრი:

— უკვე იცით, რომ ჩვენი ფილმი შერიგებაზეა. მახვში ორ გადამტერებულ გვარს არიგებს. გვინდოდა, რომ ეს ოპოზიციასთან ერთად, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ენახათ, მაგრამ არ მოვიდნენ. იმედი მაქვს, ფილმს სხვა დროს მაინც ნახავენ.

სოსო:

— მგონია, რომ ხელისუფლებამ ბოიკოტი ჩემი პოზიციის გამო გამომიცხადა. ალბათ გახსოვთ, რომ ბადრი პატარკაციშვილის თანამდებობიდან გასათავისუფლებლად, ოლიმპიურ კომიტეტში ხელმოწერებს აგროვებდნენ. მე, რობერტ შავლაყაძემ, ლერი ხაბელოვმა და ნონა გაფრინდაშვილმა ამ მოთხოვნას ხელი არ მოვაწერეთ. ხელისუფლების გასაგონად მინდა ვთქვა, — დრო უკან რომ დაბრუნდეს, იმ განცხადებაში ჩამოთვლილ ბინძურ ბრალდებებს ხელს ისევ არ მოვაწერდი იმიტომ, რომ ქრისტიანი ვარ, ღმერთი მწამს და ცილს ვერავის დავწამებ. იმქვეყნიური ცხოვრების მჯერა და ვიცი, იქ ყველას თავისი მოეკითხება. ■

მოდის ჩვენებზე მორიგებებთან ერთად

ანუ ავთო ცქვიტინიძის ვერცხლისფერ ყოსტიუმში გამოწყობილი თაკო ჩხეიძის მაღლიდან დაშვება

დიზაინერი ავთო ცქვიტინიძე და მოდელი თაკო ჩხეიძე პროფესიამ დაამეგობრა. ეს ორი ადამიანი ერთმანეთს შესანიშნავად უგებს და შესაბამისად, შეხმატკბილებული ურთიერთობა აქვთ.

მარეხ ჭონიშვილი

თაკო:

— მეგობრებს ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავიათ. მიყვარს მათთან ერთად ყოფნა და მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. გამიმართლა და მყავს ისეთი მეგობრები, რომლებსაც თვალდახუჭული ვენდობი.

ავთო:

— საქართველოში მეგობარი განსაკუთრებულ, მე ვიტყოდი, ფსიქოლოგის როლს თამაშობს. უცხოელებისგან განსხვავებით, ჩვენ არ გვჭირდება დროის დანიშვნა, რომ მეგობართან მივიდეთ და ჩვენი გასაჭირი თუ სიხარული გავუზიაროთ...

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

თაკო:

— შეიძლება ითქვას, რომ მე და ავთომ კარიერა ერთდროულად დავიწყეთ.

ავთო:

— 1995 წელს, საქართველოში მოდის ფესტივალი ჩატარდა. იმ ფესტივალში მონაწილეობდნენ როგორც ქართველები, ასევე უცხოელები, მე მაშინ დამწყები დიზაინერი ვიყავი.

თაკო:

— მე კი — დამწყები მოდელი.

ავთო:

— წარმოგიდგენიათ, რამდენი ხნის მეგობრები ვართ?! კარგად მახსოვს ის დღე, ერთმანეთი რომ გავიცანით. საქართველოში ამ ფესტივალმა ხელი შეუწყო სამოდელო ბიზნესის განვითარებასა და ამ სფეროში ბევრი ადამიანის მოზიდვას. ჩვენ მაშინ შეიძლება, არაპროფესიონალები ვიყავით, მაგრამ დროთა განმავლობაში, დავიხვეწეთ და პროფესიულად გავიზარდეთ. იმ ფესტივალს კიდევ იმას ვუმადლი, რომ ძალიან ბევრი ადამიანი გამაცნო.

— როგორ დამეგობრდით?

ავთო:

— გაცნობის დღიდანვე. თაკო ჩემი საყვარელი მოდელი გახდა. გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი მოდელი და კარგი მეგობარია, მას შეუძლია, საჭირო დროს გვერდით დამიდგეს.

თაკო:

— მე და ავთო პროფესიამ დაგვაახლოვა. დამეგობრება კი ნელ-ნელა, თავისთავად მოხდა. ყოველთვის ვინტერესდებით ერთმანეთის ამბებით. ავთოში მომწონს ის, რომ არასოდეს ჩერდება და ნაბიჯნაბიჯ, წინ მიიწევს. მისი კოლექცია ყოველთვის გამორჩეული და მდიდრულია.

— რჩევებს თუ აძლევთ ერთმანეთს?

მე და ავთო პროფესიამ დაგვაახლოვა

ავთო:

— როდესაც რაიმე ჩვენება ან კონკურსი იმართება, თაკოს ვეკითხები — რას ფიქრობს ხალხი ამ ჩვენებასა თუ კონკურსზე.

თაკო:

— მე კი ავთოს სულ ვეკითხები, რა ჩავიცვა? ისიც დაუზარებლად მირჩევს ხოლმე, რომელი კაბა მომიხდება. უკვე ერთი წელია, სამოდელო სააგენტო ჩამოვაყალიბე. როდესაც ავთოსთან კარგი გოგო მივა რაიმის საყიდლად ან შესაკერად, ჩემთან გზავნის ხოლმე. ეს ყურადღება მისგან ძალიან მსიამოვნებს. მიხარია, რომ ერთმანეთის გემოვნებასა და პროფესიონალიზმს ვენდობით.

მამუკა ლომაშვილი, პარლამენტი:

„გზა“ მრავალფეროვანი თემატიკის შემცველი ჟურნალია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ თქვენს გამოცემას „ყვითელი ფერი“ აკლია ანუ ის, რაც სხვა ჟურნალებში ჭარბადაა. სიამოვნებით ვკითხულობ „გზავნილებს“, რეალური რომანებს, საზოგადოებრივ თემებზე შექმნილ რუბრიკებს, მიყვარს კროსვორდების ამოხსნაც. სასურველი იქნება, თუ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობთ მოზარდებისთვის საჭირბოროტო საკითხებს. მინდა, რომ უფრო კრიტიკული მასალები დაბეჭდოთ და ხელოვნებას მეტი ადგილი დაუთმოთ (შოუბიზნესს არ ვგულისხმობ)... შეიძლება, კომერციულად ეს მომგებიანი არ იყოს, მაგრამ დამიჯერეთ, ასეთი ტიპის მასალები მკითხველს სჭირდება. ხშირად გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებიც რატომღაც, ჩრდილში დგანან. ბოლოს კი მინდა, მადლობა გადავუხადო „გზის“ მთელ კოლექტივს იმისათვის, რომ ასეთ ჟურნალს ქმნით.

— პირად ცხოვრებაში თუ დაგჭირვებიათ ერთმანეთის რჩევები?

ავთო:

— ძნელია სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევა და რჩევის მიცემა.

თაკო:

— ასეთი შემთხვევა ჯერ არ მქონია, მაგრამ თუ დამჭირდება, ალბათ, არ მომერიდება და ავთოს რჩევას ვკითხავ.

— არაფერზე კამათობთ?

ავთო:

— ვკამათობთ, მაგრამ ამას უფრო სერიოზული, საქმიანი პოლემიკა ჰქვია. დღეს საქართველოში ძალიან რთულად ვითარდება სამოდელო ბიზნესი და ეს გვაღელვებს. ჩვენთან ზაფხულში ზაფხულის კოლექცია იქმნება, ზამთარში — ზამთრის. უცხოეთში კი ჩვენებას 6 თვით ადრე აწყობენ. ჩვენთან სანამ თოვლი არ მოვა, არავინ ფიქრობს, რომ პალტოა საზამთროდ საჭირო. მე და თაკოს ყოველთვის განგვიხილავს ჩვენება, რომელიც სათანადო დონეზე არ იყო ჩატარებული ან პირიქით, მოგვწონებია და ჩვენი აზრებიც ყოველთვის ერთმანეთს დამთხვევია.

თაკო:

— ამაზე დღეს შეიძლება, ბევრს გაეცინოს და თქვას: რა დროს მოდააო?! — მაგრამ თუ გვინდა, რომ ქვეყანა განვითარდეს, სხვა სფეროებთან ერთად, სამოდელო ბიზნესის განვითარებაც აუცილებელია. მით უმეტეს, რომ პროფესიონალი დიზაინერები, მოდელები და ფოტოგრაფები გვყავს.

ავთო:

— ყოველთვის ვცდილობ, ჩემი ქვეყანა წარმოვაჩინო. რაც უფრო მეტი პროფესიონალი გაითქვამს სახელს უცხოეთში, მით უკეთესია. თაკოს გაცნობის შემდეგ უცხოეთში ხშირად უკითხავთ, — ქართველები ყველანი ასეთი ლამაზები ხართო?!.

თაკო მართლაც, მშვენიერია. ის არისტოკრატიული გარეგნობის, თავდაჯერებული ქალბატონია, რომელმაც იცის, რა სჭირდება ცხოვრებაში და როგორი ტანსაცმელი უნდა ატაროს.

— ჭორი თუ გსმენიათ თქვენზე?

ავთო:

— საერთოდ, როცა ჭორი ვრცელდება, ადრესატამდე ყველაზე გვიან მიდის. მაგრამ რაც არ უნდა გასაოცრად მოგეჩვენოთ, ჩვენს ურთიერთობაზე ჭორი არ გაგვიგონია. აი, ჩემზე კი ამბობენ, ავთო ოჯახთან ერთად, საქართველოდან წასვლას აპირებსო...

თაკო:

— ეგ ხომ მართლა ჭორია? ისე თქვი, ლამის დავიჯერე და გული გამიხეთქე. მე შენ, ავთო, არსად გაგიშვებ (*იცინიან*).

— რამდენად ხშირად ნახულობთ ერთმანეთს და რა გიქმნით კარგ განწყობილებას?

თაკო:

— ჩვენ-ჩვენი საქმით ვართ დაკავებულები. ავთო ძალიან ხშირად მოგზაურობს. მაგრამ ვცდილობთ და მაინც ვახერხებთ ერთმანეთის ნახვას საღამოებსა თუ წვეულებებზე. ხანდახან მასთან სამსახურშიც შევირბენ ხოლმე.

ავთო:

— თუ ვერ ვნახულობთ, ვურეკავთ ერთმანეთს. წელს, საახალწლოდ, თაკო მაგრად გავაკვირვე, ჩემგან ასეთ რამეს არ ელოდა...

თაკო:

— ავთომ დამირეკა და მითხრა: საახალწლო ჩვენებას ვმართავ და შენც უნდა მიიღო მონაწილეობაო. რა თქმა უნდა, გამიხარდა. შემდეგ დაიწყო ახსნა: ეს ჩვენება რაგბის ეძღვნება, წამყვანი სახე შენ უნდა იყო, ვერცხლისფერი ფორმა უნდა შეგიკერო; რაგბის ბურთით ხელში, მაღლიდან დაეშვები და შემდეგ სხვა მორაგბეებთან ერთად, იჩხუბებ; ხომ იცი, რაგბის წესებიო?.. თავიდან ვერ ვიჯერებდი, მაგრამ ორჯერ ერთი და იგივე რომ მითხრა, სერიოზული ხმით, — კარგი-მეთქი, — ვუპასუხე. თან, გულში გავიფიქრე, — ეტყობა, საახალწლოდ ასეთი როლი მერგო-მეთქი. ეჭვიც მეპარებოდა, მაგრამ იმასაც ვფიქრობდი, რომ ავთო არ გამწირავდა. ბოლოს ვუთხარი: კარგი, სამსახურში შემოგივლი და დაწვრილებით მომიყევი ყველაფერი-მეთქი. მაგრამ ავთომ ტელეფონითვე მითხრა, — თაკო, „ამოუცნობი ზარებიაო“... ლამის გავგიჟდი, იმხელაზე ვკიოდი...

ავთო:

— თაკო ჩემგან ასეთ ხუმრობას არ ელოდა. თან, ისეთი სერიოზული ხმით ველაპარაკებოდი, რომ... მერე ამ ამბავზე ბევრი ვიცინეთ.

— რას ურჩევთ მეგობრებს?

თაკო:

— ჭირსა და ლხინში ერთად იყვნენ. უმეგობროდ ყოფნა ძალიან ცუდია. გაუფრთხილდნენ ერთმანეთს და არასოდეს შეშურდეთ ერთმანეთის წარმატების.

ავთო:

— ვფიქრობ, რაც მეტი მეგობარი გყავს, მით უფრო მდიდარი ხარ, ამიტომ — მოუფრთხილდნენ ერთმანეთს! თუ ადამიანის გვერდით იღლები, ჩემი აზრით, მასთან არ უნდა იმეგობრო... ■

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ტაჯმაჰალი 22 წელიწადი შენდებოდა.
2. ჩიყვს სამედიცინო ენაზე სტრუმა ჰქვია.
3. ბონისტიკა ქაღალდის ფულს შეისწავლის.
4. ანტარქტიდა ყველაზე ქარიანი კონტინენტია.
5. ავტომატ „უზის“ ჯიბის არტილერიას ეძახიან.
6. ევგენი ევსტიგნეევს კოლეგები „ევსტი გენიის“ ეძახდნენ.
7. ენიო მორიკონეს 400 ფილმისათვის აქვს დაწერილი მუსიკა.
8. ამერიკელ პატიმრებს ფორთოხლისფერი ტანსაცმელი აცვიათ.
9. ესკიმოსები მისალმებისას ერთმანეთს ცხვირებით ეხახუნებიან.
10. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ცხვრის ფარას ზოგჯერ, ძაღლების ნაცვლად, ლამა დარაჯობს.
11. ვიეტნამური სამზარეულო ბევრგვარად გაამდიდრა საფრანგეთის ასწლიანმა კოლონიზაციამ.
12. „მე ასეთი დავრჩები, თუ გამიძლებს დრო, იოლად მისაჩვევი, როგორც თამბაქო“, — მღეროდა ირაკლი ჩარკვიანი.
13. ინგლისის მეცნიერებათა აკადემიამ ვერიკო ანჯაფარიძე მეოცე საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობად დაასახელა.
14. თომას მორის მოკვეთილი თავი რამდენიმე თვე ეკიდა ლონდონის ხიდზე. ბოლოს მისმა ქალიშვილმა გამოისყიდა და დაასაფლავა.
15. კაიროს აღების შემდეგ ნაპოლეონი ერთი წარჩინებული მამლუქის სახლში დაბინავდა, რომელიც სხვა მამლუქებთან ერთად გაიქცა ეგვიპტის დედაქალაქიდან.
16. გადმოცემით, ებრაელ ჯარისკაცებს ქონით გაპოხილი და გაპრიალებული ფარები ეჭირათ, რათა მათზე არეკლილი მზის სხივებით ეგვიპტელ მეეტლეთათვის მოეჭრათ თვალი.
17. ადგილის ეკონომიის მიზნით, ბევრი ამერიკული ავიამზიდი ისეთი ბომბდამშენებით, გამანადგურებლებითა და საწვავგასამართი თვითმფრინავებით არის აღჭურვილი, რომლებსაც ფრთები ეკეცება.

18. ოსკარ უაილდი მამათმავალი იყო. ვიღაც არასრულწლოვან ბიჭთან კავშირი გამოუაშკარავდა, რის შემდეგაც, ცოლმა მიატოვა, მისმა შვილებმა კი სხვა გვარი აიღეს.
19. მერილინ მონრო პირად ცხოვრებაში ძალზე უბედური ადამიანი იყო. სექსსიმბოლოდ აღიარებუ-

ქეთი გაგისიანის „ახალი ჩუსული ჩოქანსები“

„პოეტისთვის დიდი ბედნიერებაა, როდესაც მისი ლექსი „ამღერდება“

რუსულ რომანსებს ქართველები ყველაზე უკეთ რომ ასრულებენ, ამაში მაყურებელი კიდევ ერთხელ მას შემდეგ დარწმუნდა, რაც ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრში ქეთი გაგისიანის „ახალი რუსული რომანსების“ დისკის პრეზენტაცია-კონცერტი გაიმართა. ახალ ალბომში 18 რუსული რომანსია შესული, რომელთა ტექსტის ავტორები ქართველი პოეტები არიან. კომპოზიტორს რუსული რომანსის დაწერის სურვილი თამარ ბოლქვაძის პოეზიის გაცნობის მერე გაუჩნდა. შემდეგ, სხვა პოეტებმაც აღუძრეს მუზა და საბოლოოდ, დიდი ხნის მუშაობის შედეგად დაგროვილი რეპერტუარი საზოგადოებას წარუდგინა.

მაია ღუღუნიშვილი

აღსანიშნავია, რომ აქამდე საქართველოში ერთი კომპოზიტორის მიერ შექმნილი რომანსების საღამო არასდროს გამართულა. ამ მხრივ, ქეთომ ძალზე საპასუხისმგებლო ნაბიჯი გადადგა. კონცერტში მონაწილეობდნენ: ეკა მამალაძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ნუკრი კაპანაძე, თემურ თათარაშვილი, „ფორტე“, დათო გომართელი, ნათია პერანიძე და სხვები. ამ დღეს თიკა ჯამბურიამ და სოფო ხალვაშმა რომანსი პირველად შეასრულეს. „ახალი რუსული რომანსების“ საღამომ სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაიარა. მონაწილეებთან და მაყურებელთან ერთად, კმაყოფილებას თავად კომპოზიტორიც გამოთქვამდა.

ქეთი გაგისიანი:

— კონცერტში ისეთი მომღერლები მონაწილეობდნენ, რომ ნერვიულობის უფლება არ მქონდა. ეს ის ადამიანები არიან, ვის მიერ შესრულებულ რომანსებსაც საზოგადოება კარგად იცნობს და მიხარია, რომ თითოეულ მათგანს შესასრულებლად სწორედ ის რომანსი შევურჩიე, რომელიც მისთვის იყო შესაფერისი (ამაში კონცერტის მსვლელობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი). მიუხედავად ამისა, მაინც ვღელავდი, რადგან არ ვიცოდი, როგორ მიიღებდა საზოგადოება ჩემს შემოქმედებას. რომანსი ძალიან ფაქიზი ჟანრია და მას ფრთხილი მოპყრობა, გამოცდილება და დიდი სიყვარული სჭირდება. მე ბავშვობიდანვე, ჩემს დასთან ერთად, რუსულ რომანსებს ვმღეროდი. ასეთი საღამოს გამართვაზე ყოველთვის ვოცნებობდი და ვგრძნობდი, ოდესმე, ამ

კონცერტში ისეთი მომღერლები მონაწილეობდნენ, რომ ნერვიულობის უფლება არ მქონდა

ოცნებას ავიხდენდი. ამიტომაც, ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. საზოგადოებამ კონცერტი დადებითად შეაფასა. თეატრის მომსახურე პერსონალიც კი სათითაოდ მოდიოდა და მადლობას მიხდიდა ასეთი საღამოს გამართვისთვის. ხუმრობდნენ კიდეც, — ეს კონცერტი სათეატრო რეპერტუარში ხომ არ შევიტანოთო?! კონცერტი ორ დღეს გაგრძელდა და ორივე დღეს, დარბაზი გადაჭედილი იყო, კიბეზეც კი ისხდნენ. არაჩვეულებრივი მაყურებელი იყო. დარბაზში საოცარი სიჩუმე სუფევდა, ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა. ნატო მეტონიძე ამბობდა, — ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ კონცერტის მსვლელობისას მობილური ტელეფონის ზარის ხმა არ გამიგონიაო. ეს მართლაც, საოცარი მოვლენაა.

— თუ გაქვს სხვა რომანსები, რომლებიც ამ კონცერტზე არ წარმოგიდგენია?

— რამდენიმე რომანსი კიდევ მაქვს, რომელიც არ აუღერებულა. ერთ-ერთი მათგანი ქალბატონი ნანი ბრეგვაძისთვის მაქვს დაწერილი. სამწუხაროდ, ის ამჟამად საქართველოში არ იმყოფება და შესაბამისად, კონცერტში მონაწილეობაც ვერ მიიღო. მას ეს რომანსი არ მოუსმენია, მაგრამ მგონია, რომ მოეწონება და სიამოვნებით შეასრულებს კიდეც. მის შვილს — ეკას რომ მოვასმენინე, მითხრა, — სწორედ ნანის შესასრულებელი სიმღერაა.

— სიმღერა კარგი რომ გამოვიდეს, ტექსტმაც უნდა შეუწყოს ხელი. როგორც ვიცი, რომანსის დაწერა სწორედ ლექსმა შთაგაგონა...

— გეთანხმები. როდესაც თამარ ბოლქვაძის რუსული ლექსები წავიკითხე, ისე მომეწონა, ლამის გავგიჟდი. მე იმ მუსიკოსების რიცხვს მივეკუთვნები, ვისაც ურჩევნია, სიმღერა გამზადებულ ლექსზე დაწეროს. ჩემი სიმღერების უმრავლესობა სწორედ ასე შეიქმნა. დიდი ხანია, მე და პოეტი მაკა ბლიაძე ვთანამშრომლობთ. ჩემი სიმღერების უმრავლესობა სწორედ მის ტექსტებზე დაიწერა. როდესაც რომანსებზე მუშაობა დავიწყე, მასაც ვთხოვე, რამდენიმე რუსული ლექსი დაეწერა. ასევე ვთხოვე ჩემს მეგობარ ლელა ცუცქირიძესაც. მათ არაჩვეულებრივი ტექსტები შექმნეს და ისინი ჩემს მელოდიებს ძალიან მოუხდა. საღამოს სამივე ქალბატონი ესწრებოდა და კონცერტს თვალცრემლიანი ადევნებდა თვალყურს. თამრიკომ მითხრა, — ჩემს ლექსებს როგორი მელოდიაც შეეფერებოდა, სწორედ ისეთი დაგიწერიაო. პოეტისთვის დიდი ბედნიერებაა, როდესაც მისი ლექსი „ამღერდება“.

— კონცერტს რუსეთის საელჩოდან თუ ესწრებოდა ვინმე?

— საღამოს, საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ. მინდა, ქართველების „ახალი რუსული რომანსები“ რუსეთშიც მოისმინონ. ამ საკითხზე მოლაპარაკებები უკვე დაიწყო და იმედი მაქვს, ჩანაფიქრს სისრულეში მოვიყვანთ და ამით რუსულ-ქართული ურთიერთობების აღსადგენად კიდევ ერთ დიპლომატიურ-კულტურულ ნაბიჯს გადავდგამთ.

მონატრებულმა მელოდიებმა, როგორც — მონაწილეებში, ისე — დამსწრე საზოგადოებაში, დადებითი ემოციები აღძრა. ლამაზი თბილისური საღამოს გამართვისათვის, კომპოზიტორისა და მონაწილეების მიმართ, სამადლობელ ფრაზებს არავინ იშურებდა.

ნუნუ გაგუნია, *კომპოზიტორი:*

— არსებობს საყოფაცხოვრებო და კლასიკური რომანსები. მათ შორის დიდი სხვაობაა. საყოფაცხოვრებო იმითაა გამორჩეული, რომ იგი დიდ გრძნობებსა და განცდებს გადმოსცემს. შეიძლება, ამიტომაცაა ხალხისთვის ასე საყვარელი. რუსულ რომანსებს ქართველები ყველაზე უკეთ ასრულებენ და ამას არაქართველი მუსიკოსებიც აღიარებენ. მიხარია, როცა რომანსებს ქართველები არა მარტო კარგად მღერიან, არამედ საუკეთესოდაც წერენ. ვულოცავ ქეთის ამ გამარჯვებას და კიდევ მრავალ წარმატებას ვუსურვებ!

მაია ჯაგუა, *მომღერალი:*

— მაყურებლის გამოხმაურებით თუ ვიმსჯელებთ, ვფიქრობ, სასიამოვნო საღამო გამოგვივიდა. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, თუ ასეთ მშვენიერ რუსულ რომანსებს მოვისმენდი. ქეთის ამ დიდ წარმატებას გულწრფელად ვულოცავ.

ლიზა გაგრატიონი, *მომღერალი:*

— თითოეულ გამომსვლელს კულისებიდან ვადევნებდი თვალყურს და ძალიან ვისიამოვნე. ვიდრე სცენაზე გავიდოდი,

ვიდრე სცენაზე გავიდოდი, ძალიან ვღელავდი

ძალიან ვღელავდი, რადგან რომანსი რთული შესასრულებელია. ეს ჟანრი ძალიან მიყვარს, ქეთიმ ეს იცის, ამას ითვალისწინებს და შესასრულებლად სწორედ ასეთი ტიპის სიმღერებს მთავაზობს.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ლი ქალი, სექსისგან სიამოვნებას ვერ იღებდა. მსახიობს ახლობლებთან ამის შესახებ არაერთგზის დაუჩივლია.

20. საბჭოთა კავშირში საიუველირო სამკაულები მფლობელის სოციალური სტატუსის მაჩვენებელი იყო. საბჭოთა ჩინოვნიკების ცოლები საახალწლო ნაძვის ხეებივით იყვნენ ბრილიანტის სამკაულებით მორთულნი.

21. ცნობილი ილუზიონისტი ამაიაკ აკოპიანი ასევე განთქმული ილუზიონისტის არუთიუნ აკოპიანის შვილი გახლავთ. მამამისი ერთადერთი ილუზიონისტი იყო საბჭოთა კავშირში, რომელსაც სახალხო არტისტის წოდება ჰქონდა მინიჭებული. დღესაც არავინ იცის, შვილმაც კი, თუ როგორ აკეთებდა იგი თავის საფირმო ტრიუკს, როცა სიგარეტს უკიდებდა და კვამლით ჰაერში თავის სახელსა და გვარს წერდა.

22. ნობელის პრემიის პირველი რუსი ლაურეატი, ფიზიოლოგი ივან პავლოვი გახლდათ. ამ დიდი მეცნიერის უკანასკნელი ექსპერიმენტი — საკუთარი სიკვდილი იყო. პავლოვი აფიქსირებდა ყოველ ცვლილებას საკუთარ ორგანიზმში, სანამ ჯერ კიდევ გონზე იყო.

23. დედოფალი ვიქტორია საკუთარ ბიძაშვილ ალბერტზე იყო გათხოვილი. ინგლისის ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა მონარქმა მომავალ ქმარს თვითონ მისცა წინადადება, ცოლად მომიყვანეო. ცალ მუხლზე დაჩოქილმა ალბერტმა ვიქტორიას თანხმობა მისცა: ბედნიერი ვიქნები, თქვენ გვერდით გავატარო ჩემი ცხოვრებაო.

24. თებელი მონადირე აქტეონი ბერძნული მითოლოგიის ცნობილი პერსონაჟია. იგი კითერონის მთებში ნადირობის დროს, დაღლილი დაეძებდა წყალს, როცა შემთხვევით თვალი მოჰკრა ნიმფებით გარემოცულ, შიშვლად მობანავე არტემიდეს. განრისხებულმა ქალღმერთმა ჭაბუკი ირმად აქცია და საკუთარი ძაღლები მიუსია. ძაღლებმა უტყვი და უბედური თვალებით მავედრებელი ირემი დაგლიჯეს და შემდეგ ყმუილით დაეძებდნენ პატრონს ტყე-ღრეში.

25. ლევან სანიკიძემ იცოდა საოცარი თქმა, კი არ იტყოდა, — ამა და ამ წელს მოკვდა ესა და ეს ადამიანიო, არამედ, — ამა და ამ წელს საქართველოს მოუკვდა ესა და ეს ადამიანიო. მინდა, სინანულის გამოხატვის ამ ფორმას დავესესხო სულგანათლებულ ისტორიკოსს და მწუხარებით ვთქვა: 2008 წლის გაზაფხულზე საქართველოს მოუკვდა სოფიკო ჭიაურელი.

კითხვები, რომლებიც გიგა ნასარიძემ ინტერვიუს კარნახით გამოიტანა

„ოჯახის წევრებს ვაიძულებდი, ზღაპრები ხმამაღლა წაეკითხათ"

„წიგნი ბავშვობიდანვე მიყვარდა. სანამ კითხვას ვისწავლიდი, ოჯახის წევრებს ვაიძულებდი, ზღაპრები ხმამაღლა წაეკითხათ", — გვითხრა გიგა ნასარიძემ. ეს 4-5 წლის ასაკში ხდებოდა, მერე კითხვა ისწავლა და ამ საკითხზე სხვები აღარ შეუწუხებია. პოეზიას პროზა ურჩევნია და ეცნობა ყველაფერს, რაც საინტერესოდ ეჩვენება. ისეთი წიგნი, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, არაერთია. საყვარელი მწერალი არ ჰყავს, მაგრამ ამბობს, რომ აკა მორჩილაძის ახალ ნაწარმოებებს ყოველთვის დიდი ინტერესით ელის.

თამუნა კვინიკაძე

— რომელ ქართველ მეფეზე თქვა ფრიდრიხ II-მ: „დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში ის"?

— ერეკლე II-ზე.

— რომელი ზღვა უერთდება ხმელთაშუა ზღვას სუეცის არხით?

— მარმარილოს ზღვა?

— არა. მიგანიშნებ, რომ ამ ზღვის სახელწოდება ფერთანაა დაკავშირებული.

— (*იცინის*) შავი ზღვა გამოვრიცხოთ. (*ფიქრობს*) წითელი ზღვა?

— დიახ. რაფაელო საბატინის „კაპიტან ბლადის ოდისეაში", თავდაპირველად, რა პროფესიის იყო პიტერ ბლადი?

— როგორც მახსოვს, ექიმი იყო.

— კიმონო ქალისა და მამაკაცის ტრადიციულ ტანსაცმლად რომელ ქვეყანაშია მიჩნეული?

— იაპონიაში.

— დიდი ბრიტანეთის სათავადაზნაურო იერარქიაში, რომელი ტიტულია გრაფის ტიტულზე დაბალი წოდება და ბარონის ტიტულზე მაღალი წოდება?

— არ ვიცი.

— ვიკონტი. რომელ ქვეყანას ეკუთვნის აღდგომის კუნძულები?

— არც ეს მახსოვს.

— ავსტრალიას. ის თუ გახსოვს, რომელ კუნძულზე დაასრულა სიცოცხლე ნაპოლეონ ბონაპარტემ?

— წმინდა ელენეს კუნძულზე.

— რამდენი თითი აქვს სირაქლემას ფეხზე?

— (*იცინის*) ორი თითი.

— რომელი უბნის სახელით ვიცნობთ 1903 წელს, თბილისში დაარსებულ არალეგალურ სტამბას?

— ავლაბრის.

— მოგეხსენება, ეიზენჰაუერი 1953-61 წლებში ამერიკის პრეზიდენტი იყო. რომელი პარტიიდან?

— რესპუბლიკური პარტიიდან.

— ვინ შეასრულა ილიკოს როლი ფილმში — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"?

— სანდრო ჟორჟოლიანმა.

— ის ლათინური სიტყვაა და „უაზროს, „უთავბოლოს" ნიშნავს. იხმარება ინფორმაციის იგნორირების მიზნით.

— აბსურდი.

— ეს უმდიდრესი მხატვარი ფულს ბანკში არასდროს ინახავდა. ამბობდა, — ბანკები კოტრდება და მისი მეანაბრეები ფანჯრებიდან ხტებიანო. რომელ მხატვარზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი, მაგრამ ინტუიციას დავეყრდნობი და გეტყვი, რომ ეს მხატვარი პაბლო პიკასო იყო.

— გამოიცანი. ისიც ხომ არ იცი, წარმოშობით სადაური იყო?

— ესპანელი.

— მულტიპლიკაციურ ფილმში, რა ჰქვია კომბლეს ძროხას?

— ჭრელა.

— რა ერქვა გაიძვერა კატას ტოლსტოის ზღაპარში — „ოქროს გასაღები ანუ ბურატინოს თავგადასავალი"?

— ბაზილიო.

— სად გადაიხადეს ქორწილი თამარ მეფემ და დავით სოსლანმა?

— კარგად არ მახსოვს. მგონი, დიდუბის სასახლეში.

— დიახ. სად დაიწერეს ჯვარი ილია ჭავჭავაძემ და ოლღა გურამიშვილმა?

— სამებაში. ოღონდ, ახალი სამების საკათედრო ტაძარში კი არა, ეროვნული ბიბლიოთეკის უკან რომ დგას, იმ ტაძარში.

— რომელი მწერლის რომანია „მამა გორიო"?

— ბალზაკის.

— რა ეროვნების იყო ჟიულ ვერნის მოთხრობების გმირი, კაპიტანი ნემო?

— ინდოელი.

— რომელ საუკუნეში ვითარდება მოქმედება ალექსანდრე დიუმას ნაწარმოებში — „გრაფი მონტე-კრისტო"?

— XIX საუკუნის დასაწყისში.

— რომელი პოეტის ლექსზე შეიქმნა სიმღერა — „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარო"?

— გალაკტიონ ტაბიძის.

— რომელ შტატში მოკლეს ჯონ კენედი?

— ტეხასის შტატში, დალასში.

— დაასახელეთ ქართველი საბჭოთა მაღალჩინოსანი, რომლის დედაც მის მშობიარობას გადაჰყვა?

— (*ფიქრობს*) არ ვიცი.

— სერგო ორჯონიკიძე. რომელ ქალაქში მოუწყვეს სასამართლო პროცესი ფაშისტური გერმანიის თავკაცებს?

— ნიურნბერგში.

— წარმოშობით სადაური იყო მონათა ავჯანყების ბელადი სპარტაკი?

— თრაკიელი.

— ბრაზილიელები ხუმრობენ: „ღმერთმა სამყარო 6 დღეში შექმნა, ხოლო მეშვიდე დღეს კი..."

— კარნავალი! (*იცინის*).

— „...რიო-დე-ჟანეირო". რომელი მეფის კარზე იყო გიორგი საკაძე მოურავი?

— ლუარსაბ II-ის კარზე.

— დავითის ლავრა, აღდგომისა წამებული, ბერთუბანი, დოდის რქა, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები,

მღვიმე, ქოლაგირი, ვერენგარეჯა, პირუკუღმარი, მოხატული, — რომელ სამონასტრო კომპლექსს ქმნის ეს 12 მონასტერი?

— (*ფიქრობს*) ვერ გიპასუხებ.

— დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს. ქრისტეს რომელი მოციქული იყო მეგობარი?

— მათე.

— კონსტანტინე გამსახურდიას რომელი მთავარი გმირი იხრჩობა ენგურში?

— ალბათ, „მთვარის მოტაცებას“ გულისხმობთ. ენგურში თარაშ ემხვარი იხრჩობა.

— ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონში“, რომელი ეკლესიის მოძღვარი იყო მამა იორამი?

— არ მახსოვს.

— ორთაჭალის სამების. რას ნიშნავს „აკვა“ ლათინურად?

— წყალს.

— რომელი მდინარე იღებს სათავეს ბორბალოს მთიდან?

— არ ვიცი.

— ალაზანი. რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იყო ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი?

— პოლონეთის.

— რომელ ქვეყანაშია ავტომობილების მწარმოებელი ფირმა „პორშე“?

— გერმანიაში.

— ნობელის პრემიის გადაცემა მკაცრად რეგლამენტირებული წესების დაცვით ხდება. როგორც წესი, დაჯილდოებულმა პრემია პირადად უნდა მიიღოს. ცერემონია სტოკჰოლმში, რატუშის ოქროს დარბაზში იმართება. დედაქალაქის ბურგომისტრი, ალფრედ ნობელის სადღეგრძელოს მეორე ჯერზე წარმოთქვამს. ვისი სადღეგრძელო წარმოითქმება პირველად?

— (*ფიქრობს*) არ ვიცი.

— შვეციის მეფის სადღეგრძელო. ისინი 12 წლის განმავლობაში 2 უდიდეს სახელმწიფოს მართავდნენ. მმართველობის პირველი 6 წელი ქვეყნების გაძლიერებას მოანდომეს, შემდეგი 6 წელი კი ერთმანეთთან სასიკვდილო ბრძოლას. ორივე ერთსა და იმავე წელს, ერთსა და იმავე თვეს გარდაიცვალა (18 დღის სხვაობით). ვინ იყო ეს ორი პიროვნება?

— არ ვიცი.

— ჰიტლერი და რუზველტი. ვინ ასრულებს აღა გეორქას როლს ფილმში — „ვერის უბნის მელოდიები“?

— ეროსი მანჯგალაძე.

— და კოტეს როლს ფილმში „ქეთო და კოტე“?

— ბათუ კრავეიშვილი.

— რამდენი უჯრაა ჭადრაკის დაფაზე?

— 64.

— რომელი ყვავილი მიიჩნევა მიუწვდომლობისა და მიუკარებლობის სიმბოლოდ?

— (*ფიქრობს*) ალბათ, ვარდი, ეკლების გამო.

— ცდები. ედელვაისი.

— (*მაწყვეტინებს*) რომელიც მაღალ მთებში იზრდება. არ მეპატიება, ეს უნდა გამომეცნო.

— დაასრულე კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „თუ ქალის გულის მონადირება გინდა...“

— (*იცინის*) არ ვიცი. რაო, რა უნდა ქნაო?

— რა არ იცი, ქალის გული როგორ უნდა მოინადირო თუ გამსახურდიას ციტატის დასასრული?

— ციტატის დასასრული (*იცინის*).

— კარგი, მე გეტყვი „...მომეტებული ყურადღება არ უნდა მიაქციო“. ეთანხმები?

— შემთხვევას გააჩნია.

— რა გვარია ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პერსონაჟი — ჯოყოლა?

— (ფიქრობს) გავგიჟდები, ვერაფრით გავიხსენე.

— ალხასტაისძე.

— „ჯოყოლა მქვიან ძმობილო, ალხასტაისძე გვარადა“...

— ვისთან ერთად იპოვა განძი ტომ სოიერმა?

— ჰეკლბერი ფინთან ერთად.

— რომელი მწერლის, რომელი ნაწარმოების პერსონაჟია კირილე მიმინოშვილი?

— დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“.

— რაგბი გიყვარს?

— მეტ-ნაკლებად.

— ის თუ იცი, რამდენ ქულას აიღებს გუნდი ლელოს გატანისას?

— 5 ქულას.

რომელი მითური ფრინველი იწვავდა თავს და კვლავ აღდგებოდა ფერფლიდან, რის გამოც, ის მუდმივი განახლებისა და აღორძინების სიმბოლოდ იქცა?

— ფენიქსი.

— რომელ ქვეყანაში უნდა იმოგზაურო, რომ სფინქსის ქანდაკება ნახო?

— ეგვიპტეში.

— რა გვარის იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი ძმები: ლევანი, სტეფანე, პეტრე და იაკობი?

— ზუბალაშვილები.

— სპორტის რომელი სახეობის მოთამაშეებს აწერიათ ნომრები ქუდებზე?

— წყალბურთელებს.

— რომელი მოგზაური იკვლევდა პაპუასების ცხოვრებას?

— მიკლუხო მაკლაი.

— აუსტერლიცი, ვატერლოო, ბოროდინო, კულიკოვო, სტალინგრადი, — რითია ცნობილი ჩამოთვლილი ადგილები?

— დიდი ბრძოლებით.

— რომელია შექსპირის მშობლიური ქალაქი ინგლისში?

— არ მახსოვს.

— სტრატფორდი. სიცოცხლის ბოლო წლებში, რომელ ქვეყნაში ცხოვრობდა ჩარლი ჩაპლინი?

— შვეიცარიაში.

— რამდენი მეტრია ლიხის ქედში გამავალი სარკინიგზო გვირაბი?

— ზუსტად არ მახსოვს.

— 3988 მეტრი. სად უფრო მეტი ჯარისკაცი ირიცხება: ასეულში, ბატალიონში, პოლკში თუ ბრიგადაში?

— ბრიგადაში.

— რატომ არ შეუძლია ხვლიკს დიდხანს სირბილი?

— სიგარეტს ეწევა და იმიტომ (*იცინის*). არ ვიცი. ალბათ, ამ დროს ვერ სუნთქავს (*ინტუიციის კარნახით გპასუხობ*).

— ინტუიცია არც ამჯერად გღალატობს. აშშ-ში, ამ დაწესებულების ფასადზე წაწერილი სიტყვები: „და შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება მოგანჭებთ თავისუფლებას“. რა დაწესებულებაზეა ლაპარაკი?

— ზუსტად არ ვიცი. ალბათ, სასამართლოს შენობაზე.

— ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოზე. ვინ არის ავტორი ლექსისა — „მე პატარა ქართველი ვარ“?

— დუტუ მეგრელი.

— 1915 წელს, ისლანდიაში „მშრალი კანონი“ შემოიღეს, 1932 წელს კი მოხსნეს. ოღონდ, აკრძალვა მხოლოდ ერთი სახის სასმელზე დატოვეს, რომელიც პოლიტიკოსთა აზრით, ქვეყნის ალკოჰოლიზაციას იწვევდა. რომელ სასმელზეა ლაპარაკი?

— არაყზე?

— ცდები. ინტუიცია რას გკარნახობს?

— ლუდი?

— გამოიცანი. დაასრულე კონსტანტინე სტანისლავსკის ცნობილი გამონათქვამი: „გიყვარდეთ ხელოვნება თქვენში და...“

— „...თქვენი თავი ხელოვნებაში“.

„...არა თქვენი თავი ხელოვნებაში. ■

რკინისებური ლოგიკა...

ინგა ჯაყელი

კაცმა არ იცის და ალბათ, თავადაც არ შეუძლია ქეთინოს იმის ახსნა, თუ რამ აფიქრებინა „ჭირიან“ რეზოიაზე გათხოვება, მაგრამ ფაქტია, რომ უკვე 18 წელია, ცოლ-ქმარი ჰქვიათ და სამი ბიჭიც წამოეზარდათ, ყოველდღიურ გაწევ-გამოწევასა და კამათში...

ქეთინო ყოფილი კალათბურთელია. სიმაღლით 2 მეტრი და ორი სანტიმეტრია ზუსტად; და რაც აქტიურ სპორტს ჩამოშორდა, წონაშიც მოიმატა, ლამის 200 კილოგრამს „აარტყა“ და „მეტრნახევრიანი“ და სამოცკილოიან ქმარს, თავისი გაუთავებელი ლოთობით რომ გადარევს ხოლმე, მართლა, კალათბურთის ბურთივით იტაცებს ჰაერში და რაც შეიძლება შორს ისვრის ჭიშკრიდან და იმ სახლის ზღურბლიდან, რომელიც, სხვათა შორის, მშობლებმა მზითევში უყიდეს საყვარელ ქალიშვილს, როცა მის გათხოვებას ეღირსნენ, ამ სიტყვის ყველაზე სრული მნიშვნელობით...

ლამაზი ყოველთვის იყო ქეთინო, მაგრამ მისი სიმაღლის გამო ბიჭები ქალად არც აღიქვამდნენ. აბა, რომელ კაცს სიამოვნებს, ქალი რომ ზემოდან გადმოხედავს და თვალებსაც დაუბრიალებს?!.

— შენ რა სიკვტილმა გადაგრია და გაგაბრიყვა?! — მეასეჯერ ეკითხებოდნენ ბირჟის ძმაკაცები, სახლიდან ამდენჯერვე ბურთივით გამოსროლილ რეზოს:

— ობოლი ვიყავი, უდედო და ზღაპრებში მაინც არ წაგიკითხავთ, დედინაცვალი რო უგდებს ურჩხულს ხახაში საძულველ გერს?! მეც ისე მიქნა ჩემმა ჯიშად ამოსაწყვეტმა დედინაცვალმა. გამოჰყვა მამაჩემს ცოლად, სამ წელიწადში გოუჩინა ოთხი ბიჭი და გამოუჭედა ყურები მუქარით: რავარც გინდა, უპატრონე შენს უპატრონო რეზოიას და ამ სახლიდან მოაშორე, აქანე ჩემი შვილების ადგილიც არაარ!..

მამაჩემი მიცავდა, რავარც შეეძლო, მარა ქეთინო ჩემი დედინაცვლის გარე ბიძაშვილის შვილია და იცოდა, რაფრად უჭირდათ მისი გათხოვება, ყველას ეხვერწებოდნენ მისთვის შესაფერი კაცის პოვნას და საჩუქარსაც ჰპირდებოდნენ. ამ ჩემი დედინაცვლის რა მიდიოდა და გააბრიყვა მამაჩემი, განსაკუთრებით სასიმამროს ნაყიდი ბინით და იმდენი ქნა, დამითანხმეს ქალის გადანახულებაზე...

— კი, მარა, რომ შეხედე, ქალის ნაცვლად დინოზავრი დაგახვედრეს, ვერ გამეიქეცი კისრისტეხით?! — გაიკვირვა რამაზმა.

— ისე დავნიშნე, ფეხზე დამდგარი არ მინახავს. მაშვინ კიდო თამაშობდა კალათბურთს და ძითხრეს — ფეხი აქ ნაღრძობი, ვერ დგებაო!.. სკამიც დაბალი შეერჩიათ და მის გვერდით ქე ვჩანდი ასე თუ ისე, თან მაშინ ასი კილოც არ იყო...

ქორწილში ვნახე პირველად ფეხზე მდგომი და მის გვერდით ჩავარდნილი კლავიშივით რომ დევიკარგე, ყვავილები, ხელში მიწოდების ნაცვლად, ფეხებში მივაყარე და გამოვრბოდი, მარა მწვდა ქეჩოში და მიმალურსმა პარკეტს:

— აქედან ან ჩემს ქმრად გადიხარ, ან დაბალზამებულ მიცვალებულად, ნათესავ-ამხანაგებში თავი არ მომჭრა, თორემ სულს გაგაფრთხობიებ!..

— ამის შემდეგ, მით უმეტეს, რავა არ უშველე გაქცევით თავს, შე უბედურო?! — თვალებს ჭუტავს ძმაკაცის აღსარებაზე შაკო.

— ქე გევიწიე, მარა რომ გამომდვა „პადრუჩკი“ და ამომიდვა იღლიის ქვეშ, ვეღარ გევინძერი დარეტიანებული...

რომ გამევედით ასე ჩასკვნილები, სცადა ხალხმა თავის შეკავება, მაგრამ მაინც ბევრს წასკდა სიცილ-ხარხარი. მარტო მამაჩემის კვნესა ისმოდა:

— ვაიმე, დაღუპულო, სიყრმის შვილო!..

— ბუჯო, ამფერ ქალს რაფრა „მეერიე“ ლოგინში?! — ჰკითხა აჩიკომ და ისეთი სერიოზული სახე ჰქონდა ამ დროს, სახუმაროდ ნამდვილად არ იყო განწყობილი.

— რაია, გგონია, არ ვაღიარებ, რომ გამაუპატიურა და ისე დამშალა ძვლებში, ერთი კვირა აღარ ავმდგარვარ ლოგინიდან?!.

— მტერი მოხვდა და მოექცა ქეთინოს ლაჯებში! — გულწრფელად დაფრთხა აჩიკო, მაგრამ რეზოს მაინც ეწყინა:

— აპა, შენი ნატოიეა ქალი, ლოგინს ლანდივით რომ ატყვია და მისდღემჩი ბოზებს დასდევ უკან?!

— საწყენად არ მითქვამს, ძმაო, რაია, რას აფეთქდი ბებიაჩემის ძველი ლამპასავით, მე შენკენ და შენ ეშმაკებისკენ! — გაიფხორა აჩიკო და გაცლა იჩქარა, რადგან ქუჩის თავში ქეთინო გამოჩნდა და ქმარს შორიდან დასჭყივლა:

— შენ დალიე მოუნელებელი! შემეეთრევი სახლში თუ გამოგიტანო გარეთ შენი გაქუცული ჩემოდანი... მეძინება, ჭიშკარია ჩასაკეტი!..

— არ წაყვე... არ დანებდე... ოდესმე ხომ უნდა თავი დეიხსნა მისი კლანჭებიდან?! — ჩასჩურჩულა შაკომ, მაგრამ რეზომ ხელი ჩაიქნია და თავჩაქინდრული, ცხვარივით მორჩილად გაემართა ცოლისკენ, ბიჭებს კი ორიოდე სიტყვა მიუგდო:

— ვუყვარვარ და მიტო მიშლის ლოთობას, ასჯერ გამოგდებული, ასჯერვე მომძებნა, მის გარდა ვინ მყავს პატრონი ან მკვდარს და ან ცოცხალს?!.

რომ მიუახლოვდა ცოლს, გულაჩუყებულმა წელზე ხელის მოხვევა დაუპირა და რა თქმა უნდა, ვერ შესწვდა:

— რატო არ დეიქცა ჩემი ბედი! — თავი შეეცოდა ქეთინოს და ზურგში რომ ჰკრა თითი ჩია ქმარს, ჭიშკრამდე არბენინა...

— ეგია, ბუჯო, სიყვარული?! — მხრები აიჩეჩა, უკვე თმაში ჭაღარაგარეულმა, ბერბიჭა მერაბმა.

— აპა, მართლა ფრთების ამოსვლა და ღრუბლებში ნავარდი ხვარ გგონია?! — შეუღრინა შაკომ, რომლის ცოლიც, ფანჯარაში გადმომდგარი, მთელი ქუჩის გასაგონად ყვიროდა: ჩემი მაწანწალა ქმარი თუა სადმე ახლოში, სახლში გამოაგდეთო!..

— ასეთი ცოლების ყოლას, უცოლოდ სიკვდილი მიჯობს! — გადაწყვიტა მერაბმა.

— არ დეიჯერო არც მათი და არც ის, რომ სიკვტილის მერე სამოთხეა სადმე! კუპრი და ჯოჯოხეთია აქაც და იქაც და მაინც ცოლი სჯობს, ჩემო მერაბია. თუ მიწიერ სამოთხეს არ განახვებს, ჯოჯოხეთს მაინც შეგაჩვევს! — უპასუხა ლადომ და სახლისკენ გასწია...

— რკინისებური ლოგიკაა! — დაეთანხმა ოლეგი და ცოლს, რომელიც თავწაკრული ეძახდა სახალხოდ, — როდის გევიგებ შენს სიკვტილსო?! — ტკბილად გაეპასუხა: მოვდივარ, ჩემო ცხოვრებავ და სიხარულო, ცხოვრების აზრო და სტიმულოო!.. ■

ქალები ქართულ პოლიტიკაში

„ვფიქრობ, რომ ქალებს ქართულ პოლიტიკაში ისეთივე პოზიცია უკავიათ, როგორიც ქართველ საზოგადოებაში: იძულებული გახდნენ, მართვის სადავეები აეღოთ ხელში...“, — ამბობს სალომე ზურაბიშვილი. „ქალი პოლიტიკაში, საზოგადოების და ხელისუფლების ურთიერთობას აბალანსებს. ის გონებასთან ერთად, გულის კარნახსაც უსმენს...“, — ასეთია ელენე თევდორაძის შეხედულება, მოცემულ თემასთან დაკავშირებით. „პოლიტიკაში, არც ქალს და არც მამაკაცს არ ეპატიება სიცრუე, ქვეყნის ინტერესებისა და იმ პოლიტიკური ძალის ღალატი, რომელსაც ის წარმოადგენს“, — მტკიცედ აცხადებს მანანა ნაჭყებია.

ქართულ პოლიტიკაში ქალის როლსა და ადგილზე, პოლიტოლოგისა და ფსიქოლოგის, რამაზ საყვარელიძის აზრსაც გაეცნობით. მანამდე კი თავად პოლიტიკოს ქალთა მსჯელობას წარმოგიდგენთ.

ემა ტუხიაშვილი

კონფლიქტური სიტუაციებისგან ჩვენი ოჯახი დაზღვეულია

მანანა ნაჭყებია, *პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი:*

— ის, რომ ჩვენი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე და ფაქტობრივად, სახელმწიფოში მეორე პირი — ქალია, ცხადყოფს, რომ ქალის როლი ქართულ პოლიტიკაში ძალზე მნიშვნელოვანია. მართალია, ოპოზიციურ ფრთას წარმოვადგენ, ხოლო ქალბატონი ნინო — საპარლამენტო უმრავლესობას, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ უდავოდ, წარმატებული ქალბატონია. წარმატებულია არა მხოლოდ პოლიტიკურ ასპარეზზე, არამედ სრული ჰარმონია აქვს ოჯახში. ეს კი მას უქმნის იმიჯს, რომელიც სხვებისთვის მისაბაძი უნდა იყოს.

— მიგაჩნიათ, რომ პოლიტიკოსი ქალბატონისთვის ჰარმონია ოჯახში მნიშვნელოვანი ფაქტორია?

— ჰარმონიული ურთიერთობა ოჯახში ყველა ქალისთვის და განსაკუთრებით, პოლიტიკოსისთვის აუცილებელია. თუ ოჯახის წევრებისგან ვერ გრძნობ ხელშეწყობას და თუ პირველ რიგში, ოჯახი არ გაღიარებს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, მაშინ წარმატებას ვერაფრით მიაღწევ. ქალს, რომელსაც მოუწესრიგებელი აქვს პირადი ცხოვრება, საზოგადოება ვერ ანდობს სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების მოგვარებას. ოჯახიც პატარა სახელმწიფოა, სადაც მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა გინევს. მაგრამ თუ ქალი ვერ ახერხებს, რომ ოჯახი და პოლიტიკა, ოჯახი და საზოგადოებრივი საქმიანობა ერთმანეთს ისე შეუთავსოს, რომ არც ოჯახს მოაკლოს მზრუნველობა და არც პოლიტიკაში გახდეს დასაცინი, მაშინ უმჯობესია, უარი თქვას პოლიტიკურ კარიერაზე. სამწუხაროდ, ხშირად მსმენია, მინახავს და საზოგადოებაც კარგად იცნობს იმ ქალბატონებს, ვინც აქტიურ საქმიანობას ეწევიან, მაგრამ ოჯახში ყველაფერი იდეალურად როდი აქვთ. მერწმუნეთ, საზოგადოების თვალში ასეთი ქალბატონების ავტორიტეტი ძალზე დაბალია. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი გახლავართ, მაგრამ არასდროს დამიმალავს, რომ გენდერული თანასწორობის საკითხი ჩემთვის, მხოლოდ იმას მოიცავს, რომ ქალსა და მამაკაცს წარმატების მისაღწევად, თანაბარი შესაძლებლობები მიეცეთ. ისე კი, ტრადიციული ქართული ოჯახის მომხრე ვარ, სადაც ოჯახის თავი — მამაკაცია. ნამდვილად არ მინდა, ზედმეტი პასუხისმგებლობა ავიღო ჩემს თავზე, მირჩევნია, ჩემ გვერდით იყოს მამაკაცი, რომელიც ოჯახში ჩემზე მეტ პასუხისმგებლობას იტვირთებს. ამ თვალსაზრისით, ძალიან გამიმართლა: მე და ჩემს მეუღლეს ყველაფერი ისე გვაქვს დალაგებული, რომ არასასურველი კოლიზიებისა და კონფლიქტური სიტუაციებისგან ჩვენი ოჯახი დაზღვეულია.

— რა ოქროს წესი იცით ასეთი, რომ არც ოჯახს აკლებთ ხელს და პოლიტიკურ საქმიანობასაც ახერხებთ?

— წარმატების ერთადერთი რეცეპტი არსებობს და მას სიყვარულია ჰქვია — სიყვარული ოჯახის მიმართ და სიყვარული საქმის მიმართ. ოჯახი აუცილებლად გაპატიებს, თუ საყვარელი საქმის გამო ზოგჯერ ცხელ სადილს მოაკლებ. ქალს, რომელიც დილიდან საღამომდე შინიდან გასულია, შეიძლება, შინ ყველაფერი იდეალურად მოწესრიგებული არ ჰქონდეს. დამხმარე არ მყავს, ამიტომ ყველა საოჯახო საქმეს თავად ვაკეთებ. ძალიან მიყვარს სამზარეულოში ტრიალი, მიყვარს, როდესაც ჩემთან ვეპატიჟები მეგობრებს და ჩემ მიერ მომზადებული კერძებით ვუმასპინძლდები. მიყვარს აგრეთვე, მიწაზე მუშაობა. მაქვს აგარაკი თეთრიწყაროს რაიონში და იქ ხშირად მნახავთ თოხით ხელში, როდესაც ბოსტანში ჩემს მოყვანილ მცენარეებს ვუვლი.

— თქვენი აზრით, რა არ ეპატიება პოლიტიკოს ქალს?

— პოლიტიკაში არც ქალს და არც მამაკაცს არ ეპატიება სიცრუე, ქვეყნის ინტერესებისა და იმ პოლიტიკური ძალის ღალატი, რომელსაც ის წარმოადგენს. პოლიტიკოსს არ უნდა ავიწყდებოდეს ის ხალხი, ვის მიერაც იქნა არჩეული, — ე.ი. ის, ვინც „შექმნა“ იგი, როგორც პოლიტიკოსი. ხშირად ხდება, რომ პოლიტიკოსები ფაქტობრივად, აღარ გადიან ქუჩაში, ცხვირს უბზუებენ ჟურნალისტებს. ასეთი საქციელი დამღუპველია ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის. როგორც პოლიტიკოსს, არ მახასიათებს ზნეობრივ კომპრომისზე წასვლა და ვერ ვიტან კომფორმისტებს. თავდაპირველად, როდესაც პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, ხოლო პოლიტიკა კულუარებში წყდებოდა, მეშინოდა, რომ ჩემს სახელს რაიმე ისეთი არ შეხებოდა, რაც ზნეობრივ კომპრომისთან იქნებოდა დაკავშირებული. დრომ დამარწმუნა, რომ იმ გუნდის წევრი ვარ, სადაც შემიძლია, ამ მხრივ აბსოლუტურად მშვიდად და კომფორტულად ვიგრძნო თავი.

— თქვენ გენდერული ბალანსი ახსენეთ, რომელიც ქართულ პოლიტიკაში აშკარად დარღვეულია...

— საქართველოში იყო პერიოდი, როდესაც პოლიტიკაში მოსვლას მნიშვნელოვანწილად, მატერიალური მდგომარეობა განაპირობებდა. მაშინ თითქმის წარმოუდგენელი იყო, რომ ქალი გამხდარიყო მაჟორიტარი დეპუტატი, რადგან საამისოდ, ბევრი ფული უნდა დაეხარჯა. საბედნიეროდ, ეს ტენდენცია იცვლება და ხალხი არჩევნების დროს ხმას აძლევს დეპუტატობის კანდიდატს არა იმიტომ, რომ ფინანსური დახმარება მიიღო მისგან, არამედ იმიტომ, რომ მოსწონს, როგორც პოლიტიკოსი, როგორც პიროვნება. ამის წყალობით კი ქალის შესაძლებლობები პოლიტიკაში იზრდება. გამოიკვეთა კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ასევე ხელს შეუწყობს პოლიტიკურ ასპარეზზე მანდილოსნების გამოჩენას: ამჟამად პოლიტიკაში დიდი მოთხოვნაა სახეებზე. ჩამოყალიბებული ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან ქარიზმატულობით, გულწრფელობითა და მომზადებულიც არიან პოლიტიკური საქმიანობისთვის, იოლად შეძლებენ პოპულარობის მოპოვებას. პოლიტიკაში კი, ისევე,

როგორც ნებისმიერ კონკურენტულ გარემოში, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები მოქმედებს და თუ ბაზარზე გამოჩნდება სახე, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისთვის მისაღები იქნება, მას მაშინვე „იყიდიან“. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ქალების რაოდენობა ქართულ პოლიტიკაში კიდევ უფრო გაიზრდება.

ელენე თევდორაძე, *ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— თუ მამაკაცი ქალზე მეტად გონიერია, ქალი, გონებასთან ერთად, გულის კარნახითაც მოქმედებს. ეს სინთეზი კი ქალს აძლევს შესაძლებლობას, უფრო მეტს მიაღწიოს პოლიტიკაში, მეტი გააკეთოს თავისი ქვეყნისთვის, ხალხისთვის, გაცილებით მეტი, ვიდრე ამას მამაკაცი შეძლებდა.

— თუ გულის კარნახით მოქმედებთ, ალბათ ბევრ გაჭირვებულს ეხმარებით, არა?..

— აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით. მაგრამ ამასთანავე, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ გული და ემოცია. როდესაც რაღაც სამწუხარო ფაქტის გამო, გული გტკივა და ემოციები ჭარბობს, ვერაფრით იქნები სამართლიანი. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ჩემთან მოდის, სწორედ ამას ისახავს მიზნად — იმოქმედოს ჩემს ემოციებზე. მაგრამ პოლიტიკოსის ვალია, გადაწყვეტილება მიიღოს გულით და გონებით, მაგრამ — არა ემოციების გავლენით.

— მერე, არ გიჭირთ ყოველთვის სწორი გადაწყვეტილების მიღება?

— რა თქმა უნდა, მიჭირს და ალბათ ბევრჯერაც მიმიღია მცდარი გადაწყვეტილება. ყველაზე მეტად მაშინ მიჭირს, როდესაც პირისპირ ვზივარ ადამიანთან, რომელიც თავისი გასაჭირის შესახებ მიყვება და ზუსტად ვიცი, რომ მისი თხოვნის შესრულება შეუძლებელია. თანავუგრძნობ მას, მაგრამ ამავე დროს, ვცდილობ ავუხსნა, სად მთავრდება მისი უფლებები და სად იწყება სხვისი უფლებები. პოლიტიკოსი თუ რომელიმე საკითხს სუბიექტურად მიუდგება, მისი, როგორც პოლიტიკოსის საქმე დამთავრებულია.

— ხომ არ გინანიათ, ასეთი პასუხისმგებლობა რომ იტვირთეთ?

— არ მინანია, რადგან ჩემი მუშაობის შედეგი დავინახე. მქონია შემთხვევა, როდესაც ერთი დღის განმავლობაში 147 ადამიანი მიმიღია. ზოგჯერ მიკვირს, ფიზიკურად როგორ ვუძლებ ამ ყველაფერს.

— პოლიტიკაში წლების მანძილზე საქმიანობთ, თან, სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდით და მიუხედავად ამისა, ხალხში პოპულარობას ინარჩუნებთ...

— პოლიტიკაში ყოფნის პირველი დღიდანვე, ერთ გუნდთან ერთად მოვდივარ. უბრალოდ, ეს გუნდი პერიოდულად იცვლიდა ლიდერებს და დასახელებას. „მოქალაქეთა კავშირში“ ყოფნისას, ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრი ვიყავი და „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ „დემოკრატებთან“ ერთად მოვედი. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა სახელით მოვიდოდი პოლიტიკაში. ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო და არის ერთი სერიოზული პოსტულატი: ის, რომ ვარ ხალხის მიერ არჩეული, რომ ხალხმა გამომიცხადა ნდობა. ყველაზე მეტად, ყოველთვის მეშინოდა იმის, რომ მონიჭებული ნდობა არ დამეკარგა. ამ პრინციპით ვხელმძღვანელობ 1995 წლიდან დღემდე. უნდა ვაღიარო, რომ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ბევრი რამ ვერ გავაკეთე ისე, როგორც ამას „ვარდების რევოლუციამდე“ ვაკეთებდი. როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე უამრავი ახალი სახე გამოჩნდა, ვფიქრობდი, — ხომ არ ჩამოვრჩი დროს? იქ, სადღაც წარსულში ხომ არ ჩავრჩი და იქნებ, ახალგაზრდები უფრო მეტის გაკეთებას შეძლებდნენ-მეთქი? დრომ მიჩვენა, რომ ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა ხალხს იმედები გაუცრუეს და იქნებ ჯობდა, მეტად რადიკალური ვყოფილიყავი ჩემი კოლეგების მიმართ. ვინ იცის — იქნებ ამის შედეგად, ჩვენს გუნდს უფრო მოეგო... და მაინც, უმრავლესობის შიგნით, ყოველთვის ოპოზიციაში ვიყავი. ხშირად, როდესაც ჩემი გუნდის შეცდომებზე დაუფარავად ვლაპარაკობდი, ჩემი პარტიის წევრები მსაყვედურობდნენ: ქალბატონო ელენე, ხალხს თქვენი სჯერა და ჩვენს შეცდომებზე საქვეყნოდ ნუ ლაპარაკობთო. ზოგჯერ მშურს სახალხო დამცველის, რადგან სოზარი ყოველთვის ხმამაღლა ამბობს იმას, რასაც მე ვფიქრობ... იმაზეც ვწუხვარ, რომ დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, ოჯახისთვის დრო აღარ მრჩება. არადა, მე ხომ დედა, ბებია, დედამთილი ვარ... ამიტომ მინდა, რჩევა მივცე ჩემს ახალგაზრდა კოლეგა ქალბატონებს: არაფრის გამო არ გადასწიონ მეორე პლანზე პირადი ცხოვრება.

სალომე ზურაბიშვილი, *პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი:*

— პოლიტიკოსისთვის პოპულარობის ერთადერთი რეალური საზომი — არჩევნებში მონაწილეობაა. ვფიქრობ, საზოგადოებაში ჩემ მიმართ ნდობა არსებობს. ეს კი რამდენიმე გარემოებითაა განპირობებული: ჯერ ერთი, მე არ ვმონაწილეობდი ქართულ პოლიტიკაში იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე რთული პერიოდი იდგა. ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი დამსახურებაა, უბრალოდ, ცხოვრებამ მოიტანა. სწორედ იმ დროს, ბევრი პოლიტიკოსის სახელი სხვადასხვა ბინძურ საქმეს დაუკავშირდა. ამიტომ, საზოგადოება აღმიქვამს, როგორც „ახალ სისხლს“ ქართულ პოლიტიკაში, ხოლო პოლიტიკური სპექტრის განახლება ყველაზე მეტად სწყურია ხალხს. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები მათ, ვინც ფიქრობს, რომ არჩევნებში მხოლოდ ცნობილმა სახეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. აუცილებელია, ქვეყანაში პოლიტიკური სპექტრი განახლდეს, პოლიტიკაში ახალი თაობა, სხვანაირად მომზადებული ადამიანები მოვიდნენ.

— როგორ ფიქრობთ — ნდობა პოლიტიკოსი ქალის მიმართ უფრო მაღალია თუ პოლიტიკოსი მამაკაცის მიმართ?

— სამწუხაროდ, დღეს საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ყველას, ვინც პოლიტიკაში მოდის, მხოლოდ დიდი ფულის შოვნის სურვილი ამოძრავებს. ჩემს შემთხვევაში, ყველამ იცის, რომ საზღვარგარეთ ვცხოვრობდი, ემიგრანტთა ოჯახში გავიზარდე და ჩვენი ოჯახი ყოველთვის სამშობლოზე ზრუნავდა. საქართველოში ჩემი ჩამოსვლის მიზანს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი არ წარმოადგენდა. უცხოეთში ჩემი ჯამაგირი 20 ათას ევროს შეადგენდა, აქ კი ასეთი მაღალი ხელფასი ალბათ, არასდროს მექნება.

— თქვენი აზრით, რამდენად წონადია ქალების როლი ქართულ პოლიტიკაში?

— ვფიქრობ, ქალებს ქართულ პოლიტიკაში ისეთივე პოზიცია უკავიათ, როგორიც ქართველ საზოგადოებაში: ცხოვრებამ მოიტანა, რომ ქალები იძულებული გახდნენ, მართვის სადავეები საკ-



უთარ ხელში აეღოთ და ეპატრონათ როგორც საკუთრი ოჯახებისთვის, ასევე მთლიანად ქართველი საზოგადოებისთვის. მამაკაცებმა არ მიწყინონ, მაგრამ ჩემი პარტიის ყველაზე სანდო და მუშა ნაწილს ქალბატონები წარმოადგენენ. მამაკაცებს თითქოს რაღაც კომპლექსები გაუჩნდათ, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ალბათ საკუთარი თავის რწმენას დაიბრუნებენ. ქალს შეუძლია, ქალური ხიბლით დააბალანსოს სიმტკიცე და პრინციპულობა და იოლად მიაღწიოს დასახულ მიზანს. მაგალითად, გაუღიმებ შენს ოპონენტს და ამავე დროს, ისეთ მკაცრ კრიტიკას დაატეხ თავს, რომ აბსოლუტურად განაიარაღებ მას და არც უხეშობის უფლებას მისცემ. პოლიტიკოსი ქალები უფრო მოქნილები არიან, მსახიობობის მეტი უნარი აქვთ. მაგრამ ერთი „ოქროს წესი“ უნდა გვახსოვდეს: დაუშვებელია, ტყუილზე ავაგოთ, გამოვიგონოთ ჩვენი პოლიტიკური იმიჯი, ვინაიდან საზოგადოება სწრაფად ხვდება ამას. მაგალითად, რამდენადაც სააკაშვილი ექსცენტრიკულია, ნინო ბურჯანაძე, ვითომდა ცდილობს, ყველგან და ყველაფერში, მისი ექსცენტრიკულობა თავისი თავშეკავებულობით დააბალანსოს. მაგრამ როდესაც თვალს ხუჭავ ისეთ მოვლენაზე, როგორიც 7 ნოემბერს მოხდა, ხალხი ხვდება, რომ ეს მხოლოდ შენი პოლიტიკური ნიღაბია.

— ღიმილთან დაკავშირებით გამახსენდა: ერთ-ერთი სატელევიზიო პოლემიკის დროს, გენერალურ პროკურორს, ქალბატონ ეკა ტყეშელაშვილს ურჩევდით, ერთხელ მაინც გაეღიმა...

— ახალგაზრდა პოლიტიკოსი ქალბატონები უხეშები არიან. რატომღაც ჰგონიათ, რომ აუცილებლად, ყველაფერში სიმკაცრე უნდა გამოიჩინონ, ზედმეტად თავდაჯერებულნი არიან და მიაჩნიათ, რომ არავის არაფერი უნდა დაუთმონ, თუნდაც, პოლიტიკური დებატების დროს, არასდროს უნდა მოიხადონ ბოდიში... ასეთი ქცევა უფრო თვალში საცემი და მიუღებელია პოლიტიკოსი ქალბატონისთვის, ვიდრე მისი კოლეგა მამაკაცისთვის.

— სხვათა შორის, პოლიტოლოგებიც აღნიშნავენ, რომ ქართველ პოლიტიკოს ქალბატონებს ახასიათებთ სწრაფვა „ტეთჩერიზმისკენ“ და შესაბამისად, „რკინის ლედის“ იმიჯი მათ ჩაცმულობაშიც ვლინდება. თქვენ კი პირიქით, უფრო თავისუფალ სტილს ანიჭებთ უპირატესობას. შესაძლოა, პრესკონფერენციაზე ან საქმიან შეხვედრაზე მასიური, თვალში საცემი საყურე გეკეთოთ...

— ადამიანის შინაგანი თავისუფლება ჩაცმის სტილითაც გამოიხატება. როდესაც თავისუფალი ხარ, შენი, ინდივიდუალური გემოვნება გიყალიბდება, ხოლო როდესაც ვიღაცას ჰბაძავ, ყოველთვის შეცდები, რადგან ის, რაც სხვას უხდება, შენ შესაძლოა, საერთოდ არ მოგიხდეს. მაგალითად, მე პოლიტიკოს ქალებს შორის, ინდირა განდი უფრო მომწონდა, ვიდრე მარგარეტ ტეთჩერი. მაგრამ ახლა, მასავით ჩაცმა რომ დავიწყო, დასაცინი გავხდები.

— არსებობენ ქალბატონები, რომლებიც მართალია, არ წარმოადგენენ პოლიტიკურ ფიგურებს, მაგრამ დიდი გავლენა აქვთ ქვეყნის პოლიტიკაზე...

— ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ პრეზიდენტის ბებია, დედა და მეუღლე. ასე იყო შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდშიც, როდესაც მთელი მისი ოჯახი განაგებდა ქვეყნის პოლიტიკას. საერთოდ, მსოფლიო პოლიტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც

ნინო ბურჯანაძე, ვითომდა ცდილობს, ყველგან და ყველაფერში, სააკაშვილის ექსცენტრიკულობა თავისი თავშეკავებულობით დააბალანსოს

ქვეყნის პირველი პირის მეუღლეები მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯებს დგამდნენ. მაგრამ როდესაც ქვეყნის პოლიტიკის პირად ინტერესებზე მორგება ხდება, ეს ყველაფერი საბჭოთა პოლიტიკას უფრო ემსგავსება, ვიდრე თანამედროვე ევროპულ რეალობას.

— თქვენ ბრძანდებოდით დიპლომატი, მინისტრი, ახლა კი ოპოზიციურ პარტიას წარმოადგენთ. გულწრფელად მითხარით, როგორც პოლიტიკოსი, სად გრძნობდით თავს ყველაზე უკეთ?

— ყველაზე ქმედუნარიანი, მინისტრის რანგში ვიყავი. როგორც ხელისუფალს, საკმარისი ბერკეტი გაქვს საიმისოდ, რომ საქმე აკეთო. დიპლომატიურ სამსახურში იმ პოლიტიკის გამტარებელი და შემსრულებელი ხარ, რომელსაც უმაღლესი ხელისუფალი გკარნახობს. ყველაზე კომფორტულად თავს ახლა ვგრძნობ, ვარ ჩემი პარტიის ლიდერი, მაქვს სიტყვისა და მოქმედების სრული თავისუფლება. სხვებს აკრიტიკებ, თავად კი არაფერს აკეთებ. ამიტომ კარგად მესმის იმ ადამიანების, ვინც მუდმივად ოპოზიციაშია.

— თქვენ გვერდით ხშირად ჩანს თქვენი მეუღლე. მისი მხარდაჭერა პოლიტიკურ საქმიანობაში თქვენთვის აუცილებელია?

— აუცილებელია. ვერ წარმომიდგენია, მარტო ვიყო ასეთ მნიშვნელოვან და მძიმე საქმიანობაში. აუცილებელია, გვერდით გყავდეს ადამიანი, რომელიც გაიზიარებს შენს მოსაზრებებს ან პირიქით, წინააღმდეგობას გაგიწევს, გაგაკრიტიკებს. პოლიტიკოსისთვის ყველაზე სახიფათო ის გარემოა, სადაც ყველა ყველაფერში ეთანხმება.

— გულახდილად მითხარით — თუ ბრაზობს ბატონი ჯანრი, როდესაც ოპონენტები თავს გესხმიან?

— ზოგჯერ ძალიან ბრაზობს, მაგრამ მისი გაბრაზება სახლის ზღურბლს არ სცილდება. მეუბნება ხოლმე: აბა, ეს უნდა მოვითმინოო?!. უნდა მოითმინოს, სხვა რა გზა აქვს?! პოლიტიკაში რომ მიდიხარ, ამისთვისაც უნდა იყო მზად.

— პოლიტიკის მიღმა როგორი ხართ?

— ისეთივე, როგორიც პოლიტიკაში: ზედმეტად პირდაპირი ვარ, პოლიტიკაშიც და მის მიღმაც. კარგად მესმის, რომ ზედმეტი პირდაპირობა პოლიტიკოსისთვის ყოველთვის მომგებიანი როდია, დიპლომატიაში კი საერთოდ, მიუღებელია, მაგრამ რა ვქნა? ზოგჯერ ცოტა კახურადაც მომდის...

რამაზ საყვარელიძე, *პოლიტოლოგი:*

— პოლიტიკოს ქალებს უყვართ ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეთჩერისთვის მიბაძვა. მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე ხშირად ამბობს, რომ ტეთჩერი მისთვის, პოლიტიკოსი ქალის იდეალია. „რკინის ლედის“ თვისებები ქართველი პოლიტიკოსი ქალებისთვის უფრო დამახასიათებელია, ვიდრე სინაზე და ქალურობა. ეს უკვე ტენდენციად იქცა, რასაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „ტეთჩერიზმი ქართულ პოლიტიკაში“. ნინო ბურჯანაძის მსგავსად, „ტეთჩერიზმის“ ელემენტები შეინიშნება მაია ნადირაძის პოლიტიკურ იმიჯშიც. მაიას დიდი ხანია ვიცნობ, ყოველთვის ძალიან ქალური, მშვიდი და გაწონასწორებული იყო. როგორც ჩანს, პოლიტიკოსის როლმა მის ხასიათში გარკვეული ცვლილებები შეიტანა და აგრესიული ქალის იმიჯი შესძინა... ვერ ვიტყვი, რომ „ტეთჩერიზმი“, ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული ერთადერთი სტილია. მაგალითად, ქალბატონმა გუგული მაღრაძემ პოლიტიკაში ტიპური ქართველი ქალის იმიჯი დაამკვიდრა. აშკარაა, რომ ის არ ცდილობს, ითამაშოს ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი... ინდივიდუალობა ახასიათებს „ახალი მემარჯვენეების“ წევრ პოლიტიკოს ქალბატონებს. მათში არც „ტეთჩერიზმის“ ელემენტები შეინიშნება და არც ე.წ. კაბინეტური სტილი. საინტერესო სახეა ქართულ პოლიტიკაში სალომე ზურაბიშვილი. ვისაც ის პოლიტიკის მიღმა უნახავს, დამეთანხმება, რომ ეს ქალბატონი ერთნაირია ყველგან და მხოლოდ საჭიროებისამებრ როდი ირგებს პოლიტიკოსის ნიღაბს. მუდამ ძალზე ქალურია, აქვს საოცარი შარმი; ამავე დროს, პოლემიკაში თუ გამოსვლების დროს, ყოველთვის საქმიანია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პროფესიონალიზმი არ მოითხოვს მისგან ქალურობის დათმობას. ამდენად, საქმე გვაქვს „ბუნებრივ „ტეთჩერიზმთან“: ქალური შარმისა და მამაკაცური პროფესიონალიზმის ასეთი შერწყმა ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მთავარი ღირსება გახლდათ... ■

ra SemTxvevaSi unda mivmarToT sozar subars

იმ მოზარდების რიცხვი, რომლებსაც თანატოლების ან ცნობილი ადამიანების რჩევა სჭირდებათ, სულ უფრო მატულობს. ამ შემთხვევაში, ყველაზე მეტი მესიჯი ბიგ-თიკოს სახელზე მოვიდა. რეპერს, გარდა მისი ფანების წერილებისა, სხვა მოზარდების მესიჯებიც წავაკითხეთ. მან თინეიჯერების პრობლემა გულთან ახლოს მიიტანა და შეეცადა, თითოეული მათგანისთვის საფუძვლიანი რჩევა მიეცა.

ლიკა ქაჯაია

„იმ ტიპს თავიდან ვერ ვიშორებ, მისი ძალიან მეშინია"

უცნობი გოგო:

ლიკ, გამარჯობა. ძალიან კარგი რუბრიკა გაქვს. მართლა, მართლა... ბიგ-თიკოს და სალეჯის ინტერვიუ ძალიან მომეწონა. გაიხარეთ, კარგები ხართ. თიკოს ვთხოვ, ის მისამართი მიკარნახოს, სადაც გასახდომ მასაჟებს უკეთებდნენ. ამ თხოვნას თუ შემისრულებს, ძალიან გამახარებს. გკოცნით უამრავს, უფალი გფარავდეთ".

ბიგ-თიკო:

— მასაჟებს ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრში ვიკეთებდი. თუ სურვილი გექნება, ლიკას მეშვეობით დამიკავშირდი და ყველაფერს ზუსტად აგიხსნი. ან სულაც, თავადვე მიგყვები იმ ცენტრში.

მეხო, *22 წლის:*

„ახლა მეორედ გავთხოვდი და ვამჩნევ, რომ ესეც ისეთივე ნარკომანი ხდება, როგორიც პირველი იყო. ოჯახის დანგრევის მეშინია და იქნებ, მირჩიოთ, რა ვქნა?"

— რა მნიშვნელობა აქვს ფორმალურ ურთიერთობას, თუ თავად არ ხარ ბედნიერი?! დამიჯერე, რაც დასანგრევია, უნდა დანგრეს! ოდესმე, ბედნიერება თითოეულ ჩვენგანს ეწვევა. შენც იბრძოლე საკუთარი ბედნიერებისთვის და ოჯახს მხოლოდ იმის გამო ნუ შეინარჩუნებ, რომ ქმარი გყავდეს და ვიღაცების გაკიცხვის საგანი არ გახდე. წარმატებებს გისურვებ!

უცნობი:

„მივესალმები ჟურნალ „გზის" მკითხველებს. ჯერ 15 წლის ვარ და უკვე ბევრი პრობლემა მქონდა. ძალიან პატარა ვიყავი, როცა ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. მე დედასთან ვცხოვრობ. 2 წელია, რაც მამას გავახსენდი და მას შემდეგ, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი გვქონდა. საკმაოდ კარგად ვსწავლობ და თურმე, ქუჩაში მხოლოდ იმიტომ დამატარებდა, რომ ჩემით ეამაყა. მან ახლა გული კვლავ მატკინა და გადავწყვიტე, აღარასდროს შევურიგდე. თან, ამ ბოლო დროს მეგობრებმაც მიღალატეს. ყველა კაცი შემძულდა და საშინლად მარტოსული ვარ. :((“

— თინეიჯერულ ასაკში მსგავსი პრობლემა ბევრ მოზარდს აქვს. ამ მხრივ, არც მე ვიყავი გამონაკლისი. დამიჯერე, მალე ყველაფერი გაივლის და მამასთან ურთიერთობას ისევ ააწყობ. მერწმუნე, შვილი ყველა მშობელს უყვარს და ამიტომაც, მას შეცდომები უნდა მიუტევო... თუ შენმა მეგობრებმა ზურგი გაქციეს და თავს მართლა ასე მარტოსულად გრძნობ, შემიძლია, მეგობრობა გაგიწიო. თუ ამის სურვილი თავადაც გაგიჩნდება, ლიკას მეშვეობით დამიკავშირდი.

ენსი:

„პრივეტ". ტელეფონით გავიცანი ბიჭი, რომელმაც თავი შემაყვარა. ჰოდა, ამას მიხვდა თუ არა, რას არ იგონებდა, რომ არ ვენახვე. დავშორდი, ახლა კი ცუდად ვარ. დამეხმარეთ, რაიმე მირჩიეთ".

— შეეცადე, ვირტუალური სიყვარულისგან თავი შორს დაიჭირო. დამიჯერე, ბედნიერების მოტანა მხოლოდ რეალურ ურთიერთობას შეუძლია, ანუ როცა ადამიანს თვალებში უყურებ, მის ჟესტებს აკვირდები და ა.შ. გრძნობ, ამ ადამიანს შენ მიმართ მართლა რაღაც გრძნობა ამოძრავებს თუ უბრალოდ, ერთობა. ჩემო კარგო, გული არ გაიტეხო, დრო მოვა და ეს ამბავი დაგავიწყდება. აუცილებლად შეხვდები ადამიანს, რომელიც შენი სიყვარულის ღირსი იქნება.

მარი, *14 წლის:*

„ყველა ბიჭი ცდილობს, მეკაიფოს. მათ რატომღაც ჰგონიათ, რომ „ავარდნილი" ვარ. არადა, არც „ლოვე" მყოლია და არც არავისთვის მიკოცნია. რატომ მექცევიან ასე?"

— მარი, ამქვეყნად როგორც კარგი, ისე ცუდი ადამიანებიც არსებობენ. არასდროს არაფერი გააკეთო მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ვიღაცას მოსწონს ან არ მოსწონს. აკეთე ის, რაც გინდა, რაც სიამოვნებას მოგანიჭებს. თუ ვიღაცებს შენში რაღაც არ მოსწონთ, ეს მათი პრობლემაა. შეეცადე, ყოველ მომდევნო დღეს იმაზე უკეთესი იყო, ვიდრე მანამ იყავი. წარმატებებს გისურვებ!

უცნობი:

„ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. შეყვარებული მყავდა და საზღვარგარეთ წავიდა. ერთი კვირაა, რაც დავშორდი და ლამისაა, თავი მოვიკლა".

— ამის გამო თავის მოკვლა ნამდვილად არ ღირს. შეეცადე, სხვა რაღაცაზე გადაერთო. მერე კი — ხომ გაგიგონია: დრო ყველაფრის მკურნალიაო... იმედია, შენი შეყვარებული მალე დაბრუნდება და ძალიან ბედნიერები იქნებით.

სალო, *16 წლის:*

„ჩემი მეგობარი რაღაცის შესახებ მოვატყუე და დამშორდა. მართალია, ბოდიში მოვუხადე, მაგრამ მაინც არ მიმიღო. ის ადამიანი ძალიან მიყვარს. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ დავიბრუნო უახლოესი ადამიანი? დახმარებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას".

— შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ გააჩნია, რა შეცდომას დაუშვებ. მგონი, ისეთს არაფერს გააკეთებდი, რისი პატიებაც ძალიან ძნელია. ჰოდა, ცოტა ხანში სიბრაზე შენს მეგობარსაც გაუვლის და შეგირიგდება. ისე, შეცდომის გამო მეგობარი მეც დავკარგე, მაგრამ როცა მივხვდი, დამნაშავე ვიყავი, მას მოვუბოდიშე და დღეს, ჩვენ ისევ ვმეგობრობთ. თუ მეგობარმა შეცდომა არ გაპატია, ე.ი. ამად არ უღირხარ. ასეთი ადამიანი კი დამიჯერე, ნამდვილ მეგობრობას ვერ გაგიწევს.

კუკუშა:

„დედა, მამა და ძმა საზღვარგარეთ არიან. ძალიან ცუდად და მარტოსულად ვგრძნობ თავს. მაგრად დავსევდიანდი. დამეხმარეთ და მირჩიეთ, რა ვქნა?"

— (იცინის) შე დალოცვილო, აქ რა დაგრჩენია?! შენც წადი საზღვარგარეთ და მარტო არ იქნები.

უცნობი:

„აუ, დამეხმარეთ, რა. ბებიას, ბაბუას და მამიდას ვერ ვიტან, რადგან მე და ჩემს მშობლებს ძალიან გვამწარებენ: 2 სახლი გვაქვს და საცხოვრებლად ცალკე გადასვლის უფლებას არ გვაძლევენ. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

— მათ სასამართლოში უჩივლეთ (იცინის). იცი, რა, თქვენ სახლი მაინც გაქვთ და იმან რა თქვას, ვისაც წასასვლელი არსად აქვს და მთელი ცხოვრება ვილაცის ხუშტურების გათვალისწინებით უწევს ცხოვრება?.. ამ პრობლემის გადაწყვეტაში მხოლოდ პროფესიონალი იურისტი თუ დაგეხმარებათ, მაგრამ თუ ამანაც ვერ გიშველათ, მაშინ სოზარ სუბარს მიმართეთ...

ნაპო, *15 წლის:*

„ვიცი, არც ამ მესიჯის დაბეჭდვა მიშველის რაიმეს, მაგრამ მაინც, ცდა ბედის მონახევრეა. ძალიან ვიტანჯები და ჩემს ტანჯვას მხოლოდ ფურცლებს ვუზიარებ. არავის ვაინტერესებ. ალბათ, ადამიანების პატივისცემას არც ვიმსახურებ. გარშემო მყოფები ბევრ ბოროტებას მიკეთებენ, მე კი ყველასთვის სიკეთე მინდა. იქნებ, რაიმეში დამეხმაროთ?.. ლიკ, იმედია, ჩემს გულისტკივილს უპასუხოდ არ დატოვებ. გმადლობ და ძალიან მიყვარხარ“.

— ჩემო კარგო, ხომ გაგიგონია: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო. ამქვეყნად, კეთილს ბოროტი ყოველთვის ებრძოდა. აკეთე კეთილი საქმეები და შეეცადე, იყო ძლიერი, რათა ბოროტებაზე გაიმარჯვო. წარმატებებს გისურვებ!

უცნობი, *17 წლის:*

„თქვენი დახმარება მჭირდება. ერთი ბიჭი მოსატაცებლად დამდევს და ამის გამო, მშობლები ყველგან მცველებივით დამყვებიან! იმ ტიპს თავიდან ვერ ვიშორებ, მისი ძალიან მეშინია, მაგრამ ამას არ ვიმჩნევ. ჩემს ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით?“

— შენს ადგილას, მას თავ-პირს „გავუნგრევდი“ (იცინის). უცნობო, ნებისმიერი ძალის წინააღმდეგ ნებისმიერი ძალის გამოყენება შეიძლება. ეს შეიძლება იყოს სიტყვა, მუშტი, საქმის გარჩევა (ოღონდ, არა ქურდულად) და ა.შ. მას დაელაპარაკე, აუხსენი, რომ მის გვერდით ვერასდროს იცხოვრებ და იქნებ, შეგეშვას. აბა, შენ იცი.

ანა, *20 წლის:*

„სანამ გავთხოვდებოდი, ერთი ბიჭი მიყვარდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ცოლად სხვას გავყევი. ჩემი უბედურება ისაა, რომ პირველ სიყვარულს ვერაფრით ვივიწყებ. თუმცა, არც ქმრის მიმართ ვარ გულგრილი. თან, შვილი მყავს, რომელიც უკვე 3 წლისაა. დამეხმარეთ, რაიმე მირჩიეთ, გთხოვთ“.

— საერთოდ, ჯერ ერთი საქმე უნდა დაამთავრო და მეორე მხოლოდ ამის შემდეგ წამოიწყო. თუ ქმარს უყვარხარ და მის მიმართ რაღაც გრძნობა შენც გაქვს, ჯობია, ოჯახის შენარჩუნებაზე იფიქრო და ის ტიპი დაივიწყო, მაგრამ თუ არაფერი გამოგივა, დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართე. შემიძლია, ერთი კარგი სპეციალისტის მისამართი გიკარნახო.

უცნობი:

„გამარჯობათ. ვარ 20 წლის. ერთ ბიჭს ვუყვარვარ და მეც მიყვარს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქორწინებამდე ჩემთან დაწოლა მოინდომა, დავშორდი. მართალია, მაშინ ურთიერთობაზე უარი ვუთხარი, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ უზომოდ მიყვარს. ჰოდა, რა ვქნა?“

— რთულია, რაიმე გირჩიო, მაგრამ მას გულწრფელად რომ უყვარდე, აუცილებლად გაგიგებდა. დაელაპარაკე და იქნებ, ურთიერთობა განაახლოთ. თუ არაფერი გამოგივა, ეი. მას შენ მიმართ სულ სხვა რაღაც ამოძრავებდა. ასეთ ადამიანთან ურთიერთობა კი არ ღირს.

მატილდა:

„თქვენი მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად გწერთ. ძალიან მიყვარხართ ყველანი და თქვენი რჩევა მჭირდება. 23 წლის ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ე.წ. „შეყვარებული“ მყავდა, არასდროს არავინ მყვარებია. ყველა თაყვანისმცემელს მალევე ვშორდები. ამ დროს იმაზე არ ვფიქრობ, რომ მათ გულს ვტკენ. არ ვიცი, რა ვქნა. რატომ არ შემიძლია ვინმეს შეყვარება, როცა ამის დიდი სურვილი მაქვს?“

— ეი. შენშია რაღაც პრობლემა. იქნებ, ადრე ვილაცამ გული გატკინა და ახლა სხვებზე იყრი ჯავრს?.. ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგის დახმარება გჭირდება. იქნებ, სულაც, შენს ცხოვრებაში ჯერ არ გამოჩენილა ადამიანი, რომელიც შენს სიყვარულს იმსახურებს. ადრე თუ გვიან, ის შენამდე აუცილებლად მოვა. მაგრამ მას ძალიან შორსაც ნუ დაუწყებ ძებნას, რადგან შეიძლება, ახლოს იყოს...

უცნობი:

„ქალიშვილი არა ვარ და მეშინია, რომ ვერ გავთხოვდები. იქნებ, თქვენი მეშვეობით ისეთი ვინმე გავიცნო, ვისთან ერთადაც ოჯახს შევქმნი. გთხოვთ, რამე მიშველეთ, თქვენი იმედი მაქვს. გკოცნით ყველას. ლიკ, გამაცანი ვინმე და ამ ამბავს არასდროს დაგივიწყებ (*სამწუხაროდ, მე ვერაფრით დაგეხმარები, რადგან ამ საქმეში სრულიად გამოუცდელი ვარ. — ავტ.*)“.

— სანამ რაღაც ნაბიჯს გადადგამ, კარგად უნდა დაფიქრდე. ისე, არა მგონია, დღეს ეს პრობლემა იყოს, რადგან ქალწულობას ყურადღება ნაკლებად ექცევა. შენც წარმატებებს გისურვებ! იმედია, სურვილი აგიხდება და მალე გათხოვდები.

ქალიშვილი არა ვარ და მეშინია, რომ ვერ გავთხოვდები

მიშა ანდღულაძე:

– ჩემი აზრით, „გზა“ ერთ-ერთი ნორმალური ჟურნალია იმ ჟურნალებს შორის, რომლებიც დღესდღეობით საქართველოში გამოდის. საერთოდ, ჟურნალს და ნებისმიერ გამოცემას ჟურნალისტების მიხედვით ვაფასებ. „გზა“ კი ის ჟურნალია, რომლის ჟურნალისტებს „ნდობის მანდატი“ აქვთ ანუ მე თქვენ გენდობით. ახლა, რაც შეეხება ჩემს კომპეტენტურ რჩევებს: მინდა, რომ უფრო მეტად დახელოვნდეთ საკუთარ საქმეში, ზუსტად გესმოდეთ რესპონდენტების ნათქვამი და მას თქვენეული ინტერპრეტაციით არ ბეჭდავდეთ; კორექტურასაც მიაქციეთ ყურადღება და ხანდახან, თ-ს დასაწერად, კომპიუტერის კლავიატურაზე „ტ“-ს რომ დააჭერთ თითს, მეორე თითი „შიფტსაც“ დაჭკარით ხოლმე იმისათვის, რომ ზუსტად დაწეროთ ის, რაც გინდათ; მერე, დაბეჭდეთ რაც შეიძლება წვრილი შრიფტით – ეს ქაღალდს დაგაზოგვინებთ. შემდეგ, შენობიდან გარეთ რომ გახვალთ, თბილად ჩაიცვით – რა ვიცი, ჯერ კიდევ მარტია და ამინდი მატყუარაა.

„თუ გიყვარს, მისთვის იბრძოლე!!!“

„გზის“ №10-ში დაიბეჭდა 18 წლის ნ.მ-ის მესიჯი, რომელშიც გვწერდა, რომ მისმა შეყვარებულმა, რომელსაც უზომოდ უყვარდა, იმის გამო, რომ ხშირად კამათობდნენ, მომავლის იმედი დაკარგა და გადაწყვიტა, ბერად აღიკვეცოს. გოგონა ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებს და დასძენს: ვერაფრით ვიფიქრებდი, თუ ჩვენს სიყვარულს ასეთი დასასრული ექნებოდაო.

„ყოქებში ეტყობა, რომ ბერად ნამდვილად არ აღიკვეცება...“

ენ-ჯი:

„ჩემო კარგო, კარგი იქნება, თუ იმ ბიჭს გულახდილად დაელაპარაკები. მოსთხოვე აგიხსნას, რატომ იქცევა ასე?! დაფიქრდი, იქნებ, ერთმანეთი არ გიყვართ და მართლაც სჯობია, რომ ბერად აღიკვეცოს?..“

თეთრი ვარდი, *თელავიდან:*

„კამათობდით? — ე.ი. ერთმანეთს უსიტყვოდ ვერ უგებდით. ეს კი ცუდია, ჩემო კარგო, ცუდი. ბერად აღკვეცა ამ 3 თვის განმავლობაში თუ ვერ გადაათქმევინე, შეეშვი, მაინც ველარაფერს გახდები, რადგან მან უკვე აირჩია თავისი გზა. მე მესმის შენი და ვიცი, თუ როგორი ძნელია საყვარელი ადამიანის დაკარგვა, მაგრამ მერწმუნე, დრო ყველაფრის მკურნალია. ღმერთი გფარავდეს“.

ლაშა, *18 წლის;*

„ზუსტად თქვენნაირი ამბავი გადამხდა თავს. ბერად აღკვეცა მეც მინდოდა. ამის სურვილი იმიტომ გამიჩნდა, რომ საყვარელმა ადამიანმა დამივიწყა. ჩვენზეც ვერავინ იფიქრებდა, რომ ერთად აღარ ვიქნებოდით, მაგრამ... ჰოდა, ერთხელაც მივიღე გადაწყვეტილება, რომ მთელი ცხოვრება ღმერთისთვის მიმეძღვნა... კარგი იქნება, თუ ერთმანეთს წყნარად და გულახდილად დაელაპარაკებით. წარმატებებს გისურვებთ!“

მის რეალი:

„შენ და შენმა შეყვარებულმა დახმარებისთვის ფსიქოლოგს უნდა მიმართოთ. ცოდოები ხართ, რომ რაღაც სისულელის გამო, ლამაზი სიყვარული დაკარგოთ. თუ გიყვარს, მისთვის იბრძოლე!!! შემეხმიანე, ნომერი ლიკასთანაა“.

ლუნა:

„კარგი, რა, თავს ნურაფერში იდანაშაულებ. დამიჯერე, თუ ნამდვილად უყვარხარ, არ მიგატოვებს და ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებებს გისურვებ! უფალი გფარავდეთ“.

უცნობი:

„ჩემი აზრით, ახლა ბედნიერი უნდა იყო და უნდა გიხაროდეს, რომ შენი საყვარელი ადამიანი ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზას დაადგა. ჩემო კარგო, ყველანი უფლის შვილები ვართ. თანაც, შენი მეგობრის გადაწყვეტილება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ცოლის მოყვანა და ბედნიერად ცხოვრება არ შეუძლია. პირიქით, ღმერთი დაუბრუნებს იმედს, ძალას და ბედნიერების აღქმის უნარს. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი ადამიანის უკანასკნელი გზა ხომ მაინც უფლისკენ მიდის?! ეს ჩემი აზრია, თქვენ კი გისურვებთ, ღმერთმა ბედნიერები გამყოფოთ!“

ლიმონა-მანუ:

„აუ, ეს ბიჭები გამაგიჟებენ, რა... ნ.მ. შენი შეყვარებული ან თავის გრძნობაში არაა გარკვეული, ან მაგარი მატყუარაა და თვითონაც არ იცის, რა უნდა. შენც თუ გიყვარს და მასაც უყვარხარ, არ მესმის, რა ეტაკა? მას კოჭებში ეტყობა, რომ ბერად ნამდვილად არ აღიკვეცება, რადგან ეგოისტი და საკუთარ თავზე შეყვარებული ტიპია. თანაც, ეს ძალიან ალოგიკური, თითიდან გამოწოვილი მიზეზია დასაშორებლად... აუუ, არ გავათახსირე?! ნეტავ, რატომ? — რატომ და, ყოველი მეორე გოგოსგან დაახლოებით ასეთი ჩივილი მესმის. კარგით, რა, ბიჭებო, გრცხვენოდეთ!!! აუფ, „დავიგრუზე“.

ნინი:

„ჩემო კარგო, თავს ნუ იდანაშაულებ. ადამიანი ასეთ გადაწყვეტილებას უცბად არ იღებს. ბერად აღკვეცას დიდი სულიერი მომზადება სჭირდება. თუმცა, შენი ნაამბობიდან ვხვდები, რომ მას ეს საბოლოოდ ჯერ არც გადაუწყვეტია. საყვარელო, ყველაფერი უფლის ნებაა. დამიჯერე, ცხოვრება წინ გაქვს და შენ აუცილებლად გეწვევა ნამდვილი სიყვარული. ღმერთმა გაგაძლიეროს“.

უცნობი:

„როგორც ვიცი, ბერად აღკვეცა არც ისე მარტივი საქმეა და ეს არც მცირე დროში ხდება. ასე რომ, მანამდე კიდევ ბევრჯერ დაფიქრდება და სწორ გადაწყვეტილებასაც მიიღებს. შენ კი თავს ნურაფერში დაიდანაშაულებ. P.S. ლიკა, კიდევ ერთხელ რომ გთხოვო, შენს რუბრიკაში ლალი მოროშკინას არ მოიწვევ? (*ჩემო კარგო, „თინეიჯერულ პონტებში“ ქალბატონი ლალი უკვე გვყავდა. მაგრამ გულს არ დაგწყვეტთ და მას სხვა რუბრიკაში, უახლოეს მომავალში მოვიწვევთ. — ავტ.*)“.

ჩორი-ჩორი:

„დაწყნარდი, ბერად აღკვეცაში ცუდი არაფერია. შენ უნდა გიხაროდეს, რომ მან რაღაც საშინელების ნაცვლად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. რა, არა?! და საერთოდაც, იქნებ, გეთამაშება?.. რა ვიცი, ასე ჩანს და... მგონი, მერყევი ტიპია. ღმერთს ებარებოდე“.

მეგრელი კისა, *16 წლის:*

„ბერად აღკვეცაში ცუდი არაფერია, მაგრამ თუ ერთმანეთი გიყვართ, არ მესმის, რა პრობლემაა? შეყვარებულს დაელაპარაკე და უთხარი, რომ მართლა გიყვარს და იმედია, გაგიგებს. მაგრამ თუ მაინც თავის პოზიციაზე დარჩა ანუ ვერაფერს გადააფიქრებინებ, ამ სიტუაციას უნდა შეეგუო. კარგი იქნება, თუ მის დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებ. ახლა ასე თუ არ მოიქცევი, შესაძლოა, საკუთარი საქციელი სანანებელი გაგიხდეს. მოძღვართან მიდი და რჩევა მას ჰკითხე. დარწმუნებული ვარ, დაგეხმარება. ბედნიერებას გისურვებ, იმ ბიჭთან ერთად“.

GREEN GIRL:

„თავს ნურაფერში იდანაშაულებ. მით უმეტეს, რომ მისი სიყვარულის შესანარჩუნებლად ყველაფერი გააკეთე. მგონი, ის ტიპი დაბნეულია და იმედია, ეს მალე გაუვლის. მოდი, დაელაპარაკე და შენთან ურთიერთობა აუკრძალე. აი, მაშინ გამოფხიზლდება და მიხვდება, სინამდვილეში რა უნდა“.

სანი პლანტი:

„თავადვე ამბობ, რომ თქვენ შორის ყველაფერი დამთავრდა. იპოვე ან დაელოდე ნამდვილ სიყვარულს. თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

ლომუა:

„პრივეტ“, ლიკუ. ვეხმაურები 18 წლის ნ.მ.-ს: ალბათ ხვდები, ეს ყველაფერი ვისი ბრალიცაა. ამაზე შენივე წერილის სათაურიც მიუთითებს. მართალია, გოგომ თავი უნდა დაიფასოს, მაგრამ იმდენად არა, რომ ყველაფერი გააუფერულოს. ალბათ, შენც ზედმეტი მოგივიდა და ის ბიჭი შენი შეუვალობით დაღალე. ჰოდა, ფაქტიც სახეზეა — იტანჯები! ახლა რომ გაიძახი, — საშინელი სტრესი მომაყენაო, ერთი წუთით მაინც თუ დაფიქრებულხარ იმაზე, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე, ის ტიპი თავად გყავდა სტრესის ქვეშ? რა უნდა გირჩიო, როცა შენ თავად არ გაუფრთხილდი სიყვარულს და

უკვე შედეგიც მიიღე... იქნებ, ახლაც არაა ყველაფერი მთლად დაკარგული? მიდი, შენსას მიაწექი! მე კი ერთ რამეს გირჩევ: ამპარტავნებას ზურგი აქციე და სიყვარულს თვალებში ჩახედე. დამიჯერე, ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთხელ ეწვევა ადამიანს და მას ასე იოლად ნუ დათმობ. აბა, შენ იცი, წარმატებები! P.S. ლიკუშ, დაიკო, ეს „ესემესები“ ერთ მესიჯად დამიბეჭდე, რა. წინა ნომერში უცნობის სახელით შეგიყვანივარ, რადგან ნიკის მიწერა დამავიწყდა. გმადლობ“.

პეტრუშკა:

„სიხარულო, მესიჯიდან ჩანს, რომ არაფერ შუაში ხარ. მგონი, შენი შეყვარებული საკუთარ თავში და გრძნობებში თავადვე ვერ გარკვეულა. კარგი იქნება, თუ დროებით მონასტერში მართლაც წავა. იქ დაფიქრდება, ყველაფერს გაანალიზებს და გადაწყვეტილებასაც (შენთან დარჩება თუ ბერად აღიკვეცება) საბოლოოდ მიიღებს. წარმატებებს გისურვებ!“

ნინი:

„ჩემი აზრით, უნდა დასხდეთ და დაილაპარაკოთ. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაირკვეს, რა უნდა იმ ბიჭს შენგან: მეგობრობა თუ სიყვარული?“

ბარბარე:

„საყვარელო, არ იდარდო, მან უფლის სიყვარულის გამო გადაწყვიტა ბერად აღკვეცა. ასე იმიტომ იქცევა, რომ ბოლომდე სიწმინდეს და სულიერებას ემსახუროს, რომ შენთვის ილოცოს, რათა ორმაგი ბედნიერება მოგენიჭოს. მან ღვთის წინაშე სწორი გზა აირჩია. მინდა, ერთი რამ იცოდე: ჩვენ ამქვეყნად უფლის წყალობით ვცხოვრობთ და ჩვენი ცხოვრება ბოლომდე უფალს უნდა მივანდოთ, რომ ვცხონდეთ! გთხოვ, თავი არ დაიტანჯო. პირიქით, ილოცე და უფალს ყველაფრისთვის მადლობა შესწირე. გისურვებ, ჭეშმარიტად ღვთისნიერად გეცხოვროს“.

თეკა:

„შენს შეყვარებულს დაელაპარაკე და აუხსენი, რომ უბრალო კამათის გამო საყვარელ ადამიანსა და ბედნიერ მომავალზე უარის თქმა არ ღირს. ჰოდა, დაფიქრდეს!“

ანუკა, *18 წლის:*

„ჩემო კარგო, დამშვიდდი, ხასიათი შეიცვალე და შეეცადე, მის მიმართ უფრო თბილი, ყურადღებიანი იყო. მერე ისიც დაფიქრდება და აუცილებლად შეიცვლის გადაწყვეტილებას. უკვე 3 წელია, საქმრო მყავს. ჩვენც ბევრჯერ გვიკამათია, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღემდე ერთად ვართ. თქვენ აუცილებლად უნდა დაუთმოთ ერთმანეთს რაღაცრაღაცები და წმინდა გრძნობას უნდა გაუფრთხილდეთ. გისურვებთ უდიდეს ბედნიერებას და სულ მალე დაქორწინებას. კეთილი სურვილებით“.

სოფი, *17 წლის:*

„შეყვარებულს დაელაპარაკე და შეეცადე, ეს ლამაზი გრძნობა არ დაკარგო. იქნებ, იმ ბიჭს რაიმე აწუხებს, ამის თქმას ვერ ბედავს და ასე ამიტომაც იქცევა? ორივეს ბედნიერებას გისურვებთ!“

ნეკატო:

„ჩემო კარგო, ამ ყველაფრის მიზეზი ორივემ საკუთარ თავში უნდა ეძებოთ. დამიჯერე, ხშირი ჩხუბი და კამათი ადამიანის ფსიქიკაზე ძალიან ცუდად მოქმედებს. ჰოდა, ალბათ ამიტომაც დაკარგა მან იმის იმედი, რომ ერთად ბედნიერები იქნებით და გამოსავალს ბერად აღკვეცაში ეძებს. შენი შეყვარებული იმაში უნდა დაარწმუნო, რომ აღარასდროს იკამათებთ, ერთმანეთს ყოველთვის გაუგებთ და მხარში ამოუდგებით. უფალი გფარავდეთ“.

ეკა:

„ჩემი აზრით, შენს შეყვარებულს დრო უნდა მისცე, რომ ყველაფერში თავადვე გაერკვეს. დამიჯერე, ტყუილუბრალოდ ნერვიულობა არ ღირს“.

პაწია:

„კარგი იქნება, თუ შენს შეყვარებულს აეჭვიანებ. ამ შემთხვევაში ის მიხვდება, თუ რას განიცდის სინამდვილეში შენ მიმართ და ისევ დაგიბრუნდება. შეიძლება, სულელური რჩევა მოგეცი, მაგრამ მე ასე მოვიქცეოდი. წარმატებებს გისურვებ!“

კოზა:

„თუ იმ ბიჭს ბერად აღკვეცა აქვს გადაწყვეტილი, ხელს ნუ შეუშლი. თუ ის ღვთის მსახურადაა დაბადებული, მაინც ვერაფერს გახდები, ხოლო თუ ამ საქმისთვის შეუფერებელია, მას უფალი სწორ გზას აუცილებლად უჩვენებს და უკან დაგიბრუნდება. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ“.

„ROLUS MASLOSAN VARR, GVINDA MEKETEBA DA MAVIWYDEBA, ROM NATESAVEBI VARROS“

პრუფჩიკა:

„გამარჯობათ. ლიკ, ბოდიში, ასე გვიან რომ გაწუხებ, მაგრამ შენი და ჩემი თანატოლების რჩევა ძალიან მჭირდება. მინდა, ბავშვებს ჩემი უბედურება გავუზიარო და იმედი მაქვს, ისინი გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარებიან. შემიყვარდა ნათესავი — ჩემი დის მაზლი. თავიდან ამას არ ვამჟღავნებდი, რადგან მას „ლოვე“ ჰყავდა, მაგრამ დრო გადიოდა და ვხვდებოდი, რომ ჩემ მიმართ მასაც გაუჩნდა რაღაც გრძნობა, სულ მისი ყურადღების ცენტრში ვიყავი, ყველა ნაბიჯს მიკონტროლებდა. თავიდან მაგარი „ძმებივით“ ვიყავით, ბოლოს კი ვეღარ მოითმინა და გამომიტყდა, რომ ვიზიდავდი, ვჭირდებოდი. ჰმ, მაკოცა კიდეც, მაგრამ მე ამის შემდეგაც არ ვიკარებდი, რადგან მის „ლოვეზე“ ვფიქრობდი. ცოტა ხანში ჩემი დის მაზლი შეყვარებულს დაშორდა და გამომიცხადა: თავიდან მხოლოდ მიზიდავდი, ახლა კი თავდავიწყებით მიყვარხარო. მეც მიყვარს და ალბათ ამიტომაც, დავუჯერე. ახლა ვხვდები, რომ ერთმანეთი მართლა გვიყვარს, უერთმანეთოდ ვერ ვძლებთ. მართალია, ხშირად ვჩხუბობთ, მაგრამ ეს მალევე გვავიწყდება. როცა მასთან ვარ, ტვინი მეკეტება და ისიც კი მავიწყდება, რომ ნათესავები ვართ. ბავშვებო, მირჩიეთ რამე, თორემ გავაფრენ. მიყვარს, მაგრამ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. გთხოვთ, ნუ გამკიცხავთ. აბა, ჩემს ადგილას წარმოიდგინეთ თავი და... გოგონებო, ალბათ, თქვენ უფრო გამიგებთ. ხომ იცით, რომ აკრძალული ხილი უფრო გემრიელია. ჰოდა, რა ვქნა, დამაბრმავა სიყვარულმა და ამხელა ცოდვას ჩავდივარ. ის 20 წლისაა, მე — 15-ის. ყველანი მიყვარხართ“.

P.S. თუ პრუფჩიკას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

მეხვედრა დედასთან 8-წლიანი განშორების შემდეგ და მამის მოლოდინში გალეული ბავშვობა

დავით დემეტრაძე მეუღლესთან — ანინა მახარაძესთან ერთად (ერთადერთი ფოტო, რომელიც ოჯახს შემორჩა. ყველა დანარჩენი, როგორც „სალხის მტრების“ სურათები, განადგურებულია...)

„გზის“ №9-ში გამოქვეყნებულ სტატიას — 1937 წლის სისხლიანი ქრონიკა...“ — მასში ნახსენები დავით დემეტრაძის შვილი, ალექსანდრე დემეტრაძე გამოეხმაურა და გულისტკივილი გაგვიზიარა. საქმე ის გახლავთ, რომ იმ დროს ბატონ ალექსანდრე 1 წლის გახლდათ და მამა, ბუნებრივია, არც ახსოვს. გარდა ამისა, დავით დემეტრაძე, რომელიც 33 წლის ასაკში დახვრიტეს, ზოგიერთ მის თანამედროვეს „ჩამშვები“ ეგონა და სწორედ ამის გამო, ჩვენმა რესპონდენტმა ასე მოიხსენია...

თამუნა კვინიკაძე

ალექსანდრე დემეტრაძე:

— მამა 1904 წელს ქუთაისში დაიბადა. სწავლა-განათლების მიღების შემდეგ, კომპარტიის ცეკაში, ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგედ დაიწყო მუშაობა. ამ დროს, ზემდგომი ორგანოებისგან მწერალთა კავშირის დაარსების დავალება მიიღო. მან ეს დავალება შეასრულა. 1931 წლიდან მწერალთა კავშირის კომისიის წევრი, ბოლოს კი — პირველი მდივანი იყო. კავშირის თავმჯდომარე თათარაშვილი გახლდათ, რომლის დაჭერის შემდეგ, მის მოვალეობას მამა ასრულებდა. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ დავით დემეტრაძე „ჩამშვები“ არასდროს ყოფილა. როცა შინსახკომის თანამშრომლები რომელიმე მწერალს დააპატიმრებდნენ, მამას, მწერალთა კავშირის კრების ჩატარებას ავალდებულებდნენ, სადაც დაპატიმრებულის კავშირიდან გარიცხვის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. ვინც ამ აზრს ემხრობოდა, პოზიციას ხელის აწევით ადასტურებდა. ამის შემდეგ, ადგენდნენ სპეციალურ ოქმს. აი, ეს იყო მამაჩემის „დანაშაული“ — თუკი შეიძლება, ეს დანაშაულად ჩაეთვალოს... ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო იმ საზარელ წლებში, დღეს ამ თემაზე მსჯელობა ძალზე რთულია. მიუხედავად ამისა, მაინც ვიტყვი: მამა ბოლშევიკების წინააღმდეგ რომ წასულიყო, უკეთესი იქნებოდა. 1937 წელს იგი დააპატიმრეს და დახვრიტეს. მაშინ მე 1 წლის ვიყავი, ჩემი და კი — 7-ის. მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო ჩვენი უბედურება. იმავე წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს დედაჩემიც. ბინა, ავეჯი — ყველაფერი, რაც კი გვებადა, წაგვართვეს და 1 ოთახში შეგვასახლეს.

1937 წელი ჩვენი არაერთი ნათესავისთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა

— უდედმამოდ დარჩენილი მცირეწლოვნების აღზრდა ვინ ითავა?

— ოჯახში მოსამსახურედ, რუსი ქალი გვყავდა. დუნია გაუთხოვარი იყო. დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, ჩვენთან დარჩა და საკუთარი შვილებივით გაგვზარდა. ბუნებრივია, ყურადღებას ნათესავებიც არ გვაკლებდნენ. 1937 წელი ჩვენი არაერთი ნათესავისთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა. მამის დახვრეტისა და დედის გადასახლების გარდა, დეიდაჩემი და მისი მეუღლე (კოტე გორდელაძე), ასევე, დედის ბიძაშვილიც დახვრიტეს.

— მამათქვენი რა ბრალდებით დააკავეს ან როგორ მოხდა მისი აყვანა — ამის შესახებ გამზრდელი არ გიამბობდათ?

— 1937 წელს, მამა თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ლიტერატურის მუზეუმის დირექტორად გადაიყვანეს. ცოტა ხანში, ის საკუთარ კაბინეტში დააპატიმრეს, ოჯახიდან არ წაუყვანიათ.

— თუ იცით, რა ბედი ეწია მას დაპატიმრების შემდეგ?

— არა, მის შესახებ ახლობლებმა არაფერი იცოდნენ. მამის დახვრეტის ამბავი, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა რეპრესირებულთა რეაბილიტაცია მოხდა, მაშინ გავიგეთ.

— როგორც ცნობილია, მამათქვენის დაკავების შემდეგ, მისი ტყუპისცალი ძმაც დააპატიმრეს.

— დიახ. კონსტანტინე დემეტრაძეს მემკვიდრე არ დარჩენია. იგი თბილისის სკოლების და კულტურის განყოფილებაში მუშაობდა. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ტყუპი ძმა ერთად დაუხვრეტიათ.

ჩვენს საუბარს ალექსანდრე დემეტრაძის ბიძაშვილი, გიორგი დემეტრაძეც ესწრებოდა. მან გვითხრა, რომ 1937 წელს აიყვანეს და დახვრიტეს დავითის მამიდაშვილი, გენერალი გიორგი ქუთათელაძე; ხოლო მამამისი — არჩილი დახვრეტას ერთი ქალბატონის წყალობით გადაურჩა.

გიორგი დემეტრაძე:

— მამა ცეკაში მაღალი თანამდებობის პირ ქალბატონთან მეგობრობდა. როცა მას, დასაპატიმრებელთა სიაში მამაჩემის შეყვანის ამბავი შეუტყვია, ბერიასთან კაბინეტში შევარდნილა და, — არჩილ დემეტრაძე პატიოსანი კაცია, ნუ დაიჭერთო, — დაჩოქილს უთხოვია. ბერიას იმწუთშივე ქობულოვისთვის დაურეკავს და უთქვამს, — არჩილ დემეტრაძეს ნუღარ დაიჭერთ, აგრონომი ყოფილა და სამსახური მიეცითო. აი, ასე გადაურჩა მამა რეპრესირებას.

— ცნობილია, რეპრესირებულთა ოჯახებში მისვლას უახლოესი ნათესავებიც კი ერიდებოდნენ. თქვენს შემთხვევაშიც ასე იყო?

ალექსანდრე დემეტრაძე:

— მატერიალურად ძალიან გვჭირდა, ძირითადად, ბიძაჩემი — არჩილი გვეხმარებოდა. ბებია ჩვენთან ცხოვრობდა, არჩილი მას მალულად ქუჩაში ხვდებოდა და პროდუქტს აძლევდა. რეპრესირებული ძმის სახლში დედის სანახავად რომ მისულიყო, ამის ეშინოდა...

— დედათქვენი მეუღლის დაპატიმრებისთანავე აიყვანეს?

— იმ დღეებში — არა, მაგრამ მალე დააპატიმრეს. 8-წლიანი სასჯელი გამოუ-

ტანეს, აქედან 3 წელი ციხეში გაატარა, 5 კი — სვერდლოვსკის ოლქში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, თბილისში ცხოვრების უფლება არ მისცეს. საცხოვრებლად, მამაჩემის მშობლიურ რაიონში — ბაღდათში წავიდა.

— 8-წლიანი განშორების შემდეგ, დედათქვენთან შეხვედრის წუთებს როგორ გაიხსენებთ?

— იმ დღეს სკოლაში ვიყავი. გაკვეთილიდან გამომიყვანეს, დღეს დედაშენი ჩამოდისო, — მითხრეს და სადგურში წამიყვანეს. დედას პატიმრის ფორმა ეცვა, მომეფერა, გულში ჩამიკრა, მაგრამ... ის ჩემთვის უცხო ქალი იყო!.. დროთა განმავლობაში ნელ-ნელა შევეჩვიე. ჩემი გამზრდელი — დუნია სიცოცხლის ბოლომდე, ჩვენს ოჯახში დარჩა.

— იმ პერიოდში „ხალხის მტრის“ შვილებს, რეპრესირებული მშობლების გამო, ბევრი დაბრკოლება ხვდებოდათ. თქვენს შემთხვევაშიც ასე იყო?

— არა, ამ მხრივ, რაიმე სახის წინააღმდეგობა არ შემხვედრია. მაშინ, იმდენად პატარა ვიყავი, მომხდარს ვერც ვაცნობიერებდი. მახსოვს, როცა დედას წერილს უგზავნიდნენ, უფროსები ფურცელზე ხელს მადებინებდნენ და კალმით ასოებს მახაზვინებდნენ... უკვე გითხარით, მამის დაპატიმრების შემდეგ, 1-ოთახიან ბინაში შეგვასახლეს, მაგრამ იქაც გვავიწროებდნენ. როცა დედა, მონატრებული შვილების სანახავად სოფლიდან ჩამოვიდოდა (რაც მას აკრძალული ჰქონდა), იმწუთასვე ზემდგომ ორგანოებს ატყობინებდნენ... ბავშვობამ მამის მოლოდინში გაიარა. მამა, დღეს თუ არა, ხვალ მოვამეთქი, სულ ასე მეგონა. როცა ჩემი მეგობარი, მეზობლის ბიჭი, დედაჩემს ვინმე მამაკაცთან დალაპარაკებულს დაინახავდა, ამბავი მოჰქონდა და მეუბნებოდა, — იქნებ, ის კაცი მამაშენი იყოო... ■

ალესანდრე დემეტრაძის ბიძა – კონსტანტინე

დამწვარი სახლი გალში

აფხაზური გვარი მაქვს, მაგრამ მთელი გულით ქართველი ვარ

უკვე თხუთმეტი წელია, სოფიო ლაკერბაია, ოჯახთან ერთად, თბილისში დევნილის სტატუსით ცხოვრობს. ომი, ტყვიები, შიში, — 12 წლის იყო, ეს ყოველივე რომ გამოიარა. ახლა აფხაზეთის შესახებ შვილს უყვება და იმ დღეზე ოცნებობს, როდესაც ღირსეულად დაუბრუნდება მშობლიურ მიწა-წყალს.

დედამ შვილი თავისი ხელით დაკრძალა და აფხაზ ბოევიკებს რომ არ ეპოვათ, საფლავზე ბოსტანი გააშენა

ემა ტუხიაშვილი

— ყოველთვის, როდესაც თბილისში გაზაფხული დგება, მახსენდება აფხაზეთში ჩვენი კარ-მიდამო. არ მიწყინოთ, მაგრამ საქართველოს ამ კუთხეში განსაკუთრებული გაზაფხული იცის, ყველაფერი ნაირფერი ყვავილებითაა მოჩითული. 12 წლის ვიყავი, როდესაც გალი დავტოვეთ, მაგრამ მისი ყოველი კუთხე-კუნჭული მახსოვს. მენატრება ჩემი სკოლა, სადაც ახლა თურმე, აფხაზურ და რუსულ ენებზე მიმდინარეობს სწავლება. არადა, გალის №1 საშუალო სკოლა მთლიანად ქართულენოვანი იყო და მოსწავლეების დიდი უმრავლესობა ქართველები ვიყავით. გალში ლამაზი კულტურის სახლი გვქონდა, სადაც ბავშვები სხვადასხვა შემოქმედებით წრეზე დავდიოდით. რა თქმა უნდა, ყველაზე პრესტიჟული, ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის შემსწავლელი წრე იყო. იქვე იყო კინოთეატრი, სადაც ხშირად, ქართული კინოს შედევრებს უჩვენებდნენ.

— სოფო, შენ გვარის წარმომავლობის შესახებ მიამბე. როგორც ვიცი, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობაში შენი მოგვარე მინისტრია.

— ჩემი შორეული წინაპრები გუდაუთიდან ყოფილან, ბაბუა კი საცხოვრებლად, გალში გადასულა. ჩვენი გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით ხშირად უჩნდებათ კითხვები: ზოგს აფხაზი ვგონივარ, ზოგიც — მეგრელს მეძახის. მე კი ყველასთვის ერთი პასუხი მაქვს — ის, რომელიც ჩემმა წინაპრებმა შთამაგონეს: ეროვნებით ქართველი ვარ, ჩვენი გვარი კი, მეგრულ-აფხაზური წარმომავლობის გახლავთ. არც ბაბუამ, არც მამამ და არც მათმა შემდგომმა თაობამ ერთი სიტყვაც კი არ ვიცით აფხაზურად.

— როდესაც აფხაზეთში ვითარება დაიძაბა, საინტერესოა, შენ, როგორც ბავშვმა, ეს როგორ აღიქვი?

— შიში დამეუფლა, რადგან ჩვენამდე ქვემეხების გასროლის ხმა აღწევდა. მშობლებს ვთხოვე, ჩემი საწოლი ფანჯრის მახლობლად დაედგათ, რათა საშიშროების შემთხვევაში, გაქცევა შემძლებოდა. შიშს ისე ვყავდი შეპყრობილი, რომ ერთხელ მშობლებმა იმ დროს მომისწრეს, როდესაც მძინარე, ფანჯრიდან გადაძრომას ვცდილობდი... ბავშვი ვიყავი, ამიტომ კარგად არც კი მესმოდა ამ კონფლიქტის მიზეზი. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ „ისინი“ ადრე თუ გვიან, ჩვენამდეც მოაღწევდნენ და ყველას დაგვხვრეტდნენ. ამიტომ ზაფხულის სიცხეების მიუხედავად, დღე და ღამე, ტანზე გაუხდელად მეცვა სქელი ქურთუკი, რადგან მჯეროდა, რომ მას ტყვია ვერ გახვრეტდა.

— რატომ იყავი ასე დარწმუნებული, რომ აფხაზები რამეს დაგიშავებდნენ?

— როდესაც კონფლიქტი გაღვივდა, მამამ ხელში იარაღი აიღო და საქართველოს მთლიანობის დასაცავად წავიდა ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, აფხაზების წინააღმდეგ იბრძოდა. მერე ჩვენმა კეთილმოსურნეებმა შეგვატყობინეს, რომ აფხაზებს მამაჩემი ე.წ. შავ სიაში ჰყავდათ შეყვანილი და ეძებდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეველიეთ ჩვენს მშობლიურ სახლს და ზუგდიდისკენ მიმავალ გზას დავადექით. გზაში ამბავი დაგვანიეს, რომ აფხაზებმა ჩვენს სახლს ქვემეხი ესროლეს და ნანგრევებად აქციეს. ცეცხ-

ლი მეზობელი აფხაზის სახლს რომ არ მოსდებოდა, თავად აქრობდნენ თურმე გაჩენილ ხანძარს. ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო, როდესაც მამაჩემის ქართველობის გამო ვისჯებოდით. აფხაზებმა სახლი მანამდეც დაგვიწვეს, ჩვენ კი მხოლოდ იმის გამო გადავრჩით, რომ უსაფრთხოების მიზნით, ღამეს სახლის გვერდით აშენებულ ავტოსადგომში ვათევდით. გალი 1993 წლის 30 სექტემბერს დავტოვეთ. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე უამრავი ხალხი მიდიოდა და ყურში ჩამესმოდა ქალების შემზარავი კივილი: „მოდიან, მოდიან!“ სახლიდან თითქმის არაფერი წამოგვიღია, რადგან ტვირთი



სოფიო მშობლებთან, შვილთან და დისშვილთან ერთად

სწრაფად სიარულში ხელს შეგვიშლიდა. ჩემმა დამ ფოტოსურათების ალბომი წამოიღო, მე კი ჩვენი ძაღლი, ტუზიკი წამოვიყვანე. ფეხით მოვდიოდით... უსაფრთხოების მიზნით, ცენტრალური გზიდან გადავუხვიეთ და ტყეს შევაფარეთ თავი. ყველაზე მეტად, ჩემს უმცროს ძმას უჭირდა ასობით კილომეტრის ფეხით გავლა, ამიტომ მონაცვლეობით ხელში აგვყავდა. გზადაგზა შიმშილიც შეგვახსენებდა ხოლმე თავს და აქა-იქ ხეებზე შემორჩენილ ხურმასა და კოროლიოკს ვკრეფდით. ენგურის ხიდთან მისულებს, უამრავი ადამიანი დაგვხვდა და ყველას სურდა ხიდზე გადასვლა. ამას ბევრი დრო დასჭირდებოდა, ჩვენ კი ამდენი დრო არ გვქონდა, რადგან აფხაზები სულ უფრო გვიახლოვდებოდნენ. ცოტა ხნით ნათესავთან, განმუხურში შევაფარეთ თავი, მაგრამ მალე აფხაზები იქაც გამოჩნდნენ. მახსოვს, მშობლებმა გარიჟრაჟზე გაგვაღვიძეს დამფრთხალი ბავშვები და თავის გადასარჩენად, იძულებული გავხდით, მდინარე ენგური გადმოგვეცურა. კარგად მახსოვს, 1993 წლის 10 ოქტომბერი იყო, დილის 6 საათი, როდესაც ენგურში შევედით და ყინულივით ცივმა წყალმა ადგილზე გამაშეშა. ცალ ხელში ჩემი ძაღლი მეჭირა და სიცივისგან გათოშილი, განძრევას ვერ ვახერხებდი. ამ დროს ვიღაცამ იყვირა: ბავშვს უშველეთ, ხის მორი მოცურავსო! — და მე მხოლოდ მაშინ დავინახე, რომ უზარმაზარი მორი წყალს ჩემკენ მოჰქონდა. ვიღაც კაცმა ჩამავლო ხელი და ძაღლთან ერთად, მეორე ნაპირზე გამიყვანა. სულ რაღაც ნახევარი საათით გამოვასწარით აფხაზებს, რადგან ამასობაში, ენგურის სანაპიროზე უკვე მათი ტანკები განლაგდნენ.

— როგორც ვიცი, ამ კონფლიქტს შენი უახლოესი ნათესავი შეეწირა. მის შესახებ მიამბე.

— აფხაზებმა 32 წლის დეიდაშვილი, ჯონი შამუგია მომიკლეს და მის ცხედარზე, გარკვეული ფულადი ჯილდოს სანაცვლოდ, ძებნაც კი გამოაცხადეს: არ ვიცი, კონკრეტულად ვინ, მაგრამ ვიღაც გავლენიანი აფხაზი, ჯონის მოკვეთილ თავს ითხოვდა თურმე. დეიდაჩემი სოფელ ზემო ბარღებში ცხოვრობდა და შესაბამისად, შვილის ცხედარიც თავდაპირველად, ამ სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს. შემდეგ, როდესაც მისი ძებნის შესახებ შეიტყვეს, დეიდამ გადაწყვიტა, ჯონის ნეშტი სახლის ეზოში დაეკრძალათ. წარმოიდგინეთ, დედამ საკუთარი ხელით დამარხა შვილი და, აფხაზებს რომ არ ეპოვათ, საფლავზე ბოსტანი გააშენა. აფხაზებმა სახლის ყველა კუთხე-კუნჭული გაჩხრიკეს, მაგრამ რას იფიქრებდნენ, რომ მიცვალებულის გულზე ოხრახუში და ნიახური ბიბინებდა?!. მხოლოდ წლების შემდეგ გადაასვენეს ჯონის ნეშტი სოფლის სასაფლაოზე, მაგრამ მის საფლავის ქვას დღემდე, გამოგონილი სახელი და გვარი აწერია...

— ამდენი წელია, თბილისში ჩამოხვედით და თქვენს ოჯახს საბინაო პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რატომ აქვს?

— გალიდან წამოსულებმა, ერთი წელი ზუგდიდში ვიცხოვრეთ, შემდეგ მამამ თბილისში იშოვა სამსახური და ოჯახიც წამოგვიყვანა. როდესაც ჩამოვედით, დევნილების კომპაქტური ჩასახლების ადგილები გადავსებული იყო და ჩვენი ოჯახისთვის თავისუფალი ფართობი ვერ გამოინახა, ამიტომ სოლოლაკში, ძველ სახლში პატარა ოთახი ვიქირავეთ და ქირით 9 წელი ვიცხოვრეთ. შემდეგ, კეთილი ადამიანების დახმარებით, იქვე ახლოს მდებარე ნახევარსარდაფში ერთი ოთახი შევაკეთეთ, რომელიც პრივატიზებული არ არის და შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. 6 წელია, ცხრა სული, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, ამ სარდაფში ვცხოვრობთ და ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ თავშესაფარი მაინც გვაქვს და ჩვენი თოთხმეტლარიანი შემწეობა ბინის ქირაში არ გვეხარჯება. მაგრამ ცოტა ხნის წინ, ამ საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხე დაგვემუქრა: ერთ-ერთმა მეზობელმა მისი პრივატიზება განიზრახა და თუ უსამართლობა ისევ იზეიმებს, ქუჩაში აღმოვჩნდებით.

— ისევე, როგორც აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობა, ალბათ შენც ოცნებობ სახლში დაბრუნებაზე...

— ჩემს სახლს, ეზოს, ქუჩას, სადაც ბავშვობა გავატარე, ხშირად ვნახულობ სიზმარში. ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც ეს ამიხდება, როდესაც ჩვენს მიწაწყალზე შვილს ჩავიყვან და საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს გავაცნობ. სხვათა შორის, ეს ნატვრა ჩემმა ბებიამ უკვე აიხდინა: ის გაეროს წარმომადგენელთა დახმარებით, მშობლიურ კუთხეს ესტუმრა და საახალწლოდ, გალის ციტრუსები ჩამოგვიტანა, რომლებსაც ჩვენი ეზოს სურნელი ასდიოდა...

■

ნესტან კირთაძე, პოლიტიკოსი:

„გზას“ იშვიათად ვკითხულობ. თქვენ ჩემ მიმართ მწყრალად ხართ განწყობილები და იშვიათად გახსენდებით. მომავალში თუ მეტად ვითანამშრომლებთ, თქვენი ჟურნალის აქტიური მკითხველი გავხდები. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ სახელწოდება „გზა“, პერიოდიკის სხვა გამოცემების სახელწოდებებისგან განსხვავებით, ღრმად ფილოსოფიურია. როგორც ისტორიკოსმა, შემიძლია გითხრათ, რომ დღევანდელი პუბლიცისტიკა მომავალი ისტორიკოსებისთვის მნიშვნელოვანი იქნება. ამ ამხრივ, „გზა“ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მედიის ნაწილს განეკუთნება და ნაკლებად ბულვარულია. ის არ ჰგავს იმ ყვითელ ჟურნალებს, რომელთა ყდებიც თვითდამკვიდრების სურვილით ანთებული ადამიანების გალერეას წარმოადგენს.

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ჰაიმორიტი

ოჰ, ისევ ეს საშინელი სურდო!.. რა გაეწყობა, როგორმე უნდა გავუძლო..... ერთი კვირა ვისრუტუნებ და მერე ყველაფერი თავისით გამივლის. — ფიქრობს ბევრი თქვენგანი სურდოს პირველი უსიამოვნო ნიშნების გაჩენისთანავე. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ერთი კვირაც გადის, უფრო მეტიც, სურდო კი არათუ თავს განებებთ, რაღაც უცნაური თავის ტკივილებიც ემატება... ამის შემდეგ, ყველა გონიერი და საკუთარ ჯანმრთელობაზე მზრუნველი ადამიანი იძულებულია, ოტოლარინგოლოგს მიმართოს. ეს უკანასკნელი კი აუცილებელი მანიპულაციების ჩატარების შემდეგ, ჰაიმორიტის დიაგნოზსაც სვამს. მოდი, გავერკვეთ, რა დაავადებაა ეს და როგორ გადადის ჩვეულებრივი სურდო ჰაიმორიტში.

სურდოს დროს ცხვირის ღრუებში ინფექცია იბუდებს, პათოგენური ბაქტერიები ცხვირის ლორწოვანი გარსის შეშუპებას იწვევს და ისიც „იჭედება“. ჩნდება ლორწო, რომელიც თავიდან გამჭვირვალეა (ცინგლები გდით), შემდეგ კი სქელდება და მწვანე ფერსაც იძენს. აი, აქ კი უკვე მეტი ყურადღებაა საჭირო. მწვანე ლორწოს გაჩენა ძლიერი ანთების ნიშანია. სურდოს დროს ჩვენ ხშირად ვიხოცავთ ცხვირს და მის გამოწმენდას მთელი ძალითაც ვცდილობთ. და ამ დროს, როგორც წესი, იშვიათად თუ გვახსენდება, რომ ცხვირის ღრუები მჭიდროდაა დაკავშირებული ჰაიმორიტის ღრუებთან, რომლებიც ცხვირის ორივე მხარეს, თვალებქვეშ მდებარეობს. ცხვირის ინტენსიური მოხოცვის შედეგად, ლორწო ამ ღრუებში ხვდება და იწვევს ანთებას ანუ ჰაიმორიტს.

ჰაიმორიტის დიაგნოსტიკა

ექიმი ჰაიმორიტს გასინჯვის — ცხვირში გამაფართოებლის ჩადგმისა და ყოველი ნესტოს გულმოდგინე ვიზუალური დათვალიერების — შემდეგ ადგენს. მაგრამ ზუსტი დიაგნოზის დასმა მაინც მხოლოდ რენტგენის მონაცემების შემდეგ ხდება. ჰაიმორიტის შემთხვევაში რენტგენის სურათზე თვალებსა და ზედა ყბას შორის არსებული არე, გაუმჭვირვალე, თეთრი იქნება.

ჰაიმორიტის დადგენა დამოუკიდებლადაც შეიძლება. ამისთვის საჭიროა, დადგეთ ფეხზე, შემდეგ კი ნელ-ნელა წინ დაიხაროთ. ჰაიმორიტის შემთხვევაში ჰაიმორიტის ღრუებისა და შუბლის მიდამოებში მქაჩავ ტკივილს იგრძნობთ.

ხანდახან ისეც ხდება, რომ ზედა კბილების ფესვები ჰაიმორიტის ღრუებთან ძალიან ახლოს მდებარეობს და მაშინ ჰაიმორიტით დაავადებული ადამიანი მთელ ზედა ყბაში მუდმივ ტკივილს გრძნობს.

მწვავე და ქრონიკული ჰაიმორიტი

მწვავე ჰაიმორიტზე მუდმივი თავის ტკივილი, ცხვირიდან სქელი ლორწოვანი გამონადენი და შიგნიდან მოჭერა მიანიშნებს. ავადმყოფი მოწყვეტილი და დასუსტებულია.

თუ ჰაიმორიტს არ უმკურნალებთ, ის ქრონიკულ ფორმაში გადავა. ამ დროს ტკივილი თანდათან ქრება, მაგრამ ცხვირის „გაჭედვა“ და პერიოდული თავის ტკივილები რჩება. ასეთ შემთხვევაში სისხლძარღვების შემავიწროებელი საშუალებების დიდი რაოდენობით გამოყენება იმ მიზნით, რომ როგორმე ცხვირით სუნთქვა შევძლოთ, სახარბიელო არ არის. არადა, ბევრი სწორედ ასე იქცევა. მაგრამ თუ ცხვირის „გაჭედვის“ მიზეზი ჰაიმორიტია, ამ გზით განკურნებას კი არა, მხოლოდ გამოყენებული წამლებისადმი მიჩვევას მიაღწევთ.

აღსანიშნავია, რომ ქრონიკული ჰაიმორიტის დროს, ცხვირში მუდმივად არის ინფექციის კერა, ამიტომაც ნებისმიერი გადაცივება ანდა ალკოჰოლის (რომელიც პირდაპირ იმუნიტეტს „ურტყამს“) ბოროტად გამოყენება, აუცილებლად ხანგრძლივ სურდომდე მიგვიყვანს. ქრონიკული ჰაიმორიტის არასახარბიელო მიმდინარეობისას ცხვირში ვითარდება პოლიპები, რომლებიც ქირურგიული გზით უნდა მოვიშოროთ. ქრონიკული ჰაიმორიტის ყველაზე უსიამოვნო შედეგი კი მაინც სუნის შეგრძნების დაკარგვაა.

ჰაიმორიტის მკურნალობა

მწვავე ჰაიმორიტის დროს ექიმი ავადმყოფს ანტიბიოტიკებს უნიშნავს. ამჟამად არსებობს საკმაოდ ძლიერი პრეპარატები (ზიტროლიდი ან მაკროპენი), რომლებსაც ავადმყოფობის დამარცხება სულ რაღაც სამ დღეში შეუძლია. ამ პრეპარატებიდან ერთ-ერთის თითო კაფსულა დღეში ერთხელ, ჭამის წინ უნდა მიიღოთ და დიდი რაოდენობის წყალიც აუცილებლად დაყოლოთ. არსებობს ჰაიმორიტის სამკურნალო უფრო ძველი ანტიბიოტიკებიც. მაგალითად, ამპიცილინი, ამოქსიცილინი ან ცეფალექსინი. ანტიბიოტიკს ექიმი საკუთარი შეხედულებისა და, რაღა თქმა უნდა, იმის მიხედვითაც შეგირჩევთ, კონკრეტულად თუ რომელ პრეპარატზე არ გექნებათ ალერგია. გარდა ამისა, სუნთქვის შემამსუბუქებლად ექიმი სისხლძარღვების შემავიწროებელ საშუალებებსაც (გალაზოლინი, ნაზოლი, ოტრივინი და სხვები) დაგინიშნავთ, მაგრამ იმასაც აუცილებლად აგიხსნით, თუ რამდენად ხშირად შეიძლება მათი მიღება. თუ არსებობს ეჭვი, რომ ჰაიმორიტის მიზეზი ალერგიული რეაქცია გახდა, ექიმი ალერგიის საწინააღმდეგო საშუალებებს: კლაროტადინს, ტავეგილს, ცენტრინ სუპრასტინს, ზირტეკს, კლარიტინს დაგინიშნავთ.

„გუგულის“ მეთოდი

თუ ჰაიმორიტი მძიმედ არ მიმდინარეობს, მაშინ პაციენტს რბილი კათეტერით სინუს-ევაკუაციას უტარებენ. ამ პროცედურის არსი შემდეგში მდგომარეობს: ავადმყოფი წევს ზურგზე. ექიმს ერთ ნესტოში შეჰყავს რბილი კათეტერი, ხოლო მეორეში — გამოსაქაჩი. ავადმყოფმა, სული რომ არ შეუგუბდეს, გამუდმებით „გუ-გუ-გუ-გუ“ (სწორედ აქედანაა დასახელებაც — გუგულის მეთოდი) უნდა იძახოს. ასეთ შემთხვევაში ცხვირის ხახასთან კავშირი ფერხდება და სითხე ხორხში არ ხვდება. ერთი სიტყვით, კათეტერით ფურაცილინის ხსნარი მიეწოდება, პაციენტი „გუ-გუ“-ს გაიძახის, ხოლო გამოსაქაჩი კი სითხეს ჰაიმორ-

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის ჟურნალი	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

პრესის გავრცელების საგენტო

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

ქ. თბილისი
ოსტროვსკის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

იტის ღრუს შიგთავსთან ერთად ექაჩება. ამ პროცედურის დასრულების შემდეგ ღრუში, რაღაც რაოდენობის ფურაცილინის ხსნარი რჩება, რაც ჩირქის წარმოშობას უშლის ხელს. საერთოდ, ეს მეთოდი დიდი ეფექტურობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, ზოგჯერ კი რამდენიმე პროცედურის ჩატარებაც აუცილებელი ხდება, რის შემდეგაც ავადმყოფს ჰაიმორიტის ღრუს მიდამოებში ძლიერი ტკივილი რჩება.

ჰაიმორიტის ღრუს პუნქცია

ანტიბიოტიკების გარდა, ექიმს შეუძლია ავადმყოფს ჰაიმორიტის ღრუს პუნქციის ჩატარებაც შესთავაზოს. ეს პროცედურა რთული არ არის და არც სპეციალურ მომზადებას ითხოვს. ექიმი იღებს წვრილ შპატელს, რომელსაც ბოლოზე ლიდოკაინში დასველებული ბამბა ექნება წამოცმული. შპატელი ნესტოში ღრმად იდგმება. მანამადე აუცილებელია იმ ადგილის გაუტკივარება, სადაც გაჩხვლეტა უნდა მოხდეს. შემდეგ სტერილური ნემსით (ნემსი დიდი და მოღუნულბოლოიანი უნდა იყოს) ექიმი ცხვირის შესასვლელსა და ჰაიმორიტის ღრუს შორის არსებულ ძგიდეს გაჩხვლეტს (ანესთეზიის წყალობით, ეს პროცესი უმტკივნეულოა). შემდეგ ექიმი, ნემსს (გამოუღებლად) შპრიცს მიუერთებს და ღრუს შიგთავსს ფიზიოლოგიური ხსნარით გამორეცხავს. ავადმყოფს რომ სასულეში არაფერი გადასცდეს, ექიმი მას სთხოვს, პირდაღებული იჯდეს. ამ გზით ყველაფერი პირის ღრუს გავლით, გარეთ, სპეციალურად მომარჯვებულ ჭურჭელში ჩაედინება. ჰაიმორიტის ღრუს ფიზიოლოგიური ხსნარით ავსების პროცესი ძალზე უსიამოვნოა, ამ დროს ადამიანი ტკივილსა და შიგნიდან ქაჩვას გრძნობს. მას შემდეგ, რაც ღრუ ფიზიოლოგიური ხსნარით აივსება, დაავადებული ღრუდან შიგთავსის გამოდინება იწყება. ჰაიმორიტის ღრუ ჩირქით ხელახლა რომ არ აივსოს, ღრუში დიოქსიდინის ხსნარი შეჰყავთ.

ჰაიმორიტის მკურნალობაში ფიზიოპროცედურებიც დაგეხმარებათ. სოლიუქსის ან ულტრაიისფერი სხივების 5-7 სეანსი მდგომარეობას საგრძნობლად გაგიუმჯობესებთ.

თუ მკურნალობა დროულადაა დაწყებული, ჰაიმორიტი იოლად, ერთ კვირაში რჩება. ქრონიკული ჰაიმორიტისგან განკურნებას კი ბევრად უფრო მეტი დრო და შეიძლება, ოპერაციის გაკეთებაც დასჭირდეს. ოპერაცია ჰაიმორიტის ღრუსა და ზედა ყბის მიდამოში მუდმივი ნახვრეტის გაკეთების მიზნით ტარდება... ამ მიზნით, პირის ღრუში, ზედა ყბის ზემოთ, აკეთებენ ჭრილს და შემდეგ ღრუს შიგთავსს გულმოდგინედ გამოფხეკენ. ნახვრეტის ჩამოყალიბების შემდეგ, პირის ღრუში გაკეთებულ ჭრილს კერავენ. ასეთი ოპერაციის შემდეგ ჩირქი ჰაიმორიტის ღრუში აღარ გუბდება და ნახვრეტიდან ხახაში ჩაედინება. ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდი დაახლოებით ორი კვირაა.

ჰაიმორიტის გართულება

ცხვირი ის „შესანიშნავი" ადგილია, საიდანაც ინფექციას როგორც ყელში, ისე ფილტვებსა და ტვინში მოხვედრაც კი სულ ადვილად შეუძლია. ამიტომაც ჰაიმორიტის ყველაზე ხშირი გართულებები ფილტვების ანთება, ანგინა და მენინგიტია. ჰაიმორიტის მკურნალობაზე უარის თქმა არ შეიძლება, რადგან ის თავისით არ გაივლის და მხოლოდ ქრონიკულ ფორმაში თუ გადავა.

ჰაიმორიტის პროფილაქტიკა

ჰაიმორიტის თავიდან აცილებაში საკუთარი ცხვირისა და პირის ღრუების მდგომარეობაზე გულმოდგინე ზრუნვა დაგეხმარებათ. დროულად უნდა უმკურნალოთ კარიესიან კბილებს („ჭიანი" კბილი დაავადების გამომწვევი ბაქტერიების საუკეთესო გარემოა), არ უნდა დაუშვათ პირის ღრუში ანთებითი პროცესების (მაგალითად, ღრძილების ანთების) განვითარება. ცხვირი ჯანმრთელი უნდა იყოს, რადგან ის ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები ნებისმიერი ინფექციის მთავარი შესასვლელია. ამიტომაც ექიმები დაბეჯითებით გირჩევენ, რომ სეზონის პერიოდში შინიდან ყოველი გასვლისას, ცხვირის ნესტოებში ნებისმიერი ანტიმიკრობული საშუალება (მაგალითად, ოქსოლინის მალამო, სხვადასხვა სპრეი და ა.შ.) შეიზილოთ. ეს მარტივი პროცედურა არა მარტო სურდოსა და ჰაიმორიტისგან, არამედ გრიპის ვირუსისგანაც დაგიცავთ.

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

ოჯახის პედიატრი

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე და აკინძე

ჟურნალი ჟურნალში

ფეხკვრილები

13.03. – 19.03.2008

ოამბავი სიდედრზე

იდეალურ სიდედრს 2 ჯბილი უნდა ჰქონდეს. ერთი იმისთვის, რომ სიძეს „პახმელიაზე" ლუდის ბოთლი გაუხსნას და მეორე იმისთვის, რომ სულ სტეიოდეს...

ინტერვიუ

1. თუ პირველი ფოტოს ავტორისგან ფოტოს წინასწარ მეშოკვნა, გადაიღებ, რომ ეროვნი მეფობენ ფა ანა - ჩეფეენ". საკარელია, რომ 50 წლის კატაკლიზმული ხარ. ლამაზი ერთი ფოტოს „ეკ მინიმუმ". ხოდლის სიბერეს ოიფეფეოსანს ფეფი ფა ფოლეფეთი – ეფეთოდეფი. ახლა ეი წარსულს მოსაფი. მაგრამ პოლიტიკაში აკეთებ რაც ეს ეროვეეა. რეფეან ფეი. რომ „ეს ფონ" ფაკი ფაფარეფეს.

2. მეორე ფოტომ ალბათ რასტენიმე წელის წინანდელი მოგონებები აღეძინა. 4 წლის წინ ამ ფოტოს ფაბეფეთან ალბათ სასიამოვნო ფოფფეი კაკეკინ ბეფეი სასეზე. თუ ახლაც ფეფეე კინფეფეკეს. საკარელია. რომ სასრულეფენ ეეფსეკეეოსთან ეკეი თუ არა. ერთი ეროვი ხოდლის ფაფეკეეი ფაინეკ ეჩეკეი. ხოლოთ თუ ფოტოზე ფაკეეროვეეს ფაროს სიბერეზეი ფაფეფეკ ეს ხეფოფ ეროვ ფაფეფეფა. ალბათ კატაფეკარი ბინანსარი (თანამეფეთეფეს ეროვ) ხარ.

3. თუ ბეფაფ ეროვზე ფაკეეროვეეს ფაროს კაფეფეკ, რომ ბაფზე ალბეკეფილი ალეფეფეფეფ ეროვ ფაფეფეფ ეროვ ფაფეფეფ ეროვ ფა

ამბავი სიდედრზე

გულგახეთქილი და წამორტყმული სიდედრები ანუ „შარიკ პეჩალი“

მარი ჯაშარიძე

„მარი, დარწმუნებული ვარ, მაგრად გაახარე ბიჭები. გულს მოიფხანენ სიდედრების ლანძღვით. ალბათ, ფელამუშა თემას რომ წაიკითხავდა, მთელი ხმით შესძახებდა: ჯიგარი ხარ, მარი! — წარმომიდგენია, რამდენ სიდედრს აუტყდება სლოკინი და აეწვება ყურები ხუთშაბათიდან კვირამდე-კარგით, რა, ბიჭებო, ამ სარვამარტოდ მაინც შეიბრალეთ ის თქვენთვის არასასურველი ქალები, რომლებმაც თქვენი საყვარელი მეუღლე ან საცოლე გაზარდა P.S. თუმცა, როცა ეს ფრაზა სიდედრის მაგინებელ მეზობლის ბიჭს ვუთხარი, მიპასუხა: ჩემი თხა ცოლი რომ გაზარდა, იმიტომაც ვაგინებ, მაგისო... კამელია“. მართალი ხარ, ჩემო კამელია, ამ კვირის თემამ, მართლაც, ბევრ მამაკაცს აუშალა მესიჯის მოწერის საღერღელი, მაგრამ მათი უმეტესობა ისეთ თემაზე წერდა, რასაც თქვენს მახვილ სმენასა და მზერას ვერ ვაკადრებდი. სიდედრი — სიდედრია, მაგრამ შენ კაცი რომ ხარ, არც წუწუნი შეგფერის და არც „დედიკოს“ ლანძღვა-გინება. ასე რომ, როგორც ყოველთვის, ამ „გზავნილებშიც“ მხოლოდ ის მესიჯები მოხვდა, რომელმაც ცენზურას გაუძლო.

გულუხვი სიძე

„აჭარაში, გოგოს რომ გაათხოვებენ, 40 დღის მერე, მშობლებთან ბრუნდება. ერთი კვირის შემდეგ კი სიძე მიდის სტუმრად და უკან მოჰყავს თავისი რჩეული. ერთხელ ასეთი რამ მოხდა: სიძე მიდიოდა ცოლის წამოსაყვანად. იფიქრა — მოდი, ხორცს ვიყიდი და მივიტან; აბა, ხელცარიელი ხომ არ მივალო. ჭიშკარში რომ შევიდა, სიდედრი შემოეგება. გადაეხვია, თან ხედავს, სიძეს შარვლის „ზმეიკა“ ღია აქვს და „რაღაც“ მოუჩანს. სიდედრმა დიდი მორიდებით უთხრა: სიძევ, „ხორცი“ გიჩანს და დამალეო. მას კი ეგონა, ნაყიდ ხორცზე მეუბნებაო და არაფერი უთხრა. კიდევ შეახსენა სიდედრმა — „ხორცი“ გიჩანს და სირცხვილია, დამალეო. გაბრაზდა სიძე და მიახალა: მერე რა, რომ ხორცი მიჩანს, იმიტომ მევტანე, ყველამ ჭამოსო. აბლახანუმი“.

ტერორისტი

„მეზობელი მყავს, სიგარეტის მათხოვარი. მიუხედავად იმისა, რომ სულ აქვს, მაინც მათხოვრობს. გადავწყვიტე, რაღაცას გავუჩალიჩებ-მეთქი. ერთ ღერში თოფის წამალი ჩავყარე, ბირჟაზე გავედი და ველოდები მსხვერპლს... ეს სულ გადამავიწყდა და წავედი უნივერსიტეტში. ერთ-ერთმა დაცვის თანამშრომელმა სიგარეტი მთხოვა და მივაწოდე. მაინცდამაინც ის ამოიღო. სულ შეეტრუსა ულვაში და წარბები. დამიჭირეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ მცემდნენ ძაღლები, მე კი ვხარხარებდი; ვკვდებოდი სიცილით. რა გაცინებს, შენი დედაო! აუ, „პროსტა“ როგორ ამაყობენ ჩემი კურსელები, ეგეთი მაგარი რომ ვარ. სულ არავინ მთხოვს სიგარეტს, მთელ ქუთაისში. ვაუ“...

სნაკვი

„მაესტროს მესიჯმა ჩემი სოფელი გამახსენა. ამ ზაფხულს დასასვენებლად სოფელში გახლდით. დროის უმეტეს ნაწილს აქეთ-იქით წანწალში ვატარებდი. შესაბამისად, ერთობ უნიკალური დიალოგების მომსწრეც ვხდებოდი. „მარგალიტა, რძალი რაფრა გამაგადგა?“ „სიკვდილი და სნაკვი მაგას, სახლში არაფერს აკეთებს. ანთია 24 საათი სოჩიკის „ლამპოჩკასავით“ და თავი ბენდუქიძის ცოლი ჰგონია“. სიმართლე გითხრათ, დავინტერესდი, „სნაკვი“, რა იყო და მეზობელს ვკითხე. „მუდუ“, — იყო პასუხი. ერთხელ ჩემი ყურადღება მეზობლის პატარა ბავშვის ღიღინმა მიიპყრო. „სექსი, სექსი, სექს“! ეტყობა, რომელიღაც მექსიკურ სერიალში მოისმინა. თალიკო ბებია ეგეთ საკითხებთან ცოტათი მწყრალად გახლავთ. ისმინა, ისმინა, შვილიშვილის ამოჩემებული, უაზრო სიტყვის ძახილი, ბოლოს, ვეღარ მოითმინა და გაგულისებით მიაწყევლა: ჩეიგდე გოგო ხმა, თორემ დაგსეხსავ, თუ მევეი მანდო! აი, ასეთები ვართ იმერლები. ლეო91“.

მესიჯი „იქიდან“

„გამარჯობა, მალი დეიდა! ახლა „ბუცულაში“ ვზივარ და იქიდან გწერ. აქ კიდევ რამდენიმე თვე ვიჯდები და მერე გამოვძვრები. მოგწერ ხოლმე და დამიბეჭდე, ლაა... აუ, იცი, დედიკო რა გახარებულია? წინა კვირაში პირველად მოგწერა და გიჟივით ელოდა „გზის“ გამოსვლას. თან დაბადების დღე ჰქონდა და გული უგრძნობდა, მარი დამიბეჭდავს და „ნეპრიატნის“ დაარქმევსო. ჰოდა, ხუთშაბათ დილით გადაშალა „გზავნილები“ და ისეთი შეყვირა და შემობზრიალდა, რომ „ბუცულაში“ კოტრიალა გავაკეთე. უუჰ, ცოტა ნელა დედიკო, არაფერი მატკინო-მეთქი, მივუბრახუნე. ის გზავნილი ჩემს ბებიკოზე იყო და ჩარჩოში რომ ნახა, სულ გაგიჟდა. ახლა იმდენს მოგწერს ხოლმე... მალი დეიდა, ჩემს დედიკოს უთხალი, სათამაშოები, „პიპიები“ ჩაკლაპოს, რომ ვითამაშო ხოლმე. მარტო ზღაპრებს მიყვება. დეიდუკა, დამიბეჭდე, რა, დედიკოს ჯინაზე. „გეხვერწები“, „პარტუტა“ გულით. ღიპუცელას შვილიკო“.

სველი

„არ მყავს სიდედრი და სავარაუდოდ, არც არასდროს მეყოლება, თუ, რა თქმა უნდა, ცოლი არ შევირთე. ამიტომ, თქვენი ნებართვით, წინა კვირის თემაზე მოგწერთ. ორიოდე წლის წინ, ცოტა ვიავადმყოფე და ძალიან დავსუსტდი. იმდენად, რომ სახლის სადარბაზოში 7 სართულის ავლას მთელი საათი ვუნდებოდი. ჩვენ რომ ახლა საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის ან სხვა რომელიმე „დონე“ ქვეყნის მოქალაქეები ვიყოთ, გულწრფელად გაიკვირვებდით — გევლო მერე ლიფტით, რას იკლავდი თავსო, მაგრამ რადგან არც მე ვარ ინგლისელი და არც თქვენ ხართ ფრანგები და ყველანი ბედკრული საქართველოს შვილები ვართ, ამიტომ, ალბათ, მიხვდით, რომ ლიფტი გაფუჭებულია და მის კაბინაში ჩვენი უბნის ძაღლებს მყუდრო ბინა აქვთ მოწყობილი. ერთი სიტყვით, დამახვიეს ექიმები. ეს — ვიტამინებიო, ის — გადასხმებიო, გაძლიერებული კვება და გაგიკვირდებათ და ტრენაჟორებზე სიარულიც დამინიშნეს. მივაკითხე უახლოეს სპორტულ დარბაზს და ვარჯიშს შევუდექი. ერთხელ, სეანსის შემდეგ შხაპის გადასავლებად განგებ ყველაზე ბოლოს, მარტო შევედი. რა სჯობია ზაფხულში, ვარჯიშის შემდეგ გრილ შხაპს? ჰოდა, მეც ნებივრად მივიღე შხაპი, ონკანი ღიღინ-ღიღინით დავკეტე და კედელზე, იმ ადგილას, სადაც პირსახოცს ვკიდებდი ხოლმე, ხელი მოვაფათურე. ჯერ ღიღინი შეევწყვიტე, თვალები მოვიფშვნიტე და როცა გავაცნობიერე, რომ პირსახოცი არ მქონდა, ფერი მეცვალა. სახლში დამრჩენოდა. შენობაში დარაჯის მეტი არავინ იყო, მე კი ჯინსის და მაისურის გარდა არაფერი მქონდა, რომ ტანი და თმა შემემშრალებინა. სხვა რა გზა მქონდა? სულ გინებ-გინებით ჩავიცვი ტანსაცმელი სველ ტანზე და სახლში გავიქეცი. უნდა გენახათ ქუჩაში, გამვლელთა გაოცებული მზერა. სამარშრუტო ტაქსიში ხალხი კეთროვანივით მერიდებოდა. ორ სკამზე ვიჯექი გათხლაშული და წურწურით გამდიოდა წყალი. რომ ავდექი, სკამები გალუმპული იყო, მათ ქვეშ კი გუბე დამდგარიყო. მაშინ მივხვდი, რომ სპორტი ჩემი საქმე არაა. ეეეეჰ, ასე იცის ხოლმე, დაბნეულობამ. პენსიონერი“.

იდეალური სიდედრი

„მე და ჩემი ქმარი დედაჩემთან ვიყავით სტუმრად. ანეკდოტებს ვკითხულობდით. ერთი ანეკდოტი ასეთი იყო: — სიძემ თქვა, იდეალურ სიდედრს 2 კბილი უნდა ჰქონდეს. ერთი იმისთვის, რომ სიძეს „პახმელიაზე“ ლუდის ბოთლი გაუხსნას და მეორე იმისთვის, რომ სულ სტკიოდესო. ამ დროს ოთახში დედაჩემი შემოვიდა. მე ვკითხე: — დედა, რამდენი კბილი გაქვს საკუთარი-მეთქი (პროთეზი აქვს)? მიპასუხა — ორიო. მე და პაპუნა ჩავბჟირდით. დედასიდედრი კი გაოცებული გვიყურებდა. კახელი სალომე“.

„პატრულკა“

„ქუჩაში მივდიოდი და ის იყო, ჩიხში შევუხვიე, რომ ერთმა ბიჭმა ჩამიქროლა. ხმაც მომესმა. მივიხედე და „შპილკებზე“ შემდგარი პატრულის თანამშრომელი (თუ უბნის ინსპექტორი) ქალბატონი დავინახე, რომელიც ამ ყმაწვილს მისდევდა. მიუხედავად „პატრულკას“ ესოდენ დიდი შემართება-ენერგიისა, ამ უთანასწორო მარათონში გამარჯვება ბიჭს ხვდა წილად, რომელიც თვალს მიეფარა. ჩვენი „შპილკებზე“ ამხედრებული პატრული კი აქოშინებული გაჩერდა. რა გული მომითმენდა? მივუახლოვდი და თანაგრძნობით ვუთხარი — ქალბატონო, დაგეწყევლათ მაინც, წყევლა უფრო მალე მიეწეოდა-მეთქი, მაგრამ ქენი სიკეთე! ვინ დაგიფასა? აქეთ მომდგა და სულ ქოქოლა მაყარა (ეტყობა, ის ეწყინა, „ქალბატონო“ რომ ვუწოდე. ალბათ, თავს გოგონად მიიჩნევს). აუ, რაღაც შემამცივნა... აბა, რა იქნება, იმდენი მიძახა, შენ გაგაცივა წელშიო... :(ჩვენს ელისოს მინდა ვკითხო: ყველა პატრული ასეთი უმადურია? :) ლეო91“.

„ღამის“ სიძე

„ჩვენს ქალაქში ცხოვრობს ერთი კაცი. ცოლი სოფლიდან მოიყვანა. სიმამრი მაგარი მაყუთიანი იყო. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, დათვრა სიძე და გაუსკდა სიყვარულის ბუშტი. მოენატრა სიდედრ-სიმამრი, ადგა შუაღამისას და გაქანდა სოფლისკენ. ღამის 3 საათზე რომ მიადგა, სიდედრს კინაღამ გული გაუსკდა; თურმე უფიქრია, რაღაც ცუდი მოხდაო და ძლივს მოუბრუნებიათ ქალი. მერე სიძეს უბრძანებია, გინდა თუ არა, ამ „საღამოს“ ჩემთან სახლში უნდა წამოხვიდეთო. გაოგნებული სიდედრ-

სიმამრი კინაღამ შეშლილა — ამ შუაღამისას სად უნდა წამოვიდეთო, მაგრამ სიძე არ მოეშვა. ძალით ჩატენა ორივე მანქანაში და დედ-მამა ცოლს სახლში მიუყვანა. საცოდავები, თურმე შიშისგან ხმას ვერ იღებდნენ. შვილი რომ ნახეს, მერე ამოისუნთქეს. მერე ამ ნაგიჟარმა სიძემ ვითომ სიყვარული გამოხატა და რომ დაწვნენ, სიდედრსა და სიმამრს შორის ჩაწვა. აბაა, ეგრე იყო, ეგრე! გიო-93“.

„გელა“

„ჩემს დას ერთი ბიჭი შეუყვარდა (ახლა სიძეა), მაგრამ საგულდაგულოდ მალავდა. ერთხელ, ფაქტზე წავასწარი. სააბაზანოს დაორთქლილ სარკეზე ვნახე დაწერილი — „გელა“. წავშალე, ჩუმად გამოვიპარე ჩემს ოთახში და დღიურში ჩავწერე, რომ ვიღაც ბიჭი მიყვარდა და სააბაზანოში დაორთქლილ სარკეზე მისი სახელი დავწერე, წაშლა დამავიწყდა და დღესაც არ ვიცი, ეს ვინმემ წაიკითხა თუ არა. ავიღე ეს დღიური და მაცდურად დავუდე ჩემს ცნობისმოყვარე დას, რომელსაც სასტიკად ვუკრძალავდი ჩემი დღიურის კითხვას. მე სხვა ოთახში გავედი და შედეგის მოლოდინში გავიტრუნე. ცოტა ხანში ჩემი და გიჟივით შევარდა სააბაზანოში და გონზე მაშინღა მოვიდა, როცა ჩემი ხარხარი გაიგონა. კახელი სალომე“.

პოეტის საჩუქარი

„თელაველი გია მელაძე განგრეულ „პახმელიაზე“ იყო. ჯიბეში კი „კაპიკი“ არ უჭყაოდა. არადა, ლუდის წყურვილით კვდებოდა. შევიდა ლუდის ბარში და ბარმენს ადგილზე ექსკლუზიურად შეუთხზა ლექსი: „ლუდია დიდად შესარგი, ქაფი ლუდისა ფულია, რასაცა ქაფავ შენია, რაც არა — დაკარგულია. წყალწყალა ლუდი მით უფრო, ფულადა დაიგვარების, ლუდი უხმარ არს უქაფოდ, ქაფ ჭკუით მოიხმარების“. ბარმენმა მაშინვე 2 ბოკალი ლუდი უფასოდ დაალევინა. ეს ლექსი კი ლუდის მოყვარულთა ჰიმნად იქცა თელავში. კახელი სალომე“.

მუქთი „ჯიესემი“

„მოგეხსენებათ, ადრე მობილურით ბევრი მარიაჟობდა. სოფლად ერთი „სვეტსკი“ გოგჩო ჭიმზერდა, ბებიაჩემის ფაქიზოს თვალებით. სხეულის სხვა ამობურცული ნაწილებითაც წააგავდა ფაქიზოს. იყიდა დასაკეცი, ანტენიანი „ერიქსონი“ და გახარებულმა სისხამ დილით დამირეკა. თითქმის ნახევარი საათი მესაუბრა თავის ხარ-კამეჩზე. როდესაც მივხვდი, რომ მისი საუბარი „სკვაზნოით“ გაედინებოდა მეორე ყურში, ვუთხარი — დაგემშვიდობები, თორემ გაგითავდება ანგარიში-მეთქი. — ნუ დარდობ, გამყიდველმა მითხრა, 4-5 საათის განმავლობაში დატენე და დიდხანს გეყოფაო, მთელი ღამე ვტენე და არ არის პრობლემაო, — მიპასუხა. ვერ შევიშნე საბედო, თორემ სიდედრი „კაკ მინიმუმ“ „მ(ა)ტოროლას“ ფირმის მობილურს ატანდა მზითევში. სალამი და მოკითხვა ყველა მგზავნელს. მიმიღეთ თქვენს „გზაში“. რაჭველი“.

პიცაჭამია

„თხუთმეტიოდე წლის წინ, ჩემი ძმა თბილისში სწავლობდა. ჰოდა, მეც ჩავაკითხე. იმ დღეს მაგრად შევუბერეთ და მთელი ფინანსები ამოვწურეთ. მეორე დილას 10 ლარი გამოვართვი, დავემშვიდობე და მივდივარ ქუთა... უჰ, იმერეთშიიი... ერთი სიტყვით, მოვტასავებ მარჯანიშვილზე, გაგლეჯილ „პახმელიაზე“, მაგარი მშიერი და ვხედავ, დიდი ასოებით აწერია „პიცერია“. ვიფიქრე, მოდი, ქვეყანა რომ გიჟდება, მეც გავსინჯავ, რა არის ასეთი-მეთქი. ჰოდა, შევედი შიგნიიით. ადრეა და კაციშვილის ჭაჭანება არ არის. მივედი და ომახიანად ვეუბნები: 1 პიცა! — მთელი „პორციაო“? უცნაურად შემომხედა გაწრიპულმა გოგომ. ნეტავ, ამ მათხოვარს ვინ ვგონივარ? თვალები დავქაჩე. — დიახ, მთელი „პორცია“-მეთქი. — იცით, დიდი ბოდიში, მაგრამ მთელი „პორცია“ არ არის მზად და თუ დაელოდებითო? მეც, სად მეჩქარებოდა? დავჯექი და ვიყურები აქეთ-იქით. ვხედავ, კედელზე მენიუა გამოკრული და დიდი ასოებით წერია: პიცა — 15 ლარი. წამებში გამოსულხართ „პახმელიაზე“? მომენტალურად ამოვიღე სიგარეტი. არადა, „პახმელიაზე“ სუნსაც ვერ ვიტანდ და ამ დროს ეს გაწრიპული გოგო მეუბნება: — უკაცრავად, მაგრამ აქ არ ეწევიან, გარეთ მოსწიეთ და თქვენი შეკვეთაც მალე იქნებაო. მეც გარეთ გავედი, სიგარეტს მოვუკიდე და იმ გოგომ როგორც კი თვალი მომაცილა, გავიქეცი და დიდუბემდე არ გავჩერებულვარ. იქ კი პირდაპირი „რივოკით“ იმერეთში მიმავალ „მარშრუტკაში“ შევვარდი და დავჯექი. ამ დროს ვიღაც ბებიას ხაჭაპური არ ამოაქვს? მინდა ყიდვა, მაგრამ ვერ ვრისკავ. უეცრად ვიღაც ბავშვი აჯღავლდა, დედიკო, ხაჭაპური მიყიდეო, ეს საძაგელი კი არ ყიდულობს. გულში ვფიქრობ: უყიდე, დედიკო, დედიკო შენი-მეთქი! ბოლოს და ბოლოს, აღირსა და რომ შევხედე, რა გადაიხადა, მეც გავრისკე. გემრიელად ჩავკბიჩე და გულში ვთქვი — თქვენი თბილისი და თქვენი პიცაც-მეთქი. თქვენი იმერელი“.

ნუ შეშფოთდები და ეს მოგაღფოფებ.

ახლა ვიცი...

„მოგესალმებით ყველას. ყოველთვის მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა, ხალხს ასე გახარებოდა საკუთარი მესიჯის ნახვა „გზავნილებში“. დაახლოებით კი, მაგრამ ზუსტად ვერ წარმომედგინა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს განცდა. ახლა უკვე ყველაფერი ვიცი. ვიცი, როგორია განცდა, როცა აუჩქარებლად ფურცლავ „გზავნილებს“ და ნელ-ნელა კითხულობ. ცდილობ, არ შეიმჩნიო, მაგრამ გული გისკდება, იქნება თუ არა შენი მესიჯი დაბეჭდილი. უკვე ვიცი, როგორია, საკუთარ მესიჯს რომ ნახავ და სიხარულით — ვაშაო! დასძახებ და ამ დროს რა მტკივნეულია, „მარშრუტკის“ ჭერს რომ აარტყამ თავს. მერე უფრო ხალისით კითხულობ სხვების გზავნილებს, უფრო გულიანად იცინი. ხალხი კი ისე გიყურებს, რომ აშკარად დებილი ჰგონიხარ. მერე, მთელი დღე, გახარებული ყველას დებილივით უცინი. ამას სიტყვებით ვერ გადმოსცემ, ეს აუცილებლად თავად უნდა გამოცადო, რომ გაიგო. პერფექტ“.

მკვლელი ბებო

„ბებოს ქათმები ყოველთვის იხოცებოდნენ. როგორც თვითონ ამბობს, დაზრდიდა „საცოდავად“ და იკარგებოდნენ... მეზობლების ქათმები კი ჩვენს ეზოში დაბლატაობდნენ და სკდებოდა ქალი გულზე. ერთი ასეთი „ვიზიტის“ დროს, ბებო გაბრაზდა, თქვენ გაბლატავებთო, გაიფიქრა, მოუქნია კეტი ქათამს და... გასროლილი მიზანს მოხვდა. საწყალი ქათამი ერთი დატრიალდა და აიშვირა ფეხები. აი, ეგრეო, თქვა ბებომ და მეზობლის ვენახში მოისროლა. თავიდან კმაყოფილი ჩანდა; მერე, უეცრად მოგვიტრიალდა და გვკითხა — ბებო, ნეტავ ვისი ქათამი მოვკალიო? ველოდებით საღამოს. მოსაღამოვდა და ბებოს დაქალი უხმობს ქათმებს, წია, წიაო. ოო, გადავხედეთ ერთმანეთს და აგვიტყდა სიცილი. ამხელა ქალი ჩაიკეცა და ისე იცინოდა. ასე შემოგვეკლა ბებოს დაქალოჩკას ქათამი. თუ დამიბეჭდავ, წავაკითხებ მას და მის დაქალებს და ასე გავაგებინებ სიმართლეს. ჭიათურა“.

არამკითხე მოამბე...

„მამაჩემი ახლობლისთვის კრედიტს იღებდა. ჰოდა, ბანკიდან იყვნენ მოსულები. მამაჩემიც ხან რას ატყუებს, ხან — რას. — აი, რემონტი გავაკეთეთ... ამ დროს შემოდის ბებიაჩემი (მისი სიდედრი) და ამ ქალის გასაგონად ამბობს: აბა, ეგ რა რემონტია, შპალერი ძლივს ჩამააკარითო (ეგონა, „მიშას ვაუჩერების“ მოსაცემად იყვნენ და შეშინდა, აღარ მოგვცემენ, რომ გაიგონ, რემონტი გავაკეთეთო). ძლივს გავიყვანე გარეთ, თორემ ღმერთმა იცის, რას იტყოდა კიდევ. მის რეალი“.

დაბოლილი

„ერთხელ ჩემი ყოფილი „ლოვე“ ფოთში იყო. ბებია გარდაცვლილი ჰყავდა, მას კი მკვდრების სულების არსებობის სჯეროდა. ჰოდა, ბებიის გარდაცვალებით გამოწვეული დარდის გასაქარვებლად გადაწყვიტა, „დაბოლილიყო“ (პლანი მოსწია; ეტყობა, დიდი დოზით). ჰოდა, სახლში გვიან დაბრუნდა და აივანზე მეორე ბებია ელოდა, თეთრ ღამის პერანგში გამოწყობილი (ღამის 3 საათი იყო). ამან არ იცოდა, ის ბებიაც თუ იქ იყო და ეგონა, გარდაცვლილის სული გამომეცხადაო. ერთხანს, შორიდან შეშინებული უყურებდა და თვალებს იფშვნეტდა, ხომ არ მეჩვენებაო, მაგრამ როცა ბებია მისკენ წამოვიდა და გოგაო, დაუძახა, მაშინ კი იკადრა გაქცევა. — რა გინდა, რას მერჩიო, ყვიროდა თურმე. რომ გამოფხიზლდა, დაიფიცა, აღარ გავეკარები პლანსო. ბუბუსიკა“.

დილით „მოწველილი“

„ქართულის გაკვეთილზე ვიყავით. გაკვეთილად გვქონდა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მასწავლებელმა გვითხრა, ერთ-ერთ ნაწყვეტზე სპექტაკლი დავდგათო. დავინაწილეთ როლები და ეს ჩემი კლასელი დათო არის ზურიკელა. დაიწყო ზურიკელას სიტყვების ციტირება და უნდა ეთქვა — ბებიაჩემი დილით მწყევლისო და თქვა — ბებიაჩემი დილით „მწველისო“. იქ სიცილი ატყდაააა... უნდა გენახათ, როგორ ვიცინოდით. მასწავლებელმა იმდენი იცინა, რომ უკვე ცრემლებს იწმენდდა და სულ გაწითლდა. ანასტასი13“.

კარგი გაკვეთილი

„ზამთარი იყო. კლასში მასწავლებელი შემოვიდა, დაჯდა ღუმელთან და დაიწყო გაკვეთილის ჩატარება. ჩემი კლასელი გავიდა დაფასთან და რაღაცას წერდა. მასწავლებელს რაღაც ჰკითხა. ესეც წამოხტა და... სადღაა მასწავლებელი? უეცრად გაქრა. ვიყურებით ბავშვები და თურმე ჩვენ მიერ უწესრიგოდ მიყრილ შეშას ისე გულმოდგინედ ეხუტებოდა, როგორც დედა — დიდი ხნის უნახავ შვილს. სიცილისგან მის წამოყენებას ვერც ვახერხებდით და ისიც „ნებივრობდა“ შეშაზე, ვითარცა დამსვენებელი პლაჟზე. კიბო“.

„მგზავრები“

„აუ, დღეს რა მაგარი დღე იყოოო... დაუგეგმავად შევხვდით მგზავნელები ერთმანეთს. სასწავლებელში ვიყავი, ილინმა რომ დამირეკა — ქალუკ, შესასვლელთან გელოდებით, მე და მაესტროო. სიხარულისგან გადავირიე და სასწრაფოდ გავვარდი, ჩემი გოჭის სანახავად. მერე პარიჟანკა და ლელუჩიაც შემოგვიერთდნენ. ილინმა თავის დედიკოს, მგლის დას დაურეკა და ყველა ერთად გავქანდით „მზიურში“. იქ ბევრი ვიხალისეთ. ერთი ბიჭი გვყავდა და ლამის ჭკუიდან გადავიყვანეთ. მერე შეფი კანიბალკაც შემოგვიერთდა. ჰოოდა, დავუყევით გზას და „მზიურიდან“ რუსთაველზე ფეხით გავედით. დაგვატყდა ფეხები სიარულით. ვაა, კაცო, ეს ილინი რა ჩქარა დადიიიის! გიომ მერე კაფეში დაგვპატიჟა. გავაკოტრეთ, რა. ნუ, რა სიცოცხლეაა! ძალიან საყვარელი ყოფილა ჩვენი პარიზელი ქალიც. უჰ, ძაან ლამაზი საღამო იყო. ყველა უკვე მენატრება. გკოცნით, ლორე... ლორელაი. P.S. მარ, შენი დაპატიჟებაც გვინდოდა... მერე გავაკეთებთ ექსკურსიას და ხომ წამოხვალ? უკვე დავგეგმეთ, ქუთაისში. ლორელაი“.

„რუჩკები“

„ჩემი დედამთილის მეზობლად ცხოვრობს მეკუბოვე ომარი. ერთხელ, ომარა ძიას ჭირისუფალი მიადგა, ამოარჩია სასურველი კუბო და დაიწყო წუწუნი, ამდენი ფული არ მაქვს და ცოტას ვერ დამიკლებო? დაუკლო ომარამ 100 ლარი. კიდევ იწუწუნა იმ კაცმა და კიდევ დაუკლო 50 ლარი, მაგრამ არ ჩერდება ეს კაცი, წუწუნებს და წუწუნებს. გაბრაზდა ომარა მეკუბოვე და თავხედ ჭირისუფალს მიახალა: მოიტანე აქ შენი მკვდარი, „რუჩკებს“ მივაჭედებ აქეთ-იქით და ძალიან იაფად გამოხვალო. ბუსუსუნა“.

ნაცემი სიძე

„მამაჩემმა დედაჩემი მოიტაცა. თურმე, როცა სიძის ოჯახში დედაჩემის მშობლები პირველად მივიდნენ, იმ დროს წვიმდა. ბებიაჩემს, რა თქმა უნდა, ქოლგა თან ჰქონდა და სიძე ქოლგით სცემა. ჩემი მშობლების შეუღლებიდან წელს 45 წელი გადის და ბებო საკმაოდ მოხუცია. ამ ყინვების დროს გარეთ ტროსტის გარეშე არ გადიოდა. გამოთბა, მაგრამ ტროსტი მაინც ვერ მოიცილა. ჰოდა, მამა გვესტუმრა და ვუყვეთით, თუ როგორ მოიყვანა ჩემმა ძმისშვილმა ცოლი და ამ დროს კარი იღება და ბებია შემოდის. თან თავის ჯოხს ხელიდან არ უშვებს, თან სიძისკენ მიიწევს, რომ მოიკითხოს და გადაკოცნოს; მამაჩემი კი უკან-უკან იწევს და თან უყვირის — მე არ მომიტაცია, არაო. მერე მივხვდით, რომ მამას 45 წლის წინანდელი ცემა გაახსენდა და გაიფიქრა, სიდედრი ცემას მიპირებსო. ბებოს ჯოხი ისევ ქოლგა ეგონა. აი, ასეთი სიდედრი ჰყავს მამაჩემს. ბაჭია“.

„მკვდარი“ ვანია

„ჩვენს სოფელში ძალიან უცნაური და სასაცილო კაცი, ვანია ცხოვრობს. სოფელში მიცვალებული იყო. კუბო მეორე სოფლიდან უნდა წამოელოთ. გზაში წვიმა დაიწყო. ვანია „კუბაობე“ იჯდა და რომ არ დასველებულიყო, კუბოში ჩაწვა, თავსახურიც დაიფარა, ხუთი წუთის მერე კი მძინარე, სამოთხეშიც მოხვდა. მძღოლი კი ახლობელთან გაჩერდა და წვიმის გადალებას დაელოდა. მალე ქეიფიც გააჩაღეს. გვიან გაახსენდა, კუბო რომ სველდებოდა და ორი ბიჭი გაგზავნა, დროებით მის ჩამოსაღებად. ბიჭებს მძიმე ეჩვენათ და გადაწყვიტეს, ცალ-ცალკე წაელოთ. თავსახური რომ ახადეს და ვანია წამოჯდა, ბიჭები ტყვიასავით გაცვივდნენ, თან საშინლად ყვიროდნენ. უკან კი მათზე არანაკლებ შეშინებული ვანია მისდევდა. ეგონა, რაღაც საშინელება ხდებაო. ამის შემხედვარე ბიჭები კი სულ გაგიჟდნენ, „მკვდარი“ მოგვდევსო. შიშზე კი მკურნალობა დასჭირდათ. ლუჩო“.

„მიშას დამიკლავდი?“

„ერთხელ, მეზობელმა მეზობელს (პირობითად ნინო და ლეილა) საახალწლოდ ნაყიდი ინდაური ჩააბარა და თავად რამდენიმე დღით სოფელში წავიდა. ნინო ინდაურს კარგად უვლიდა, არც საჭმელს აკლებდა, არც წყალს, მაგრამ საუბედუროდ, ერთ დილით, ინდაური მკვდარი დახვდა. შემოიკრა თავში ხელი, მაგრამ რაღას უშველიდა? ზუსტად იმ დღეს მეზობლად კაცი გარდაიცვალა. ცალკე ინდაურის და ცალკე მეზობლის სიკვდილმა, ნინო დააბნია. მეორე დღეს ინდაურის პატრონი ლეილა სოფლიდან დაბრუნდა. კიბეზე ნინოს შვილი შეხვდა, რომელმაც მეზობელი კაცის სიკვდილი ამცნო. ეს მომენტი ნინომ დაინახა და ლეილასკენ გაემართა. მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა: — ვაიმე, ლეილა, ისე ვინერვიულე, კინაღამ თავი მოვიკალი, მთელი ღამე არ მძინებია. — ჰო, გოგო, მეც ძალიან მეწყინა, დამენანა. — ისე კარგად იყო, რომ რა ვიცი... კარგად ჭამდა, იმის სიკვდილს საერთოდ ვერ ვიფიქრებდი. — ჰო, მეც რომ წავედი, კარგად იყო და ასე უცებ რა დაემართა? მართლა მეწყინა. — მე არაფერ შუაში ვარ, ბავშვი ხომ არა ვარ? რომ მცოდნოდა მოკვდებოდა, დავკლავდი და მაცივარში შეგინახავდიო, — უთხრა ბოლოს ნინომ. აქ კი ლეილას ფერი ეცვალა და ძლივს ამოილულლულა: — ვის გოგო, ვის დამიკლავდი, მიშასო? ჰოო, დანარჩენი, რაც მოხდებოდა, ადვილი წარმოსადგენია. სადღა ახსოვდათ ან მიშა, ან ინდაური, სიცილისგან ლამის დაბლა ხოხავდნენ. ეს ამბავი მიცვალებულის ოჯახშიც შეიტყვეს და მიუხედავად მწუხარებისა, გულიანად იცინეს. ჭირი იქა, ლხინი — აქა, ქატო იქა, ფქვილი — აქა. ეს ამბავი ტყუილი არ გეგონოთ, ნამდვილია და იმედია, არ მიწყენენ კურიოზად ქცეული ამბის გახმაურებას. მანაველი“.

მზრუნველი სიდედრი

„რასაც ახლა მოგიყვებით, სამიოდე წლის წინ, ჩემი ნათესავის მეზობლად მოხდა და თითქმის მთელმა საქართველომ გაიგო. ერთი ქალი მარტო ზრდიდა გოგოს და რომ გაუთხოვდა, სიძე შინ მიიყვანა, მაგრამ ბიჭი დალევის მოყვარული აღმოჩნდა. ფხიზელს ოქრო ხასიათი ჰქონდა, ხუმარა და თბილი იყო, მაგრამ დალევდა თუ არა, მაგრად ურევდა. სიდედრს მართლა უყვარდა სიძე და ტკბილი ენით რომ არაფერი გაუვიდა, გადაწყვიტა, მეზობლის ნასწავლი ხერხი გამოეყენებინა და ღვინოში ძაღლის სისხლი გაურია, თან თავისი გოგო დაარიგა: ამ საღამოს, საჭმელს რომ გამოუტანო, ესეც დაუდგი და როგორც კი დალევს, სასმელი თვალის დასანახავად შესძულდება და მოვისვენებთო. ცოლმა მაინც ვერ გაიმეტა ქმარი ამ საზიზღრობის დასალევად და შინ მოსული გააფრთხილა, ასე და ასეა საქმე და ღვინო შეგიცვალე, მაგრამ არაფერი შეიმჩნიო, ვითომ გემო არ მოგეწონაო. სიძე ღიმილით მიუჯდა სუფრას და სიდედრს დაუძახა: მოდი, დაჯექი, ამქვეყნად ყველაზე მაგარი სიდედრის სადღეგრძელო უნდა დავლიოო. მერე მთელი კომედია გაითამაშა, ვითომ სასმელი ემწარა, სახე შეიცვალა, სკამიდან ჩამოვარდა და ოთხზე დამდგარმა ყეფა დაიწყო; გაოგნებულ სიდედრს მივარდა ღრენით, კაბაზე კბილებით ჩაეჭიდა და „თათებით“ ვითომ ფხოჭნა დაუწყო. საცოდავმა ქალმა იფიქრა, გავაგიჟე და გავაცოფე სიძეო, ერთი საცოდავად შეხედა ბიჭს და ამოიოხრა: — რავა დაგღუპე, შვილოო და იქვე გაუსკდა გული. კამელია“.

წამორტყმულები

„სასაცილო დედიკო მყავს. შესაბამისად, სასაცილო სიდედრიცაა. მოკლედ მოგიყვებით ერთ სახალისო ამბავს. ჩემს ქმარს ერთი ძალიან ცუდი ჩვევა აქვს: საკმარისია, უკაცრავად და წახრილი დაგინახოს, მოწყვეტით რომ მოიქნევს ხელს, იმისთანას წამოგარტყამს ერთ ადგილზე, რომ სიცოცხლეს გაგიმწარებს. ჰოდა, ერთ საღამოს შემოდის სახლში და იქვე კართან სიდედრუკა ფეხსაცმელებს ალაგებდა. რომ მოიქნია ხელი სიძემ და წამოსცხო, ლამის კედელი გაატანინა თავით. საქმე ის არის, რომ საწყალ ჩემს ქმარს ჩემი და ეგონა. თეა“.

კვაზიმოდო

„ჩემი „ლოვე“ ტელეფონით გავიცანი. წავიდა ცრუბაზარი. მეკითხება, მეტსახელად რას გეძახიანო? — კვაზიმოდოს-მეთქი. თავის დედიკოს ჰკითხა — დედა, კვაზიმოდო რა არისო? დედამ გაბრაზებული ხმით უპასუხა: 14 წლის გოგო ხარ და ეგ არ იცი, რას ნიშნავს? კუზიანს ნიშნავს, შვილო, კუზიანსო... აი, ასეთი სასიდედრო მყავს. ერთი მეზობელი მყავს, ჩასიძებულია და სიდედროვიჩს ეძახიან. სიდედრი რომ აკივლდება, მუხლები უკანკალებს. ბიჭებმა დავცინეთ: რა იყო, ამხელა კაცს სიდედრი როგორ გაშინებსო? ავაგდეთ, „დავგრუზეთ“ და დავათვრეთ. აბა, შენ იცი, „პალაჟენიეს“ როგორ დააყენებო. წავიდა „ოთხით“ და ჭიშკრიდან დაიწყო გინება — მოვედი, თქვენი დედაო! სიდედრმა ისე სცემა, ისე, რომ ყველა ქალის ეშინია. ჩემს ძმაკაცს კი ისეთი სიდედრი ჰყავს, წყევლის დიდოსტატია. ერთ

დღეს ვახო სახლში მივიდა და სიდედრმა მაგრად დაწყევლა. ისიც ადგა და ზღვაზე ცოლ-შვილთან გაემგზავრა, სიდედრი კი შინ გამოკეტა. სულაც გადაავიწყდა, რომ მას გასაღები არ ჰქონდა და შინიდან ვერ გამოაღწევდა. თურმე, არც საჭმელ-სასმელი ჰქონია. მეოთხე დღეს დაბრუნდნენ და რას ხედავენ? ცოცხალმკვდარი აგდია დივანზე. ის დღე იყო და ის დღე, იმის მერე არ წყევლის ვახოს. ვაუ"...

შემომხედა, მჩუქნიო?— კიმეთქი. — კარგად დაფიქრდიო. — ჰო-მეთქი. მაშ, კარგიო და ჩემი დათუნია „ზალაში" გააბრძანა. აქ იქნება მისი ადგილიო... აუ, რა დამემართაააა... გავაფრინე. არ მეგონა, ბებო ასე თუ „ინაგლებდა". მეგონა, მეტყოდა, მე რად მინდა, შვილო, ისევ თქვენი არ არისო? მაგრამ ნურას უკაცრავად! მიხვდა ჩემი ბებიკო, ჩემს ეშმაკობებს დაააა... ახლა ჩემი ოთახის

მხიარული ოჯახი

„მაგარი სასაცილო დედიკო მყავს. მოკლედ, ნებისმიერ პოზაში შეუძლია ძილი. ჰოდა, ორი დღის წინ, სამსახურიდან ბრუნდებოდა. „მარშრუტკაში" სულ ბოლოში იყო ადგილი, გაქანდა და დაჯდა. ჰოდა, ძილიც მოერია. გვერდით ერთი პუტკუნა კაცი ეჯდა. დედას ხელის ჩამოსადები ეგონა. ჩამოსდო ამ კაცს მუხლებზე იდაყვი და დაიძინა. ცოტა ხანში იმ კაცმა გააღვიძა — ბოდიში, ქალბატონო, ჩავდივარო. კიდევ, ერთ მშვენიერ დილას, უფრო სწორად, გამთენიისას, ხმამაღალი სიცილი მომესმა. ვეცი დედაჩემს, რა მოგივიდა-მეთქი? მძინარემ ხელით გამწია და ხარხარით მითხრა — გაიწიე, თეა, ის ვარდისფერი, სამფეხა დათვი რა მაგრად გარბის, ყველას გაუსწროო. ისე იცინოდა, ცრემლები ღვარად სდიოდა. მეც ავყევი და ბევრი ვიცინე. მერე გავითიშეთ ორივე და ძილი ისე გავაგრძელეთ, ვითომ არაფერი მომხდარა. :-) ასეთი მხიარული ოჯახი მაქვს... ჩემი და კიდევ, მთელი ღამე მღერის".

ბებოს საჩუქარი

„ქალთა დღე ერთმა ადამიანმა დიდი „დათუნიათი" მომილოცა. თვითონ არ შეეძლო მოსვლა და გამომიგზავნა. რომ დავინახე, გული გამისკდა, ისეთი დიდი იყო. ჩემი პირველი სიტყვები გახლდათ — ეს სახლში როგორ შევიტანო-მეთქი. ყუთში ხელოვნური ვარდიც იდო. მერე დამირეკა, ნახე, ყელზე რა უკეთიაო. ვნახე და ლამაზი ყელსაბამი აღმოჩნდა. ძალიან ორიგინალური იყო ყველაფერი, მაგრამ სახლში ვერ წავიღებდი და გადავწყვიტე, ბებიაჩემთან წამეღო, სოფელში. ჩავედი და მივუცუცქდი ბებოს. — ეს შენ-მეთქი. ჯერ გაოცებულმა

ნაცვლად, ბებოს „ზალას" ამშვენებს დრუნჩა... რა მინდოდა? რას ვიტყუებოდი? ეეეჰ... P.S. დამაცადოს, მაინც წავართმევ ან მოვპარავ! ლორელაი".

„პატივნაცემი" სტუმრები

„ერთხელ თურმე პაპაჩემს ძმაკაცები ესტუმრნენ, მაგრამ თვითონ სახლში არ იყო. ჰოდა, სიდედრს შეუპატიჟებია, სუფრა გაუშლია, დასხედით, მალე ვახტანგიც მოვაო. შესულა ღვინის გამოსატანად და განაპირას ერთი ბალონი მდგარა, რომელშიც სითხე ნახევრადღა ყოფილა დარჩენილი. ჰოდა, ბებოს ის ჩამოუსხამს, დიდი ამბით. ერთს ჭიქა აუ-

ღია და ოჯახი დაულოცია. მერე თურმე გადაკრა მამაპაპურად, მაგრამ მოულოდნელად შეჩერებულა. უნდა დადგას თურმე, მაგრამ ვინ აცალა? მივარდა ბებო და ბოლომდეო, ეძახა. ვიცი, მაგარი ღვინოა, მაგრამ თუ ვაჟკაცები ხართ, ახლა გამოჩნდებაო. ასე მანჭვა-გრეხით დაალევინა, თურმე. ბოლოს, ადგნენ, ჩვენ წავალთ, აღარ შეგაწუხებთო. კი გაუკვირდა ბებოს, ასე მალე რატომ წავიდნენ, რა ეცათო, მაგრამ როცა შინ დაბრუნებულმა პაპამ იკითხა — ბალონში ნარეცხი წყალი იყო და შენ გადაღვარეო? აი, მაშინ მიხვდა ბებო, თუ რატომ იმანჭებოდნენ სტუმრები. ჰოოოდა, პაპამ რომ ეს გაიგო, რა მოხდებოდა, წარმოგიდგენიათ? დაიწყო სიძე-სიდედრიანი. მილანკა".

თურქის სასიდედრო

„ვფიქრობდი, თემაზე მოსაწერი არაფერი მექნებოდა, მაგრამ შემთხვევებს რა გამოლევს? ამ დილით, გაჩერებაზე თურქი ტიპი გაიჩითა. ჯერ მკითხა, საბურთალოზე რა მიდისო და მერე ჩემთან ერთად ვაკეში წამოვიდა. :) ვუთხარი, რომ ჩემი გაცნობა არ შეიძლებოდა (ძირს მამაკაცები!), მაგრამ სამწუხაროდ, ქართული კარგად იცოდა და არ ჩუმდებოდა. მკითხა, რამდენს გაფასებს მამაო? არ გამკვირვებია, რადგან ვიცი, მშობლებისგან ქალის გამოსყიდვის ტრადიცია აქვთ. ესეც უპასუხოდ დავტოვე, რადგან შეუფასებელი ვარ... :) მაგრამ რაღაც, მომწონს იდეა და დედიკო, თურქ სიძეს არ მიიღებ? მე პირველი ცოლი ვიქნები, შენ — პირველი სიდედრი. :) P.S. გაზაფხული საინტერესოდ დაიწყოო... :) პარიჟანკა".

ერთადერთი

„ეს ცხოვრებაა? გუშინ „გზის" ყიდვა ვერ მოვასწარი და დღეს ოთხი ჯიხური შემოვირბინე, მის ძებნაში. ბოლოს, ძლივს მივაგენი. — ერთი ცალიღა დამრჩა და შენი ბედი

ყოფილაო, მომახარა გამყიდველმა დეიდამ. ბედნიერი და კმაყოფილი მივედი სახლში. ვიფიქრე, ახლა ჩავუჯდები და წავიკითხავ-მეთქი. ეეეჰ, ვინ გაცალა? დედიკომ რომ დაინახა, ისეთი დამიცაცხანა, ზეგ გამოცდა გაქვს და დაეგდე, იმეცადინეო, რომ ხასიათი წამიხდა და კმაყოფილი ღიმილი სიფათზე შემეყინა. :-) რა ვქნა ახლა მე? არ ვიცი. მამაჩემს ისე უყვარს თავისი სიდედრი ანუ ბებო, რომ ხშირ-ხშირად იმეორებს: ამისთანა სიდედრი ჩემს ცხოვრებაში არ მყოლიაო, მააშ! იდეალური ურთიერთობა აქვთ. აი, მე რომ სიდედრი ვიქნები, თუ კიდევ იარსებებს ეს ჟურნალი, მაშინ მოგწერთ მაგარ ამბებს. კიკი".

მსხვერპლი

„3 წლის წინ, ბიძაჩემთან ერთად, ღამის მატარებლით თბილისში მივემგზავრებოდი. საკმაოდ ცხელოდა და ბიძაჩემს ვთხოვე, იქნებ, კუპეს კარი ღია დატოვოთ, თორემ ვერ დავიძინებ-მეთქი. ცოტა დაფიქრდა, მაგრამ უარი ვერ მითხრა. ჰოდა, ღამე ბიძაჩემის ხმამაღალმა ყვირილმა გამომაღვიძა. „პრავადნიკს" ეჩხუბებოდა, სადაა ჩემი ტუფლებიო? თურმე მოუპარავთ. ასე დარჩა საწყალი ბიძია „ნასკების" ამარა. :) ყველაზე სასაცილო ისაა, რომ 42 ზომა აქვს ფეხი და 36 ზომის ჩემი ჩუსტი ეცვა. ელიავას ბაზრობაზე რომ ჩამოვედით, ყველა გაკვირვებული უყურებდა. თან ხელში ჩემოდანი ეჭირა და მართლა სასაცილოდ გამოიყურებოდა. :) ამ ამბავს ხშირად ვახსენებ ხოლმე. :) ბუბუსიკა".

მეზობელი

„ჩვენ ტელეფონი გვქონდა და მეზობლები ხშირად სარგებლობდნენ. ერთ დღეს, მე და ჩემი მეზობლის გოგო ჩემთან სახლში ტელევიზორს ვუყურებდით. ამ დროს მოვიდა მეზობელი, ახალგაზრდა მამაკაცი და მთხოვა, ტელეფონზე დამარეკვინეო. უარს ხომ არ ვეტყოდი? შევიყვანე მეორე ოთახში და დავტოვე მარტო. შევატყვე, რომ ნასვამი იყო და ისიც გავიგე, ვიღაც გოგოს შეხვედრას რომ უნიშნავდა. კარგა ხანს მისი ხმა რომ ვეღარ გავიგონე, შევაკითხე, რომ გამეცილებინა და რას ვხედავ... ეს კაცი ძირს გორაობს. ფეხი გასცურებოდა და ადგომის მცდელობაში, ხალიჩაში ისე გახვეულიყო, რომ... უფრო სწორად, შეფუთული გახლდათ. ერთი მხრიდან თავი უჩანდა, მეორე მხრიდან — ფეხები და ფართხალებდა. გეგონებოდა, ვინმემ სპეციალურად გაახვია და გასაყიდად გაამზადაო. ვეცი დასახმარებლად. — ვაიმე, ეს რა დაგმართვია, მომიკვდეს თავი... — თან, ბოდიშებად ვიღვრები და თან, თავს ძლივს ვიკავებ, არ გამეცინოს-მეთქი. როგორც იქნა, გამოვიხსენი ხალიჩის ტყვეობიდან და უკანმოუხედავად გავარდა სახლიდან. იმის მერე ჩვენთან აღარ მოსულა. მე კი იმდენი ვიცინე, მოსულიერება დამჭირდა".

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

რა ღირს 3-ლარიანი ბარათი?..

„Loudspeaker თუ ჩე გევარა, 4-ში როგორ გნახავდი, „გზა" 6-ში გამოვიდა და... :) მოდი, 14-ში გნახავ, პირველ საათზე. საად? იყოს ტელეფონთან. :) იცით, მაღლივი თითქოს უკეთესი მეჩვენა, არაა ჯოჯოხეთი. გაუმარჯოს მაღლივს და გაზაფხულს! თაგუნია".

„სასაცილო ამბავი დამემართა. ზღვაზე ვიყავი. დავინახე, რომ ძმაკაცი ვიღაც გოგოს აწონებდა თავს. მივეპარე და პანღური ვუთავაზე. შემოტრიალდა და სრულიად უცხო ბიჭი შემრჩა ხელში".

„დედაჩემზე „ბულკი" სასიდედრო? აჰ, არ თქვათ! რომ განვუცხადო, ჩვენი ეზოს ძაღლს — ჯეკას მივყვები ცოლად-მეთქი, მხოლოდ ამოიოხრებს და გადარწმუნებას არ დამიწყებს: არ გაჰყვე, შვილო, რწყილებიანიაო. :) მამაცი თოჯინა".

„კლასელი ბიჭი მყავდა, ნამდვილი განტევების ვაცი იყო. ყველა მას სცემდა და ნერვებს იწყნარებდა. ერთხელ, სპექტაკლი დავდგით — „გაზაფხულის მოსვლა". მე პეპელა ვიყავი. შემოვფარფატდი განაზებული, ეიფორიაში გადავარდნილი და უცებ, საშინელმა ტკივილმა გამომაფხიზლა. თურმე ამ ჩვენს თავგასივებულ „ვაცს" მართლა პეპელა ვგონებივარ და ისეთი მიჩქმიტაა... რომ შევუტრიალდი გამხეცებული, ისეთი ვხეთქე მუშტი ბედნიერ სიფათში, რომ ცხვირი პლაკატივით მივაკარი სახეზე. არადა, ისეთი წყნარი ვაარ... ამალთეა".

„ჩემი მამიდაშვილი თბილისში ახალი ჩასული იყო და სად რა იყო, არ იცოდა. ერთხელ, დაქალს უნდა შეხვედროდა და უთხრა — კაცი რომ დგას და დიდი „ის" რომ აქვს, იქ ვარო. არადა, სპორტის სასახლესთან იდგა. :) EMILY".

„მარი, თემას დავხედე თუ არა, ეგრევე შენ წარმო-



ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, სულელი იყოს.

გიდგინე, სიდედრის ამპლუაში და ვინანესავით, ბიჭი რომ არ ვარ. ლუდით კი არა, სულ ღვინით დაგლოცავდი. არშემდგარი სასიძო“.

„ჩემი ბოთე შეყვარებული ჯერ სიძე არაა და უკვე სიდედრის გაგიუებაზე ფიქრობს. აუჰ, დაგერხა, დედიკოო!“

„მარი, მაპატიე, სხვადასხვა ნიკით რომ გიმესიჯებ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მაინც არ მიბეჭდავ ხოლმე და... ჰო, ჩემი ქმარი მართლა ჰგავდა ორანგუტანგს, განა გატყუებ... ბანანი უყვარდა და საჯდომის ფხანა. ერთხელ, ჩემი მამამთილი ჩემ წინ მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი, „პახოდკაში“ ვაჯავრებდი და თან ენას ვუყოფდი და უეცრად, არ მოიხედა, იმ შეჩვენებულმა? ჰოდა, ენის დამალვა ვეღარ მოვასწარი. ორანგუტანგის ნაცოლარი“.

„ამდენი ხანია, „გზას“ ვკითხულობ და ასე ძლიერ ჯერ არ მიცინია. ყველა გზავნილი მაგარი იყო. დიდი მადლობა, მგზავნელებო. ლელუჩია, მინდა, შემოგიერთდეთ. ბათუმელი ლაშა“.

„ერთხელ საბავშვო ბაღში დამაგვიანდა წასვლა. ბავშვი გამოსაყვანი მყავდა. სასწრაფოდ ჩავიცვი და გავიქეცი. ბაღში რომ მივედი, ფეხებზე დავიხედე და კინაღამ შევწუხდი. სხვადასხვა ფეხსაცმელი მეცვა. კიდევ კარგი, ორივე ფეხსაცმელი შავი იყო და ქუსლიც თანაბარი ჰქონდა. გერასიმე“.

„ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ, რომ ცოლთან ერთად სიდედრი არ მიიყვანოთ სახლში. იგი მავნებელია ნერვებისთვის და ჯანმრთელობისთვის. სიდედრი იწვევს გულის დაავადებებს“. დვა პოლუს“.

„ახლა „მარშრუტკაში“ ვზივარ. ვიღაც ბიჭი მეჯდა გვერდით. ყურებში „ნაუშნიკებგარჭმული“. ის ხომ უსმენდა რამშტეინს და მეც ფეხს ვაყოლებდი მუსიკას. ჰოდა, გააჩერეო, იმხელა ხმაზე იბღავლა, შიშისგან შევხტი. ისეთმა გაკვირვებულმა შემომხედა, თითქოს მე მეკივლოს პატრულის სირენასავით. გაგისკდა გული! რამ დააყრუა ეს ხალხი, კაცო? ილინი“.

„ჩემი ახლობელი მაღაზიაში შევიდა და ტანსაცმლის თვალიერებით ისე გაერთო, რომ ერთი კედელი მთლიანად სარკით იყო დაფარული, მას კი ეგონა, სხვა განყოფილებაა და ლამის თავით გაიტანა. თავს ვინ ჩიოდა, ლამის მაღაზია აზარალა. ათენი, ომეგა“.

„მინდა, ჩემი საყვარელი ბუსუსუნას ამბავი მოგიყვეთ. ცოლად რომ მოვიყვანე (ოჯახისგან მალულად), სოფელში წავიყვანე. ჰოდა, იქ ბებიაჩემმა, აქაოდა ჯანზე ვარო, ისეთი იკივლა და იწივლა, რომ ჩემს დამფრთხალ ბუსუს გული წაუვიდა. მერე სახლში რომ მოვიყვანე, ერთი „სიმფონიური ორკესტრი“ აქაც გვიძღვნა ბებომ და კინაღამ კიდევ ერთი გულყრა გადავიტანეთ. სასაცილო კი ის არის, რომ ისე დაემსგავსა ბებოს ბუსუ, რომ პატარა ბებოს ვეძახი. სანთელი“.

„მარი, გასაგებია, რომ ჩემი გამოგზავნილი სასაცილო ამბავი არ მოგეწონა, მაგრამ რა იქნებოდა, ის მესიჯი დაგეგზავნა, სადაც კარდიოლოგს და ბოხოს მადლობას ვუხდი და მგზავნელებს ვეფერები? :(P.S. ნახე, რა დროს მაქვს წაკითხული ჟურნალი... ეჰ, წავედი. პარიჟანკა“.

„გამიგონია, სიდედრზე ამბობენ, ისეთი განძია, მიწაში უნდა ინახებოდესო. რას ერჩიან ამ სიდედრებს? დედამთილია ეგ განძი... არ მეთანხმებით, მგზავნელებო? მის რეალი“.

„ჩემ წინ სვანების ოჯახი ცხოვრობს და დენზე მომუშავე ზარი იყიდეს. ცოლმა თქვა — ეს სულ შეერთებული რომ იქნება, დენს ბევრს დაწვავსო. — მერე, სტუმრები რომ მოვლენ, მარტო მაშინ შევაერთოთო, — გამოსავალი იპოვა ქმარმა. ასეთი კურიოზი უბანი მაქვს და რა ვქნა? აბსურდა“.

„შევედი მაღაზიაში და გამყიდველს ვეუბნები, „ბალი“-ბარათი მომეცით, 3-ლარიანი-მეთქი. ის კი მიუბრუნდა მეორე გამყიდველს და ჰკითხა, ეს რა ღირსო? იმანაც სერიოზული სახით უპასუხა, 3 ლარიო. ჯერ ვიფიქრე, ხუმრობენ-მეთქი. ჰოდა, მეც ვუთხარი — 3 ლარი რა ამბავია, გვერდით მაღაზიაში 2 და 50 ღირს-მეთქი. აი, მერე კი ძლივს გამოვასწარი იმ გოგოებს და გადავურჩი გაძუყვ-

„შარიკ პეჩალი“

„ჩემი დაქალის ნაცნობს რუსული სკოლა აქვს დამთავრებული. ჰოდა, ერთხელ ეუბნებოდა — შენ ჩემზე უკეთესი რუსული არ გეცოდინებაო. ჩემმა დაქალმა ჰკითხა — ნაღვლის ბუშტი როგორ იქნება რუსულადო? იცით, რა უპასუხა? — „შარიკ პეჩალი“. ხომ მაგარი რუსული სცოდნია? ნინუნცარი“.



ყველა ადამიანი საყოველთაო თვალში ლიმილია.

ნას. რა ჩემი ბრალია, თვითონ იყვნენ შტერები. VIP-GIRL“.

„იმ დღეს სახლში მივედი არაადამიანურად დაღლილი და „კოკისპირულად“ მშიერი. გამოვაღე მაცივარი, გამოვიტანე იოგურტი (დიეტაზე ვარ) და დავიწყე ათვისება, თან ქოშებს ვიხდი. ბოლომდე დაუმთავრებელი იოგურტის შედება გადავწყვიტე მაცივარში (ცალ ხელში ქოში მიჭირავს) მივედი, გამოვაღე, შევდე... და ხელში მაინც იოგურტი მიჭირავს... ასე გავთოშე ქოში“.

„ახლა ლილოს „მარშრუტკაში“ ვზივარ. რაღაც, არ მომწონს, ისე დადის. იმედია, დანიშნულების ადგილზე მშვიდობით მივალთ. ამ წერილს გწერთ 3 მარტს, საღამოს 8 საათზე. წვიმს. რომანტიკული ამინდია. ცოტა ცივა. ძალიან ჩქარა მივდივართ და ცოტათი მეშინია. იმედი მაქვს, დედობას მაღირსებს ეს მძღოლი და არ „დაგვახატავს“ სადმე. თუ ცოცხალი გადავრჩი (ღმერთის წყალობით), მომავალშიც მოგწერთ. თუ არა და, ეს ბოლო მესიჯი იქნება. მიყვარხართ, ქართველებო! ქალებს ბედნიერ დედობას გისურვებთ. გკოცნით. ჭიათურა“.

„გამაგიჟეს, ისეთი მეზობლები მყავს! ამას წინათ, ერთმა ფეხსაცმელები შემოიტანა ჩვენთან და „გამამაზინეო“, მთხოვა. ამ დროს მეორემ დამირეკა, მჟავე კიტრი ხომ არ გაქვთ, ერთი ცალიო. მე ერთზეც მეცინებოდა და მეორეზეც. ეს პირველი მეზობელი კი კიტრზე იცინოდა (ვითომ თავისი ფეხსაცმელები უარესი არ იყო). ეეჰ, აბა, რისთვის ხარ, მეზობელი? უკარება“.

„სოფელში ვცხოვრობ და ისე მოხდა, რომ ძროხა უნდა მომეწველა. თან, მაგრად მეზარებოდა. სერიალს ვუყურებდით და მეგონა, ჩემთვის გავიფიქრე, მაგრამ ხმამაღლა მითქვამს: ახლა კინოს მოვწველი და მერე ძროხას ვუყურებ-მეთქი. სახლში ხარხარი ატყდა. ამ დროს, მე აზრზეც არ ვიყავი, რა აცინებდათ. მერე მეც ვიცინე“.

„ბაბუის საკურთხისთვის სუფრას ვშლიდით. ჰოდა, დავანთეთ სანთლები. ბებომ გვითხრა — ნამცხვარში ჩაარჭვეთ, უყვარდაო. მერე — კვახში ჩაარჭვეთო. ითმინა ჩემმა ძმამ, ითმინა, მერე მომიტრიალდა და მითხრა — მოდი, სანთელი ბებოსაც ჩავარჭოთ, უყვარდა, საწყალსო. :) GREEN GIRL“.

„რომ გავთხოვდი, ჩემი მაზლი 2 წლის იყო. ჰოდა, სულ ტიროდა, ჩემი ძმისცოლი რომ ხარ, ჩემიც გახდიო. ასე გავხდი „ორქმრიანი“. :-) ახლა უკვე 6 წლისაა და ორი დღის წინ, ეზოში გავუშვით, ყვავილებისთვის მიწა რომ ამოეტანა (ჩემს მეუღლეს ძალიან უყვარს ქოთნის ყვავილები). ჩვენი კორპუსის წინ, დიდი მინდორივითაა. ჩასული არ იყო ეს ბავშვი, რომ ყვირილი ატეხა. მე მეძახდა, თეაო. გაბრაზებულმა გადავხედე, რა აკივლებს-მეთქი. დგას ამ მინდორზე, ვედროთი ხელში და გაკვირვებული მეძახის — თეა, მიწა ვერ ვიპოვე, სად არისო? სიმწრისგან კინაღამ მეოთხე სართულიდან გადავხტი“.

„ჩემი შვილი მზესუმზირას ქერქიანად ჭამდა. ჩემმა მაზლმა კი წინიდან ააცალა. ბებიამისი ეუბნება: — აიღე, სულ ააცალე, თორემ თავის „ტანისამოსიანად“ ჭამსო. LILY19“.

„თემას არ უკავშირდება, მაგრამ ახლა მაგარი „პრიკოლი“ გაიჩითა. :) „I სტერეოს“ ვუსმენთ. მამაჩემი ამბობს, ამ სიმღერას ანსაბლი „75“ მღერისო. ჩემი და კითხულობს: რატომ ჰქვია „75“? 75 კაცი იყო ანსაბლშიო? მის რეალი“.

„ჩემი მამამთილი ძალიან მაგარი კაცია. ნოემბერში გავთხოვდი და გურიაში რომ ჩავედი, მეორე დღეს ველოსიპედით მოვიარე სოფელი. :) რომ გაიკვირვეს, მხარი მამამთილმა დამიჭირა და ბევრი იცინა. დედამთილიც კარგი მყავს და ორივე ძალიან მიყვარს, მაგრამ ერთი ისაა, რომ დედას და მამას ვერ ვეძახი. ბაბუკა“.

„აბა, მატნელებზე გინდათ, გითხრათ მაგარი ამბავი? სკოლა ააშენეს და ტრაქტორი დარჩათ შიგ... არ გეწყინოთ, მატნელებო, ეს ამბები მატანს უკვდავებას უქადის. მის რეალი“.

„სიძე მივა სიდედრთან. — აბა, სიდედრო, როგორ ხარო? — ეეჰ, შვილო, თანდათან უკან-უკან მივდივარ, კვირამდე ძლივს მივაღწევო. გახარებული სიძე კვირას მიადგება სიდედრს. — აბა, სიდედრო, ახლა როგორ ხარო? — აი, შვილო, წინ-წინ მივდივარო. სიძემ კი უთხრა: — შენ წინ და უკან სიარულს თავი დაანებე, სამშაბათს 3 საათზე გავდივართო. :) მის რეალი“.

„აბა, ქალბატონო მარი, „მიკროფონი“ ჩამირთეთ, პენსიონერს უნდა მივმართო: რა წესია ეს, პენსიონერო, მთელ მგზავნელებს რომ „აშხფოთების“ სენი შეგვყარე? მოვითხოვ, ახლავე დაბრუნდე და შენი ლექსიკონიდან ახალი სიტყვაც შეგვმატო! ასე! ჩორი-ჩორი, ჩემმა „ჩოლკამაც“ და მეც, გაკოცეთ. მის რეალ, მიხარია, რომ გაგიცანი. შეწირულო, მაგარი ხარ! სხვების გაცნობაც მინდა. ლუნა“.

„ერთი პატალა, „გრუზინკა“ გოგჩო არ მოიძებნება, აქ? დაირქვით რა, „გრუზინკა“, გოგოებოო! მპუა! თემა არ ვიცი, დამავიწყდა, მაგრამ დღეს სამსახურში ქალების ტუალეტში შევედი შეცდომით (შეიძლება, ძალითაც). ჰოდა, იქ ამბავი ატყდაა! სულ ჩახდილებმა და ჩაკუზულებმა მწყევლეს, წამოდგომაც არ იკადრეს! ბოროტი ვარ, მაგრად ვამწარებ თანამშრომლებს, მაგრამ მაინც ყველას ვუყვარვარ. ჰოდა, მე და შეფი მაგრად ვკაიფობთ ხოლმე, როცა შესჩივლებენ, რასაც ვუკეთებ. გრუზინი“.

„ამ ბოლო დროს რუსულის საკითხი აქტუალურია და ერთ ამბავს მეც მოგიყვებით. მეგობარს ვეუბნები: გაიგე, ნიკა (ჩვენი ჯგუფელია) ვისი შვილია? და ერთი ასაკოვანი ლექტორის სახელი ვუთხარი. არ დაიჯერა. რას ამბობ, შვილიშვილი იქნებაო. მე ვუმტკიცებდი, რომ

ნამდვილად გავიგე, როგორ დაუძახა დერეფანში იმ კაცს — „მამა“. ამ საუბრისას ჩვენი კურსელი გვისმენდა და უცებ თავისი ინტელექტის ხაზგასმა გადაწყვიტა. — ალბათ, რუსულად დაუძახაო... ნუ, სხვა რა დამრჩენია, მის მასწ-ს უნდა მივებარო. :) პარიჟანკა“.

„ამ ბოლო დღეებში ჩვენს სახლში ამბები მოხდااااა... ჯერ იყო და ჩვენი კარის მეზობელს გულმა „ძეძგვა“ და უკვე მკვდარს დავტიროდით, რომ საკაციდან გადმოგვიხტა. თურმე, მთვრალი ყოფილა და დედებიც „მოგვიკითხა“. მერე კიდევ, ჩვენს მეორე მეზობელს „გული“ დაუნთეს ეზოში; მთელი სამეზობლოს გოგოები გლეჯდნენ ერთმანეთს, არა, ჩემია, არა — ჩემიო და ღამის 2 საათზე ფარნებით აკვირდებოდნენ. ამ დროს კი ადრესატი ტკბილ სიზმრებს ნახულობდა. ეჰ, გოგონებო, გისამძიმრებთ... :) ფლამინგო“.

„მყავს ნათესავი, ვახუშტი, რომელსაც მეტსახელად პეპელას ეძახიან (არადა, იმხელა ბიჭია...). ჰოდა, ძალიან მსუქანი მასწავლებელი მყავს და არ დაეჯახა, ეს პეპელა? სკოლაში ხმაური რომ ატყდა, ერთ ქალს უკითხავს, რა ხდებაო? — რა ხდება და ვენერას პეპელა დაეჯახა და წააქციაო. — ვაჰ, კაცო, ეს ამხელა ქალი პეპელამ როგორ წააქციაო? ლუნა“.

„ეჰ, სიდედრო, შენ ოჯახის გული ხარ,/ სიძისაგან მუდამ დაჩაგრული ხარ,/ ღამეებს ტეხ, წამლებს ყლაპავ მუჭებით,/ უთენია, 7 საათზე, მემაწვნეს ეჩხუბები,/ შუადღისით მეზობლებში, მთავრობაზე ხიპიშობ,/ საღამოს კი სანთლის შუქზე, სიძეებზე მკითხაობ. დვა პოლუს“.

„ჩვენს კლუბს „ბათუმელები“ ჰქვია და ყველა მსურველს შეუძლია გაწევრება. :) არ იქნება არანაირი შეფობა, მეფობა და ბლატაობა. ვიქნებით ერთად, ჭირსა და ლხინშიც. :) მარ, აღირსე ამ მესიჯს დღის სინათლე, რა, ძაან გთხოვ. სიდედრი არ მყავს და ვერც ვერაფერს გეტყვით. :) ვერმახტი.

„სიდედრზე გამახსენდა ერთი ანეკდოტი. ერთხელ სვანს ჰკითხეს, მითხარი სისხლისმსმელი არსება, ასო „ს“-ზეო. სვანმაც არ დააყოვნა და სიდედრიო, უპასუხა. ეკუნა77“.

„ჩემს სიდედრზე რა მოგახსენოთ, გოგო ვარ, მაგრამ მამაჩემის ძმაკაცის სიდედრზე მოგიყვებით. თურმე, როცა მას ცოლის მოყვანა გადაუწყვეტია, მამაჩემიც თან წაუყვანია. გოგო თავისი ფეხით გაჰყოლია. მამაჩემის ძმაკაცის სიდედრი გაბრაზებული ყოფილა. გოგოს სახლში რომ მისულან, მამაჩემი პირველი შესულა (რა მიარბენინებდა). სიდედრს მამაჩემი ჰგონებია სიძე და გაურტყამს. აი, ასე ცდებიან სიდედრები. ანასტასი13“.

„ყოველთვის მიკვირს, რატომ ხდება ისე, რომ სიდედრი რაც უნდა ჯიგარი იყოს და სიძეს თან ჰყვებოდეს, მაინც არ უფასდება? ამბობენ: სიდედრი ოქროსიც რომ იყოს, მაინც სიდედრიაო. მომკალი და არ მომწონს, ასეთი ტენდენცია რომ არის დამკვიდრებული. აი, თუნდაც, მე. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბუნჩულა სიდედრი ვიქნები (მანამდე დიდი ხანი მომიწევს ლოდინი). ჰოდა, რატომ არ უნდა ვუყვარდე სიძეს? მომავალი სიდედრი, იკჩოსიხჩო“.

„ხომ არ იცით, როგორ ვასწავლო ლაპარაკი ჩემს თუთიყუშს, ჩორის? იქნებ ვინმემ მითხრას, თორემ გავპუტავ. ტელეფონს ჰბაძავს მარტო და დამარბენინებს აქეთ-იქით, იდიოტი. თან ყველას თავის სახელს ჩასჭყივის. „ცოლი“ ჰყავდა და გამაჩუქებინეს, ლაპარაკი რომ დაიწყოს, მარტო უნდა იყოსო. საწყალს, 1 კვირაში თავი მოუკლავს. გალიაში ჯერ იმდენი სარკეები დამაკიდებინეს, თავი ტრენინგებზე ეგონა. მერე ყველა ჩამომახსნევინეს. ეჰ, გვარიც კი მივეცი (იცოდეს მამაჩემმა...). ჩვენში დარჩეს და სქესი ვერ დავუდგინე. ცისფერია მთლად და გადავწყვიტე, რომ მამრია, აბა, სასქესო ორგანოზე გამოკვლევას ხომ არ ჩავუტარებ? არც ვიცი, სად აქვს. ნუ, თუ ვინმემ იცის, როგორ ვასწავლო თუთიყუშს ლაპარაკი (სახელი და გვარი მაინც), მომწერეთ, please. ჩორი-ჩორი“.

„მაგარი „წაქცევა“ სიდედრი მყავს... თუ მარტო მივედი, დაიწყებს წუწუნს, ჩემი გოგოს გარეშე რატომ მოხვედიო. მისული არ ვარ, სუფრასთან მსვამს, შუა ჭამაში ყავა შემოაქვს... საათი მკითხა, რომელიაო? ვუთხარი, 7-ის 5 წუთია-მეთქი. — უი, რა დრო გასულა, მე ჯერ 6 საათი მეგონაო. მაინც გაუმარჯოს! გორგია“.

„მარ, ერთი კითხვა მაწუხებს და „მოკლე ჩართვაში“ დასვი, რაა. „ხვალ რომ კაცად (ქალად) გავიღვიძო“... მაინტერესებს, რას იტყვიან მგზავნელები. პარიჟანკა“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სიყვარულის მსხვერპლი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, პარიჟანკას იდეა მომეწონა და გთავაზობთ კითხვას — ხვალ რომ სქესი შემეცვალოს. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.



თუ ამბავნაში ბიბარ და მეხლოში ყოჩებთან გაჭვს მიღვნილი, ეს ამბავნა ყი ვარ, ჩვეულებრივი ნიყარა.

ფოტოებს რამდენიმე წუთის განმავლობაში უყურე და დაიმახსოვრე, რა გაიფიქრე თითოეულ მათგანზე დაკვირვების დროს. შემდეგ ფოტოტესტის პასუხები იხილე და საკუთარ ორიენტაციაში (პოლიტიკურში, რა თქმა უნდა) გაერკვიე.







1. თუ პირველ ფოტოზე დაკვირვების დროს ნოსტალგია შემოგაწვა და გაიფიქრე, რომ „დრონი მეფობენ და არა – მეფენი", სავარაუდოა, რომ 50 წელს გადაცილებული ხარ. ალბათ ერთ დროს „ჯაჯ მინიმუმ", სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იყავი და ცხოვრებით – კმაყოფილი. ახლა კი წარსულს მისტირი, მაგრამ პოლიტიკაში აქტიურად არ ერთვები, რადგან იცი, რომ „ის დრო" ალარ დაბრუნდება.

2. მეორე ფოტომ ალბათ რამდენიმე წლის წინანდელი მოგონებები ალგიძრა. 4 წლის წინ ამ ფოტოს დანახვისას ალბათ სასიამოვნო ღიმილი გადაგირბენდა სახეზე. თუ ახლაც იგივე განცდა გაქვს, სავარაუდოა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თუ არა, ერთ-ერთი სოფლის გამგებელი მაინც იქნები. ხოლო თუ ფოტოზე დაკვირვების დროს სიმწრით გაიღიმე ან სულაც არ გაგეღიმა, ალბათ გადამდგარი მინისტრი (თანამდებობის პირი) ხარ.

3. თუ მესამე სურათზე დაკვირვების დროს გაიფიქრე, რომ მასზე ალბეჭდილი ადამიანები ერთმანეთს ელაპარაკებიან, ვფიქრობ, შეთქმულების შიში გაქვს. აქედან გამომდინარე, აუცილებლად მთავრობის წევრი იქნები და ალბათ წყალი გაქვს შემდგარი. ხოლო თუ გაიფიქრე, რომ მათი დრო წავიდა, ოპოზიციის მიერ მოწყობილი მიტინგების აქტიური მონაწილე ხარ.

4. თუ შენი სიმპათია ყველაზე მეტად მეოთხე სურათზე ალბეჭდილი ადამიანისადმია მიმართული, სავარაუდოა, რომ დაჩაგრულთა მფარველი ხარ და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი, თანამედროვე არსენა ოძელაშვილი.

5. თუ მეხუთე ფოტოზე ალბეჭდილ ადამიანში ქართველი პოლიტიკოსის ამოცნობას ცდილობდი, ვფიქრობ, რომ პოლიტიკაში ძალიან ცუდად ერკვევი. ჰოდა, აქედან დასკვნა – ან იგორ გიორგაძე ხარ, ან (აქ შეიძლებოდა ნებისმიერი „პოზიციონერისა" თუ ოპოზიციონერის სახელი და გვარი მოხვედრილიყო)...

წერილი ჯადოქარს



მარი ჯაფარიძე

„გამარჯობა, ჯადოქარო!

პირველ რიგში მინდა გთხოვო, რომ დედამიწაზე ყველა ადამიანი კეთილი გახადო, მე კი ყველაზე ლამაზი. თუ დრო გექნება, მამაკაცები უფრო ჭკვიანები გახადე, ხოლო თუ დრო არ გექნება, მაშინ 20 წლის ბიჭი გამომიგზავნე (ალენ დელონს რომ ჰგავდეს, ისეთი).

ჰო, კიდევ მინდა, ჩემთვის ახალი „ნივთიერებათა ცვლა" გთხოვო, რადგან ბიოლოგიის მასწავლებელმა გვითხრა, რომ ეს ორგანიზმისთვის სასარგებლოა და აღარ გავსუქდები. როცა შავ პურს ვჭამ, იმ ცელოფანის გემო აქვს, რომელშიც გახვეული იყო. კიდევ, იცი, რა? წელიწადის ყველა დროს მარწყვი 5 თეთრი ღირდეს. არ შეიძლება?

ახლა „პრიჩოსკაზე" უნდა გელაპარაკო. ისე გააკეთე, რომ ყოველდღე სილამაზის სალონში სიარული არ დამჭირდეს. ჯერ ერთი, ძვირია, მეორეც — დრო არ მაქვს. ჰო, კიდევ — ეპილაცია. იცი, ეს რა მტკივნეულია? ვიცი, რომ ქალად ყოფნას ბევრი დადებითი მხარე აქვს (მაგალითად, „ტიტანიკი" თუ ჩაიძირება, სამაშველო ნავში პირველს ჩამსვამენ), მაგრამ უადგილო ადგილას ამოსულ თმის ღერებთან ბრძოლა აუტანელია. ან ისეთი აპარატი მაჩუქე, რომელიც თმას უმტკივნეულოდ მომაშორებს ან ისე გააკეთე, რომ მოდაში ბანჯგვლიანი ქალები იყვნენ.

გთხოვ, ისე გააკეთე, რომ გემრიელი საჭმელი არ ასუქებდეს, არც ერთი სიმპათიური მამაკაცი გეი არ იყოს და საყვარელმა მამაკაცმა ჩემთან ამინდზე კი არა, სიყვარულსა და გრძნობებზე ილაპარაკოს. შთააგონე მამაკაცებს, რომ ისინი ბედის საჩუქრები არ არიან.

კიდევ ერთი თხოვნა მექნება: იქნებ დედამიწის ზურგზე რამენაირად ცელულიტი გააქრო? არ აქვს მნიშვნელობა, გამხდარი ხარ თუ მსუქანი. ცელულიტი ყველას აქვს. ქალისთვის ეს სასჯელის ტოლფასია. სამწუხარო ის კი არ არის, რომ ცელულიტი არსებობს. ცუდი ისაა, რომ ადრე მას ყურადღებას არ აქცევდნენ, ახლა კი ყველა ამაზე ლაპარაკობს. კეთილო ბაბუა, წარმოგიდგენია, როგორი სატანჯველია ჩვენთვის? ჰოდა, გეხვეწები, სხვებს თუ არა, მე მაინც გამიქრე, ეს საშინელი დაავადება.

კიდევ, მინდა, რომ ტელევიზორს ისეთი კნოპი გაუკეთო, რაც მომეწონება, ჩემთვის გადმოვქაჩო. მაგალითად, მოდის ჩვენება რომ იქნება, კაბა რომ მომეწონება, დავაჭირო კნოპს თითი და ეკრანიდან ზუსტად ისეთი კაბა გადმოვარდეს. პირობას გაძლევ, რომ ტომ კრუზს არ გადმოვსვამ და არც დი კაპრიოს. კიდევ მაქვს თხოვნა — ახლა მასწავლებლებთან დავდივარ და ვემზადები. გეხვეწები, ისე გააკეთე, რომ ყველაფერი, რაც ასე ნელ-ნელა უნდა ვისწავლო, ერთბაშად „ჩამიდე" თავში. სტუდენტობა ძალიან მინდა და გეხვეწები, შემისრულე ეს თხოვნა. ჩვენი ფიზიკის მასწავლებელს ამერიკაში წასვლა უნდა, გეხვეწები, გაუშვი, რა... წავიდეს და დაგვანებოს თავი. ამით მთელ კლასს გაუხარებ გულს.

სტუდენტი რომ გავხდები, მერე გათხოვებაც მინდა. ლამაზი საქმრო გამომიგზავნე და 2 ლამაზი შვილი. კარგი?"

აქ მთავრდებოდა გოგონას წერილი. სამწუხაროა, რომ მის კვალს ვერ მივაგენი. მინდოდა, მეკითხა, აუსრულა თუ არა კეთილმა ჯადოქარმა ყველა ოცნება. იმედს ვიტოვებ, რომ ამ წერილის ავტორი „გზის" მკითხველია, თავისივე დაწერილი ტექსტი ეცნობა და დამიმესიჯებს.

სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესრიტუალები

უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან საქმიანი მოლაპარაკების წარმოების ხელოვნება ძალზე მნიშვნელოვანია. „თამაშის" წესები იმ ქვეყნის ჩვეულებებზეა დამოკიდებული, რომლის ტერიტორიაზეც ეს მოლაპარაკება მიმდინარეობს. ყველა ქვეყანას თავისი ბიზნესრიტუალები აქვს და მათმა არცოდნამ, შესაძლოა, წარმატებით წამოწყებულ საქმეს ფიასკო განაცდევინოს. საქმიანი ეტიკეტის ნიუანსებში გარკვეულ ადამიანს კი გამარჯვებისკენ გზა ხსნილი აქვს.

საფრანგეთი

ფრანგებს ძალიან უყვართ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობა და თავიანთ სავიზიტო ბარათებზე ყოველთვის აღნიშნავენ რეგალიებს. შენს სავიზიტო ბარათზე არსებული მსგავსი ჩამონათვალით, მათ პატივისცემასა და ნდობას დაიმსახურებ. ფრანგებს მისალმებისას ხელის ჩამორთმევა უყვართ. რაც უფრო ენერგიულად ჩამოართმევ ხელს, მით მეტ პატივისცემას დაიმსახურებ. ტაქსიში ჩაჯდომისას, რესტორანში ან მაღაზიაში შესვლისას თავდაჯერებულად უნდა წარმოთქვა — „ბონჟურ". წინააღმდეგ შემთხვევაში, პროვინციელად მიგიჩნევენ.

არ უნდა გეცვას ძალიან ძვირად ღირებული ტანისამოსი და არც ისაა აუცილებელი, რომ ფრანგი მოდელიერის მიერ შექმნილ კოსტიუმში იყო გამოწყობილი. სადად და მოდურად უნდა გამოიყურებოდე. მოდიდან გასულმა ტანისამოსმა შესაძლოა, ფრანგის უკმაყოფილება გამოიწვიოს.

ნუ დაზოგავ დროს, რომ თავს მიხედო. განსაკუთრებული ყურადღება თმას და ფრჩხილებს დაუთმე. საპასუხისმგებლო შეხვედრის ან მნიშვნელოვანი წვეულების წინ, აუცილებლად ეწვიე სილამაზის სალონს.

საფრანგეთში საკმარისია, საუბრის დროს ცხვირი მოიფხანო, რომ არასწორად გაგიგონ და არასერიოზულ ადამიანად მიგიჩნიონ. ცხვირზე მოჭერილი ცერი და საჩვენებელი თითისგან შექმნილი რგოლი იმის მიმანიშნებელია, რომ დალევა გწადია. ხოლო თუ შუა და საჩვენებელი თითით ცხვირის წვერს შეეხები, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე, რომლის შესახებაც საუბრობ, შენთვის არაფერს ნიშნავს. თუ მუშტს ღაბაბის ქვეშ ამოიდებ და მოხრილ მკლავს ისე დაეყრდნობი, ეს იმის ნიშანია, რომ არასაინტერესო საუბარს უსმენ და ძილი მოგერია. საფრანგეთში ყოფნის დროს ჯობს, ხელები სახისგან შორს გეჭიროს, რომ უნებურად შეცდომა არ დაუშვა.

გერმანია

გერმანული სტილი შესაძლოა, 2 სიტყვით გამოხატო — თავშეკავებულობა და კონსერვატიზმი. უმჯობესია, შეხვედრაზე მკაცრი, საქმიანი სტილის ტანისამოსით მიხვიდე. საქმიანი სადილის დროს, როგორც კი ოფიციანტს შეკვეთას მისცემ, მზად იყავი სერიოზულ თემაზე საუბრისთვის. გერმანელებისგან განსხვავებით, ფრანგებს მიაჩნიათ, რომ სადილის დროს სერიოზულ თემაზე ლაპარაკი ნამდვილი ბარბაროსობაა.

თუ შინ მიგიპატიჟებენ, ხალისითაც მიგიღებენ.

გერმანელს არასოდეს აჩვენო ჟესტით — O.K. საჩვენებელი და ცერა თითით შექმნილი რგოლი იმის მიმანიშნებელია, რომ ნასვამ მდგომარეობაში ხარ. ნუ დაგავიწყდება, რომ გერმანელები ფორმალობას დიდ ყურადღებას ანიჭებენ. მათთან საუბრის დროს სკამზე არ უნდა გადაწვე. სწორად, წელში გამართული უნდა იჯდე და საუბრის შინაარსის მიმართ ინტერესს გამოხატავდე.

იტალია

იტალიაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ქალს ვერ შეხვდები. ამიტომ, თუ მოლაპარაკების წარმოებას ამ ქვეყანაში აპირებ, საკუთარ გარეგნობას მამაკაცის თვალით შეხედე. იტალიელებთან ურთიერთობისას მათმა ჩვეულმა სილაღემ და გულახდილობამ არ უნდა დაგაბნიოს — ბიზნესმოლაპარაკების დროს სრულიად

ოფიციალურ მიდგომას წააწყდები. ჩაცმის სტილი ისეთივე უნდა გქონდეს, როგორიც გერმანიაში ვიზიტის დროს, მაგრამ საუკეთესო ქამარი და ფეხსაცმელი უნდა შეარჩიო.

ინგლისი

ამ ქვეყანაში სპორტული სტილის ტანისამოსის ტარებას არ გირჩევ. საქმიანი შეხვედრის დროს, საუკეთესო კოსტიუმში გამოწყობილი უნდა მიხვიდე და მოვლილი ადამიანის შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდე.

მოერიდე მკვეთრი ფერის ტანისამოსის ჩაცმას. წითელი, ნარინჯისფერი და ყვითელი ტანსაცმელი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაიცვა, თუ დარწმუნებული ხარ, რომ ეს შენს რეპუტაციას ზიანს არ მოუტანს. უპირატესობა რბილ, თბილ ტონებსა და კარგი ხარისხის ქსოვილისგან შეკერილ კოსტიუმს უნდა მიანიჭო. გაითვალისწინე, რომ ბრიტანელები ენამოსწრებული, გონებამახვილი ხალხია და იუმორის გრძნობაც კარგად აქვთ განვითარებული.

იაპონია

აღმოსავლეთში ყველა ოჯახში ბავშვებს ეტიკეტს პატარაობიდანვე ასწავლიან. ამიტომ, იაპონელებთან მოლაპარაკება ეს „სხეულის დიპლომატიის“ ხელოვნებაა. ამომავალი მზის ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები უცხოელების მიმართ თავაზიანები და მიმტევებლები არიან, რადგან მათ კარგ, მაგრამ ჭკუასუსტ ადამიანებად მიიჩნევენ.

შენი იაპონელი პარტნიორი არასოდეს გაგრძნობინებს, რომ ნაწყენია. უბრალოდ, ის იფიქრებს, რომ შენი ქვეყნის ყველა წარმომადგენელი ასეთივე ხისთავიანია და შენთან კონტრაქტს არ გააფორმებს.

იაპონელთან შეხვედრისას გადაჭარბებული სიხარული ჩახუტებით, მხარზე ხელის მოთათუნებითა და სხვა, მსგავსი, მეგობრული ჟესტით არ გამოხატო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეხვედრის დროს ხელები ჯიბეებში უნდა გეწყოს (ესეც შეურაცხმყოფელია). უბრალოდ, დისტანცია დაიცავი და თავი მსუბუქად დაუხარე. თავის დახრა იაპონელის მიმართ პატივისცემის გამოხატვის მიმანიშნებელია. მით უმეტეს, თუ ის რანგით შენზე მაღლა დგას.

ეცადე, სკამზე არ გადაწვე. სახალხოდ კევის ღეჭვაც მოსაუბრის მიმართ უპატივცემულობის ნიშანია.

შენი სავიზიტო ბარათი ფრთხილად უნდა მიაწოდო, როგორც ძვირფასი ნივთი, რომლის გატეხისაც გეშინია. მასზე ორივე ხელის საჩვენებელი და ცერი თითებით უნდა იყო ჩაჭიდებული. როდესაც იაპონელი თავის სავიზიტო ბარათს გამოგიწვდის, ფრთხილად უნდა გამოართვა და ყურადღებით „წაიკითხო“. მერე რა, რომ იეროგლიფებისა არაფერი გაგეგება? შემდეგ მადლობა გადაუხადო და სავიზიტო ბართებისთვის განკუთვნილ ბლოკნოტში ფრთხილად ჩადო.

ალბათ იცი, რომ საერთოდ, ადამიანს ხელი ენერგიულად და თავდაჯერებულად უნდა ჩამოართვა და ამ დროს პარტნიორს თვალებში შეხედო. იაპონელებს კი ბავშვობიდან უნერგავენ, რომ ხელის ჩამორთმევა რბილად უნდა განახორციელოს და რომ ამ დროს თვალებში ყურება უზრდელობაა.

მუსიკალური კუბოზები

ენრიკო კარუზო

1. საფრანგეთის რევოლუციის დროს გენერლები, რომლებიც ბრძოლისთვის დამატებით ძალებს ითხოვდნენ, წერდნენ: გამოგვიგზავნეთ ჯარისკაცების 2 პოლკი ან „მარსელიეზას“ 1000 ეგზემპლარი“.

2. არაბები არავითარ შემთხვევაში მელოდიას არ წაუსტვენენ. პირველ რიგში იმიტომ, რომ სტვენა უზრდელობად მიიჩნევა და, მეორე — სტვენას არაბები „ეშმაკის მელოდის“ უწოდებენ.

3. უცნაური ფაქტი, რომელიც ბუნებასთანაა დაკავშირებული: თუ ობობა ვიოლინოს ხმას გაიგებს, სამალავიდან აუცილებლად გამოდის. იმიტომ კი არა, რომ მელოდიას მოუსმინოს — ვიოლინოს ჰანგზე აბლაბუდა რხევას იწყებს, მას კი ჰგონია, რომ მსხვერპლი გაება.

4. შუა საუკუნეებში ქალაქიდან ვირთხებს საყვირების დახმარებით აძევებდნენ. სპეციალური პროფესიაც კი არსებობდა: მესაყვირე-მევირთხე. ცოტა ხნის წინ ინგლისში, ერთ-ერთ უძველეს ციხესიმაგრეში როკ-კონცერტი ჩატარდა. იმ დღიდან ციხესიმაგრეში ვირთხები აღარავის უნახავს.

5. საბჭოთა კავშირში კომპოზიტორები დიდ პატივში იყვნენ. მდინარე ვოლგაზე დაცურავდა თბომავალი,

რომელსაც კიჩოზე „კ. დუნაევსკი“ ეწერა, მაგრამ დუნაევსკი — ისააკ ოსიპოვიჩი გახლდათ. როდესაც ამის შესახებ გემის ეკიპაჟს აცნობეს, მათ უთხრეს, რომ ყველაფერი რიგზე იყო, არავითარ შეცდომას ადგილი არ ჰქონდა და რომ თბომავალს „კომპოზიტორი დუნაევსკი“ ეწერა.

6. 1792 წელს, კომპოზიტორ ჩიმაროზას ოპერის — „საიდუმლო ქორწინება“ — პრემიერაზე მაყურებელმა ისეთი ტაში დასცხო, რომ მსახიობები იძულებული გახდნენ, „ბისზე“ მთელი ოპერა ხელახლა შეესრულებინათ.

7. ერთხელ კარუზო ბანკში საბუთების გარეშე მივიდა. მან მოლარეს არია უმღერა, რომ ეს უკანასკნელი თავის ვინაობაში დაერწმუნებინა. „ტოსკადან“ არიის მოსმენის შემდეგ, მოლარე კარუზოსთვის თანხის გაცემაზე პასპორტის გარეშე დათანხმდა. მოგვიანებით, კარუზომ აღიარა, რომ ასე მონდომებით არასოდეს უმღერია.

8. შალიაპინი და მაქსიმ გორკი მომღერალთა ერთ-ერთ გუნდში სინჯებზე ერთდროულად მივიდნენ. გორკი აიყვანეს, შალიაპინი — არა.

9. ფონოგრამაზე სიმღერის გამო ქართველ მომღერლებს ნუ უსაყვედურებთ. პირველი ფონოგრამა XIX საუკუნის ბოლოს გამოჩნდა. ერთ-ერთ იტალიელ კომპოზიტორს კონცერტებზე ფონოგრაფი დაჰქონდა, რომელზეც ფორტეპიანოზე შესრულებული მისი ნაწარმოები იყო ჩაწერილი.

10. მუსიკასთან დაკავშირებული, საოცარი ისტორიული კაზუსი რუსეთშიც მოხდა. მეფე ნიკოლოზ პირველს კომპოზიტორი გლინკა არ უყვარდა. მან ჰაუპტვახტში მოხვედრილ, დამნაშავე ოფიცრებს სასჯელი გლინკას ოპერის — „რუსლანი და ლუდმილას“ მოსმენით შეუცვალა.

მეტროში ნაპოვნი უცნაური ნივთები

იმ ქვეყნებში, სადაც ნაპოვნი ნივთების ბიურო არსებობს, ყოველწლიურად ათასგვარი უცნაური ნივთი მიაქვთ. მაგალითად, ლონდონში ასეთ ბიუროში 130 ათასზე მეტი ნივთი იყრის თავს. ბიუროს თანამშრომლები ყველა ნივთს დაწვრილებით აღწერენ და რეგისტრაციაში ატარებენ. რომელიმე უცნაური ნივთით მათი გაოცება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ უამრავ ნივთს შორის ბევრი საინტერესო რამ ხვდება.



მაგალითად, ხელოვნური თვალი, მკერდის სილიკონის იმპლანტანტი, ადამიანის თავის ქალა, ბაღის სკამი და ნამდვილი ნავიც კი. ბიუროს თანამშრომლებს ნივთები კი არა, ის აოცებთ, როგორ შეიძლება, რომ მსგავსი რამ ადამიანს მეტროში დარჩეს.

ნაპოვნი ნივთების ბიუროში პატრონს რამდენიმე ათასი მობილური ტელეფონი, საფულე, ქოლგა, კბილის, ფეხისა და ხელის პროთეზი ელოდება. თუ ნაპოვნი ნივთების სიას ბოლომდე ჩაიკითხავ, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება, რომ ავადმყოფები პირდაპირ ტრანსპორტში გამოჯანმრთელდებიან ხოლმე. აბა, როგორ შეიძლება, რომ მეტროში ინვალიდის სავარძელი ან ყავარჯნები დაგრჩეს?

ნაპოვნ ნივთებს შორის, პატრონს ელის გარდაცვლილის ფერფლით სავსე ურნა და პატარა, ბუტაფორიული კუბო, საპატარძლო კაბა და წყლის თხილამურები.

არ იფიქროთ, რომ მეტროთი მხოლოდ არასერიოზული ადამიანები მგზავრობენ. მათ შორის ისეთი ადამიანებიც არიან, ვინც მეტროში 100 ათასი ევროთი სავსე კეისსა და მოსამართლის მანტიას ტოვებს.

ექიმებიც ძალზე დაბნეული ტიპები ყოფილან. ლექციაზე მიმავალ პროფესორს, ჩანთაში ჩადებული ადამიანის 2 თავის ქალა დარჩა.

სხვა უცნაურ ნივთებს შორის, თაროზე ერთმანეთის გვერდით, რამდენიმე მანეკენი, ვაზექტომიისთვის საჭირო ნაკრები და ბუღის სპერმით სავსე ქილები დგას.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ძვირფასი ნივთების ნახევარზე მეტს (ნოუტბუკი, ფოტოაპარატი) პატრონი აკითხავს და მიაქვს, ხოლო იაფფასიანი ნივთებიდან პატრონთან დაბრუნების შანსი მხოლოდ ყოველ მეოთხეს აქვს. ყველაზე იშვიათად ნაპოვნი ნივთების ბიუროს პიკანტური საგნების მფლობელები აკითხავენ (გასაბერი ქალი, ფალოიმიტატორი, ვიბრატორი და სხვ.).

ის ნივთები, რომლებსაც პატრონი ერთი წლის განმავლობაში არ მიაკითხავს, აუქციონზე გააქვთ. შემოსული თანხა კი ბიუროს ხმარდება.

პროკლამა



დასაწყისი

რამდენიმე კვირის წინ, ახალგაზრდა ქალბატონი დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა. დათქმულ ადგილზე ის მეგობარ ქალბატონთან ერთად მოვიდა. გული წინასწარ მიგრძნობდა, რომ საინტერესო ამბავი უნდა მომესმინა, მაგრამ შემოთავაზებულმა წინადადებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აღმოჩნდა, რომ ანას (სახელი შეცვლილია) ძალზე მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი აქვს განსახორციელებელი და მზადაა, მიზნისკენ მიმავალი ყოველი ნაბიჯის შესახებ, ყოველკვირა გულახდილად მოგვითხროს. როგორც თვითონ აღნიშნა, ეს მას სტიმულს მისცემს და რომ ეცოდინება, მკითხველი მისი ამბის გაგრძელებას ელის, უფრო გაბედულად იმოქმედებს. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არცთუ იოლ საქმესაა შეჭიდებული და მოვლენების განვითარება მხოლოდ მის მოხერხებულობასა და ქალურ შარმზეა დამოკიდებული (გარეგნულად ნამდვილად არ დაიწუნება). ამჯერად მის ნაამბობს გთავაზობთ, საიდანაც შეიტყობთ, როგორ ჩაეყარა საფუძველი ამბავს, რომლის განვითარებასაც, მომავალში, „გზის" მკითხველი თვალყურს „პირდაპირ ეთერში" მიადევნებს.

მარი ხაფარიძე

2 წლის წინ, კვირადღეს, ჩემს 13 წლის ქალიშვილს სალომეს ინგლისურში ვამეცადინებდი, როცა კარზე ზარის ხმა გაისმა. არავის ველოდით და გამიკვირდა, ვინ უნდა მოსულიყო ასე დილაუთენია. სალომე წამოხტა და კარის გასაღებად გაიქცა. მეც ნელი ნაბიჯით მივყევი. ვიფიქრე, მეზობელი, ნანა იქნებოდა და საქმე ჩემთან ექნებოდა. თუ კართან არ დავხვდებოდი და შინ შემოაღწევდა, ის დღე დაკარგულად უნდა მიმეჩნია. ჰოდა, ვიდრე კართან მივაღწევდი, სალომეს ყვირილი შემომესმა.

— მამაა, მამა მოვიდაა!

წამიერად შევდექი. ეს უნებური რეაქცია იყო. მერე, ცოტა მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ წლების წინ რუსეთში წასული და უგზოუკვლოდ გადაკარგული ქმრის გამოჩენამ დამზაფრა. თუმცა, იმას კი მაშინვე მივხვდი, რომ ეს სიხარულის კი არა, შეუცნობელი შიშის შედეგი იყო.

წამში გამოვერკვიე და დერეფანში გავედი. სალომე მამას კისერზე ჩამოჰკიდებოდა, იმასაც ბავშვი გულში ჩაეკრა და ერთმანეთს კოცნიდნენ. ჩემს დანახვაზე მახომ სალომეს ხელი უშვა და ჩემკენ წამოვიდა. ერთმანეთი ცივად გადავკოცნეთ.

— მოდი, — მოკლედ შემოვიპატიჟე, თითქოს დენის ინკასატორი ყოფილიყო და ოთახში შევბრუნდი.

მახომ 4 უზარმაზარი ჩანთა შემოათრია, შემოსასვლელში დატოვა, თვითონ კი ოთახში შემოვიდა და დაღლილი სახით დაჯდა დივანზე. ჯერ ოთახს მოავლო თვალი; თითქოს ამოწმებდა, მისი წასვლის შემდეგ რა შეიცვალა. არადა, იქ ძველი აღარაფერი იყო. რემონტი, ავეჯი, ფარდები, ხალიჩები და ვიტრინაში გამოფენილი ჭურჭელიც კი მას შემდეგ იყო შეძენილი, რაც ის ჩვენგან წავიდა.

— ასე მგონია, უცხო ოჯახში მოვხვდი, — თქვა რამდენიმე წუთის შემდეგ.

— ჰო, ალბათ ასეა.

— მარტო სალომე შემხვდა შინაურივით, — თქვა და მის გვერდით მჯდარ ბავშვს, რომელიც მონატრებული თვალებით შეჰყურებდა, ხელი მოხვია. — შენც ძალიან შეცვლილხარ, — თქვა ბოლოს და გამჭოლი მზერით გამბურღა.

— სალომე, მასწავლებელთან გაგვიანდება! — მკაცრად გადავხედე ბავშვს.

— აუ, დეე, არ წავალ, რაა, დაურეკე მასწავლებელს და უთხარი, რომ დღეს არ მივალ...

— ადექი, რომ გეუბნები და გაემზადე, მამაშენი არსად წავა. საღამოს მოესიყვარულე, ხვალ, ზეგ... — მინდოდა, ბავშვი მოსალოდნელი უსიამოვნო ლაპარაკისთვის ამერიდებინა. არც მახო გამოჰქომაგებია.

— უუუჰ, არასოდეს მიჯერებ, რაა... — ბუზღუნით წამოდგა და თავისი ოთახისკენ გაემართა. მერე უკან მობრუნდა, მამამისი კიდევ ერთხელ ჩაკოცნა და ოთახის კარი მოხურა.

— გშია? — ვკითხე მახოს

და მის პასუხს არ დაველოდე, ისე გავემართე სამზარეულოსკენ.

— კი, ძალიან მშია, — მიპასუხა და უკან გამომყვა. მდუმარედ მიყურებდა, როგორ ვუმზადებდი ერბოკვერცხს.

მაგიდა უცებ გავაწყვე. ჩემთვის ყავა მოვიდუღე და მის წინ დავჯექი. ამასობაში, სალომეც შემოვიდა, მამას კიდევ ერთხელ აკოცა, დროებით დაემშვიდობა და მასწავლებელთან წავიდა. სახეზე კი დიდი უკმაყოფილება ეხატა.

— ძალიან შეცვლილი ხარ, ანნა, — ჩემი სახელი რატომღაც ორი „ნ"-თი წარმოთქვა მახომ.

— იცი, რამდენი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს? ამ ხნის განმავლობაში გავიზარდე და დაბერებაც დავიწყე.

— სიბერეში აყვავებული ქალი ჯერ არ მინახავს, — რაღაცნაირი მზერა ჰქონდა მას. თან ლუკმას ისე ღეჭავდა, თითქოს მოვალეობას იხდიდა. რამდენიმე ლუკმა ნაძალადევად გადაყლაპა და თეფში გვერდზე გასწია. მე მშვიდი სახით ვიჯექი და მის მოძრაობებს თვალყურს ვადევნებდი. ერთ დროს მის მანერებზე, მიხრა-მოხრაზე ვგიჟდებოდი, მისი გამოხედვა კი ცეცხლს მინთებდა. მასზე ფიქრში ბევრი ღამე მითენებია და თუ ფიქრით დაღლილს ჩამძინებია, სიზმარშიც მახო მინახავს. უამრავი ქალი ცდილობდა მისი გულის მონადირებას და იმ უამრავს შორის არჩევანი ჩემზე შეაჩერა. ჩემზე ბედნიერი ქალი არ მეგულებოდა, როცა პირველი პაემანი დამინიშნა. ახლა კი 7 წლის უნახავი, ოდესღაც საოცნებო მამაკაცი ჩემ წინ იჯდა და მე მის მიმართ არაფერს ვგრძნობდი — სიძულვილსაც კი.

— გეზიზღები? — თითქოს ჩემი ფიქრი ამოიკითხა მახომ. დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით სახეზე წამოვწითლდი.

— არა, შენ წარმოიდგინე, რომ არ მეზიზღები, — ვუპასუხე და თვალებში შევხედე. თვალი გამიშტერა, თითქოს ჩემი პასუხის სიმართლეში უნდოდა დარწმუნება.

— მაგრამ არც გიყვარვარ, ხომ?

— ძალიან ბევრი დრო გავიდა, — თითქოს რომ არ მიყვარდა, იმის გამო თავი ვიმართლე. უხერხულად შევიშმუშნე და წამოვდექი. მაგიდის ალაგება დავიწყე და ის იყო, თეფშს დავწვდი, რომ მკლავში ხელი ჩამჭიდა და თავისკენ მიმიზიდა. გავუძალიანდი. ის კი ცდილობდა, კალთაში ჩავესვი. ხელს მთელი ძალით მიჭერდა და მკლავი საშინლად მატკინა.

— სალომე იმიტომ გაუშვი, რომ ჩემთან ალერსი გინდოდა? — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, რადგან თითქმის ხელჩართულ ჩხუბზე გადავედით.

— არა, მოკარება არ გაბედო! — მკლავი როგორც იქნა, გამოვგლიჯე და ნატკენ ადგილზე ხელი მოვისვი.

— რა იყო, იქნებ ვინმე გყავს? 7 წელი მარტო ხომ არ დარჩებოდი, არა? ასეა? მითხარი, ასეა? — ხელი თმაში ჩამავლო, თავი უკან გადამიწია და ტუჩებში კოცნა სცადა. ხელმეორედ გავითავისუფლე თავი მისი მკლავებიდან. თვალები ცრემლით მქონდა სავსე. სამზარეულოდან ხმაამოუღებლივ გავედი და მისაღებ ოთახში დავჯექი. საშინელი შეგრძნება მქონდა. შეურაცხყოფილი, გათელილი ვიყავი. გული დაჯიჯგნილი მქონდა, ათას ნაწილად გაყოფილი და სისხლისგან დაცლილი. სამზარეულოდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მახო როდის-როდის გამოჩნდა მისაღები ოთახის კარის ზღურბლზე. კარის ჩარჩოს მხრით მიეყრდნო, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და კარგა ხანს მიყურა.

— მე შენ მოგარჯულებ, ან(ნ)ა! — თქვა მერე და თავი გადააქნია.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

— აი, ისიც! — საჩვენებელი თითი ჭერისკენ მიმართა და მზერაც გააყოლა. კარის გასაღებად თვითონვე გაემართა.

— ძალიან ბევრი დრო გავიდა, — თითქოს რომ არ მიყვარდა, იმის გამო თავი ვიმართლე

— ოო-ო, ვინ ჩამოსულაააა! — ეს ნანა იყო, ჩემი კარის მეზობელი, მახოს თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი.

— როგორ ხარ, გოგო? — მხიარულად შეხვდა მახო.

— წეღან ფანჯრიდან თვალი მოგკარი და მეგონა, რომ მომეჩვენა. თურმე მართლა შენ ყოფილხარ, — ქაქანებდა ნანა და თან, დერეფანში დალაგებულ უზარმაზარ ჩანთებს ძლივს უვლიდა გვერდს. — გილოცავ ქმრის დაბრუნებას, — გულიანად გადამკოცნა და ჩემ გვერდით მოკალათდა.

— ცოტა შამსებულხარ, ხომ იცი, — გაეცინა მახოს.

— ჰო, გათხოვების მერე ცოტათი გავსუქდი, — ჯიშიან მკერდზე ხელი ჩამოისვა ნანამ. — რა იყო, რა ნაჩხუბრებივით იქცევით? მიიღე საყვედურები? — მიუბრუნდა მახოს.

— არა, რა საყვედურები, ანას ისე გაუხარდა ჩემი დანახვა, რომ რაც მოვედი, თვალზე სიხარულის ცრემლი არ შეშრობია. ყველაფერზე



თუ შენზე იცინიან, ყურადღება, შადეგან ადამიანებისთვის სიხარული მოგვჭვს.



უკვე ვისაუბრეთ და ანამ დიდსულოვნად მომიტევა ცოდვები. არა, ანა? — მახომ ხელი გადამხვია და მკერდზე მიმიკრა.

მის ნებას დავყევი და ლოყით მივეხუტე, ნანასთვის მეზობლებში საჭორაო თემა რომ არ მიმეცა.

— უჰ, მე კი მეგონა...

— მე ჩემი ანა ძველებურად მიყვარს, ჩემო ნანა, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ოდესმე. ასე რომ არ იყოს, აქ არ დავბრუნდებოდი. ანას სიყვარულმა დამაბრუნა და ამიერიდან ერთმანეთს ვერაფერი დაგვაშორებს.

— ახლა მოსკოვში ერთად წახვალთ? — ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა ნანას.

— არა, მე სულ ჩამოვედი და არსად წასვლას აღარ ვაპირებ. წეღან ანაც მეუბნებოდა, აღარსად გაგიშვებო.

— უიმე, რას ამბობ? — გულწრფელად გაუკვირდა ნანას.

— რა იყო, რატომ გაგიკვირდა? სულ რომ მთათხავდა, იმიტომ? ასე რომ იქნებოდა, ვიცოდი, მაგრამ დამინახა თუ არა, ყველაფერი მაშინვე გადაავიწყდა და ახლა უკვე შევრიგდით, — აშკარად გადაამლაშა მახომ. ნანას სახეზე დაეწერა, რომ მისი ნათქვამის არ სჯეროდა, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. უეცრად აფუსფუსდა, საქმე მოიმიზეზა და წავიდა.

— არ დამიჯერა... — უფრო თავისთვის ჩაიბურტყუნა მახომ, ვიდრე ჩემს გასაგონად და ფეხზე წამოდგა. ოთახში ერთი, ყველაზე დიდი ჩანთა შემოათრია და გახსნა დააპირა, მაგრამ შესაკრავი გაჯიუტდა და არ დაემორჩილა. დასცხა. წელს ზემოთ გაიხადა, ჩანთასთან ჩაიმუხლა და კარგა ხანს იწვალა, ვიდრე გახსნიდა. მე კი ვუყურებდი და მასზე ვფიქრობდი. სახის ნაკვთები არ შეცვლოდა. მხოლოდ ჭაღარა მორეოდა საფეთქლებთან და ძალიან უხდებოდა. სხეულიც ძველებურად ჰქონდა დაკუნთული, მაგრამ ოდნავ მოშვებული. როგორც ჩანს, ბოლო წლებში აღარ ვარჯიშობდა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს არც არასოდეს წასულა. სულ ერთად ვიყავით და ისევ ისე მიყვარდა, როგორც წინათ. მინდოდა, ახლოს მივსულიყავი და თმაზე ხელით შევხებოდი. „წინათ ძალიან რბილი, სასიამოვნო შესახები თმა ჰქონდა. ნეტავ ახლა ისევ ისეთი აქვს თუ გაუუხეშდა?“ — გავიფიქრე ჩემთვის.

— ხედავ, ამ წლების განმავლობაში არც კი გავმელოტდი, — მითხრა უეცრად და ქვევიდან შემომცინა. როგორც იქნა, ჩანთაც გახსნა. ცოტათი შევშინდი, რადგან ჩემს აზრებს იოლად კითხულობდა. ამას როგორ ახერხებდა, არ ვიცი. ასე იყო წინათაც. რაიმეს რომ გავიფიქრებდი, თქმას ვერ ვასწრებდი, რომ ის უკვე მპასუხობდა. თუ გავიოცებდი, მეტყოდა ხოლმე: შენ ჩემი ნეკნი ხარ და როგორ შეიძლება, რომ საკუთარი სხეულის ნაწილის უსიტყვოდ არ მესმოდესო.

— სიბერეში აყვავებული ქალი ჯერ არ მინახავს, — რაღაცნაირი მზერა ჰქონდა მას

— ეს შენ! — თქვა და რაღაც მესროლა. ძლივს დავიჭირე, მაგრამ ზედ არც კი დავხედე, გვერდზე ისე მივაგდე.

— ტყუილად შეწუხდი...

— ბა-ტო-ნო? — დამარცვლა მახომ. ფეხზე წამოდგა, მომიახლოვდა, დივანს ხელებით ისე დაეყრდნო, რომ მის მკლავებს შორის აღმოვჩნდი და სახე ძალიან ახლოს მომიტანა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ადამიანები ახლობლებს იმ მიზეზით ცანჯავენ, რომ მათთვის ყურადღება უნდათ.

როგორი ანაზღაურება ჰქონდათ ჯალათებს?

შუა საუკუნეებიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, ევროპაში სასამართლო გადაწყვეტილებებს მისი ჯერძო მფლობელები იღებდნენ. 1464 წელს, პოლონეთის ქალაქ ჯოშალინის საქალაქო საბჭომ სასამართლო ხელისუფლება ეპისკოპოს ჯამენსკისგან სოლიდურ თანხად გამოისყიდა; მასთან ერთად – სასჯელის სისრულეში მოყვანის უფლებაც. ამ გადაწყვეტილებამ ჯალათის დაქირავების აუცილებლობა გამოიწვია, რომელსაც ხელფასი ქალაქის ხაზინიდან ეძლეოდა. ჯოშალინის არქივში ნაპოვნია 1743 წელს შედგენილი პრეისკურანტი, რომლის მიხედვითაც ჯალათის მომსახურების ანაზღაურება ხდებოდა.

გრაფი თარხანი

ჯალათის მოვალეობას მხოლოდ სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანა არ წარმოადგენდა. მას ქალაქის სასამართლოს მიერ გამოტანილი სხვადასხვა განაჩენის აღსრულებაც ევალებოდა. ამასთანავე, მის ფუნქციაში შედიოდა ეჭვმიტანილთა წამება, რომელიც მაშინაც აღიარებითი ჩვენების მოპოვების საიმედო გზად მიიჩნეოდა.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე „სამარცხვინო ბოძი“ იყო აღმართული, რომელზეც გარკვეული დროით დამნაშავეს ან უბრალოდ აკრავდნენ, ან გაროზგავდნენ ხოლმე. ასეთ სასჯელს წვრილმანი დანაშაულისთვის იხდიდნენ. 1718 წლამდე კოშალინის ცენტრალურ მოედანზე სახრჩობელაც იყო აღმართული, რომელზეც დამნაშავის უსულო სხეული რამდენიმე დღის განმავლობაშიც კი ეკიდა ხოლმე. ეს დამატებით სასჯელად მიიჩნეოდა.



კოშალინში დამნაშავის სახალხოდ დასჯა უკანასკნელად 1856 წელსაა დაფიქსირებული. ამის შემდეგ, ეგზეკუციას საქალაქო სასამართლოს ეზოში ატარებდნენ ხოლმე. გამოძახების შემთხვევაში, ჯალათის მოვალეობაში, დანაშაულის ადგილზე გამოცხადება და სამართლის იქვე აღსრულებაც შედიოდა.

ჯალათის საქმიანობა ქალაქის მოსახლეობაში ზიზღს იწვევდა. მას არ შეეძლო ქალაქში სხვა „სამოქალაქო“ ფუნქციის შესრულება და ვინმესთან მეგობრობა. მის შთამომავლობას კი ქალაქში დამკვიდრება და სამსახურის შოვნა უჭირდა.

პოლონეთში ჯალათებად საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენლები მსახურობდნენ. ისინი, ვისაც არსებობისთვის სხვა საშუალება არ ჰქონდათ. ჯალათის ადგილი ხშირად იყო ვაკანტური და სასამართლო ხელისუფლება იძულებული ხდებოდა, ერთი დამნაშავის სასიკვდილო განაჩენის აღსრულება მეორე დამნაშავისთვის დაევალებინა. ამ ადგილს ხშირად იკავებდა სიკვდილმისჯილი, რომელსაც სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ, ჯალათად მუშაობას სთავაზობდნენ.

გერმანიაში ჯალათის „თანამდებობა“ მამიდან შვილს გადაეცემოდა. კოშალინში კი ერთი ოჯახის წევრები ჯალათის მოვალეობას 1732-1893 წლებში ასრულებდნენ. ისინი XX საუკუნის დასაწყისამდე ქალაქის ერთ-ერთ ჩვეულებრივ ქუჩაზე, XV საუკუნეში აშენებულ სახლში ცხოვრობდნენ, რომელსაც ქალაქის მცხოვრებლები დღემდე „ჯალათის სახლს“ ეძახიან.

XVIII საუკუნე დასავლეთ ევროპელებისთვის მატერიალური თვალსაზრისით, ძალზე მძიმე პერიოდი იყო. მაშინდელი ფულის ერთეული ტალერი გახლდათ, რომელიც 30-გრამიან ვერცხლის მონეტას წარმოადგენდა. 23 ტალერი 1 გულდენს უდრიდა, ნახევარ ტალერს კი ფლორინი ეწოდებოდა.

გერმანიაში ფლორინი და გულდენი ოქროს მონეტები გახლდათ. შედარებისთვის, 1785 წელს კოშალინში ერთი ტომარა ხორბალი 1,5 ფლორინი, ხოლო მეწველი ძროხა — 12 ფლორინი ღირდა.

ახლა ვნახოთ, რა ჯამაგირი ჰქონდა ჯალათს და როგორ ცხოვრობდა ის გაჭირვებული მოსახლეობის ფონზე.

- დამნაშავის ქვეყნიდან გაძევებისა და სახალხოდ გაროზგვისთვის — 4 გულდენი;
- დამნაშავის ქალაქიდან გაძევებისთვის — 1,5 ფლორინი;
- დამნაშავის ერთჯერადად წამებისთვის — 5 გულდენი;
- თავის მოკვეთის, კოცონზე დაწვის, ჩამოხრჩობის, სარზე დასმისა და წყლიან კასრში დახრჩობისთვის — 5 ფლორინი;
- თავის მოკვეთისა და გვამის დაწვისთვის — 10 ფლორინი;
- თვითმკვლელის დამარხვისთვის — 5 ფლორინი;
- სამარცხვინო ბოძზე დამნაშავის გაკვრისთვის — 9 ფლორინი.

ჩოფორ ხნდა დაიცვა თავი ფროტერეანისგან

ვფიქრობ, სიტყვა „ფროტერი“ თქვენს ყურს უცხოდ მოხვდა, მაგრამ თუ დილით ან საღამოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა გიწევთ, ალბათ, ხშირად გადაჰყრიხართ მას. მოგეხსენებათ, პიკის საათის დროს, ტრანსპორტში საშინელი ჭყლეტაა. ამ დროს ვიღაცების ცელოფანის პარკები, ხელები, ფეხები, ჩანთები ერთმანეთშია არეული. შესაძლოა, ვიღაც „შემთხვევით“ ინტიმურ ადგილზე შეგეხოს. ე.ი. შენ ფროტერის ინტერესის ობიექტი ხარ.

გრაფი თარხანი

სიტყვა „ფროტერი“ ლათინური წარმოშობისაა. frottere ხახუნს ნიშნავს. მათ ხშირად „ტაჩერისტებსაც“ უწოდებენ, რომელიც ინგლისური სიტყვიდან — touch (შეხება, ხელის მოკიდება) წარმოიშვა.

ფროტერები ნებისმიერ ტრანსპორტსა თუ რიგში თავს კარგად გრძნობენ. მთავარია, ტრანსპორტი გადაჭედილი იყოს. ისინი მხოლოდ ქალებით ინტერესდებიან და პრინციპში, საშიში არ არიან. მანიაკს ან გარყვნილს მას ვერ უწოდებ. მათთან შეხებისას ყველას ერთნაირი რეაქცია აქვს — გარიდებას ცდილობს.

სტატისტიკის მიხედვით, ევროპაში 100-დან მხოლოდ 1 ქალი ჩივის პოლიციაში ან სიფათში უთავაზებს თავხედს.

ფროტერიზმი სექსუალური გადახრის ყველაზე მსუბუქი და გავრცელებული ფორმაა. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში მამაკაცთა 25% ფროტერიზმით იყო „დაავადებული". მისი პიკი, როგორც წესი, 22-23 წლის ასაკზე მოდის.

ფროტერებს მხოლოდ შეხება აინტერესებთ. ისინი ცდილობენ, უცნობ ქალს თეძოზე ან საჯდომზე შეეხონ. თუმცა, შესაძლოა, სხვა ინტიმურ ადგილზე შეხებაც მოინდომონ. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ფროტერები საზოგადოებისთვის საშიშნი და აგრესიულები, პოტენციური მოძალადეები არ არიან.

ფროტერი არ ცდილობს ქალის გაცნობას ან მისთვის თვალებში ჩახედვას. ის ირჩევს ქალს და მასთან ინტიმურ კავშირს აზრობრივად ამყარებს. ვინაიდან მხოლოდ ვირტუალური ეროტიკა არ აკმაყოფილებს, ცდილობს, „მსხვერპლს" ხელით შეეხოს ან გაეხახუნოს. ის ამ დროს ქალის სახის წარმოდგენას ცდილობს.

ბევრ ქვეყანაში პოლიცია ფროტერებს არ დევნის. აი, ინგლისში კი მათ წინააღმდეგ მკაცრი სასჯელია შემოღებული. 2007 წელს ბრიტანეთში ფროტერიზმისთვის 30 ათასზე მეტი მამაკაცი სოლიდური თანხით დააჯარიმეს. იაპონიაში კი ქალებისთვის განკუთვნილი სპეციალური ტრანსპორტი არსებობს.

ფროტერებს მხდალ, მორცხვ მამაკაცებად მიიჩნევენ, რომელთაც უამრავი ფსიქოლოგიური პრობლემა აქვთ. ამ საკითხზე მუშაობის შედეგად ფსიქოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფროტერების უმეტესობას, უმაღლესი განათლება აქვს, ცოლიანია ან მუდმივი მეგობარი ქალბატონი ჰყავს. ისინი სხვა მამაკაცებთან შედარებით, მორცხვები არიან. ამ „დაავადებით" უმეტესწილად, დიდ ქალაქში რეგიონიდან ჩასული მამაკაცები „ავადდებიან". ამდენი ლამაზი ქალის დანახვისას, თავბრუ ეხვევათ და სწორედ აქედან იწყება ფროტერობაც.

ფროტერიზმის გამოვლინების პიკი გაზაფხულსა და ზაფხულს უკავშირდება — იმ დროს, როდესაც მშვენიერი სქესის წარმომადგენლები შილიფად ჩაცმული დადიან.

ფროტერი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ შეუმჩნეველი დარჩეს და გამჟღავნების შემთხვევაში, ყველაფერი ხალხმრავლობას გადააბრალოს. მათ, როგორც წესი, კონსპირაციის მიზნით, ხელში რაიმე ნივთი უჭირავთ. ეს შესაძლოა იყოს ქოლგა, ცელოფანის პარკი ან წიგნი. თუ მძღოლი ოდნავ დაამუხრუჭებს, ფროტერი საკუთარ „მსხვერპლს" მაშინვე წელზე ჩაეჭიდება. ასე თუ ისე, ისინი მაინც მხდალები არიან და ასეთი კაცის მოშორება ძალზე იოლია. საკმარისია, მრავალმნიშვნელოვნად გადახედო და მაშინვე გაგეცლება. თუ ამან არ გაჭრა, შეგიძლია, იდაყვი გაჰკრა ან ხმამაღლა უთხრა, რომ გაიწიოს. ამის შემდეგ, ის ან გაგეცლება და ხალხს შეერევა, ან მოგიბოდიშებს და გეტყვის, რომ უნებურად მოუვიდა. თუ აქტიური ტიპი შეგხვდა, რომელიც გარდა იმისა, რომ გეხახუნება, გაგრძნობინებს კიდეც, რომ მისი „მსხვერპლი" ხარ, მაშინ შეგიძლია, ქინძისთავით უჩხვლიტო და მიახვედრო, რომ არასასურველი „სტუმარია".



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ერცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

წინა ნომრის ფავორიტი ქალბატონი მე-7 მესიჯის ავტორია, 37 ხმით. მეორე ადგილზე მე-16 ნომერი, – 21 ხმით, ხოლო მესამე ადგილზე – მე-18 მესიჯის ავტორი, 19 ხმით. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ შორის ყველაზე დიდი მოწონება 36-ე მესიჯის ავტორმა დაიმსახურა, 68 ხმით. მეორე ადგილზე 26-ე მესიჯის ავტორია, 17 ხმით, ხოლო მესამე ადგილზე, 31-ე მესიჯის ავტორი, 11 ხმით.



1. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით მეგობრულ, ყურადღებიან და დამოუკიდებელ მამაკაცს, 27-დან 35 წლამდე. დამიმესიჯონ მხოლოდ სერიოზულებმა. პატარებმა თავი შეიკავეთ.

2. ვარ პუტკუნა, სერიოზული და პატიოსანი, 23 წლის ნანიკო. მინდა ვიპოვო ჩემი მეორე ნახევარი. გავიცნობ სერიოზულ პიროვნებას, 30 წლამდე.

3. გთხოვთ, დამიკავშირდეთ 50-ს გადაცილებული მამაკაცი, ბინიანი, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 53 წლის. სასურველია, თბილისელი. ეთო.

4. ვარ 26 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 38 წლამდე ასაკის, სერიოზულ, სიმპათიურ, განათლებულ მამაკაცს. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

5. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს თბილისელი, სერიოზული მამაკაცი, 37-42 წლის, ყველაფრით უზრუნველყოფილი. შვილიანებმა თავი შეიკავეთ. ვარ 37/170.

6. ვეხმაურები „გზა“ №9, 30-ე მესიჯის ავტორ მამაკაცს. დამიმესიჯოს, სურვილისამებრ. ხათრიანი და მორიდებული გოგო, ქუთაისიდან.

7. ვარ 37/170/68, სიმპათიური, ერთგული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, 37-42 წლის, უცოლშვილო, კეთილშობილ, ეკონომიურად დამოუკიდებელ მამაკაცს.

8. ვარ 30 წლის, 172 სმ სიმაღლის, 63 კილოგრამი. თბილესელი, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი, ქართველი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-40 წლის, სამსახურით უზრუნველყოფილ, ერუდირებულ მამაკაცს.

9. ვარ 32/173, მომხიბვლელი, სამსახურით უზრუნველყოფილი მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-45 წლის, ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილ მამაკაცს.

10. ვარ გაუთხოვარი, ძალიან ღარიბი, უნაკლო გარეგნობითა და თვისებებით. მინდა შევქმნა ბედნიერი ოჯახი, 45 წლამდე ასაკის მამაკაცთან.

11. გავიცნობ სიმპათიურ, 30 წლამდე ასაკის, დასაქმებულ, სერიოზულ, შეძლებულ მამაკაცს. ვარ ლამაზი, სერიოზული გოგო. თანამედროვე ცხოვრებისგან — შორს. არასერიოზულებმა თავი შეიკავონ. ნატა22.

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37-45 წლის, სერიოზულ მამაკაცს.

13. გავიცნობ მდიდარ, სიმპათიურ მამაკაცს, რომელსაც სურს ოჯახის შექმნა, ინტიმური ურთიერთობის გარეშე.

14. ვისაც სურს კარგი მეგობარი, დამიმესიჯეთ. თიკო.

15. ვარ 31 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 39 წლამდე ასაკის, მატერიალურად უზრუნველყოფილ, სერიოზულ მამაკაცს.

16. გავიცნობ 38-40 წლის მამაკაცს, ჯერჯერობით, მესიჯებით სამეგობროდ. ვარ 38 წლის, ქვრივი, განათლებული და თბილი. არასერიოზულებმა, დაბლებმა და მსუქნებმა თავი შეიკავეთ ირმა.

17. ვარ 35 წლის, 173 სმ სიმაღლის, 63კგ, ქერა, მოწესრიგებული, გაწონასწორებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, შესაფერისი მონაცემების მქონე მამაკაცს, 45 წლამდე.

18. ვარ 34 წლის, კარგი რეპუტაციის, დასაქმებული.

დაოჯახების მიზნით გავიცნობ მსავსი „შინაარსის“, ოჯახის მოყვარულ, 40 წლამდე ასაკის მამაკაცს. ვაცხობ გემრიელ ხაჭაპურს.

19. გავიცნობ 45 წლის ზევით, განათლებულ, თბილ და ყურადღებიან, უზრუნველყოფილ, ქვრივ ან გაცილებულ, არადაბალ, არამსუქან მამაკაცს, ვისაც შეუძლია გვერდით დგომა და მეგობრობა.

20. ვარ 46/176/56, განათლებული, სერიოზული, ყურადღებიანი, მარტოსული ქალბატონი. მომწეროს მხოლოდ შესაფერისმა, უზრუნველყოფილმა, ვისაც შეუძლია ერთგულება, ბოლომდე.

21. ვარ 32 წლის, სიმპათიური ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37 წლამდე ასაკის მამაკაცს, ოღონდ — სერიოზულად. გთხოვთ, საშაყიროდ ნუ შეწუხდებით.

22. სამეგობროდ გავიცნობდი ქალბატონს, რომელსაც სიყვარული და სითბო უნდა. გიორგი.

23. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №9, მე-16 მესიჯის ავტორის ნომერი.

24. მარიშ, გთხოვ, ვისაც კი გაცნობის სურვილი გაუჩნდება, ჩემი ნომერი მიეცი. ashley pcd, მოკითხვა. deep hearT.

25. ვარ 30/180/95, უმაღლესი განათლებით, მაქვს კარგი შემოსავალი. ვეძებ ბინიან გოგოს, პატიოსანს და სუფთა წარსულის მქონეს. ცანცარები არ შეწუხდეთ.

26. ვარ 28 წლის, სიმპათიური ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ სერიოზულ, სიმპათიურ გოგონას. ქუთაისი.

27. ვეხმაურები „გზა“ №10, მე-16 მესიჯის ავტორს.

28. თბილისელი, დაოჯახებული მამაკაცი გაიცნობს თბილისელ, დაოჯახებულ ქალბატონს.

29. სამეგობროდ გავიცნობდი სანდომიანი გარეგნობის ქალბატონს, რომელსაც სითბო და სიყვარული სჭირდება.

30. ვარ ყურადღებიანი, თბილი და მშვიდი ადამიანი. გავიცნობ „გზა“ №10, მე-16 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ტელეფონის ნომერი.

31. მყავს 45 წლის ბიძაშვილი. თბილისელი, ქვრივი, დასაქმებული. არის საოცრად თბილი და მოსიყვარულე, კარგი მეოჯახე. თუ გსურთ, მთელი ცხოვრება ბედნიერ ქალად იგრძნოთ თავი, დაუმესიჯეთ.

32. მხოლოდ სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 32 წლამდე ასაკის, თბილისელ გოგოს. უნდა იყოს 160 სმ სიმაღლის, კარგი გარეგნობის, თბილი ბუნების, განათლებული.

33. 4 წლის, მომხიბვლელი პეკინესი, ჩაპო ეძებს საცოლეს. გოგო პეკინესის პატრონებო, აჩუქეთ თქვენს ოთხფეხა მეგობარს ჩაპოსთან შეხვედრის ბედნიერება.

34. ვარ 18 წლის, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ 16-18 წლის, თბილისში მცხოვრებ, მხიარულ და ლამაზ გოგონას. ლაშა.

35. გამარჯობა. თუ შეიძლება, დამაკავშირეთ მე-13 მესიჯის ავტორთან.

36. ვარ 39/180/78, მამაკაცი, დასავლეთიდან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სიმპათიურ ქალბატონს.

37. გავიცნობდი 25-40 წლის, ქუთაისელ ქალბატონს, ინტიმური ურთიერთობისთვის. 41/172/67.



ჩვენი ლმერთის მაშინ
ძიძაოთაოვს, შოცა ეშმაკი
მასთან ურთიერთობაზე
ოკრს ამშობს.



უკვდავების წყალი

38. ვარ 37 წლის, რომანტიკული ბუნების და მშვიდი ხასიათის ადამიანი. ანონიმური ურთიერთობისთვის ვეძებ პიროვნებას, რომელიც გამიწევს სულიერ მეგობრობას.

39. გავიცნობდი ნამდვილ, ერთგულ მეგობრებს, ვისაც მეგობრობა შეუძლია. მამრობითები ნუ გამომეხმაურებით. მხოლოდ ქალები. ასაკს მნიშვნელობა არ აქვს.

• მინდა, რომ იყო თეთრი გვირილა და აგირჩიო ვარდების ზღვაში, მინდა, რომ მხოლოდ მე მეკუთვნოდე და არასოდეს გამცვალო სხვაში. მიკაქალთ ყველა. :) უკარება, ათენიდან.

• ათენი-23, შეიძლება შენი გაცნობა? ვიმეგობროთ, ok? როგორც ჩანს, ერთნაირ მდგომარეობაში ვართ და გავუგებთ ერთმანეთს. უკარება. მიყვარხართ ყველანი.

• ეკლესიის ხავსიან კედლებს გაუმარჯოს, კედლებზე დანთებულ სანთლებს, ეს იმას გაუმარჯოს, ვისი სულიც ვისთან იყოს, უნდოდეს და იქ არ იყოს. უკარება.

• ახალი ვარ, ჰოდა, თქვენთან უკარებად ვარ მოსული. ათენიდან გწერ ამ პაწაწუნა მესიჯებს. ჰოოდა, გერასიმე, მინდა გაგიცნო. ომონიაზე მეც ვარ, კვირაობით. გკოცნით, მიკაქალთ. :)

• ჩორი-ჩორი, მეც დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი და შენს კლუბში გავწევრდებოდი კიდეც. ე.ი, მიღებული ვარ, ხომ? ახლა სოფელში ვარ და იცი, რა ლამაზად თოვს? მის ბეღურა.

• მე მზე არ ვარ, მარა კი ვარ თბილი. არც შაქარი, მარა კი ვარ ტკბილი. არც ქარი ვარ, მაინც მოგეფერები და ვით ჩრდილი, კვალში გამოგიდგები.

• სასხვათაშორისოდ, საყვარელ ადამიანთან სექსი დეუავიუს გრძნობას არ უნდა იწვევდეს, თორემ სულ 8 მარტი იქნება. გლოცავთ, გოგონებო. deep hearT.

• ზურა, ჩემო კნუტო, მენატრები. გილოცავ სოფოს ბედნიერებას. თამო.

• კობა, ყრუ! მაგარი მსახიობი ხარ და შენი ძმა შენზე უარესი მატყუარაა. დაიმალე, თორემ რამეს წარმოადგენ?! ცოლ-შვილს მიხედე, იდიოტო. აუცილებლად გადაგიხდი სამაგიეროს, ყველაფრისთვის.

• ოლიაააა... როგორ ხართ? ამაზონკა, შენი გაცნობა მინდა. ჩორი-ჩორი, შენს კლუბში მიმიღებ? მიყვარხართ. enkey.

• ბავშვებო, არ გამიცნობთ? მე ძალიან მიყვარხართ, ყველა. გკოცნით და გეხვევით, თქვენი enkey. p.s. ჩატელები თუ ხართ ვინმე, გამომეხმაურეთ. გკოცნით.

• აუ, რა მაგარ ხასიათზე ვაარ... ყველა მიყვარხართ, მპუა... p.s. ჩორი-ჩორი, ამაზონკა, ნელკა, ყველა მიყვარხართ. enkey.

• ზმიზმი, შენი გაცნობა მინდა. :-) ამაზონკა, არბოშიკში გყავს ნაცნობები? გამომეხმაურე, პლზ. მარი, ჯიგარი ხარ, გოგო. enkey.

• მის ბეღურა, აბა, რაა... მიღებული ხარ! აბა, კიდევ ვის უნდა, ჩემს კლუბში? მოდი, კლუბს ბილიკს დავარქმევ. აბა, მგზავნელებო, გელოდებით. ცოტაც და გა-

ჭალის ხანდახან უნდა
დაემშრალო, შემ
ხშირად დაიმშრალო.

ვალთ... მპუა. ჩორი-ჩორი.

• ფეხი დამადგი, გულზე დამადგი, ოღონდ არ გამ-ჭყლიტო. ჰმ, ყველაფერზე როგორ უნდა კაიფობდნენ? მდაააა... საით მივექანებით? ოჰ, გამოვედი მეც დედა ტერეზა, რა... ჩორი-ჩორი.

• ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ, „მილანი“ რომ გავარდა ჩემპიონთა ლიგიდან. სხვა გუნდის ფანებს კი წარმატებებს ვუსურვებ. მილანკა.

ნარკომანის ოცნება

• ისე, ეს თამოს მესიჯები, ვიღაც ზურას და ათას კაცს რომ სწერს, ნერვებს არ გიშლით? მაგას თავის ტკივილები აწუხებს, ალბათ... რა ეშველება? ნეტავ მაგისმა ოჯახმა თუ იცის, ციხეში რომ დადის? ინტრიგანი.

• აუ, ხალხო, რაფერ ხართ? ქიშოს ამბავს მოვყვები. ძმაკაცია ერთი, ქიშვარდი. ერთხელ გოგომ დაუძახა, ამან კი უპასუხა: ქიშო დამიძახე და ვარდი შენთვის დაიტოვეო. ჯონ-ჯოლიე.

• ჯონ-ჯოლიე, აქ ვაარ! ისა და... მეგრელო კანიბალკა და მგელო, მიორთ, მანგარო. კიდევ კარდიოლოგი, ნელკა და ილინი მაგადიაააა! თქვენ გეხუტუნეთ, გიჟუნიებო! ეჰ, ეჰ... ჯონ-ჯოლიე.

• ზმიზმი, კარგი, არ გენატრები... :) როგორ ხარ? მე მომენატრე, სამაგიეროდ და გამიხარდა შენი დაბრუნება. „ბალის“ და „ჯეოსელის“ ჩატებში არ ვარ. :) ნელკა.

• ვაიმე, ნიკოლი დაბრუნდააა! როგორ ხარ, სიხარულო? აუ, შენი ნომერი მინდა. :(მეც მომენატრე. გაიხარეთ, თქვენი მარადმწვანე ნელკა.

• ზურა, ჩემო ტკბილო და თბილო, ყოველი შენი ზარი ჩემთვის დღესასწაულია. გელოდები. არასოდეს მიგატოვებ. შენი თამო.

• რამაზ, დე, არაფერი ვიცი შენ შესახებ. გლდანში არისო, მართალია? ზურამ მოგიკითხა. დამიკავშირდი. თამო დედა.

• ვაუ, nicoleee, გაგახსენდი? მე კი ვიფიქრე, დავავიწყდი-მეთქი. რავი, ქალო, რა გითხრა შუთუსი? „ნიტოდ“ ვართ, კაი ხანია. მასზე არაფერი ვიცი და არც მინდა, დამაინტერესოს. მ.გ.ე.ლ.ო.

• აუ, სანამ „გზას“ ვიყიდდი, დაქალს ვუთხარი, რომ ღურწკაიას და სოფიკოს ამბები აუცილებლად იქნებოდა. გადავშალეთ და მართლა არ იყო, ორივე? აი, მე-6 გრძნობაც. მაგარი ვარ, მაგარი. მ.გ.ე.ლ.ო.

• აუ, დიდი მადლობა გოჩა მანველიძეს. „მგლები“ ჩემი სიხარულია. ჟურნალისტებო, გოჩას გადაეცით, გთხოვთ, როცა „მგლები-4“-ზე მუშაობას მორჩება, ლუკა არ მომიკლას, თორემ მეც მოვკვდები. „მგლები“ ჩემი სიცოცხლეა. ეგ ერთადერთი წიგნია, რაზეც ვგიჟდები. მაგიტომაც მქვია მგელო. გთხოვ, გოჩა ბატონო, ლუკა მიცოცხლე, მარად. გადაეცით, გთხოვთ. მ.გ.ე.ლ.ო.

• იკჩო, შენც ზანგების ფანი ხარ, არა? ჰეჰ! ჩემი იკჩოც. არა, რამ გადაგრიათ ეს იაკოები ? ისა და... ციგნები არ წავლენ? პაჩტი ზანგები არიან, ეგენიც. იფიქრე! ჩორი-ჩორი.

• ashley, გილოცავ! ვასასი, უსაყვარლესი ხარ, გაკოცეე. :) ბაო, ნინო-მილან, მუზკა, ამალთეა, ლეო, შეწირულო, თხერე, ოლეგარიო, კოხი, მის13.07, ეშმაკუნა და ა.შ, მოდით, რااა... ნიკოლი.

• რა შტერი ვარ, წინა ნომერში, „სხვადასხვაში“ 1 sms ჩემია და ნიკი დამავიწყდა. მარტში ვის გაქვთ, დაბადების დღე? მე 31 მარტს მაქვს და საერთოდ, დაბადების დღეები როდის გაქვთ? სესი.

• nicole, მეც ლომ მიკალქალ, ლა ვუკო, ლაა! მისს რეალ, ტელეფონს გავაკეთებ და გპირდები, აუცილებლად მოგწერ. ზმიზმი, რატომღაც ყოველთვის გოგო მეგონე. ashley pcd.

• კანიბალკა, ლანკა, avril lavigne, ჩორი-ჩორი და კარდიოლოგო, გამეცნობით? ძაან საკალელი გოგჩოები ხართ. ashley pcd.

• ზმიზმი, არ იდარდო, სიხ. აი, ნახავ, გამოჩნდება შენს ცხოვრებაში ადამიანი, ვინც მთელი გულით შეგიყვარებს. თანაც, მგონი შენი მაკუშა გამოგეხმაურა. მპა, შენ. ashley pcd.

• ნელკა, როგორ არის „გზის“ დაცემა ქალი? ვასასი, მეც ძაან მომწონს „ქარის საიდუმლო“. აქვე მინდა, დაბადების დღე, 19 მარტი მივულოცო ლეილა კაკოსიანს, დიდი სიყვარულით. ashley pcd.

• პრივეტები, როგორ ხართ? ძალიან მიყვარხართ

სუსტი სქესის თანამდებობრივი უთანასწორობა

ყველანი. ილინ, კანიბალკა, სესი, ნელკა, ლიმონა, პარიჟანკა, ashley pcd, ლეო91, ჩორი-ჩორი, მამაცო თოჯინავ და უზნეო ანგელოზო.

• სალამი, „მობილიზაციას“! „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. ვკითხულობ ამ მესიჯებს და გადავწყვიტე, იქნებ ბედი ვცადო-მეთქი. ჩემი მესიჯი რომ „გზის“ ფურცელზე ვნახო, ავფრინდები. ძალიან მაგრები ხართ, „მობილიზაციონერებო“. განსაკუთრებით, კანიბალკა და კამელია. მეც მინდა, ამ სამყაროში შემოსვლა. კართან ვდგავარ, შემომიშვებთ? დაველოდები.

• მის კაპასა, სტიქიას შენ კითხულობდი, ხომ? ერთ-ერთ ფორუმზეა. wap.forum.goodwap.org. :) იმედია, არ გამიბრაზდება, დაუკითხავად რომ გავეცი. non nocere.

• ჩორი-ჩორი, ძალიან გამახარე. მიყვარხარ, ჩემო გიუმაჟო გოგო. მენატრები ძალიან და მიხარია, ამდენ ადამიანს რომ უყვარხარ. გკოცნი უამრავს. ჯიგარი ხარ. ირმა.

• ვაჰ, დედასა... მეგონა, ბოროტები მოვიშორე, დაიღალა ლანძღვით-მეთქი და პირად ნომერზე არ გამეძრო? რა თავხედობაა? ამოვავლე, თათარაში. :) მგელო.

• ხათი, ჩემო ლამაზო და უსაყვარლესო გოგო, გილოცავ დაბადების დღეს, 16 მარტს. მრავალს დაგასწროს ღმერთმა, გახარებული და ბედნიერი, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. დედა.



• მე ეკა ვარ, ტყიბულში ვცხოვრობ და ძალიან, ძალიან მიყვარს ცოტნე ჯანელიძე. მიყვაააარს!

• სანთელო, მინდა იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ. ჩემი სათაყვანებელი ხატი ხარ და ჩემი სიცოცხლის აზრი. ვგიჟდები შენზე. ბუსუსუნა.

• ეკლიანი გზების გავლა შენთვის იყოს ვარდიანი, არასოდეს არ მენახო, მოწყენილი, დარდიანი. მენატრები, ინგა და მიყარხარ უზომოდ. შენი დაკარგული.

• ზურა, მინდა, ყველამ გაიგოს, რომ მიყვარხარ. ჩემი კუდა ხარ. შენი თამო.

• მიყვარხარ და მენატრები, ჩემო სიცოცხლევ. მარის, კახასაგან.



• თეო ჭანტურიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 19 მარტს. ვუსურვებ წინსვლას და ჭეშმარიტ სიყვარულს, ცხოვრებაში. ძალიან მენატრები, სიხარულო. ფიქრია, სალონიკიდან.

• დათო და გიორგი თანდილაშვილებს ვულოცავ დაბადების დღეს. გფარავდეთ ქალწული, დედა ყოვლადწმინდა, სვეტიცხოველი და სვეტი ნიკორწმინდა. მთიდან ლომისი და ბოდბის ნინოწმინდა, გფარავდეთ მამა, ძე და სულიწმიდა. დიდი სიყვარულით, მზია და ნანი, ათენიდან.

• თიანეთში ჩემს პატარა დისშვილს, ირაკლი ბუცანკალურს ვულოცავ დაბადების დღეს. ბედნიერ ბავშობას, ულევ სიხარულს და მონატრებულ დედიკოსთან ჩახუტებას გისურვებ.

• მინდა, 8 მარტი მივულოცო ჩემს საყვარელ დედიკოს. ვუსურვო ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე. დედა, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. მალე ჩამოვალ და ბევრს მოგეფერები. შენი ირინა, ათენიდან. გერასიმე.

• ჩემს საყვარელ დედიკოს, ენძელა ბაბუნაშვილს ვულოცავ დედის დღეს. ღმერთმა მრავალი გაგითენოს, ჩემო ლამაზო დედი. სულ კარგად და ბედნიერი დედა ყოფილიყავი. შენი მონატრებული შვილი, ნონიკო, ათენიდან. გკოცნი და გეფერები.

• ჩემს პატარა დაიკოს, მეგი ბაბუნაშვილს ვულოცავ დედის დღეს. დაიკო, სულ რაღაც ერთ თვეში დედა გახდები. ღმერთმა ბედნიერი დედა გაგხადოს, სულ გახარებული და გამრავლებული მენახე, ჩემო პატარა ფერიავ. მონატრებული დაიკო, ნონიკო, ათენიდან.

• მადონა სანიკიანს ვუ-

ლოცავ დედის დღეს. ღმერთმა მრავალს დაგასწროს, ჩემო ტკბილო და საყვარელო ადამიანო. ბედნიერ დედობას გისურვებ. ნონიკო, ათენიდან.

• ნუკრი მაცაბერიძეს ათენიდან ვულოცავთ დაბადების დღეს, 16 მარტს. ბედნიერება და ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს. გამრავლდი და გაიხარე, ოჯახთან ერთად. ათენიდან მზია და მაკო მამასახლისები.

• ჩემს სიხარულს, მინდია გაბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიზარდე, ჩემო ბიჭო, დიდი, სასახელო ბიჭი. გვაპატიე მე და მამას, შენთან რომ არ ვართ. გვიყვარხართ შენ და ნინო. ნატო.

• ჩემს მონატრებულ დედიკოს, მედეა ვაშაყმაძეს და დაიკოს, ეკა პავლიაშვილს ვულოცავ დედის დღეს. ჩემო მისაბაძო ქალებო, ბედნიერი დედები ყოფილიყავით. თქვენი მაკუშა.

• ინგას, იგივე ირმას ვულოცავ 3 მარტს, დედის დღეს. ბედნიერი დედა ყოფილიყავი. უცნობი, ქუთაისიდან. მ-იანი.

• ჩემს საყვარელ დედიკოს, ინგა დანელიშვილს და ჩემს დას, ნათია ბოჭორიშვილს ვულოცავ 3 და 8 მარტს. მიყვარხართ. მზია, რუსთავიდან.

• ყველა გოგონას გილოცავთ 8 მარტს, ქალთა დღეს. მარი, პირველ რიგში კი შენ, ჩემო კარგო. როზის, lily19-ს და სხვებს კი ვისაც პატარები ჰყავთ, ვულოცავ 3 მარტსაც. ენჯი.

• ნელკა, გილოცავ 8 მარტს. მეც ძველი „მობილი-ზაციის" თაობიდან ვარ და იმიტომ მახსოვს ძველები. პუპსიკას ვულოცავ დედის და ქალთა დღეს. რუსკა, სად ხარ? გამოჩნდი. ენჯი.

• დედის დღეს და 8 მარტს ვულოცავ მედიკო ნაროშვილს და ნინო კომახიანს. პატივისცემით, ირაკლი კომახიანი და ნატალია, ფოთიდან დიდი სიყვარულით და პატივისცემით.

• გილოცავთ 8 მარტს, ჩემო მეგობრებო, ნინო და ეკა. ძალიან მიყვარხართ. ბეგუ.

• ანრი ჯოჯუას დაგვიანებით ვულოცავ დაბადების დღეს, 7 მარტს. ანრი, გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს, ცხოვრებაში. მარი ვარ, მარიი! :-) ნონ სტოპ.

• ვულოცავ დაბადების დღეს ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ირინა ჯგერენაიას. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და დიდხანს სიცოცხლეს. მიყვარხარ და მეყვარები, სანამ ეს დრო გვატარებს, სანამ ჩვენი სიყვარული, მიწას არ მიგვაბარებს. უდიდესი სიყვარულით, გიორგის მარი.

• თიკო, გილოცავ 8 მარტს. მრავალს დაესწარი, შენი ოჯახით. ძალიან მიყვარხარ. მარი.

ვლადიმერ პუტინისა და ჯორჯ ბუშის ქალიშვილები

ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ჰოროსკოპი



იაკუაკათი

მძიმე დღეა. შესაძლოა, ამ დღეს ყველაზე რთული სამუშაოს შესრულება მოგიხდეს და თუ მთელ ცოდნასა და ენერგიას არ მოახმარ, არაფერი გამოგივა. ყურადღებით მოეკიდე ნებისმიერ რჩევას. სალამოს დაღლილობას იგრძნობ, მაგრამ საყვარელი ადამიანის ყურადღება ყველაფერს დაგავიწყებს.

საქუაკათი

მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში საყვარელ ადამიანთან შეხვედრის მცდელობა გექნება, სალამოს იმედგაცრუებული დარჩები. თუმცა, ახლობლები სტუმრად მიგიწვევენ და მეგობრების წრეში გატარებული სალამო სიამოვნებას მოგანიჭებს.

ითხუაკათი



ამ დღეს უამრავ დროს გაფლანგავ, რის გამოც უამრავი საქმე დაგიგროვდება და სალამოს ყველაფრის ერთად გაკეთებას შეეცდები. ნუ აჩქარდები, რადგან შესაძლოა, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და საქმე სანანებლად გაგიხდეს.



ხუთშაბათი

არეული დღე გელის. ცოტა დაბნეული იქნები და ყველა ნივთის ძებნა მოგიწევს. ამან შესაძლოა, გაგაბალისოს კიდეც. თუმცა, შუადღის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. დამშვიდდები და გონს მოიკრებ. კარგი იქნება, თუ სალამოს შინ, ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარებ.

პარასკევი

ფრთხილად იყავი, რადგან შესაძლოა, ამ დღეს შენი ტყუილი ან ღალატი გამოაშკარავდეს. თავს ბევრის უფლებას ნუ მისცემ. ჯობს, სამსახურიდან პირდაპირ შინ გაემართო და საიდუმლო საუბრებს თავი აარიდო, თუნდაც დარწმუნებული იყო, რომ ოთახში შენს მეტი არავინაა.



შაბათი

თუ ამ დღეს შინ არ დარჩები და სასეირნოდ ან გასართობად წახვალ, სავარაუდოა, რომ საპირისპირო სქესის მიერ ნასროლ ბადეში იოლად გაებმები. დაფიქრება გმართებს და გახსოვდეს, რომ რაც ბრწყინავს, ის ყოველთვის ოქრო როდია. ახალმა ნაცნობობამ შესაძლოა, შენი ცხოვრება თავდაყირა დააყენოს.

კვირა

წყვილებისთვის დაძაბული დღეა. ამ დღეს შესაძლოა, მცირე წყენაც კი ჩხუბში გადაიზარდოს და შერიგებას ხანგრძლივი დრო დასჭირდეს. ამიტომ, თუ ამ დღეს მიმტევებელი იქნები, უსიამოვნებას თავს აარიდებ.

ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ, ᲠᲘᲒᲘᲓᲐᲜᲘᲡ ᲬᲕᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲕᲐᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲮᲔᲚᲡ



ალბათ, გსმენიათ ანეკდოტი, პუტკუნა ქალი ექიმთან რომ მიდის და ეკითხება: რა შევჭამო ისეთი, რომ გავხდეო? ყველა ხუმრობაში სიმართლის მარცვალი დევს. არსებობს ისეთი საკვები, რომელიც გასუქებას კი არ უწყობს ხელს, არამედ დაგროვილი კილოგრამების დაკლებაში გეხმარება. შეიტანე ეს პროდუქტები შენს რაციონში და დააკვირდი, როგორ „დადნები".

გრეიპფრუტი

არასოდეს გაგიგონია გრეიპფრუტის დიეტის შესახებ? ეს ძალზე პოპულარული დიეტაა. ზედმეტ კილოგრამებთან ბრძოლაში, ამ პროდუქტს არაფერი შეედრება. ცოტა ხნის წინ, კალიფორნიის ერთ-ერთ კლინიკაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ გრეიპფრუტი ეფექტურად აქრობს ცხიმის ფენას.

მისი მიღების მეთოდი ასეთია: ყოველი ჭამის წინ, ნახევარი გრეიპფრუტი უნდა შეჭამო. ის ისეთ ელემენტებსაც შეიცავს, რომელიც სიმსივნური დაავადებების გაჩენას ხელს უშლის და ორგანიზმში არსებულ კიბოს უჯრედებს ანადგურებს. გრეიპფრუტის დიეტას ხშირად მიმართავს სოფი ლორენი.

თუ ვახშმობისას ზომაზე მეტად დანაყრდი, კარგი იქნება, თუ გრეიპფრუტს დააყოლებ. კუჭში სიმძიმის შეგრძნება წამებში გაივლის. ნახევარ გრეიპფრუტში სულ 39 კალორიაა. თუ კარგი შედეგის მიღწევა გსურს, გრეიპფრუტის შეჭმის შემდეგ, 800 კალორიაზე მეტი არ უნდა მიიღო. ამბობენ, რომ ნახევარ გრეიპფრუტს სწორედ ამდენი კალორიის დაწვა შეუძლია.

გოგრა

ეს ბაღჩეული დიდი ხანია, ჰელოუინის დღესასწაულთან ასოცირდება, მაგრამ ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ შესანიშნავი საშუალებაა მათთვის, ვისაც გახდომა სურს. გოგრაში სულ 40 კალორიაა; მას ბოჭკოვანი სტუქტურა აქვს, რაც ძალზე მარგებელია. მრავალჯერადმა კვლევამ აჩვენა, რომ ბოჭკოვანი პროდუქტები სასარგებლოა როგორც ჯანმრთელობისთვის, ასევე გასახდომად. გარდა ამისა, გოგრის მომზადება ძალზე იოლია; ის გემრიელია და სასარგებლოც.

საქონლის ხორცი

უკვე დიდი ხანია, აღარავინ ამბობს, რომ ხორცს ადამიანისთვის ზიანის მოტანა შეუძლია. უცხიმო — მჭლე ხორცი გასახდომად ყველაზე კარგი საშუალებაა. ეს პროდუქტი დიდი რაოდენობით ცილას შეიცავს, რომელიც ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. თანაც, ორგანიზმი ცილას სწრაფად გადაამუშავებს. ხორცის ერთი ნაჭერი დანაყრების შეგრძნებას გამოიწვევს და შიმშილის გრძნობას დაგიკარგავს. სწორედ შიმშილის გრძნობა აიძულებს ადამიანს, დიეტას უღალატოს და გემრიელად მიირთვას. ცილა მეტაბოლიზმს ასტიმულირებს და დანაყრების შეგრძნებაც დიდხანს გასტანს.

მწვანე ჩაი

ეს სასმელი ღვთის საჩუქარია. ის მდიდარია ანტიოქსიდანტებით და ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს. მწვანე ჩაი იდეალურია გასახდომადაც — ნივთიერებათა ცვლას აძლიერებს და ცხიმის წვას უწყობს ხელს. გამოკვლევების შედეგების მიხედვით, დღის განმავლობაში მირთმეული 5 ფინჯანი მწვანე ჩაი ზედმეტ კალორიებს გაანეიტრალებს და სტრესთან ბრძოლაშიც დაგეხმარება. ●

სხელან: გურამ გეგეშიძე, გია ქიქოძე; დგანან: თენგიზ სიგუა, ლევან გეგენავა

ვალოდია ჯინჭარაძე კლასში არ გვყოლია. 70 წელს გადავცილდით, მაგრამ ჩვენი მეგობრობა დღემდე არ მოშლილაო, – მეუბნებიან სტალინის სახელობის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის 52 წლის კურსდამთავრებულები და ისევე, როგორც ყველა პირველსკოლელი, ამაყობენ, რომ მათი გამორჩეული მეგობრობა სწორედ პირველი სკოლის ტრადიციების შედეგია.

„არაჩვეულებრივი „გამოფენა“ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს – გურამ გეგეშიძეს, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგს გია ქიქოძესა და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ყოფილ პრემიერ-მინისტრს – თენგიზ სიგუას მასპინძლობს.

ოქის ბაკუტაბი, თენგიზ სიგუას უილდოს სიუჟეტები, ოდესაც ბურაკ ბეგეშიძე და... „ბრავო, ჟოლოდიოჟ!“

ირმა ხარშილაძე

— რაკი თამამად ამბობთ, რომ თითოეული თანაკლასელი გახსოვთ, ხომ არ შეეცდებით საკლასო ჟურნალის სიის მიხედვით, მათი გვარების ჩამოთვლას?

გია ქიქოძე:

— ახლავე ჩამოგირაკრაკებთ მეთერთმეტე კლასის სიას (*სწრაფად ამბობს*): არდიშვილი, არჩვაძე, ბიძიშვილი, ბობოხიძე, გეგენავა, გეგეშიძე, გელაშვილი, დონდუა, ერგემლიძე... (*ვაწყვეტინებ და აპლოდისმენტებითა და საქებარი სიტყვებით ვაჯილდოებთ*).

— თქვენ გარდა ცნობილი ადამიანებიდან ვინ სწავლობდა ამ კლასში?

გურამ გეგეშიძე:

— გურამ კაპანაძე — საქართველოს ჩემპიონი ჩოგბურთში, შესანიშნავი ექიმი (ნოდარ დუმბაძეს ის მკურნალობდა) და ამავდროულად, ძალიან კარგი მწერალი გახლდათ; ჩვენი კლასელი და მეგობარი იყო სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დირექტორი ვიქტორ (ვიკა) იაშვილი, უნიჭიერესი ადამიანი. გურამიც და ვიკაც ოქროს მედალოსნები იყვნენ.

— თქვენ როგორი მოწაფეები იყავით?

— მე ცუდი მოსწავლე ვიყავი, ხშირად ვიღებდი ორებს. მეათე კლასში ორი „საშემოდგომო“ გამომყვა. გიამ და თენგიზმა ოქროს მედლებზე დაამთავრეს სკოლა.

გია ქიქოძე:

— წესიერი ხალხი ვიყავით, „ზარს“ არ ვთამაშობდით, „ბრიტვას“ არავის დავუსვამდით.

— სიგარეტსაც არ ეწეოდით?

თენგიზ სიგუა:

— სიგარეტის მოწევა მთლად ცუდ საქციელად არ მიიჩნეოდა. ნარკომანია კი ჩვენს დროს არ იყო.

გია ქიქოძე:

— მე ძალიან ადრე დავიწყე მოწევა — მეხუთე თუ მეექვსე კლასში; თენგიზმა კი — მოგვიანებით, მეცხრეში. მიუხედავად ამისა, კლასში თითით საჩვენებლები ვიყავით... მახსოვს, გეოგრაფიის მასწავლებელი გვყავდა, თალიკო გაბუნია, „კაშჩეი ბესმერტნის“ ვეძახდით, ძალიან გამხდარი იყო. ერთხელ დედაჩემს უთხრა: გია სიგარეტს ეწევაო. დედაჩემმა უპასუხა: მაგას ვერ დავიჯერებო (*იცინიან*). არადა, ჩუმ-ჩუმად ვეწეოდით რაღაც საშინელებას — უფილტრო „ურმულს“.

— კიდევ რას „აშავებდით“?

გურამ გეგეშიძე:

— როგორც ბავშვების უმრავლესობა, დავდიოდით „შატალოზე“. დღევანდელი ვაკის პარკის ადგილას, ტრიალი მინდორი იყო და მთელი თბილისის ბავშვები, დილიდან საღამომდე, ფეხბურთს ვთამაშობდით.

თენგიზ სიგუა:

— იმას რატომ არ ამბობთ, „შატალოზე“ ან გაკვეთილების შემდეგ, ფუნიკულორზე ფეხით რომ ავდიოდით?! არც მშობლები ნერვიულობდნენ ხოლმე, 8-9 საათამდე რომ არ ვბრუნდებოდით შინ — წინასწარ ვაფრთხილებდით.

გურამ გეგეშიძე:

— ჟანდარმული რეჟიმი ნამდვილად არ გვქონდა. ეგ კი არა და, იქვე, ოქროყანის წყაროზე ჩავდიოდით ხოლმე საბანაოდ.

გია ქიქოძე:

— ყველაზე მკაცრი დედა გია გეგენავას ჰყავდა.

თენგიზ სიგუა:

— სხვათა შორის, გია მერე დიდი სამშენებლო ტრესტის მმართველი გახდა...

გია ქიქოძე:

— მოკლედ, გია გამოვიყვანე სახლიდან და წავედით ჟუკი ქავთარაძესთან, რომელიც სინამდვილეში გერმანელი იყო — გვარად ბუგოლცი. 1937 წელს მისი მშობლები დაიჭირეს და დედის გვარზე გადავიდა. ბებია ზრდიდა. ჟუკი შინ მარტო იყო, კარგად ჩავსხედით, სიგარეტს ვეწევით და... მისი ბინის ფანჯრები მიწას სულ ცოტათი სცილდებოდა სიმაღლით, ამიტომაც გარედან იოლად შეიძლებოდა შემოხედვა. უეცრად ფანჯრიდან გვესმის: „ბრავო, მოლოდიოჟ!“ ადგილზე გავშეშდით: გეგენავას დედა — ცირა არ დაგვადგა თავს?! თანაც ტაშიც კი დაგვიკრა (*იცინის*) და წავიდა. სხვათა შორის, ჩემი მშობლებისთვის არაფერი უთქვამს. მაშინ რაღაც, სხვაგვარი ურთ-

თენგიზ სიგუა, გია ქიქოძე, გურამ გეგეშიძე

გია ჭიჭინაძე, გურამ გეგეშიძე

იერთობები იყო.

— ბატონო გურამ, ამბობთ, ოროსანი ვიყავიო. ცნობილი მწერალი როგორღა გახდით?

გურამ გეგეშიძე:

— იცით, რატომ ვსწავლობდი ცუდად? გაკვეთილების სწავლის დრო არასდროს მქონდა — ლიტერატურას ვკითხულობდი. 13 წლისამ რუსულად ტოლსტოი წავიკითხე.

თენგიზ სიგუა:

— მაშინ გრიგოლ რობაქიძის და მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებებს კრძალავდნენ და ჩუმად ვკითხულობდით.

გურამ გეგეშიძე:

— ბრწყინვალე ქართულის მასწავლებელი გვყავდა — მატილდა კონტრიძე. ერთხელ, კლასში დევი დონდუას დაადგა თავს, ჯავახიშვილს ჩუმად რომ კითხულობდა. სკანდალი მოაწყო. მოგვიანებით გავიგეთ, შეგნებულად გაუთამაშებია, რომ ვინმეს ამბავი არ გაეტანა, მასწავლებელმა აკრძალულ ლიტერატურაზე არაფერი თქვაო: ცუდი დრო იყო, შეეძლოთ, ის კარგი ქალბატონი ამისთვის დაეჭირათ.

თენგიზ სიგუა:

— მეთერთმეტე კლასში „საბჭოთა კონსტიტუცია“ ისწავლებოდა საგნად. წესით, ეს საგანი უნდა ესწავლებინა ჩვენი სკოლის დირექტორს — ჯაჯუ ჯორჯიკიას. ის ცნობილი მწერალი-ნოველისტი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ, განათლება პარიზში ჰქონდა მიღებული და საშინელი ანტიკომუნისტი იყო. პარადოქსია, არა?! ისე გაიარა ერთმა წელმა, ბატონ ჯაჯუს ერთი სიტყვაც არ უთქვამს კონსტიტუციაზე. ძალიან გაბედული და ვაჟკაცი კაცი იყო. მახსოვს, სკოლას ვამთავრებდით და კომკავშირი და პარტია აგიტაციას გვიწევდნენ ჯარში სამსახურისთვის. რაიკომში წასვლის წინ შემოვიდა კლასში ჯაჯუ ჯორჯიკია და გაგვაფრთხილა: როცა ჯარის პროპაგანდას დაგიწყებენ, არავინ დათანხმდეთ ჯარში წასვლასო. ისიც გვითხრა: იქ მეც მოგიწოდებთ ამას, მაგრამ სხვა გზა არ მექნება, ამიტომ არავის დაგვიჯეროთო.

გურამ გეგეშიძე:

— სასაცილო კაცი იყო. ერთხელ ფანჯრიდან შემოიხედა საკლასო ოთახში და შენიშნა, რომ ერთ-ერთი ბავშვი საკონტროლს არ წერდა. უეცრად შემოვარდა და ეცა იმ ბავშვს: რატომ არ წერო? — „პერო“ არ მაქვს, მასწავლებელოო, — უპასუხა იმან. — ბიჭო, „პერო“ რა ქართულიაო?! — გაუბრაზდა, — კალამი არ მაქვსო, — შეასწორა ბავშვმა. — კალამი თუ არა გაქვს, ამოიღე „კარანდაში“ და დაწერეო! — ამ დროს მე ვიაქტიურე: მაშინ „კარანდაში“ რა ქართულია-მეთქი?! — და რომ გამომეკიდა, ძლივს გავასწარი ფანჯრიდან (*იცინის*).

— თქვენ სკოლაში 1941 წელს შეხვედით — იმ წელს დიდი სამამულო ომი დაიწყო...

თენგიზ სიგუა:

— მაშინ გიას მამა სანეპიდსამსახურის უფროსი იყო, უფრო სწორად, მან ჩამოაყალიბა ეს სამსახური, სოციალისტური შრომის გმირობაც მიანიჭეს — საქართველოში მხოლოდ ოთხ ექიმს ერგო ეს წოდება. ჩემი და გურამის მამებიც ექიმები იყვნენ, ამიტომ ვერ გეტყვით, რომ ძალიან გვიჭირდა და ვშიმშილობდით.

გურამ გეგეშიძე (*გაცხარებით*):

— შეიძლება, მე არ მიშიმშილია, მაგრამ იქნებ, დედაჩემსა და მამაჩემს მოუკლიათ თავისი ულუფა და იმიტომ! არ გახსოვთ, საათობით რომ ვიდექით ამიერკავკასიის შტაბის სასადილოსთან და ვუყურებდით, როგორ ილუკმებოდნენ რუსი ოფიცრები?..

თენგიზ სიგუა:

— ომი რომ დამთავრდა, 1946-47 წლებში, ძალიან ბევრი, ეგრეთ წოდებული Трофейный ფილმი წამოიღეს გერმანიიდან და ბესიკის ქუჩაზე, მხოლოდ ძერჟინსკის კლუბში უჩვენებდნენ. მახსოვს, „შატალოებს“ მაშინ სწორედ მაგ ფილმების სანახავად ვაწყობდით. იცით, იქ რა ფილმები ვნახეთ?! — აბა, უცხოურ ფილმებს ვინ გვიჩვენებდა მანამდე?! მაშინ ტელევიზია არ არსებობდა, მხოლოდ რადიოსთვის უნდა გესმინა. წესიერად კი ინფორმაციას ვინ მოგვაწვდიდა და, ჩუმად, ღამის საათებში ვცდილობდით „Голос Америки“-ს მოსმენას. იმასაც საგულდაგულოდ ახშობდნენ. ჩემს მეზობლად ძალიან ნიჭიერი, ებრაელი ბავშვი ცხოვრობდა. რაღაც უჩალიჩია და ერთ დღესაც გამომიტყდა: თენგიზ, იცი, იმათ ჩამხშობ სიგნალს ვახშობო; თან გამაფრთხილა, — არავის გაუმხილოო და დამიყენა ეს მოწყობილობა. ბავშვი ვიყავი, მაგრამ იმდენად მაინტერესებდა, ღამის 2-3 საათამდე ვუსმენდი „ამერიკის ხმას“.

გურამ გეგეშიძე:

— ოთხი წლის წინ ვიყავი ამერიკაში — ჩემი შვილი იქ ცხოვრობს და, სხვათა შორის, „ამერიკის ხმაში“ მუშაობს. ერთ მოხუც კაცს — პეტრე ხვედელიძეს დავუმეგობრდი. დიდი ხნის გადახვეწილი ყოფილა საქართველოდან და სიამოვნებით ისმენდა ხოლმე ჩემს

გია ქიქოძე, თენგიზ სიგუა, ალეკო ყანჩაველი ფუნიკულორზე

მონათხრობს. ერთხელ ვუთხარი: ბატონო პეტრე, ახლა სულ ახალი ხალხი მოვიდა „ამერიკის ხმაში“; მაშინ იყვნენ: ნიკო რაჭველი, ხუტა მეგრელი, კიკა ჭაველი-მეთქი. გაეღიმა, — კიკა ჭაველი მე ვარო (*იცინის*).

გია ძიძოძე:

— 1944 წელს ესპანეთის კომპარტიის ლიდერი, ხოსე დიასი ცხოვრობდა სასტუმრო „თბილისში“. ავადმყოფობდა და მერე სასტუმროს მე-4 სართულიდან გადმოხტა თუ გადმოაგდეს...

თენგიზ სიგუა:

— სხვათა შორის, მახსოვს, ერთხელ, მის სანახავად ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, ვანო ხელაიამ წაგვიყვანა...

გია ძიძოძე:

— მოკლედ, ეს კაცი ავადმყოფობდა და, როგორც ჩანს, ნაირ-ნაირ კერძს ეზიდებოდნენ მისთვის სასტუმროში. ერთხელაც, ვხედავთ ბავშვები, რომ რუსთაველიდან ჯორჯიაშვილზე ჩაუხვია ხისძარიანმა მანქანამ, — „პალტარატონკას“ ვეძახდით. უეცრად, უკანა კარი გაიღო, იქიდან ერთი-ორი ყუთი გადმოვარდა, გატყდა და გადმოცვივდა შოკოლადის ფილები, კანფეტები... დავესიეთ კალიებივით ბავშვები. დავავლე ერთ ფილა შოკოლადს ხელი და გიჟივით ამოვვარდი შინ. დედაჩემმა გაიოცა: საიდან გაქვს ეს შოკოლადიო? რომ ვუთხარი, მკაცრად გამაფრთხილა: წაიღე ახლავე და საიდანაც აიღე, იქვე დადეო! გამოვედი გარეთ, სასწრაფოდ გავხსენი და შევჭამე (*იცინის*).

თენგიზ სიგუა:

— ვიკა იაშვილი რომ ვახსენეთ, ხომ გახსოვთ? ვიკას უფროსი და — მზია ძალიან ცნობილი მუსიკათმცოდნე იყო და ჰქონდა ეგრეთ წოდებული კონტრამარკა, ანუ ნებისმიერ საბალეტო და საოპერო სპექტაკლზე უბილეთოდ ოპერაში შესვლის უფლება. გარდა ამისა, ოპერის კარისკაცი ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, ამიტომ მე და ვიკას პრემიერა არ გაგვიცდენია. ამასთან, მზია მუსიკის თეორიასაც გვასწავლიდა და, სხვათა შორის, ეს ცოდნა მომავალში ძალიან გამომადგა. უკვე ასპირანტი ვიყავი, უკრაინაში, დნეპროპეტროვსკში ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო თავყრილობაზე რომ მოვხვდი. ოფიციალური ნაწილის შემდეგ, ინტელექტუალური კონკურსი მოაწყვეს, მეც მივიღე მონაწილეობა და ფინალშიც გავედი. მთავარი პრიზი გახლდათ მაგნიტოფონი — მაშინ ეს უიშვიათესი ნივთი იყო. ოთხ ფინალისტს დახურული კონვერტები დაგვირიგეს. სწორედ იქ იყო კითხვა, რომელიც ჩვენს ბედს გადაწყვეტდა. გავხსენი კონვერტი და წავიკითხე შეკითხვა: „ვინ არის „მფრინავი ჰოლანდიელის“ ავტორი, პირველად როდის და სად დაიდგა?“ აი, მაშინ კი ნამდვილად მზიას გაკვეთილებმა მიშველა და მაგნიტოფონიც მე დამრჩა (*იცინის*).

— ისევ სკოლას მინდა, დავუბრუნდეთ... გოგონების გარეშე მოსაწყენი არ იყო იქ ყოფნა?

— სხვათა შორის, პირველ კლასში ერთად ვიყავით, მეორედან გაგვყვეს, მაგრამ ბევრთან შევინარჩუნეთ მეგობრობა. დღესაც კი ვმეგობრობთ.

გია ძიძოძე:

— გია გეგენავას ტყუპისცალი და ჰყავდა, ლია. მის დაბადების დღეზე მის მეგობრებს ვხვდებოდით და ამით ვხალისობდით. შეყვარებულებიც ხშირად ვყოფილვართ, ოღონდ ამაზე ხმამაღლა არ ვლაპარაკობდით. ერთმანეთს კი ვუმხელდით.

თენგიზ სიგუა:

— მე ერთი გოგონა რომ მიყვარდა, ამათ არც იციან. ძნელაძის ქუჩაზე ცხოვრობდა ბერძნების ოჯახი, სადაც მშობლები დაღუპულები იყვნენ და ბებია ზრდიდა ორ შვილიშვილს. ორივე ძალიან ლამაზი გოგონა იყო. უმცროსთან გავაბი „შარიშური“. მივდიოდი, ხან კანფეტი მიმქონდა, ხან რაღაც პატარა საჩუქარი. მოულოდნელად, უფროსი და გათხოვდა, ოდესელ ბერძენს გაჰყვა და საბერძნეთში გადავიდნენ საცხოვრებლად. ზაფხულის არდადეგების მერე, დავბრუნდი თუ არა თბილისში, პირველად ჩემი ბერძენი შეყვარებულის სახლში გავიქეცი. მარტო ბებია დამხვდა შინ. ის გოგონა დას წაუყვანია საბერძნეთში და გავიგე, 6 თვეში გაუთხოვებიათ კიდეც. მაშინ 16 წლის ვიყავი. დაახლოებით, 10-12 წლის შემდეგ, მოსკოვში მივლინებაში გახლდით და სასტუმროს რესტორანში შევედი სადილად. უეცრად, ერთ მაგიდასთან ის გოგონა დავინახე, ვიღაც მამაკაცთან ერთად. იმანაც მაშინვე მიცნო, გამოექანა ჩემკენ, გადამკოცნა, მიმიყვანა მაგიდასთან და მეუღლე გამაცნო. ასეთი უიღბლო აღმოჩნდა ჩემი სიყმაწვილის დროინდელი სიყვარული.

— თქვენ აღნიშნეთ, სკოლის დამთავრების აღსანიშნავი ბანკეტი მთელ კლასს არ მოგვიწყვია, მხოლოდ სამეგობრო შეკრებეთო. ახლა ხვდებით ხოლმე თანაკლასელებს?

— ახლაც მხოლოდ მეგობრები ვიკრიბებით, დანარჩენები აქეთ-იქით დაიფანტნენ.

— ისე, ყველას ამბავი იცით?

— ერთი-ორის გარდა, კი. გვიდო ჭუმბაძის ამბავი არ ვიცი, ცნობილი სამხედრო მფრინავი იყო, ინდონეზიაში, ჯაკარტაში მსახურობდა. როცა ჩამოდიოდა ხოლმე, ყოველთვის მირეკავდა.

გია ძიძოძე:

— გვიდო გარდაიცვალა, ასი პროცენტით ვიცი, მის ცოლს წერილით მივუსამძიმრე კიდეც.

— ბევრი გყავთ გარდაცვლილი?

— უმრავლესობა. ოცდაცხრამდე ვამთავრეთ სკოლა და თერთმეტნი ვართ ცოცხალი, თვრამეტი გარდაცვლილია.

ბატონი თენგიზი და ბატონი გურამი გარდაცვლილთა სახელების ჩამოთვლას იწყებენ, მაგრამ ამჯერადაც ბატონი გია „იყოჩაღებს“ და საკლასო ჟურნალის სიის მიხედვით, ცოცხლად დარჩენილების გვარების ჩამოთვლას იწყებს:

— ბიძიშვილი, გეგეშიძე, — ხომ ხარ ცოცხალი? მერე, ლომაძე, სიგუა, ჩხაიძე, ყანჩაველი...

თენგიზ სიგუა:

— შენი თავი არ დაგავიწყდეს...

— ჰო, მეც, — ქიქოძეც ცოცხალი ვარ (*იცინიან*). ■



ქალის სიიუმორი...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-10

სვეტა კვარაცხელია

სასიამოვნო საღამო მელოდა. ბექასთან არ მოიწყენდი. დიდხანს ვიხეტიალეთ. მერე რესტორანში დამპატიჟა. ვიუარე.

— რატომ? — შეჩერდა და გაოცებულმა შემომხედა.

— არ მინდა, რა, უბრალოდ, არ მინდა და მორჩა, — ჩემსაზე ვიდექი.

— ახლა არ მითხრა, რომ ჩემს ჯიბეს უფრთხილდები.

— ასეც შეიძლება ითქვას, — თავი დავუქნიე დამორცხვებულმა.

— აპ-აპ-აპ! ეგეთები არ იყოს! ჩემს ჯიბეს შენი მოსაფრთხილებელი არაფერი სჭირს, ლამაზმანო. ის არც გარღვეულია, არც გახეული და არც დაკერებული. შენ წარმოიდგინე, ხელის ჩამყოფიც კი არავინ ჰყავს... ჩემ გარდა. ერთი სიტყვით, თითდაუკარებელია, მე ვიტყოდი — ქალწული.

— მართლა? — სიცილი ვერ შეკავე. — რა საინტერესოა!

— მართლა, მართლა. ასე მითხრა, მხოლოდ სოფის დავნებდებიო. მხოლოდ მას ექნება უფლება, ჩემს ტერიტორიაზე ხელები აფათურონოს.

— ძალიან დიდი პატივია, ამას დაფასება უნდა.

— აი, ხომ ხედავ, შენც კი შეგაწუხა სინდისმა. ამიტომ წავედით, რესტორანი გველოდება.

— რა გაეწყობა, რადგან ასეა, უკან მიმაქვს ჩემი უარი.

— როგორი „თავგანწირული“ უარი, თანაც... შემეცოდა, — ღიმილით აკანტურებდა თავს ბექა.

ჩემთვის ხელი ჰქონდა გადახვეული. ერთ მომენტში საჩვენებელი თითი, ვითომ შემთხვევით, ლოყაზე შემახო. სასიამოვნო ტალღამ სხეული გამითბო. არა, უნდა ვაღიარო, რომ მომწონს ეს ბიჭი, სიამოვნებით გავაგრძელებდი მასთან ურთიერთობას, რომ არა სანდრო. ის მიყვარს, ეს მომწონს. რა მემართება? იქნებ ამ ყველაფერს იმისთვის ვაკეთებ, რომ სანდრო ვაეჭვიანო? სოფი, სოფი, გამოუტყდი საკუთარ თავს, რომ ასეა. ჰო, ასეა, მაგრამ ისედაც მომწონს, ამ მიზეზის გარეშეც, ამას ვერ დავმალავ. მაგრამ არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, არც დავფიქრდები, ისე ავირჩევ სანდროს. „რატომ, იმიტომ, რომ გიყვარს?“ — ჩამძახოდა შინაგანი ხმა. „ჰო, იმიტომ, რომ მიყვარს“. — „მაგრამ ის ხომ სხვისი ქმარია!“ — „მერე, რა?“ — ჯიბრში ვედექი მეორე „მეს“. — „მერე, ის, რომ მას სხვა ჰყავს, იგი დიდი ხანია, შენ არ გეკუთვნის“. — „დავიბრუნებ! — არ ვიხევდი უკან. — ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის!“ — „ბექასაც გამოიყენებ?“ — უხილავ ხმასთან პაექრობა არ ცხრებოდა. — „თუ საჭირო გახდა, აუცილებლად“. — „უკვე იყენებ, — ბოროტად ჩაიცინა ხმამ, — და ეს ცუდად დამთავრდება!“

უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა.

ამასობაში, რესტორანში ამოვყავი თავი. რომ გამოვერკვიე, უკვე მაგიდასთან ვისხედით და ბექა ოფიციანტს ვახშამს უკვეთდა.

მიმოვიხედე. მომცრო დარბაზი იყო, ცენტრში მუსიკოსები ისხდნენ, იქვე მევიოლინე იდგა და რომელიღაც, ძალიან ნაცნობ მელოდიას აკვნესებდა მთრთოლარე თითებით.

— რას მიირთმევთ, ლედი? — ოფიციალური ტონით მომმართა ჩემმა კავალერმა.

— რა ვიცი, დიდად არ მშია, — ავიჩეჩე მხრები.

— არც მე მშია, მაგრამ ვცადოთ.

— კარგი, მაშინ, პიცას შევჭამ, სოკოთი.

— ეგრე იყოს... დასალევი? შამპანური, ღვინო...

— მარტინი, მარტინი მირჩევნია.

ოფიციანტმა შეკვეთა ჩაიწერა და წავიდა. ბექა ნიკაპით ხელებს დაეყრდნო და მეოცნებე თვალებით მომაჩერდა. ვეცადე, რაღაც სასიამოვნო მეთქვა:

— იცი? შენთან კარგად ვგრძნობ თავს.

— რა ბანალურია-ა-ა! — პატარა ბავშვივით წამოიძახა.

— მერე რა? — გავწითლდი. — შენ არ მითხარი, ერთხელ შენც სცადე, ბანალური იყოო?

— მართალი ხარ, გითხარი და რომ იცოდე, ძალიან გიხდება.

— ნუ მაშაყირებ. მე გულწრფელად გითხარი, რასაც ვფიქრობდი.

— თუ ეს მართალია, სოფი, გეტყვი, რომ ამწუთას ყველაზე ბედნიერი მოკვდავი ვარ მთელ მსოფლიოში, — ბექამ ხელები გამოსწია და ჩემი თითები ჩაბღუჯა.

თვალები დავხარე.

— ის მაინც მითხარი, მცირედი შანსი თუ მაქვს? — უცნაურად დამაშტერდა, პასუხის მოლოდინში.

— რატომაც არა?! — ისევ გავწითლდი.

— „ის“ რითი მჯობდა, შეგიძლია ამიხსნა? — მისთვის უცნობ მეტოქეს გადასწვდა მოულოდნელად.

სუნთქვა შემეკრა. ავილეწე.

— ძალიან გთხოვ, ამ თემაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. არ მიყვარს შედარებები, — ხელები გამოვწიე.

— მაპატიე, შენი წყენინება არ მინდოდა.

— შენ კარგი ხარ, ბექა, ძალიან კარგი, მაგრამ ამას დრო სჭირდება, უნდა გამიგო, — მუდარით სავსე ტონით წარმოვთქვი.

— ღმერთო ჩემო, ეს ბანალური კი არა, უბანალურესია, — წამოიძახა მხიარულად, რომ სევდიანი განწყობილება გაეფანტა.

— რა, არ მოგწონს? — მეც ავყევი.

— მომწონს — რომელია? „აღშფოთოვანებული“ ვარ! — საყვარლად გამიღიმა და თავი გვერდზე გადახარა, მერე უცებ სერიოზული გამომეტყველება მიიღო და განაგრძო: — უბრალოდ, არ მინდა, რომ მომატყუო. ტყუილი — ღალატის ტოლფასია, თუ მატყუებ, ესე იგი, მღალატობ.

— ჯერ ერთი, არ გატყუებ, მეორეც — ტყუილი სხვაა და ღალატი — სხვა. არსებობს კეთილი და ბოროტი ტყუილი, ღალატი კი არ შეიძლება, კეთილი იყოს.

— მეფილოსოფოსები? მოგიგებ, იცოდე. გინდა, დაგიმტკიცო, რომ ღალატიც შეიძლება, კეთილი იყოს?

— დამიმტკიცე, — მკლავები ერთმა-

ნეთში გადავხლართე, მაგიდას დავეყრდენი და წინ გადავიხარე.

— მაგალითად, შეიძლება, უარი თქვა საკუთარ სიყვარულზე მხოლოდ იმის გამო, რომ ამ სიყვარულით სხვას ცხოვრება არ გაუფუჭო.

— ეგ როგორ?

— როგორ და... აი, დავუშვათ, მე და შენ გვიყვარს ერთმანეთი. ამ დროს, მე ავად ვარ, მალე მოვკვდები; ან ნარკომანი ვარ, გამოუსწორებელი. ვიცი, რომ ჩემს ხელში ბედნიერი ვერასდროს იქნები. ასეთ შემთხვევაში, მე შემიძლია გითხრა, რომ არ მიყვარხარ, ზურგი გაქციო და თავისუფლება მოგანიჭო, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ სხვა, უკეთესი ადამიანი იპოვო ცხოვრებაში. გასაგებია? ეს არ არის კეთილი ღალატი?

სახე მომებრიცა ამის გაგონებაზე; თითქოს ჩემი და სანდროს ურთიერთობის ამბავს მიყვებოდა, თითქოს ყველაფერი იცოდა ჩვენ შესახებ. გავფითრდი.

— სოფი, რა მოგივიდა, რა ვთქვი ასეთი? — შეწუხდა ბექა და აწრიალდა.

— არაფერი, არაფერი, — სკამზე გავსწორდი და დარბაზის შუაგულისკენ უაზროდ გავიხედე.

არა, მან ჩემი წარსულის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ მაინც მიზანში მოარტყა...

ამ თემაზე საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. ოფიციანტმა შეკვეთა მოიტანა. ჭამის მადა დამეკარგა, ზრდილობის გულისთვის ერთი-ორი ლუკმა გავსინჯე მხოლოდ. ბექა გამომცდელად შემომხედავდა ხანდახან, მისი მხიარული განწყობილებაც გამქრალიყო სადღაც.

სასმელი ჩამოასხა, ბოკალი აიღო და მომიჭახუნა.

— სოფი, შენ გაგიმარჯოს, იმიტომ, რომ ძალიან ლამაზი ხარ, იმიტომ, რომ ძალიან საყვარელი ხარ და კიდევ იმიტომ, რომ ყველაზე მეტად უყვარხარ ამქვეყნად ყველაზე ბანალურ მამაკაცს...

— მთავარი ექიმის მოადგილეს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს და ასე შემდეგ, არა? — სიტუაციის განმუხტვა ვცადე, მაგრამ... არ გამომივიდა.

— ჰო, — მოღუშულმა თქვა და დალია.

— ნუ ხარ ეგრე, გთხოვ, — ხელზე ხელი დავადე.

— თუ სხვა გიყვარს, მითხარი და დღესვე დაგანებებ თავს, — თქვა უეცრად.

დავიბენი. რომ ვუთხრა, ასეა-მეთქი, სამუდამოდ დავკარგავ. რომ მოვატყუო, არ მინდა. რა ვქნა? როგორმე ოქროს შუალედი უნდა ვიპოვო. პასუხი დავაყოვნე.

— მიყვარდა... ძალიან დიდხანს მიყვარდა... თანაც, უიმედოდ... ახლა დავიწყებას ვცდილობ, — ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ვამბობდი თითოეულ სიტყვას.

— სხვა მეტი არაფერი გინდა მითხრა? — ჩამეძია.

— სხვა? სხვა... შენ გაგიმარჯოს, იმიტომ, რომ უსაშველოდ კარგი ხარ, — ბოკალი ავწიე, გავუღიმე და მოვსვი. მესიამოვნა ტკბილ-მწარე სითხე.

— ხვალ მოდიხარ ნათიასთან? — ბექამ მოულოდნელად შეცვალა საუბრის თემა.

— ნათიასთან? რა ხდება?

— დაბადების დღე აქვს.

— არ ვიცი, ჩემთვის არაფერი უთქვამს.

— გეტყვის ალბათ. მას ძალიან მოსწონხარ.

— მეც მომწონს, კარგი გოგოა... კიდევ დაასხი, რაღაც, დაღევა მომინდა, — ბოკალიანი ხელი მისკენ გავიშვირე და გამომწვევი მზერა ვესროლე.

— ჯერ მითხარი, როგორი სიმთვრალე გაქვს, — ეშმაკურად გამიღიმა ბექამ, გამოუკეთდა ხასიათი.

— გადასარევი, სულ ვიცინი, — მეც გავმხიარულდი.

— მაშინ, დავლიოთ, სადღეგრძელო შენზე იყოს.

— იმ სიყვარულს გაუმარჯოს, რომელიც არ ბერდება! — რაღაც სისულელე ვთქვი.

— თუ — იმ სიყვარულს, რომელიც არ კვდება?.. — მრავლისმეტყველი მზერა მესროლა.

— სულერთია, მთავარია, რომ ორივე ბანალურია, — გადავიკისკისე და მივუჭახუნე.

მევიოლინე მოგვიახლოვდა, ჩვენს მაგიდასთან შეჩერდა, წელში ოდნავ მოიხარა და მთელი გრძნობით ააკვნესა ინსტრუმენტი. ბექას გავხედე. საოცარი სევდა ჩასდგომოდა ლამაზ თვალებში. წამიერად სურვილი გამიჩნდა, მოვფერებოდი... მუსიკოსი გაგვეცალა.

— ვიცეკვოთ? — ახალი სურვილი გამიჩნდა.

— რატომაც არა? ცეკვა სასარგებლოა.

— რისთვის?

— დაახლოებისთვის, — მაცდურად გამომხედა.

ღიმილი ვერ შევიკავე. მაჯაში ხელი ჩამავლო და საცეკვაო მოედანზე პატარა ბავშვივით გამიყვანა. ხელები მხრებზე ჩამოვაწყვე, მან წელზე მომხვია და მიმიზიდა. მის ცხელ სუნთქვას ვგრძნობდი. სასმელმა ცოტათი გამაბრუა. ლოყა ლოყაზე მივადე და გავინაბე. მისი ხელები თავიდან, ოდნავ გაუბედავად, მერე კი მეტი სითამამით ამოძრავდა ჩემს ზურგზე.

— რომ შემეძლოს, შეგისრუტავდი, — ყურთან მომიტანა ტუჩები და ნაზად შემეხო.

ცხელი, ცხელი ტუჩები ჰქონდა. წარმოვიდგინე, როგორ მაკოცებდა, როგორ განცდას გამოიწვევდა მისი მოფერება. თვალები დავხუჭე. ისევ შემეხო ყურზე, ახლა უკვე მაკოცა. სხეული ჩემდა უნებურად მიიწევდა მისკენ. არ მიცდია წინააღმდეგობის გაწევა. უფრო მჭიდროდ მოვხვიე მკლავები კისერზე და თავი მკერდზე მივადე. ამით ისარგებლა და ყელზე დამეკონა. მაშინ კი ავწიე თავი, დარბაზს მოვავლე მზერა: ხომ არ გვიყურებენ-მეთქი? რამდენიმე წყვილი თვალი მოგვჩერებოდა. შემრცხვა.

— წასვლა ხომ არ გინდა? — მკითხა.

— ჰო.

მაგიდას დავუბრუნდით, თითო ბოკალიც დავლიეთ, ბექამ დანახარჯი გადაიხადა და წამოვედით.

კარგა დიდი მანძილი გავიარეთ უხმოდ, თითქოს ერთმანეთს ფიქრში არ ვუშლიდით ხელს. მერე ტაქსი გააჩერა. ასევე უხმოდ მიმაცილა სახლამდე. მანქანა გაუშვა და სადარბაზომდე მომყვა.

— შინ ვერ გეპატიჟები, — დუმილი მე დავარღვიე.

— ვიცი. არ არის პრობლემა, ალბათ შენები გელოდებიან.

— არავინაც არ მელოდება, მარტო ვცხოვრობ.

— მართლა? — სიბნელეში დავინახე, როგორ გაუფართოვდა თვალები. — მშობლები?..

— მოსკოვში არიან. მამა და ძმა იქ მუშაობენ, დედა მათთან არის, მხოლოდ ზამთრობით მსტუმრობს ხოლმე, იქაურ სიცივეს ვერ იტანს.

— მერე, როგორ გტოვებს ამისთანა მზეთუნახავს მარტო, არ ეშინია?

— მე ჭკვიანი გოგო ვარ, მენდობა, — გავიხუმრე.

— ჰო-ო-ო... მე გამიჭირდებოდა, —

ორჭოფულად თქვა.

— რა? ჩემი ნდობა თუ ჩემი დატოვება?

— ერთიც და მეორეც, — თქვა და ცხვირი ცხვირზე მომადო.

— საძაგელი ვინმე ხარ, — დავიჩურჩულე და ცხვირით გავეხახუნე.

— ვიცი და ახლა უფრო დიდ საძაგლობას ჩავიდენ, — მიპასუხა და სანამ გონს მოვეგებოდი, ხელი წამავლო და ტუჩებზე დამაცხრა.

არც ახლა გავუწიე წინააღმდეგობა, ერთი რამის შემეშინდა მხოლოდ — კოცნაზე კოცნითვე არ მეპასუხა. შემეშინდა, მისი ალერსი იმაზე ვნებიანი არ აღმოჩენილიყო, ვიდრე სანდროსთან განცდილი. არადა, ცდუნებამ მძლია, სასმელმაც თავისი ქნა. წუთიერად დავყევი მამაკაცის ნებას, დავმორჩილდი, საამოდ მივუშვირე ტუჩ-ყელი, მაგრამ საპასუხო კოცნა ვერ გავიმეტე, არ მივეცი თავს ამის უფლება. თუმცა იმწუთას მხოლოდ ერთი რამ მინდოდა — რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო ეს სიამოვნება.

ბექას გახურებულმა ტუჩებმა ყელიდან მკერდზე გადაინაცვლა, ხელები კი პიჯაკქვეშ შემიცურა და კოფთა ამომიჩაჩა. შიშველ სხეულზე ვიგრძენი მისი ძლიერი თითების შეხება. ისინი ნელ-ნელა, წრიული მოძრაობით მიიწევდნენ ვნებით ამბოხებული ჩემი მკერდისკენ... „არა, ეს უკვე მეტისმეტია, ახლა უნდა შევაჩერო“, — ვამბობდი გონებაში, მაგრამ სხეული არ მემორჩილებოდა, იგი ყველაფრის ნებას აძლევდა მამაკაცს. ისეთივე მორჩილი იყო, როგორც იმ ღამეს, როცა სანდროს ეკვროდა, სიამოვნებისაგან გაბრუებული. ცოტაც და — თავს დავკარგავდი...

— ბექა, საკმარისია, გეყოფა, — დავიკრუსუნე.

— ცოტა ხნით ამოვალ შენთან, კარგი? სულ ცოტა ხნით, — ჩურჩულებდა აგზნებული.

— არა, არა! — მკაცრად ვთქვი და ხელი ვკარი, ტანსაცმელი სასწრაფოდ გავისწორე, სადარბაზოში შევვარდი და კიბეს სირბილით ავუყევი.

ბექა არ გამომკიდებია... თავი მარტო რომ დავიგულე, შევჩერდი, სული მოვითქვი. რას ჰგავს ჩემი საქციელი?! როგორ ვიქცევი?! ერთი მიყვარს, მეორეს ვეფერები — ეს ნორმალურია?!.

კართან მისულს, უცნაური სიურპრიზი დამხვდა: ვიღაცას, ყვითელი ტიტების თაიგული დაეტოვებინა, კარის სახელურში გაჩრილი. საყვედურით სავსე მზერით შევხედე ყვავილებს, ვერ მივხვდი, ვისი ბოროტი ხუმრობა უნდა ყოფილიყო. ვერ ვიტან ყვითელ ფერს — იგი ხომ ღალატის, ეჭვის, სიძულვილის, ეპიდემიის, დაუძლურების ფერია! გულმა რეჩხი მიყო. არა, ეს შეუძლებელია! სანდრო ამას არ იზამდა! — ვიმშვიდებდი თავს. მაშინ, ვისი ნახელავია? ასეთი სიძულვილით ვის გავახსენდი? ვინ იცის, რომ ყვითელი არ მიყვარს?

ასეთი არავინ მეგულებოდა. სანდროს მოფიქრებული იქნება, სამაგიეროს მიხდის ალბათ. კარი გავაღე, შუქი ავანთე და მოწყენილი ყვავილები ლარნაკში ჩავალაგე, ფურცლებზე შემოკრული რეზინები მოვაცალე და წყალიც ჩავუსხი. საწოლზე ჩამოვჯექი და თაიგულს მივაჩერდი. ეს გამოწვევაა? როგორ მითხრა იმ დღეს? შენი ცხოვრება კიდევ უფრო მოსაწყენი გახდება, გპირდებიო, არა?.. ეს მუქარის პირველი ნაბიჯია ალბათ.

ფეხსაცმელი გავიხადე და ლოგინზე გავიშოტე. როგორ დავიღალე! დაძინება არ მაწყენდა. თვალწინ ჯერ ბექა დამიდგა, მერე — სანდრო. ერთდროულად ორივე მამაკაცზე ვფიქრობდი. მეშინია, გაორება არ დამემართოს. არა, ბექა არ არის ხელიდან გასაშვები „კანდიდატურა“, მაგრამ სანდროს რა ვუყო? მის მიმართ დაუოკებელი ჟინი უფრო მამოძრავებდა, მგონი, ვიდრე სიყვარული. რაღაც, ჯიბრის მომენტი მქონდა. მინდოდა, საბოლოოდ დამემარცხებინა იგი, შური მეძია იმ წარსულისთვის, რომელიც გამიმწარა. მან ყველაფერი წამართვა — მომპარა სინათლე, ჰაერი და ცა, მიწა და წყალი... თავისუფლად არსებობის უფლება არ მომცა. ამას ვერ ვაპატიებ.

თვალები მებლიტებოდა, ფიქრებით ბექას გადავწვდი, ჯერ კიდევ ვგრძნობდი მისი ტუჩების მხურვალებას სხეულზე. რა კარგი მოფერება სცოდნია. არ მეგონა, ეს საქმე სანდროზე უკეთ თუ შეეძლო ვინმეს. ახლა მხოლოდ მასზე ვიფიქრებ, ერთი ღამით დავივიწყებ „მაესტროს“, ეს ღამე ბექას ეკუთვნის, — მტკიცედ გადავწყვიტე, მაგრამ ძილმა მალე წამართვა თავი.

დილით ჩიტების ჭიკჭიკმა გამომაღვიძა. ღია სარკმლიდან ცივი ნიავი უბერავდა...

სამსახურში წასასვლელად გავემზადე, მაგრამ ჯერ ადრე იყო. სავარძელში ჩავჯექი და ჩემი პატარა, ორნამენტებიანი მუთაქა ჩავიხუტე, თან ყვითელ ტიტებს გავყურებდი, რომლებიც უაზროდ გაშლილიყო და ალაგ-ალაგ ფურცლებიც დასცვენოდა. ცალი ხელით მუთაქას ვეფერებოდი, მეორით ყავას ვწრუპავდი. ოდნავ მტკიოდა თავი, ალბათ, მარტინის ბრალია. რა ლამაზი ცხოველებია ამოქარგული ამ მუთაქაზე, განსაკუთრებით, ეს ლომი მომწონს, შველს რომ მისდევს, მტაცებლური მზერით... ეს შველი მე ვარ, ალბათ, ლომი კი... რა თქმა უნდა, სანდროა, მაგრამ... მომდევს კი? თუ მე მივდევ?.. გამეცინა...

ათ საათზე კლინიკაში ვიყავი. მანქანა დავაყენე და შენობაში შევედი. საორდინატოროში შევიხედე და უხალისოდ მივესალმე თანამშრომლებს.

— სოფიო, საღამოს ხომ გცალია? — ნათია მომიახლოვდა.

— კი, რატომაც არა, რა ხდება? — ვითომ არ ვიცოდი, ისეთი სახე მივიღე.

— ჩემთან ამოდი, ვიქეიფოთ, — მორიდებით გამიღიმა.

— დაბადების დღე ხომ არ გაქვს, შემთხვევით?

— ჰო. ხომ მოხვალ?

— აბა, რას ვიზამ?!

უეცრად ნანკა მომიტრიალდა.

— მთავარი ექიმი გიბარებს, — კუშტად მესროლა.

ვაჟასა და გელას გადავხედე, შემცბარები მიყურებდნენ. მივხვდი, თუ რა ხდებოდა. უხმოდ გავტრიალდი და დერეფანს დავუყევი. მორიდებით შევაღე ბატონი მიხეილის კაბინეტის კარი. სანდრო უკვე იქ იყო.

— მოდი! — მკაცრად მითხრა მთავარმა ექიმმა, ამჯერად, „სოფიო“ აღარ დააყოლა.

— ახლა ორივენი აქ ხართ და იქნებ ამიხსნათ, რა მოხდა გუშინ, რატომ მოგივიდათ ნარკოზის ზედმეტი დოზა? — მიხეილი ხან მე შემომხედავდა, ხანაც — სანდროს.

მე გაჩუმება ვამჯობინე, კეთილი ენება და სანდროს პირველს ეთქვა, რისი თქმაც უნდოდა.

— ვერაფერს გეტყვით... სიმართლე გითხრათ, მეც მიკვირს, რატომ გამოვიდა ასე, — ჩაიბურტყუნა მან, თან ცდილობდა, ჩემთვის არ შემოეხედა.

სიბრაზემ ამიტანა, ასეთ ვერაგულ ტყუილს არ მოველოდი.

— სოფიო, თქვენ რას იტყვით, გენაცვალე? — ოფიციალური „გენაცვალე“ გამოუვიდა მთავარ ექიმს.

— რაც ქირურგმა მითხრა, ის გავაკეთე, — ნერვულად წარმოვთქვი.

სიმწრისგან ხელებიც ამიკანკალდა და ხმაც. გამიჭირდა თავის შეკავება, აღვშფოთდი.

— რა გითხრა, ზედმეტი დოზა მიე-

ციო? — ირონიულად მკითხა მიხეილმა და სათვალე მოიხსნა.

— არა, მითხრა, დოზა დაამატეო. მე წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ვიცოდი, პაციენტი ძალზე დასუსტებული იყო და გაუჭირდებოდა.

— ასე იყო, ბატონო სანდრო?

იგი ხმას არ იღებდა.

— იქნებ, ის იყო მართალი, რაც ნანკამ თქვა? — იკითხა მოულოდნელად მიხეილმა.

— ნანკამ რა თქვა? — წარბები შევყარე: ეს რაღაც ახალი იყო ჩემთვის.

— ერთი სიტყვით, ცუდი ამბავი მოხდა. თქვენს ჯიბრს თუ რაღაცას, არც ვიცი, ამას რა დავარქვა, კინაღამ ავადმყოფის სიცოცხლე შეეწირა. გაფრთხილებთ და ეს უკანასკნელი გაფრთხილება იქნება: კიდევ თუ განმეორდება მსგავსი შემთხვევა, ორივე დატოვებთ კლინიკას! — მკაცრად წარმოთქვა მთავარმა ექიმმა და წამოდგა, რითაც მიგვანიშნა, შეხვედრა დამთავრებულიაო.

ლასლასით გამოვედი კაბინეტიდან. სანდროს შეცდომის გამო, მეც ვისჯებოდი, ამის მოთმენა ძნელი იყო. გარდა ამისა, ნანკასაც ჰქონდა რაღაც მიქარული; თუ — რა, ჯერჯერობით არ ვიცოდი.

— ნანკას რა უნდოდა? — გარეთ გამოსულ სანდროს წინ ავესვეტე.

ხმა არ გამცა, ისე გამიარა გვერდით. დავეწიე და მკლავში ვტაცე ხელი.

— არ გესმის, რას გეკითხები? — წინ გადავუდექი.

— ეგ მაგას ჰკითხე, მე კი თავი დამანებე, არაფერ შუაში ვარ.

სკანდალი არ მინდოდა, ამის არც თავი მქონდა და არც სურვილი. ვიცოდი, ნანკასთვის პასუხი რომ მომეთხოვა, ისტერიკას დაიმართებდა და მეც, ბაზრის ქალის როლში გამოვიდოდი. გადავწყვიტე, სხვებისგან გამეგო, რა ჰქონდა ნათქვამი და იმის მიხედვით მოვქცეულიყავი.

საორდინატოროში შევიხედე, ნათიას თვალით ვანიშნე, გამოდი-მეთქი. უეცრად დერეფანში ჩოჩქოლი მომესმა. გავიხედე. ბექას კაბინეტიდან გამოსული ნანკა დავინახე.

— ჩემი საქმისა მე ვიცი და ნურავინ მასწავლის, როგორ მოვიქცე, — წიკვინებდა ქალი.

ნანკას გიზელა მოჰყვებოდა ფეხდაფეხ, თან რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ მისი სიტყვები არ მესმოდა.

ჩემს კაბინეტში შევედი. ამასობაში, ნათიამაც შემოაღო კარი.

— გამაგებინეთ, რა ხდება?

— წარმოდგენა არ მაქვს. ბექამ ნანკა დაიბარა, მაგრამ არ ვიცი, რატომ.

— ის ხომ არ იცი, ჩემზე რა უთხრა მთავარ ექიმს?

— შენ საიდან გაიგე? — ნათია შეცბა.

— თვითონ მითხრა.

— მიხამ?

— ჰო, რა იყო? მითხარი, რა აქვს ნათქვამი. გეფიცები, ხმას არ ამოვიღებ.

— სოფიო, გთხოვ, არ თქვა, მე რომ გითხარი, მაგ ქალის გადაკიდება არ მინდა, გესმის? შეიძლება, სამსახური დამატოვებინოს.

— ხომ შეგპირდი, ნათი!

— რაო და... სპეციალურად შეუყვანა გიგუშას ზედმეტი დოზა, რომ სანდროზე ეყარა ჯავრიო.

ამის გაგონებაზე თვალთ დამიბნელდა, ფეხებში ძალა წამერთვა, კინაღამ ჩავიკეცე. ნათიამ ხელი შემაშველა.

— სოფიო, რა მოგდის? ცუდად ხარ? — ფრთხილად მომკიდა ხელი და სავარძელში ჩამსვა.

— მაინც, რატომო, რა დაუშავა სანდრომ ამისთანაო? — ძლივს ამოვთქვი.

— არ ვიცი. ოპერაციის მსვლელობისას სანდრომ რაღაცაზე შენიშვნა მისცა, ცოტა უყვირა და სოფიო ამაზე გაბრაზდაო.

კიდევ კარგი, სხვა მიზეზი არ დაასახელა. ამან ცოტათი დამამშვიდა. მე იმის მეშინოდა, სანდრო ჩვენ შესახებ რამეს ხომ არ მოუყვა-მეთქი?

— რა საშინელი ქალი ყოფილა, ეს რამ აფიქრებინა?! — გავმწარდი.

— სოფიო, გთხოვ, არაფერი უთხრა, ასე აჯობებს. გაატარე საერთოდ, თითქოს არც გაგიგია.

— რატომ, ნათი, რატომ უნდა ეგონოს მთავარ ექიმს, რომ ასეთი ბოღმა ვარ?

— მიხა ის კაცი არ არის, ვინც ასეთ რამეებს ადვილად დაიჯერებს... იცის, როგორი ბოროტიცაა ნანკა... ხომ არ ეტყვი, მე რომ გითხარი? — საწყალობლად შემომხედა ნათიამ.

— არა გრცხვენია, ნათი? ასე მიცნობ? ჩათვალე, რომ ჩვენ ამ საკითხზე არასდროს გვილაპარაკია.

— გაიხარე, დიდი მადლობა. ყავა ხომ არ გინდა?

— არა, დილით დავლიე, ახლა არაფერი მინდა.

— წამო, მაშინ, შემოვლა იწყება.

— გამოვალ ცოტა ხანში.

ნათია გავიდა. შევეცადე, თავი ხელში ამეყვანა და ნერვიულობა არ შემტყობოდა. რამდენიმე წუთი დამჭირდა დასამშვიდებლად. მერე ავდექი, თეთრი ხალათი მოვიცვი და კაბინეტიდან გავედი...

შემოვლა ისე დამთავრდა, ერთი სიტყვა არ გამიგონია, ვინ რას ამბობდა. რამდენჯერმე ბექას მზერას შევეფეთე, მაგრამ თვალი ავარიდე, მასთან გამოლაპარაკების სურვილიც აღარ შემრჩა. ერთადერთი რამ მინდოდა — დღის განმავლობაში სანდრო დამემარტოხელებინა. მისთვის მქონდა სათქმელი. მოვახერხე კიდეც, რეანიმაციის კართან შევეფეთე.

— ძალიან უნიჭოდ გამოგივიდა, — მივახალე ზიზღით.

— რას გულისხმობ? — ხელები ხალათის ჯიბეებში ჩაიწყო და არანაკლები ზიზღით ამხედ-დამხედა.

— ყვავილებს.

— რა ყვავილებს?

— ჩემთვის რომ გამოიმეტე, იმას. მინდა გითხრა, რომ ტყუილად იზარალე. ხუთი ლარი სხვა, უფრო სასარგებლო რამეში შეგეძლო გამოგეყენებინა, — მივაფრქვიე ბოროტი ფრაზები.

— პირველად მესმის, არ ვიცი, რომელ ყვავილებზე მელაპარაკები. იქნებ, შენმა „პაკლონიკებმა“ მოგართვეს?.. — გაოცება და ირონია ერთდროულად აღებეჭდა სახეზე.

იმდენად გულწრფელი მეჩვენა, ვამჯობინე, მეტი არაფერი მეთქვა, უპასუხოდ დავტოვე მისი შეკითხვა და ზურგი ვაქციე.

მაშ, ვინ დამიტოვა ის ტიტები?.. თავს ვიმტვრევდი ფიქრით, მაგრამ ვერ ვხვდებოდი.

სამუშაო საათები დამთავრდა. იმ დღეს ნანკა იყო მორიგე. გამიხარდა, რადგან ნათიას დაბადების დღეზე არ იქნებოდა... ჯერ საჩუქარი უნდა მეყიდა, მერე — შინ შემევლო, მინდოდა, კარგ ფორმაში ვყოფილიყავი, ამიტომ ტანსაცმლის გამოცვლა გადავწყვიტე. ნამდვილად არ მეხალისებოდა ახლა, დაბადების დღეზე წასვლა, მაგრამ ნათიას ვერ ვაწყენინებდი, ამასთან — ბექაც იქ იქნებოდა და სანდროც, ყველაზე მეტად ეს მიხაროდა.

ბექა გამოსასვლელთან დამეწია, სად მიდიხარო? ავუხსენი, რასაც ვაპირებდი.

— არ მომატყუო, იცოდე, — თითი დამიქნია.

— არა, ტყუილი ხომ ღალატის ტოლფასია, — შევცინე.

— ყოჩაღ, გესმის საგანი, — ტუჩებით კოცნა გამოხატა და გამიღიმა...

...თავის მოწესრიგებას ორმოცი წუთი მოვანდომე. როცა გაპრანჭვას მოვრჩი, სარკეში ჩავიხედე. კარგ ფორმაში ვიყავი, ფურორი არ ამცდებოდა. საკუთარ ორეულს კმაყოფილმა გავუღიმე და ის იყო, წასვლა დავაპირე, რომ ზარი დაირეკა. კარს მივვარდი, დარწმუნებული ვიყავი, ბექა იქნებოდა...

ღიმილი პირზე შემაშრა, რადგან ზღურბლთან ვილაც მსუქანი, უგემოვნოდ ჩაცმული, მაგრამ ლამაზი პირისახის ახალგაზრდა ქალი იდგა. თითქოს მეცნო კიდეც.

— გამარჯობა, სოფიო, ვერ მიცანი? — უცნობმა გამჭოლი მზერა მესროლა.

ტანში გამცრა... ხმა რომ ამოიღო, მხოლოდ მაშინ ვიცანი... ჩემ წინ ნიტა იდგა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული საკითხავი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი.

1. მსოფლიოში პირველი შუქნიშანი XIX საუკუნის 50-იან წლებში, ინგლისში გაჩნდა, რომელიც რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ აფეთქდა. რა იყო ამის მიზეზი?

2. ესპანეთში, ფეხბურთის ერთ-ერთი რეგიონული ლიგის მატჩის დროს არბიტრმა ისე უსამართლოდ იმსაჯა, რომ მასპინძელი გუნდის აღშფოთებულმა ხელმძღვანელობამ, სამაგიეროს გადახადის მიზნით, აქამდე გაუგონარი ფორმით გასცა მისი ჰონორარი. ამის გამო მსაჯი იძულებული გახდა, უარი ეთქვა კუთვნილ ფულზე. რა სახით იქნა შეთავაზებული არბიტრისათვის მისი კუთვნილი ჰონორარი?

3. ეს მსახიობი ქალი წარმოშობით სოხუმელი გახლავთ, სადაც რუსული სკოლა აქვს დამთავრებული. „ვაჟას ნაწარმოებებზე არა ხარ გაზრდილი და რა უნდა გელაპარაკო?!“ — „საყვედურობს“ მას დროდადრო, მისი მეუღლე, რომელიც თავად ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობი გახლავთ საქართველოში. დაასახელეთ ორივე მათგანი.

4. 1901 წელს ქართველებმა თხოვნით მიმართეს ლევ ტოლსტოის, ხმა აემაღლებინა რუსეთის მიერ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დარღვევის გამო. რა უპასუხა რუსმა მწერალმა?

5. 1903 წელს ქართულ ვაზს ამერიკული პარაზიტი ფილოქსერა შემოეჩვია. როგორ შეძლეს ქართველმა აგრონომებმა ქართული ჯიშების გადარჩენა?

6. რა სტატუსით შევიდა საქართველოს ისტორიაში რაჭის ერისთავის, კახაბერის ასული, გვანცა?

7. დაასრულეთ კარლო ჩხეიძის სიტყვები, რომელიც მან პურიშკევიჩს მიახალა: „კაგდა ვაში პრედკი ვ ლესუ ბრადილი, მაი პრედკი...“

8. დაასრულეთ კოკო შანელის სიტყვები: „20 წლამდე თქვენ გაქვთ ისეთი სახე, როგორიც ღმერთმა მოგცათ, 30 წლის შემდეგ — როგორიც თავად შექმენით, 50 წლის შემდეგ კი ისეთი, როგორიც...“

9. ამერიკელმა ფსიქოლოგებმა გამოაქვეყნეს „სტრესების სკალა“, რომლის მიხედვით, უნივერსიტეტში ჩასარიცხი გამოცდებისგან მიღებული სტრესი მხოლოდ 26-ე ადგილზეა. რა არის ამ სიაში პირველ ადგილზე?

10. ბოლივიის დედაქალაქ ლა-პასში არ არსებობს სახანძრო სამსახური. რატომ?

11. ერთხელ ჰიპოკრატეს ჰკითხეს: „მართალია, რომ გენიალურობა ავადმყოფობაა?“ — „დიახ, — უპასუხა ჰიპოკრატემ, — ეს იშვიათი ავადმყოფობაა და სამწუხაროდ, იგი არ არის...“ — დაასრულეთ მისი პასუხი.

12. ბრიტანეთის კუნძულზე ჯარის გადასხმისას, იულიუს კეისარმა უამრავი ხომალდი დაკარგა. რა იყო ამის მიზეზი?

ანეკდოტები

***

„ნოვი რუსკის“ ეკითხებიან:

— შეგიძლია, საუკეთესო მეგობარს 1.000 დოლარი ასესხო?

— რა თქმა უნდა. მაგრამ ასეთი ახლო მეგობარი არ მყავს.

***

— მეც ვოცნებობ, მამაჩემივით, თვეში ათი ათასი დოლარი მქონდეს.

— რა, მამაშენს ყოველთვე ათი ათასი დოლარი აქვს?

— არა, ისიც ამაზე ოცნებობს.

***

დეპრესიაში მყოფი ბაყაყი ნათელმხილველს ურეკავს:

— შენ გაიცნობ ლამაზ, სასიამოვნო გოგონას, რომელიც მოისურვებს, ყველაფერი გაიგოს შენ შესახებ, — ეუბნება სტანდარტული შესავლის შემდეგ ნათელმხილველი.

— მართლა? — უხარია ბაყაყს.

— ეს, ალბათ, იმ წვეულებაზე მოხდება, რომელიც ჩვენს ჭაობში მომავალ კვირას უნდა გაიმართოს?!

— არა, — პასუხობს ნათელმხილველი, — ეს მომავალი წლის პირველი ნახევრის მეორე დეკადაში მოხდება.

— სად? რა ვითარებაში? — ეღარ ითმენს ბაყაყი.

— სამედიცინო კოლეჯის ბიოლოგიის კაბინეტში.

***

შეიხის სასახლესთან ხანში შესული ქალებით სავსე ავტობუსი გაჩერდა.

— ისევ ტურისტები არიან?

— არა, შეიხს სიდედრებმა მოაკითხეს.

***

რაჭველმა კინოს ბილეთები იყიდა. ცოტა ხანში დაბრუნდა და კიდევ იყიდა. ცოტა ხანში — ისევ. გაკვირვებული მოლარე ეკითხება:

— კი, მაგრამ თქვენ ხომ უკვე აიღეთ ბილეთები?!

— კი ავიღე, მაგრამ მიხევს ის ოხერი კონტროლიორი.

***

— შენზე მითხრეს, ახალი მდივანი ჰყავსო. მართალია?

— ჰო, მყავს.

— კარგია?

— ექსტრაკლასის!

— როგორ იცვამს?

— ძალიან სწრაფად.

***

კაცი ფსიქიატრთან მივიდა:

— ჩემი მეუღლის შესახებ მინდა გითხრათ: მას აეკვიატა აზრი, რომ ვიღაცას მისი კაბების მოპარვა უნდა და სპეციალური სამსახურიდან კაციც დაიქირავა, რომ მის კაბებს უყარაულოს. გუშინ საღამოს ეს კაცი მის კარადაში აღმოვაჩინე.

***

სტუდენტი ახალი ბინის პატრონს ეტრაბახება:

— ძველი ბინიდან რომ წამოვედი, დიასახლისი ტიროდა!

— მე სატირალი არაფერი მექნება, ბინის ქირას წინასწარ გადამიხდით.

***

ჭიჭიკიამ გოგონა გაიცნო და საღამოსთვის სახლში მიიპატიჟა. მანამდე კი, თავის მეგობარ ექიმ-სექსოპათოლოგს მიაკითხა.

— საღამოს გოგონა მყავს დაბარებული და იქნება, რაიმე სტიმულატორი მომცე, თავი რომ გამოვიჩინო.

მეგობარმა მისცა წამალი. მეორე დღეს ხვდებიან ერთმანეთს.

— ჰა, ხომ არ შემარცხვინე?! მოჰყევი, სადამდე ახვედი?!

— შვიდამდე!

— ის?!

— ის საერთოდ არ მოვიდა.

***

— გაფიცებ, მითხარი, ამდენ თევზს როგორ იჭერ? — ეკითხება ჭიჭიკია მეზობელს.

— როგორ და, დილით ადრე, სანამ სათევზაოდ წავალ, ცოლს საბანს გადავხდი, კარგად შევათვალიერებ და მერე მივდივარ მდინარეზე. თუ გინდა, შენც ეგრე მოიქეცი და ხვალ ჩემთან ერთად წაგიყვან.

მეორე დღეს ჭიჭიკია მხოლოდ საღამოს გამოჩნდა.

— რატომ არ წამოხვედი დღეს სათევზაოდ? — ჰკითხა მეზობელმა.

— აბა, რა ვიცი?! რომ გადავხადე დილით ცოლს საბანი, მაგრად მომინდა და მთელი დღე იმასთან გავატარე.

— შე კაი კაცო, ეგეთი ამბები თუ გინდება, სათევზაოდ რაღა მოგარბენინებს?!.

***

ოსმა „ჟიგული“ იყიდა.

— მოგწონს შენი მანქანა?

— არა, სენი წირიმე, ნამეტანი ხარჯიანია.

— რატომ?

— ექვსი ძმანი ვიყავით და ორნიღა დავრცით.

***

მეეტლეს გაძვალტყავებული ცხენი ჰყავს ეტლში შებმული. მგზავრი ეკითხება:

— არ შეგიძლიათ, უფრო ჩქარა წახვიდეთ?!

— როგორ არა, მაგრამ ცხენს მარტო ხომ არ დავტოვებ.

***

მიხომ, რომელსაც ყოველღამე ხილს ჰპარავდნენ, გადაწყვიტა, ქურდს დადარაჯებოდა. ერთ ღამეს დაინახა, ვიღაც ხეზეა ამძვრალი. მიეპარა, ხელი მამაკაცურ ღირსებაში წაავლო და უყვირა:

— თქვი ახლა, რომელი ხარ, თორემ ამოგხადე სული?!

— მმმმმ!

— რომელი ხარ-მეთქი, გეკითხები?

— მმმმმ!

— ხმა ამოიღე, შენი!.. — იყვირა მიხომ და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მოუჭირა ხელი.

— მმმმუნჯი მიტუა ვარ, შშენი სსადისტი დედა რო ვატირე!..

***

— მამა, მამა, მე ებრაელი ვარ თუ რუსი? — ეკითხება მამას ბავშვი.

— საიდან დაგებადა, შვილო,



ასეთი უცნაური კითხვა?

— ისეთი არაფერი, უბრალოდ, საბავშვო ბაღში ახალი სათამაშოები მოიტანეს და ვერაფრით გადამიწყვეტია, დავამტვრიო თუ სახლში წამოვიღო?

ჯერნების სამსჯავრო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ეს შუქნიშანი გაზზე მუშაობდა. მისი ელექტროანალოგი მხოლოდ 1920 წელს გააკეთეს გერმანიაში.
2. კლუბის ხელმძღვანელობამ მსაჯის კუთვნილი მთელი ჰონორარი — 11.200 პესეტი ერთპესეტიანი მონეტებით გადაიხადა. ხურდა ფულით სავსე ტომარა 36 კილოგრამს იწონიდა.
3. გურანდა გაბუნია და ოთარ მელვინეთუხუცესი.
4. „ძალიან თანაგიგრძნობთ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით!..“
5. აგრონომებმა ჩვენებური ვაზი ამერიკულ ძირებზე დაამყნეს და ამგვარად გადაარჩინეს ბევრი ჯიში, რაც მათი უდიდესი გამარჯვება იყო.
6. იგი დავით VII ულუს მეულლე და დიმიტრი თავდადებულის დედა იყო.
7. „...„ევანგელიე“ პერევადილი!“
8. „...დაიმსახურეთ“.
9. დაბადების დროს მიღებულ სტრესი.
10. ეს ქალაქი ზღვის დონიდან 3684 მეტრზე მდებარეობს და ასეთ სიმაღლეზე, ჟანგბადის უკმარისობის გამო, ცეცხლი უბრალოდ, არ ეკიდებება.
11. „...გადამდები“.
12. რომაელებისა და ბერძნებისთვის, იმ დროისათვის პრაქტიკულად უცნობი მოვლენა — ოკეანის მოქცევა.

ჩვენი ფოტოგალერეა ძვირფასო მკითხველებო!

„ჩვენი ფოტოგალერეა“ თქვენს ნამუშევრებს ელის! ნებისმიერი აპარატით (მათ შორის, მობილური ტელეფონით) გადაღებული ჟურნალისტური ფოტოსურათი ამ გვერდზე გამოქვეყნდება.

ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

2008 წლის გაგაფხულ-გაფხულის მოდური ტენდენციები

ტანსაცმელი, მაკიაჟი და ვარცხნილობა

გაზაფხულის დადგომასთან ერთად, ჩაგმულობაში, მაჯიაჭა და ვარცხნილობაში ახალი, მოდური ტენდენციები შემოდის.

ვარცხნილობა

2008 წლის გაზაფხულზე ვარცხნილობა ნაირფეროვნებითა და განსაკუთრებული პეწიანობით გამოირჩევა. შეიძლება, ერთბაშად რამდენიმე მიმართულება გამოიყოს, რომელთაგან თითოეულს თავისი მიმდევარი მოეძებნება.

გრძელი თმა — ახლაც, როგორც ყოველთვის, მოდაშია გრძელი, სწორი თმა ან ლამაზი კულულები (საამისოდ დღემდე წარმატებით გამოიყენება ბიგუდები).

ბალერინის ვარცხნილობა — სადად დავარცხნილი, შუბლზე გადატკეცილი და კეფაზე შეკრული თმა. მნიშვნელოვანია, რომ სადა ვარცხნილობის დროს, თმა განსაკუთრებულად ბზინავდეს.

ისევ მოდურია **შუბლზე შეკრეჭილი თმა (ჩოლკა)**. ის შეიძლება იყოს მოუწესრიგებელიც და სწორად შეჭრილიც. ერთი სიტყვით, ფანტაზია შეუზღუდავია.

„ბობი“ — ვარცხნილობა მადამ შანელის სტილში. ის ყოველთვის აქტუალურია. „ჩოლკას“ და თმის ბოლოებს უსწორმასწოროდ კრეჭენ, შეიძლება ითქვას, დაუდევრადაც კი, რაც გასულ ტენდენციებს თანამედროვეობის ელემენტებით ავსებს.

აქსესუარები — ამ სეზონზე აქტუალური იქნება სხვადასხვაგვარი სალტე და თმაზე შემოსაკრავი. განსაკუთრებით მოდურია თავზე ორჯერ შემოხვეული, თასმის მაგვარი სალტეები. ასეთი ვარცხნილობის ეფექტურობისთვის, თმა მოცულობითი უნდა იყოს და გარკვეულწილად, „მოუწესრიგებლის“ იერიც უნდა ჰქონდეს (ოღონდ არა — ცუდად მოვლილი თმის ეფექტი). უნდა რჩებოდეს შთაბეჭდილება, რომ ვარცხნილობას, თითქოს მხოლოდ შემოსაკრავი „ამაგრებს“ და აქცენტიც, თავისთავად, მასზე უნდა იყოს გადატანილი.

მაკიაჟი

ტუჩები: მოდაშია მქრქალი, ალისფერი, მარჯნისფერი, შინდისფერი და ბორდოსფერი შეფერილობის ტუჩის საცხი; აგრეთვე, სავსე ბაგეებისთვის — სადაფისფერი „ბლესკი“.

სახის კანი: ის უნდა იყოს ნაზი, ატმისფერი შეფერილობის, თითქოს შიგნიდან გასხივოსნებული. ასეთი ეფექტის შესაქმნელად გამოიყენება მქრქალი ფერის ტონალური საშუალებები და ამავე ფერის ნახევრად მშრალი პუდრა.

ქუთუთოები: უწინდებურად აქტუალურია ფანქრით ან „ლაინერით“ დახატული, წვრილი, ბოლოებში წაგრძელებული, „ისრები“.

წამწამები: არასოდეს კარგავს აქტუალობას და სახეს განსაკუთრებით მეტყველს ხდის გრძელი, ხშირი წამწამები (მათ შორის, ხელოვნურიც).

ფრჩხილების ლაქი: დღესდღეობით, ძალზე მუქი ან პირიქით ღია, ნახევრად გამჭვირვალე ფერის ლაქია მოდაში.

ბრუნდება ეგრეთ წოდებული „საბედისწერო ქალის“ სტილი: ფაიფურისებრი კანი (ფერ-უმარილის გარეშე!), გამოკვეთილი ტუჩები, გრძელი, შავი წამწამები. ტუჩის საცხი მქრქალი უნდა იყოს. კონტური არ გამოიყენება.

მათ, ვისაც ასეთი მაკიაჟი გამომწვევად ეჩვენება, ვთავაზობთ „ბუნებრივი“ მაკიაჟის რამდენიმე ვარიანტს:

- ♦ ატმისფერი შეფერილობის, გადატკეცილი კანი, ნატურალური ფერის, ოდნავ შესამჩნევი ჩრდილი და ტუჩებისთვის — ნახევრად გამჭვირვალე ბრჭყვიალა („ბლესკი“). შორიდან მაკიაჟის შთაბეჭდილება არ უნდა იქმნებოდეს.
- ♦ მსუბუქი ფერ-უმარილი; ოდნავ შესამჩნევი, ძალზე ღია ფერის კონტურით გამოყოფილი, მუქი საცხით შეფერილი ტუჩები; ქუთუთოებზე — მოოქროსფრო-მოჩალისფრო შეფერილობის ჩრდილი.
- ♦ წვრილი, შავი „ისრებით“ გამოკვეთილი ქუთუთოები, აპრეხილი წამწამები, ღია ფერის კანზე მსუბუ-

ქად წასმული „რუმიანა“ და ტუჩებზე — ვარდისფერი ბრჭყვიალა.

ტანსაცმელი

ამ სეზონზე აქტუალურია, ყვითელი, შავი და თეთრი ფერები. ასევე პოპულარული იქნება იასამნისფერი, ნაცრისფერი და ვერცხლისფერი.

სეზონის ჰიტია ატლასისა და შიფონის ქსოვილი.

მინისიგრძის ქვედაბოლო ისევ მოდაშია. ოპტიმალური სიგრძეა მუხლს ოდნავ ზემოთ. შეიძლება ითქვას, რომ ბრუნდება ოციანი წლების ანუ მერილინ მონროს სტილი —

სექსუალური და ელეგანტური: V-საყელო, რომელიც მკერდს გამოკვეთს, წვრილი სამხრეები და დეკოლტე. უპირატესობა ენიჭება მაღალ წელს. რაც შეეხება ზედატანს, აქტუალურია „ფრთის“ ფორმის სახელოები. განსაკუთრებით ეფექტურია, თუკი ამგვარი ბლუზა შიფონის ქსოვილისგანაა შეკერილი. ამ სეზონზე ისევ „ბრუნდება“ არშია. თვალისმომჭრელად გამოიყურება შავი არშია თეთრ ფონზე.

რაც შეეხება შარვლებს, კვლავ მოდაშია კლასიკური სტილი. შარვლის სიგრძე თითქმის უნდა ფარავდეს ფეხსაცმელს. ამასთანავე, აქტუალურია კოჭებამდე სიგრძის, ბოლოში შევიწროებული („ბუტილკა“) შარვალი.

საზღვაო სეზონის ჰიტია — მაღალწელიანი შორტები, ეგრეთ წოდებული მინიკომბინეზონები. ■

უკონფლიქტო ოჯახი — თუკი ასეთი საერთოდ არსებობს — იშვიათ, ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს. თუმცა, ფსიქოლოგების აზრით, მცირე კონფლიქტი, რიგ შემთხვევაში, ოჯახური პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი საშუალებაც კია, ოღონდ კამათი ამ თუ იმ საკითხზე კონსტრუქციული უნდა იყოს.

და მაინც, ჩხუბისა და სკანდალის თავიდან, აცილება შესაძლებელია, თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ:

ოჯახური მყუდროება რომ შეინარჩუნოთ...

შეეცადეთ უარყოფითი ენერგია ოჯახური საქმიანობით გაანეიტრალოთ — მაგალითად, ხალიჩა გაბერტყეთ ან თეთრეული დარეცხეთ. ამგვარად, ორ კურდღელს ერთდროულად დაიჭერთ: ემოციებიც ჩაგიცხრებათ და დიდი ხნის წინ გადადებული საქმის დასრულებასაც მოაბამთ თავს.

შეიარეთ მაღაზიებში ან უბრალოდ, ქუჩაში გაისეირნეთ. მთავარია, შინიდან გახვიდეთ. სუფთა ჰაერი განწყობილებას აუცილებლად გაგიუმჯობესებთ.

როცა სევდა გულს გიმძიმებთ, გემრიელად ივახშმეთ, კარგად გამოიძინეთ და ყველაფერი გაგივლით. ოღონდ, ამ მეთოდმა ზომაზე მეტად არ გაგიტაცოთ, თორემ ახალი — წონასთან დაკავშირებული — პრობლემის წინაშე აღმოჩნდებით.

ცხარე კამათი თავიდან რომ აიცილოთ, საკითხს იუმორით მიუდექით; ზოგი რამ კი — ერთ ყურში შეუშვით და მეორიდან გამოუშვით.

კამათის დროს არ შეიძლება:

თავის ყოველთვის უცოდველად მიჩნევა. კონფლიქტური სიტუაციის დროს, თვითკრიტიკა მოკამათეების საუკეთესო მრჩეველია.

ჭურჭლის მტვრევა. ეს უკვე ისტერიკაა. შეინარჩუნეთ ღირსების გრძნობა.

ისეთი საკითხების წინა პლანზე წამოწევა, რომელიც მოცემულ თემას არ ეხება — კამათის დროს, მხოლოდ კონკრეტული მიზეზების შესახებ ილაპარაკეთ.

მეუღლის გაკრიტიკება და მისი ინტერესების აბუჩად აგდება. ამით არაფერი გამოსწორდება: პირიქით, სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებთ.

ნაცნობ-მეგობრების ოჯახების მაგალითად მოყვანა. მსგავსი სიტუაციები სხვადასხვა ოჯახში, შესაბამისად, სხვადასხვაგვარი საბაბით წარმოიშვება.

როგორ უნდა მოიქცეთ:

♦ ყველაფერი ობიექტურად — რაც მთავარია, სხვების თანდასწრების გარეშე — განიხილეთ. გახსოვდეთ, ოჯახური კონფლიქტი მხოლოდ თქვენ ორს გეხებათ.

♦ შეეცადეთ, ცხელ გულზე არაფერი თქვათ. მოითმინეთ, სანამ ჭექა-ქუხილის პირველი შემოტევა გადაივლის და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეთ საუბარი.

♦ წამოჭრილი დავის მიზეზი გარკვევით ჩამოაყალიბეთ. შეიძლება მიზეზი იმდენად უმნიშვნელო აღმოჩნდეს, რომ თავადვე გაგეცინოთ.

♦ ეცადეთ, იპოვოთ კომპრომისი. თუ ერთმანეთი გიყვართ და აფასებთ, არ გაგიჭირდებათ ისეთი გამოსავლის მოძებნა, რომელიც ორივესთვის მისაღებია. ■

რუბრიკა მოამზადა **ეკა გუნთაიშვილმა**



დასაწყისი იხ. „გზა“ №27-10

მომდევნო რამდენიმე საათი ნოვაკმა საბარგულში გაატარა. მთელი ამ დროის განმავლობაში, მანქანა მხოლოდ ორჯერ გაჩერდა. ორივე შემთხვევაში, ნოვაკს გზისპირა ბუჩქებში მოშარდვის საშუალება მისცეს, მერე კი ისევ საბარგულში ჩაკეტეს და გზა განაგრძეს. ბოლოს, მანქანა კიდევ ერთხელ შედგა. ნოვაკი საბარგულიდან ამოსასვლელად მოემზადა, მაგრამ მანქანა ისევ დაიძრა, რამდენიმე მეტრი გაირა და ისევ შეჩერდა. ამჯერად საბარგული აიხადა. ნოვაკი წამოჯდა და შიშით მიმოიხედა. მანქანა გარაჟში იდგა. მის ირგვლივ კი რამდენიმე მამაკაცს მოეყარა თავი. მათ შორის იყო ლუკაც.

— გამომყევი, — მოკლედ ისროლა ლუკამ.

ნოვაკი მაშინვე დაემორჩილა. საბარგულიდან გადმოვიდა და უკან მიჰყვა. ვრცელი დერეფნის გავლის შემდეგ, ისინი სასტუმრო ოთახში აღმოჩნდნენ. ლუკამ სავარძელზე ანიშნა: დაჯექიო. თვითონ მის პირისპირ ჩამოჯდა და გამჭოლი მზერა მიაპყრო.

— ეს გაუგებრობაა, ლუკა. ნაბიჭვარი პოპოვის გამო, ჩვენ კონფლიქტი არ უნდა მოგვივიდეს, — სწრაფად ალაპარაკდა ნოვაკი.

— ერთი წლის ან თვის წინ, შენ სიტყვას მართლა გავითვალისწინებდი. დღეს — აღარ!

— რატომ?.. რა შეიცვალა ჩვენს ურთიერთობაში?!

— ჩემი მხრიდან არაფერი. შენ გადაგვაგდე!

— არა, ლუკა!.. პატიოსნებას გეფიცები. ეგ ყველაფერი პოპოვმა გაგვიჩალიჩა!.. ნაბიჭვრებს შეეკრა და ჩვენს ჩაძირვას ცდილობს!

— სახელები!

— ვისი სახელები?! — დაიბნა ნოვაკი.

— ნაბიჭვრების, რომლებიც ჩვენს ჩაძირვას ცდილობენ! — ცივად მოჭრა ლუკამ.

— ახლა ვერაფერს გეტყვი, მაგრამ პირობას გაძლევ, რომ ყველაფერს გავარკვევ. ჩარევაც არ დაგჭირდება, მე მოვუვლი ყველას!

— აქამდე რას აკეთებდი?

— აქამდე?.. აქამდე არაფერი გამიკეთებია, მაგრამ მე არ ვიცოდი, რა ხდებოდა. შენ ადრეც გქონია პრობლემები, მაგრამ ყველაფერი ჩემი ჩარევის გარეშე მოგიგვარებია.

— ატრაკებ!.. — შეუბღვირა ლუკამ. — როცა საჭირო იყო, საქმეში შენც ერეოდი.

— ჰო, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად მომხდარა, — ჩაიბურტყუნა ნოვაკმა.

— ახლა საჭირო იყო, მაგრამ ამის ნაცვლად, ჩვენგან მოხევა არჩიე! — შენიშნა ლუკამ.

— სხვა გზა არ მქონდა. შენ თვითონ თქვი: არ სჯობდა, ასე გაგვეგრძელებინა ჩვენი ახლობლობა? თუ ათასი ახვრისთვის საბაზრო თემა მიმეცა და ჩვენს ჩაძირვაში დავხმარებოდი?!

ლუკა დიდხანს დუმდა. მერე მზერა გაუსწორა ნოვაკს და თქვა:

— ელია გახსოვს?

— მახსოვს, — ყრუდ ჩაილაპარაკა ნოვაკმა.

— როგორ ფიქრობ, რაში წააგო თავი ელიამ?!

— გეტმანს შეეკრა და ჩვენზე ასწია ხელი!..

— არა... გეშლება. გეტმანს და სხვა სახელს მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ, მაყუთს დაეხარბა და ჩემი მოტყუება სცადა! ელია არ იყო ის კაცი, რომელიც ანგარიშს არ გაუწევდა საკუთარ საქციელს, მაგრამ მაინც გადადგა ეს ნაბიჯი. შენ კარგად იცი, რაც მოჰყვა ამას. დაიღუპა რამდენიმე ჩვენი ახლობელი და თვითონ ელიაც. ხომ არ გგონია, რომ ჩემთვის იოლი იყო ამის გაკეთება. მაშინვე ვიცოდი, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება მისი ცოლ-შვილისთვის უნდა მეყურებინა. ძნელი იყო მისი პატიება, წარმოუდგენლად ძნელი, მაგრამ ვაპატიებდი. ქურდსა და შავს ასეთი რამისთვის არ დავინდობდი, მაგრამ ელია არ იყო ჩვენი წრის კაცი და ისე არ მოეთხოვებოდა. ის მაინც მოკვდა. მხოლოდ ერთი რამისთვის დაიმსახურა მან სიკვდილი — იმისთვის, რომ თვითონ არ გამოიყენა მიცემული შანსი. ბოლომდე ითამაშა, მანამდე, ვიდრე ფაქტის წინაშე არ დავაყენე; მაშინაც არ მოტყდა. მაგრამ ამას აზრი აღარ ჰქონდა. აქამდე მისულს, მაინც აღარ დავინდობდი!.. კარგად გაიგე, რაც გითხარი?!

— გავიგე, — თავი დაუქნია ნოვაკმა.

— მაშინ გეკითხები: როდემდე აპირებ გატრაკებას? თუ შენც ელიას შეცდომას გაიმეორებ და მის გზას გაჰყვები?!

— რომელ შეცდომაზე ბაზრობ, ლუკა? მე არაფერში ჩავჭრილვარ. ნაბიჭვარმა პოპოვმა მიქარა და მე რატომ „მაკაჩავებ“?! — სწრაფად თქვა ნოვაკმა.

— არ მინდა, შენი მოკვლა, ალექსანდრე. ამისთვის გელაპარაკე ელიაზე, მაგრამ შენ მაინც შენებურად უბერავ! — ბრაზით ჩაილაპარაკა ლუკამ. — შენი სიკვდილი უსიამოვნების მეტს არაფერს მომიტანს. დაფიქრდი. ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული. გადარჩენის შანსს გაძლევ. დღესვე დაბრუნდები სახლში. მარტო ერთ რამეს გთხოვ: მებაზრე იმ ხალხზე, მითხარი, ვინ რას და როგორ გვიჩალიჩებდა და შეგეშვები!

— ეგ პოპოვმა უნდა თქვას. იმან...

— საერთოდ, აღარ ახსენო პოპოვი. შენ აზრზე არ ხარ, რა ხდება. პოპოვი, საერთოდ არ შეხებია „ვერშინას“!

— რაა? — დაიბნა ნოვაკი. — არ შეხებია?! მაშ, რისთვის დამირეკა სემენკომ?..

— არც ისეთი მაგარი ხარ, როგორიც გგონია, ალექსანდრე, შეცდომა დაუშვი. შეცდომა, რომელმაც დაგღუპა. სემენკოს მე დავავალე შენთან დაკავშირება და შენც ჭამე.

— ვჭამე?.. რაში ვჭამე? — გაოგნებულმა ჩაილაპარაკა ნოვაკმა.

ლუკა წინ გადაიხარა, თვალებში ჩააცქერდა და ჩურჩულით უთხრა:

— ძალიან ბინძურ „სასტავთან“ დაიჭირე საქმე. ეს შეცდომა იყო, მაგრამ მთავარი შეცდომა მაშინ დაუშვი, როცა იმ ახვარს დაურეკე!

— ვის?

— ეს ყველა კითხვაზე გაგცემს პასუხს, — ჩაილაპარაკა ლუკამ. მერე კი ჯიბიდან მინიატიურული დიქტოფონი ამოიღო, ჩართო და მაგიდაზე დადო.

ნოვაკი რამდენიმე წამი უსმენდა ჩანაწერს და როგორც კი მიხვდა, თუ რაზე იყო ლაპარაკი, ლუკას მზერა აარიდა და თავი დაბლა დახარა.

— კიდევ მეტყვი, რომ არაფერი გაქვს სათქმელი?

— მაპატიე, ლუკა!.. მაპატიე და ყველაფერს ვიტყვი.

— ისედაც ყველაფრს იტყვი, ახვარო!.. — ამ სიტყვებთან ერთად, ლუკა ადგილიდან წამოიჭრა, ნოვაკს თმაში სწვდა, თავი მაღლა ააწევინა და ყვირილით განაგრძო: — ახლა კი იბაზრე, შენ გარდა, კიდევ ვინ დგას იმ ნაბიჭვრის უკან!

გამზათი გაშმაგებული გამოემგზავრა სოხუმიდან. ცნობამ, რომელიც მოსკოვში მყოფი მისი ხალხისგან მიიღო, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. სიმშვიდე, რომელიც ჩაჩბას დაღუპვას მოჰყვა, დროებითი აღმოჩნდა. როგორც ჩანდა, სვანებს არ დავიწყებოდათ მისი და ჩაჩბას „სასტავების“ ახლობლობა და აფხაზების განადგურების საქმეს, მისი ჩეჩნების დარბევით აგრძელებდნენ. სხვანაირად როგორ უნდა

შეეფასებინა „ნაეზდი“, რომელიც სვანებმა მოაწყვეს? ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ მისმა ხალხმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო. თანაც, თავდასხმა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ჩაჩბას რესტორანში მოწყობილ „ნაეზდს“. სვანები გვიან ღამით გამოჩნდნენ. იმ დროს რესტორანში გამზათის „სასტავის“ შვიდი წევრი იმყოფებოდა. მათ გონზე მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ სვანები რესტორანში შეცვივდნენ. იქ მყოფთა განიარაღებასა და შეკვრა-შებოჭვას რამდენიმე წუთი დასჭირდა. მერე კი თავდამსხმელები ძირითად საქმეზე გადავიდნენ.

— სად არის გამზათი? — დაისვა კითხვა.

ჩეჩნებმა დუმილით უპასუხეს. ამან უფრო გააღიზიანა სვანები, რომლებიც მუქარიდან პირდაპირ ცემაზე გადავიდნენ, მაგრამ ჩეჩნები მაინც არ გატყდნენ. არც ერთ მათგანს არ უთქვამს, რომ გამზათი იმჟამად სოხუმში იმყოფებოდა. საბოლოოდ, სვანები დარწმუნდნენ, რომ მათგან პასუხს ვერ მიიღებდნენ და იქაურობას გაეცალნენ. წასვლის წინ კი დამცინავად დაიბარეს: გამზათს გეგეშიძისგან მოკითხვა გადაეცითო!

თავდამსხმელებს ეს სიტყვა რომ არ ეთქვათ და პირიქით, ემტკიცებინათ, რომ ლუკასთან არაფერი აკავშირებდათ, გამზათი მაინც არ დაიჯერებდა ამას. ის დარწუნებული იყო, რომ „ნაეზდი“ ქართველი ქურდის მითითებით მოეწყო. მხოლოდ ერთ რამეს ვერ ჩასწვდა. რატომ მოინდომა ლუკამ ამ საქმის, თავის სახელთან დაკავშირება? მას ისედაც შეეძლო „ნაეზდის“ მოწყობა. სვანებს და თავის ხალხს საერთოდ არ ჩარევდა საქმეში. მართალია, გამზათი მაინც მას მიაწერდა მომხდარს, მაგრამ ოფიციალურ პრეტენზიას ვერ წაუყენებდა. ლუკა ყველგან იტყოდა, რომ თავდასხმასთან არაფერი აკავშირებდა. მაგრამ ის ასე არ მოიქცა. პირიქით, თვითონ მიანიშნა, თუ ვინ იყო თავდასხმის ორგანიზატორი. ეს კი პირდაპირ გამოწვევას უდრიდა. გამზათმაც არ დააყოვნა და ვითარების გასარკვევად, ტარბასთან დაკავშირება სცადა, მაგრამ უშედეგოდ — ტარბასთან დაკავშირება ვერ შეძლო. გაირკვა, რომ აფხაზეთიდან გამგზავრების შემდეგ, ტარბა აღარავის უნახავს — არც ოჯახის წევრებს და არც მის მეგობრებს. ამან ეჭვი გაუჩინა, რომ ტარბა საერთოდ, ცოცხალიც არ უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, გამზათს ჩამოუყალიბდა მოვლენების განვითარების საკუთარი ვერსია. მისი აზრით, ტარბამ რაღაც შეცდომა დაუშვა და „გაიშიფრა“. ამას გეგეშიძის შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. მან ტარბა მოკლა...

„მოკლა?! არა, — ფიქრის მიმართულება შეცვალა გამზათმა, — ეს გეგეშიძის სტილი არ არის. არ უყვარს არიფის სისხლის დაღვრა და როგორც მსმენია, ყველას აძლევს შეცდომის გამოსწორების შანსს. ესეც რომ არ იყოს, ტარბას მაინც არ მოკლავდა. ამას მარტო იდიოტი თუ გააკეთებდა. აფხაზი ვერ გაუძლებდა „პრესს“, ყველაფერს იტყოდა და გეგეშიძე ხელიდან არ გაუშვებდა ამ შესაძლებლობას. გაბოზებულ აფხაზს ყოველ სიტყვას „სხადნიაკზე“ გაამეორებინებდა, მაგრამ თუ გეგეშიძე „სხადნიაკზე“ აპირებდა ანგარიშის გასწორებას, რისთვის მიუცვივდნენ სვანები ჩემს „სასტავს“?.. — საკუთარ თავს ჰკითხა გამზათმა. — ეს შეცდომა იყო. ქურდები არ მოიწონებენ ასეთ საქციელს. თუ ჩვენში რამეა გასარკვევი, ეს „სხადნიაკზე“ უნდა გაირკვეს და არა სვანების ჩემს რესტორანში მივარდნით, მაგრამ გეგეშიძემ მაინც გადადგა ეს ნაბიჯი. ამას მარტო ერთი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ტარბა მკვდარია. შეიძლება, შემოაკვდა ან ცხელ გულზე დაბრიდა, მაგრამ ნაღდად დაბრიდა. ესეც რომ არ იყოს, რა უნდა თქვას ტარბამ „სხადნიაკზე“? ჩვენს ბაზარს მარტო ნეჯეთი ესწრებოდა. არაბი ამ ბაზრიდან ამოვარდნილია. მარტო ტარბას სიტყვით კი ქურდები გადაწყვეტილებას არ მიიღებენ!.. ეს გეგეშიძესაც კარგად ესმის. ესმის და იმაზე არ იბაზრებს, რასაც ვერ დაამტკიცებს. თუ ასეა, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება. გეგეშიძე არ მოითხოვს „სხადნიაკს“. საამისო მიზეზი რომ ჰქონოდა, აქამდე გააკეთებდა ამას. შეაგროვებდა იმ რუს სირეს, თავი მგლები რომ ჰგონიათ და ბაზარს ასწევდა, მაგრამ ეს არ გააკეთა და ამის მაგივრად „ნაეზდი“ მომიწყო. ალბათ, არც იცოდა, მოსკოვში რომ არ ვიყავი. ეს მაგის საქმეა. მე კი იმავე შეცდომას არ დავუშვებ. სროლით კი არა, „სხადნიაკით“ გადავწყვეტ ყველაფერს და მისივე სირების ხელით დავარხრჩობ!“ — გადაწყვიტა გამზათმა და მოსკოვის მაგივრად, როსტოვში გაემგზავრა, სადაც ჩერმენი ეგულებოდა.

ლუკა ადგილიდან წამოიჭრა, ნოდაკს თმაში სწვდა, თავი მაღლა აწევინა და ყვირილით განაგრძო: — ახლა კი იბაზრე, შენ გარდა, კიდევ ვინ დგას იმ ნაბიჭვრის უკან!

გამზათი მცველებს ჩერმენის სახლის მახლობლად დაშორდა. იცოდა, რომ როსტოველი ავტორიტეტი ვერ იტანდა მთავრობის წევრებივით, მცველებით გარშემორტყმულ ქურდებს. ახლა კი გამზათს ყველაზე მეტად მისი კეთილგანწყობილება სჭირდებოდა. ამან გააბედვინა ჩერმენის სახლში მარტო მისვლა.

მასპინძელს არ გაჰკვირვებია მისი გამოჩენა. გამზათს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ჩერმენი ელოდა კიდეც მას, მაგრამ არაფერი უთქვამს. შინაურულად მოიკითხა მასპინძელი და მშვიდად მიჰყვა უკან.

ჩერმენმა მცირე სასტუმრო ოთახში შეიყვანა სტუმარი, დაჯდომა შესთავაზა და ალაპარაკდა:

— დიდი ხანია, რაც არ გამოჩენილხარ.

— საქმეები... საქმეები, ჩერმენ, — დაღლილი ხმით ჩაილაპარაკა გამზათმა.

— ახლა რა, უსაქმოდ მოხვედი?

— არა... პირიქით, ძალიან სერიოზული საქმე მაქვს!

— რა საქმე? — დაინტერესდა ჩერმენი.

— ეს გეგეშიძე, საერთოდ შეიშალა. ეგ კაცი არც წესებს ცნობს, არც ტრადიციებს და არც ავტორიტეტს!

— მერე? — დინჯად ჩაილაპარაკა ჩერმენმა.

— მერე კი ისაა... — გამზათმა სიგარეტს მოუკიდა და მერე განაგრძო: — შენი ახლობელია, შენ გეცი პატივი და ჯერ აქ მოვედი, თორემ სხვანაირადაც შემეძლო ამ საქმის გადაწყვეტა. პირდაპირ გეტყვი, ჩერმენ, ეგ კაცი ყელში ამოვიდა. სიტყვას ვიტყვი და გავაკეთებ. ბაზარი ერთი იქნება, სადაც შემხვდება, ტყვიას ვხევ შუბლში და...

— ასე ადვილი გგონია გეგეშიძის გაგორება?! — ჩაიცინა ჩერმენმა.

— იმის მერე, რაც მაგან გააკეთა, ძალიან ადვილია!

— რა გააკეთა?

— „ნი სტავო ნი სსევო“, თავისი ხალხი მომიქსია! მაგის სვანები ჩემს რესტორანში შეცვივდნენ და ჩემი ხალხი სცემეს. მე მეძებდნენ და...

— რომელი სვანები? — დაინტერესდა ჩერმენი.

— ნარსავიძის „სასტავი“.

— ხედავ, შენ თვითონ ამბობ: სვანების „სასტავიო“!.. რა შუაშია ლუკა?

— ეგენი გეგეშიძესთან ახლობლობენ და ესეც რომ არა, წასვლის წინ ჩემს ხალხს დაუბარეს: გამზათს ლუკასგან მოკითხვა გადაეცითო!

— აა... ხედავ, როგორ ყოფილა საქმე,

— ირონიით ჩაილაპარაკა ჩერმენმა, — მერე?.. რისთვის მოხვედი ჩემთან?

— გეგეშიძეს და მაგის ახლობლებს არაფერს შევარჩენ, მაგრამ ყველაფრის ქურდების წრეში გარკვევა მირჩევნია. ვიბაზროთ და ვნახოთ, რით გაიმართლებს თავს. თუ „სხადნიაკზე“ არ მოვა, მე თვითონ მოვძებნი და „აბაროტს“ ავუღებ — მუქარით წამოისროლა გამზათმა.

— ვიბაზროთ... — მშვიდად დაეთანხმა ჩერმენი. — მგელოს არასოდეს უთქვამს უარი ქურდების წრეში ბაზარზე!

— როდის? — სწრაფად იკითხა გამზათმა.

— რისთვის გადავდოთ, — მხრები აიჩეჩა ჩერმენმა, — ახლავე!

— ახლავე?! — დაიბნა გამზათი. — გეგეშიძის გარეშე რაზე უნდა ვიბაზროთ?!

— იმაზე, რაც ძალიან გაწუხებს, — ბუნდოვანი პასუხი გასცა ჩერმენმა. მერე ადგა და ოთახიდან გავიდა.

გამზათმა მხოლოდ იმის გაფიქრება მოასწრო, რომ სახლში სხვა ქურდიც იმყოფებოდა, რომელსაც ჩერმენი საუბარზე დასწრებას სთხოვდა. ამ დროს, დერეფანში ისევ გაისმა ნაბიჯების ხმა. გამზათი მაშინვე კარისკენ წავიდა და გაოგნებული გაშეშდა. ზღურბლზე ლუკა და როსტოველი ქურდი, შუბა იდგნენ.

— შენი ფეხით მოხვედი! — ყინულივით ცივი ხმით ჩაილაპარაკა ლუკამ და ოთახში შევიდა.

გამზათს, რომელიც მიხვდა, რომ ლუკასა და შუბას იქ ყოფნა შემთხვევითობა არ იყო, არაფერი უთქვამს.

— ესე იგი, ჩემთან ბაზარი გინდოდა? — განაგრძო ლუკამ.

— ჰო, — ჩაიბურტყუნა გამზათმა.

— ვიბაზროთ... მიდი, დაიწყე. ჯერ მოგისმენ. მერე კი ჩემს სათქმელს გეტყვი, — თქვა ლუკამ და სავარძელში ჩაჯდა.

— რა ესაქმებოდათ შენს ახლობლებს ჩემს ხალხთან?

— შენს ხალხთან — არაფერი!.. რამე რომ ნდომოდათ, ყველას „დატრუპავდნენ“!

— მაშინ რისთვის მივიდნენ იქ?!

— შენ გეძებდნენ!

— რისთვის?.. შენ რამე პრეტენზია გაქვს ჩემთან?!

— მაქვს!..

— კარგი... მაგაზე მერე ვიბაზრებთ. ჯერ ჩემი პრეტენზია მოისმინე!.. შენ რა, ხომ არ გგონია, რომ იმ „ნაეზდს“ შეგარჩენ!.. ისეც მოვუყომარებდი შენს ახლობლებს, მაგრამ ქურდების საქმის კურსში ჩაუყენებლად მაინც არ გავაკეთე ეს. ახლა ბაზარი დამთავრებულია. შენი ახლობელი სვანები დღესვე მიიღებენ „ატვეტს“. შენთან კი დღესვე გავარკვევ „ატნაშენიას“!..

— ოჰო!.. — ჩაიცინა ლუკამ. — ახლა ალბათ ძალიან უნდა მეშინოდეს!

— უნდა გეშინოდეს! — რიხით დაუდასტურა გამზათმა.

— ოდესმე წიგნი თუ წაგიკითხავს?

— რაა?! — დაიბნა გამზათი.

— ოდესმე წიგნი თუ წაგიკითხავს? — გაიმეორა ლუკამ.

— ქურდულ კოდექსს ვერც ერთი წიგნით ვერ ისწავლი. სხვა კი არაფერი მაინტერესებს!..

— მაგარია, — გაეცინა ლუკას, — მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რამდენჯერმე მაინც ჩაგეხედა წიგნში. მაშინ ასეთ შეცდომას არ დაუშვებდი!

— შეცდომას? — დაიძაბა გამზათი.

— ჰანიბალზე თუ გსმენია რამე?

— რა დროს კანიბალია! — ხელი აიქნია გამზათმა. — სერიოზულ საქმეზე ვბაზრობთ!

— კანიბალი კი არა, ჰანიბალი!.. ესე იგი, არაფერი გსმენია, — მშვიდად განაგრძო ლუკამ, — ეს პიროვნება კართაგენელი სარდალი იყო, რომელიც რომის იმპერიას წლების განმავლობაში ეომებოდა. ჰანიბალმა თითქმის ყველა ბრძოლა მოიგო, მაგრამ ომი წააგო. წააგო იმიტომ, რომ იცოდა, როგორ უნდა მოეგო ერთი ან ათი ბრძოლა, მაგრამ არ იცოდა, როგორ უნდა მოეგო ომი!..

ლუკა ელვის სისწრაფით სწვდა ყელში
და გამეტებით დაახეთქა სავარძელზე
— ქურდებო, რას უყურებთ! — ყვირილი
განაგრძო გამზათმა — ქურდ კაცს ხელით შეეხო!

— და რა, ამით? — დაბნეულმა ჰკითხა გამზათმა, რომელიც ვერაფრით მიმხვდარიყო, თუ რისი თქმა სურდა ლუკას.

— ის, რომ შენ ძალიან ჰგავხარ ჰანიბალს. მოიგე რაღაც-რაღაცებში, მაგრამ წააგე ომი და ამასთან ერთად, დაკარგე სიცოცხლე!

— რაა?! — ადგილიდან წამოიჭრა გამზათი. — მემუქრები?!

— ტრაკი დააყენე, ნაბიჭვარო!.. — ლუკა ელვის სისწრაფით სწვდა ყელში და გამეტებით დაახეთქა სავარძელზე.

— ქურდებო, რას უყურებთ! — ყვირილი განაგრძო გამზათმა. — ქურდ კაცს ხელით შეეხო!

— ნუ ჭყივი დაზარალებულივით. ისედაც ბევრი ლაპარაკი მოგიწევს!.. — ლუკა დაელოდა, ვიდრე გამზათი არ გაჩუმდა და მერე განაგრძო ლაპარაკი: — აბა, შენ გგონია, რომ მართლა შენ გეძებდა ირაკლის ხალხი?

გამზათმა დუმილით უპასუხა.

— მე ვიცოდი, სოხუმში რომ იყავი. იქაურობა გაიხადე „მალინად“. იქ მართლა შინ გრძნობ თავს. სოხუმში ვერ დაგითრევდი და რუსეთშიც ვერ შეგხვდებოდი სხვანაირად. შენ ხომ ეგრევე ჩამიშვებდი შენს ძმაკაც რიჟკოვთან და მთელ „ფეესბეს“ თავზე დამაყენებდი. მაგრამ ჩემდა სასიხარულოდ, ჩაქუჩივით მარტივად ხარ მოწყობილი. პატარა ხმაური და შენი ფეხით მოხვედი ჩემთან!..

ლუკას სიტყვებმა თავზარი დასცა გამზათს. ახლა უკვე გასაგები იყო, რომ მას ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი და შუბასთან ერთად, ელოდა ჩერმენის სახლში.

— ყველაფერზე პასუხს მოგთხოვ!.. — ხმას აუწია გამზათმა. ახლა უკვე ერთადერთი გზა რჩებოდა: ან უნდა დაემტკიცებინა, რომ ლუკა ტყუოდა, ან უნდა მომკვდარიყო. — მე კი არა, შენ ჩალიჩობ „ფეესბესთან“ ერთად. ძაღლების დავალებით დაბრიდე ჩაჩბა!.. — სად არის შენი სიტყვა?! — ჩერმენს მიუბრუნდა გამზათი. — აქ... ამ ბაითში „სხადნიაკზე“ ვიბაზრეთ, რომ ყველაფრის „გაიასნებამდე“ იმ კაცს არავინ შეეხებოდა!.. მაგრამ ვინ ისმენს მართალ სიტყვას?.. აქ არ იყავით სამივე?.. რა, „ბლოკს“ მიკრავთ თუ...

გამზათმა სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო. იმავე წამს, ლუკამ სახეში მუშტი აძგერა, იატაკზე დასცა, ყელზე დანა მიაბჯინა და ავად გამოცრა:

— კარგად ერკვევი ბოზურ „დვიჟენიებში“, ახვარო!.. რა ჩეჩენი „ბოევიკივით“ ბაზრობ! თავი ვინ გგონია?! იმდენი „გრეხი“ დაიგროვე, რომ მუხლებს უნდა გვიკოცნიდე: არ დამბრიდოთო!.. მაგრამ შენ ისეთი „ნაგლი“ ახვარი ხარ, რომ აქეთ გვიტევ და შანსი რომ მოგეცეს, ყველას ერთად ამოგვხოცავ!..

— დამიმტკიცე!.. დამიმტკიცე და თუ გავმტყუნდი, დამბრიდე!.. — კბილების ხრჭიალით წამოისროლა გამზათმა.

— დაგიმტკიცო?! კარგი, ეს ბაზარი სხვანაირად მაინც არ დამთავრდებოდა. მე დაგიმტკიცებ, დანარჩენს კი ჩერმენი და შუბა იტყვიან!.. — ბრაზით ჩაილაპარაკა ლუკამ, მერე კი კარს მიუახლოვდა, გააღო და დაიძახა: — ჯაბა, მოიყვანე!..

„გადავრჩი.... ნაღდად გადავრჩი... ტარბა უნდა აბაზროს, მაგრამ ის ვერაფერს იტყვის... აფხაზის სიტყვით შუბა და ჩერმენი „რეშენიეს“ არ გამოიტანენ და არც ამ შეშლილს მისცემენ ჩემი დაბრედვის სა-

შუალებას!... გადავრჩი... ნაღდად გადავრჩი. ახლა მთავარია, ბაზარში გავქაჩო და როგორმე აქედან გავაღწიო... მერე... მერე კი მოგივლი, გეგეშიძე!.. „ტრუპი“ ხარ... შენ სიცოცხლე აღარ გიწერია... შენი „სასტავი“ კი არა, მთელი მსოფლიოს ქურდები რომ დამეტაკონ, მაინც დაგბრიდავ!..“ — ღვარძლით გაიფიქრა გამზათმა და ტარბას მოლოდინში კარს მიაპყრო მზერა. მაგრამ ტარბა არ გამოჩენილა. მის მაგივრად, ჯაბასთან ერთად, ოთახში სრულიად სხვა ადამიანმა შემოაბიჯა. ეს იყო ზენერ ჩაჩბა, რომელიც გამზათს მკვდრი ეგონა.

— ამის დაბრედვას მიყენებ პრეტენზიად?! — დამცინავად ჩაილაპარაკა ლუკამ, როგორც კი ჩაჩბა გამზათის პირისპირ ჩამოჯდა.

გაოგნებულ გამზათს არაფერი უთქვამს.

— დამუნჯდი, ნაბიჭვარო?! — ბრაზით განაგრძო ლუკამ.

გამზათი ისევ დუმდა.

— არაფერი გაქვს სათქმელი. სამაგიეროდ, ეს იბაზრებს, — ჩაილაპარაკა ლუკამ, მერე კი ჩაჩბას მიუბრუნდა, — რა ითქვა ბოლო „სხადნიაკზე?

— ვიდრე ჩვენ შორის ყველაფერი არ გაირკვეოდა, ერთმანეთს არ უნდა შევხებოდით! — სწრაფად უპასუხა აფხაზმა.

— მე ან ჩემი საახლობლო შეგეხო? — განაგრძო ლუკამ.

— არა.

— სხვა პრეტენზია ხომ არ გაქვს ლუკასთან? — საუბარში ჩერმენი ჩაერთო.

— არა, — ჩაჩბამ პაუზის შემდეგ, გამზათისკენ გაიშვირა ხელი და დაამატა: — ამასთან მაქვს პრეტენზია!

— რა პრეტენზია გაქვს? — განაგრძო ჩერმენმა.

— ჩემი სახელი და ხალხი გამოიყენა ლუკასთან დასატაკებლად. მაგან დაგვაჯახა ერთმანეთს და სისხლიც მაგან დაღვარა!

— ვოლინაზე რას იტყვი? — ჰკითხა.

— ვოლინა გამზათის ხალხმა მოკლა! — უყოყმანოდ უპასუხა ჩაჩბამ. — ეს ძალიან გვიან „გავაიასნე“. დროზე რომ მცოდნოდა, ამდენი სისხლი არ დაიღვრებოდა.

— დაწვრილებით მოჰყევი, — მოსთხოვა ჩერმენმა.

ჩაჩბამ სიგარეტს მოუკიდა და ლაპარაკი განაგრძო:

— ყველაფერი იმ სომეხის, არმენ ტატეოსიანის გამოჩენას მოჰყვა. ჩვეულებრივი საქმე შემომთავაზა. თავის პარტნიორთან, ბიკოვთან ერთად უნდოდა საქმეში მაყუთის ჩადება და მე და გუმბას „კრიშობა“ გვთხოვა. მოკლედ, ვიბაზრეთ, წილების საკითხი გავარკვიეთ და „დაბრო“ მივეცით. როგორც კი ტატეოსიანმა და ბიკოვმა საქმე ააწყვეს, გაიჩითა გამზათი და ბიზნესის ახევა შემომთავაზა. უარი ვუთხარი. ტატეოსიანსა და ბიკოვს მოსკოვიდან ვიცნობდი, ბევრი საერთო ახლობელი გვყავდა და ჩვენი მხრიდან მაგათი გადაგდება არ გამოდიოდა. თანაც გამზათს გამოჩენა არ უნდოდა და ჩვენგან ითხოვდა ტატეოსიანის და მისი ძმაკაცის გადაგდებას!

— შენ რა, მაგის „შნირი“ ხარ?! — ბრაზით ჰკითხა ჩერმენმა. — რას ჰქვია ითხოვდა. სიტყვა ნათქვამი იყო, წილი — „გაიასნებული“. რატომ უნდა გადაგეგდოთ ის ხალხი?!

— რაა სათქმელი, — ამოიოხრა ჩაჩბამ, — ვერ გავქაჩეთ!.. აფხაზეთში სხვა ცხოვრებაა, ჩერმენ. იქ არ ჭრის მართალი სიტყვა და პარადი ნაბოზრებს მიჰყავთ. მაგათ თუ არ გაუწიე ანგარიში, არ გაცოცხლებენ. არც შენ და არც — ოჯახის წევრებს!

— ამას გულისხმობ? — გამზათზე ანიშნა შუბამ.

— ეგეც „შნირია“, — ყრუდ ჩაილაპარაკა ჩაჩბამ, — „პროსტო“, ისეთი „შნირი“, რომელიც სხვებზე ახლოსაა მთავარ ნაბოზრებთან — იქაურ მთავრობასთან, „ფეესბეშნიკ“ რიჟკოვთან და არაბ ტერორისტ ნეჯეთთან!.. არ მინდოდა ტატეოსიანის გადაგდება, მაგრამ ვერ გავქაჩე. გამზათის „სასტავმა“ პირდაპირ მითხრა: ან გადავაგდებდი, ან კიდევ, მე დავრჩებოდი გადაგდებული. ჰოდა, გადავაგდე!.. ტატეოსიანი არ გაჩუმდა. მოსკოველ ქურდებში სცადა „კრიშის“ გამონახვა და ბაზარის აწევა, მაგრამ გამზათმა დაასწრო და ბიკოვი დაბრიდა. ტატეოსიანმა მოხია და ლუკას სთხოვა დახმარება. მაშინ ჩამოვიდა მოსკოვში ვოლინა. მასთან შეხვედრამდე აზრზე არ ვიყავი, რაზე უნდა გვებაზრა და ძალიან გამიკვირდა, როცა ტატეოსიანის საქმეზე ალაპარაკდა. არ მინდოდა, ჩერმენ... მართლა არ მინდოდა. ვოლინას დიდ პატივს ვცემდი და ისიც ვიცოდი, რომ ლუკას თხოვნით შემხვდა, მაგრამ მაინც უარი ვუთხარი. ამაზე შევლაპარაკდით. ისეთი არაფერი მომხდარა. ის ვუთხარით ერთმანეთს, რასაც ამგვარ შემთხვევებში ეუბნებიან. ბოლოს შევთანხმდით, რომ უფრო ფართო წრეში გავაგრძელებდით ბაზარს და ამ დროს ატყდა სროლა!..

— ვინ ისროლა პირველად? — ჰკითხა შუბამ.

— არც ჩვენ და არც ვოლინას ხალხმა! — უპასუხა ჩაჩბამ.

— ჰო... ასე იყო, — დაუდასტურა ლუკამ, — ჩემმა ხალხმაც იგივე თქვა.

— ამ ნაბიჭვარმა იცოდა, რომ ლუკა მაინც თავისას გაიტანდა; რომ ხარკოველებს არ დავეტაკებოდი და ლუკას ყველაფერს „გავუიასნებდი“. ჩვენ შორის სისხლი უნდა დაღვრილიყო!.. ეს გამზათის მთავარი ინტერესი იყო!.. წარმოიდგინე, რა მოხდა იქ, ჩერმენ! „კაჩავი“, ნერვიულობა და უეცრად იწყება სროლა. იჭრება ვოლინა, ჩემი ხალხი!.. მერე ყველა ყველას ესროდა და მოულოდნელად იჩითება „ომონი“!.. ამ ნაბოზრებმა ყველაფერი სუფთად იჩალიჩეს. ჩვენ ერთმანეთს დაგვატაკეს და თან საქმეში ძაღლებიც ჩართეს!

— შენ რა, წინასწარ იცოდი, რომ იქ გამზათის ხალხიც იყო?

— ვიცოდი, — ყრუდ ჩაილაპარაკა ჩაჩბამ, — ვიცოდი, მაგრამ გამზათმა სხვანაირად ამიხსნა ყველაფერი. მაგის ხალხი მარტო მაშინ უნდა გამოჩენილიყო, თუ ვოლინასთან საერთო ენას ვერ გამოვნახავდით და დაჯახება მოგვიწევდა. საერთო ენა მართლაც ვერ გამოვძებნეთ, მაგრამ ერთმანეთს მაინც არ დავეჯახებოდით.

— ასე ადვილად გაგწირეს? — ჰკითხა ჩერმენმა.

— ორმაგი თამაში იყო, ამ ნაბიჭვრებს მარტო ლუკას მოშორება არ აინტერესებდათ. მეც მოვაბეზრე თავი. დიდი ხანი მებაზრებოდა წამლის ბარიგობაზე. მთელი მაგის „სასტავი“ „ბარიგობს“ და ჩემი ხალხის ხელით უნდოდა ბაზრის გაფართოება. ამიტომ, დაგვაჯახა ერთმანეთს. მაგას ლუკაც ხელს უშლიდა და — მეც!..

საუკეთესო ვარიანტში, ერთმანეთს ამოვხოცავდით. უარესში კი ერთ-ერთის „სასტავი“ გაფარჩაკდებოდა. ხოლო ომში მოგებულს თვითონ მოუვლიდა. სულ ეს იყო მაგის ბოზური გეგმა, რომელმაც ამდენი ადამიანი გადაიყოლა!..

— წინა „სხადნიაკზე“ რატომ არ თქვი ამის შესახებ?! — ბრაზი მოერია ჩერმენს.

— რა უნდა მეთქვა?.. სისხლი უკვე დაღვრილი იყო. ლუკა და მისი „სასტავი“ მტრად მთვლიდა და ერთადერთი, ვინც მხარში ამომიდგებოდა და მისგან დამიცავდა, გამზათი იყო!

— და რა ჰქვია ასეთ საქციელს?! — ხმას აუწია ჩერმენმა.

— ბოზური, — მზერა აარიდა ჩაჩბამ, — ამისთვის დავისჯები, მაგრამ ან ნაბოზარის „გრეხებზე“ მაინც არ ვაგებ პასუხს. ვოლინა მაგან მოკლა და წამლითაც ის ამარაგებს მოსკოვს. ეგ და მისი „სასტავი“ არიან „ბარიგები“. ხარკოვშიც მაგან გაგზავნა კილერები და ჩემი „პადელნიკი“ ასლან თორიაც მაგან დაბრიდა!..

— ატრაკებ, ნაბიჭვარო! — მოულოდნელად აყვირდა გამზათი. — თორია შენ დაბრიდე. მოწმე მოიშორე თავიდან, როცა გეგეშიძეს ჩემ წინააღმდეგ შეეკარი!.. ახვარი ხარ და ნაბოზარი. საკუთარი ტყავის გადასარჩენად ყველა გაგვწირე — მე, თორია და შენი ხალხი!.. თქვი ვინ დაბრიდა ის აფხაზები, სახლში რომ გყავდა?!

— ლუკას ხალხმა, — მშვიდად ჩაილაპარაკა ჩაჩბამ, — ამას ქურდების წინაშე ვამბობ და მათ გადაწყვიტონ, მართალი იყო თუ — არა!.. მაგრამ თორიასთვის თითიც არ დაუკარებია. ჩემ თვალწინ ებაზრა და გაუშვა. ლუკას არ უნდოდა სისხლის ღვრა. თორიას, ჩემს ხალხთან დაბაზრება და მშვიდობა შესთავაზა. შენ რომ არ მოგეკლა ასლანი, ახლა ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. მერე ლუკასა და ჩემს ხალხთან ერთდროულად მოგიწევდა ომი. ეს იცოდი და იმიტომაც მოკალი ასლანი. შენ მოკალი და მერე ლუკას მიაწერე ყველაფერი!..

— ასე იყო?! — ლუკა თვალებში ჩაიცქერდა გამზათს.

— არა... ატრაკებთ... თორია საერთოდ არ მინახავს!

— ესე იგი, არ გინახავს, — მშვიდად ჩაილაპარაკა ლუკამ, — ეს შენმა ხალხმა რომ დაადასტუროს?

— ჩემმა ხალხმა?! — თვალები გაუფართოვდა გამზათს.

— ჰო, შენმა ხალხმა, — გაიმეორა ლუკამ.

— ჩემი ხალხი არასოდეს წავა ჩემ წინააღმდეგ... აფხაზებივით არ გაფუჭდებიან!..

— როგორ გიყვარს ლოზუნგები!.. — ჩაიცინა ლუკამ. მერე კი მობილური გადაუგდო და დაამატა: — დარეკე სოხუმში და შენს ხალხთან გაარკვიე, იქ რა ხდება!

გამზათმა დაძაბული მზერა ესროლა. შემდეგ მობილური ტელეფონი მოიმარჯვა და სწრაფად აკრიბა ნომერი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ხირსის მონასტერი სამისიონერო ცენტრი

ხირსის მონასტერი კახეთში, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში მდებარეობს. მონასტერი დაარსებულია VI საუკუნეში, ერთ-ერთი ასურელი მამის, სტეფანე ხირსელად წოდებულის მიერ.

მორენა მერკვილაძე

ღირსი სტეფანე საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, სხვა ასურელ მამათა მსგავსად, ერთხანს ზედაზნის მთაზე მოღვაწეობდა, მამა იოანე ზედაზნელთან ერთად. შემდეგ კი, როდესაც მამა იოანეს კურთხევით, ასურელი მამები საქართველოს სხვადასხვა მხარეში გავიდნენ, მამა სტეფანემ კახეთს მიაშურა. სამოღვაწეოდ, ცივ-გომბორის ქედზე, უსიერი ტყით დაბურული მცირე ფერდობი აირჩია და იქ დამკვიდრდა. მოგვიანებით, როდესაც წმინდა მამასთან სამოღვაწეოდ მრავალი ადამიანი მივიდა, მან დააარსა მონასტერი — აღაშენა მცირე ეკლესია, თავისი ზეციური მფარველის, წმინდა პირველმოწამე სტეფანეს სახელზე. მონასტერს ხირსა ეწოდა, მის დამაარსებელს, ღირს სტეფანეს — ხირსელი. რომელი სიტყვიდან წარმოდგა სახელი „ხირსა“ — უცნობია. ამის ახსნას ვერც ქართულ მატიანეებში შეხვდებით. ზოგს ეს სახელი გამოჰყავს ქართული სიტყვიდან „ღირსი“, რომელიც ვითომდა, დროთა განმავლობაში გარდაქმნილა „ხირსად“; ზოგი კი უკავშირებს მონასტრის მახლობლად მდებარე მდინარე ხირსას, რომელიც იმ დროს, როდესაც გარშემო მთები ხშირი ტყით იყო დაფარული, საკმაოდ წყალუხვი ყოფილა. „არსებობს სხვა ახსნაც, მსგავსი სიტყვა — Cherseus — მოიპოვება სამარიაში, რომელიც ძველად, პალესტინის ნაწილს წარმოადგენდა. იქვე მიანიშნებს მდინარე ხირსაზე პტოლემეოსი თავის გეოგრაფიაში. ვითვალისწინებთ სამარიის ახლო მეზობლობას სირიასთან, საიდანაც მოვიდა ჩვენთან ათცამეტი ასურელი მამა, ამიტომ მეტ-ნაკლები უეჭველობით შეიძლება ვთქვათ, რომ თვით ღირს სტეფანეს შეეძლო შემოეტანა ეს დასახელება სამარიიდან საქართველოში და ეწოდებინა თავისი განმარტოებული მოსაგრეობის ადგილისთვის“, — წერს კათოლიკოსი კირიონ II.

წმინდა სტეფანე პირველმოწამე

გარდაცვალების შემდეგ, წმინდა სტეფანეს ნეშტი მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს. ღირსი მამის საფლავი მონასტრის უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენს. იქვე ყოფილა დაბრძანებული ქრისტიანული სიწმინდე — წმინდა სტეფანე პირველმოწამის ნეკი, რომელიც საეკლესიო გარდამოცემის თანახმად, თავად სტეფანე ხირსელს ჩამოუბრძანებია საქართველოში. მცირედს, სტეფანე პირველმოწამის შესახებაც მოგითხრობთ.

როგორც ვიცით, ქრისტიანული ეკლესიის დაარსების დღედ, სულთმოფენობის მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის დღეა მიჩნეული, რადგან უფლის მოციქულები სწორედ ამ დღეს იქნნენ დადგენილნი ეკლესიის მწყემსმთავრებად. მათ ქადაგებას გამოეხმაურა 3 ათასი კაცი, რომელმაც ნათელ იღო ქრისტეს სახელით — ანუ დაარსდა ქრისტეს ეკლესიის სამწყსოც, მონათლული ადამიანების სახით. იმავე წელს მოციქულებმა ქრისტეს სამწყსოდან გამოარჩიეს 7 ღირსეული — „სარწმუნო, რწმენითა და სულიწმიდით სავსე“ კაცი და ხელი დაასხეს, აკურთხეს დიაკვნებად. მათ

შორის ერთ-ერთი იყო სტეფანე, რომელიც განსაკუთრებული ძალისხმევით ქადაგებდა ღვთის სიტყვას და უფლის მადლით აღვსილი, უამრავ ნიშან-სასწაულს ახდენდა. ღირსი სტეფანე ქადაგებდა, რომ ქრისტეს მოსვლისა და აღდგომის შემდეგ აღსრულდა მოსეს სჯული და ამით დასრულდა „ძველი აღთქმის“ ეკლესიის მისია. ქრისტეს მტრებმა ბრალი დასდეს მას, თითქოს ღმერთს გმობდა და მოსეს შეურაცხყოფდა. გამძვინვარებულმა ბრბომ შეიპყრო სტეფანე და სინედრიონში (სასამართლო) მიიყვანა. უხუცესებისა და მწიგნობრების წინაშე წმინდანი კვლავ განაგრძობდა ჭეშმარიტების ქადაგებას. იგი ქალაქგარეთ გაიყვანეს და ქვებით ჩაქოლეს. მთავარდიაკონი სტეფანე გახლდათ პირველი ქრისტიანი, რომელიც ქრისტეს სარწმუნოებისთვის მოწამებრივად აღესრულა. ამიტომაც ეწოდა წმინდანად შერაცხვის შემდეგ — პირველმოწამე...

ამჟამად, წმინდა სტეფანე პირველმოწამის ნეკი ბოდბის დედათა მონასტერშია დაცული. კათოლიკოს კირიონ II-ის მოწმობით, არეულობის წლებში, მტერთაგან დარბევის ხანაში, დროებით შესანახად გადაუტანიათ იმჟამად ხირსის მონასტრისთვის მიწერილ, ბოდბის მონასტერში.

როგორც მოგახსენეთ, წმინდა სტეფანე ხირსელის მიერ წმინდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის მთავარი ტაძარი თავდაპირველად, მცირე ზომის, ბაზილიკური ტიპის იყო. IX-X საუკუნეთა მიჯნაზე, სტეფანე ხირსელისეული ტაძარი კახთა მეფე კვირიკე I-ს გუმბათოვანი ტიპის საკმაოდ მოზრდილი ტაძრით შეუცვლია. XVI საუკუნის 40-იან წლებში, ლევან კახთა მეფის დროს (1520-1574) ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა.

ხირსის მონასტერი იმთავითვე იქცა სამისიონერო ცენტრად. სავანეში მოღვაწე ბერმონაზვნები დაუღალავად იღვწოდნენ ქრისტიანობის გასავრცელებლად. ლეკთა, ინგუშთა, დაღესტნელთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გასავრცელებლად, განსაკუთრებით იღვაწა ხირსის მონასტერში მოღვაწე მამა იოანე მანგლელმა (სააკაძემ), რომელიც ერთხანს, მანგლისის ეპარქიის მღვდელმთავარი იყო. სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ზედწოდება — მანგლელი. ოსმალთაგან მანგლისის საეპისკოპოსოს აოხრების შემდეგ, მამა იოანე ხირსის მონასტერში დამკვიდრდა. ჯვრითა და „სახარებით“ აღჭურვილმა წმინდა მამამ ჯერ კახეთში იქადაგა ქრისტიანული სჯული, შემდეგ — დაღესტანში გადავიდა. მრავალი ლეკი მოაქცია ჭეშმარიტ სჯულზე. 1737 წელს ასტრახანში გადასულა, იქიდან ყიზლარს მიაშურა, რათა იქ მცხოვრებ ქართველთათვის ქრისტიანული სამლოცველო აეგო და რწმენაში განემტკიცებინა. მამა იოანე სიწმინდითა და მაღალი სულიერებით გამოირჩეოდა. უფალიც შეეწეოდა თავის რჩეულს და ნიშან-სასწაულებით განადიდებდა. ერთხელ, წირვისას, როდესაც სამღვდელონი წმინდა ტრაპეზის წინ იდგნენ და იგალობებოდა „წმინდაო ღმერთო“, მღვდელს ტრაპეზიდან ჯვარი უნდა აეღო და მღვდელმთავრისთვის (მამა იოანესთვის) მიეწოდებინა, ამბორის საყოფად. ვიდრე მღვდელი ლოცვას დაასრულებდა, თავად მამა იოანემ გაიწოდა ხელი ჯვრის ასაღებად. ტაძარში მყოფმა ადამიანებმა თვალნათლვ იხილეს, თუ როგორ აიწია ჯვარი

წმინდა ტრაპეზიდან ერთ მტკაველ სიმაღლეზე და ხელში მიეგება მღვდელმთავრს...

ხირსის მონასტრის მთავარ, წმინდა სტეფანე პირველმოწამის ტაძრის მარჯვნივ, ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აგებული ეკვდერია (სამლოცველო), მარცხნივ კი — ქვისსაკურთხეველიანი ეკვდერი, რომლის შესასვლელშიც წმინდა სტეფანე ხირსელის საფლავი მდებარეობს. მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით, წმინდა ნიკოლოზ მირონლუკიის, საკვირველმოქმედის საკურთხეველია. დასავლეთით მდებარეობს სამსართულიანი სამრეკლო, რომელიც XIX ს-ში აუგია იღუმენ ალექსანდრეს (საყვარელიძეს), ძირითადად — საკუთარი სახსრებით. მონასტრის ეზოში საეკლესიო-სამრევლო სკოლის შენობაცაა და მარანიც, რომლებიც არქიმანდრიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე) დროსაა (1893-1897) აგებული. იქვეა ბერების საცხოვრებელი სახლიც. დასავლეთით აკრავს მაღალი გალავანი. პლატონ იოსელიანის ცნობით, გალავანი კახთა მეფე ლევანს (1520-1574) შეუკეთებია.

ხირსის მონასტერს არაერთგზის განუცდია მომხდურთაგან რბევა-აწიოკება. მის აღდგენა-აშენებაზე საქართველოს კეთილმორწმუნე გვირგვინოსნები ზრუნავდნენ. XIX საუკუნის დასაწყისისთვის, წმინდა სტეფანე პირველმოწამის ტაძარი დანგრევის პირას ყოფილა მისული. ეგზარქოს იოანეს დროს მისი რესტავრაცია განხორციელდა. სწორედ ამ დროს გადაუხურავთ ტაძრის გუმბათი თუნუქით, რის შემდეგაც, მისი კონუსიც საკმაოდ ამაღლებულა.

XX საუკუნის დასაწყისამდე ხირსის მონასტერში შემორჩენილი იყო ძველი ქართული ჩვეულება — მის მახლობლად მცხოვრები მამაკაცები სავანეს სწირავდნენ თავიანთ ფიზიკურ შრომას: რამდენიმე თვის მანძილზე უსასყიდლოდ შრომობდნენ მონასტერში. ასეთ მუშას კურატი ეწოდებოდა. შინ წასვლის წინ, კურატი მონაზონს პარაკლისის გადახდას სთხოვდა.

კომუნისტური ხელისუფლების დამყარებამდე, ხირსაში სამონასტრო ცხოვრება არ შეწყვეტილა — 1811 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა, ქართლ-კახეთში მხოლოდ ხირსის მონასტერში აღესრულებოდა ღვთისმსახურება. საბჭოთა წყობილების წლებში, მონასტრის დახურვის შემდეგ, წმინდა სტეფანეს ტაძარი საწყობად გადაკეთეს, ბერების საცხოვრებელ სახლში კი მუსიკალური სკოლა იყო განთავსებული. XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, ხირსის მონასტერში კვლავ დამკვიდრდნენ ბერები და განახლდა სამონასტრო ცხოვრება.

თინა კანდელაკი ქსენია სობჩაკს სიყვარულში გამოუცდა...

თინა კანდელაკმა საჯაროდ უარყო გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, თითქოს მას და ქსენია სობჩაკს ერთმანეთი სძულთ! „სინამდვილეში, მეგობრები ვართ და ერთმანეთის შესანიშნავად გვესმის. რომ არა სობჩაკი, ადამიანები როგორ შეიტყობდნენ, რომ ისინი კრისტალურად სუფთანი, ზნეობრივნი და დახვეწილნი არიან? ქსიუშაც ხომ ასეთია! მან ძალზე რთული როლი იკისრა. ის „გლამურის დედოფალი“ — ერთგვარი პერის ჰილტონია. უფალს ვევედრები, საიმისო ენერგია და განწყობილება მისცეს, რომ ამ როლის ბოლომდე თამაში შეძლოს“, — ამბობს ტელეწამყვანი, რომელიც დასავლეთში საკუთარ ანალოგს ჯერჯერობით ვერ ხედავს. „დასავლეთში ინტერტეინმენტი გაცილებით ხანდაზმულია, ამიტომ დასავლელებს ვბაძავთ. მეუბნებიან, თითქოს დინა დურბინს ვგავარ, რომელიც დედაჩემს ძალიან უყვარს; ზოგიერთი კი პენელოპა კრუსს მამსგავსებს. ჩემს საზოგადოებრივ მოღვაწეობას ერთადერთი მიზანი აქვს: მინდა, საკმარისი თანხა დავაგროვო და ფული თვითგანვითარებასა და ოჯახის კეთილდღეობას მოვახმარო“, — აღიარა თინა კანდელაკმა. უნდა ითქვას, რომ სამუშაოსა და ოჯახზე ზრუნვის შეთავსებას ის მშვენივრად ახერხებს, მაგრამ მთელი ცხოვრების ჯაფაში გატარებას სულაც არ აპირებს. „მუხლჩაუხრელად ვშრომობ და ასეთ რეჟიმში ცხოვრება არ მიჭირს. რაც შეეხება ჩემს პროფესიას — დროში შეზღუდული ვარ. 45 წლის ასაკამდე რაიმე ღირებულის გაკეთება უნდა მოვასწრო, რადგან შემდეგ ვეღარაფერს შევქმნი. ჯერ მხოლოდ 32 წლის ვარ. სულ ორიოდე ადამიანს ვიცნობ, რომელიც დღედაღამ მხოლოდ საკუთარი პროფესიითაა დაკავებული და ამგვარი ცხოვრება დისკომფორტს არ უქმნის“, — ამბობს პოპულარული ტელეწამყვანი. ■

სკარლეტ იოჰანსონი აუქციონზე „იყიდემა“!

სკარლეტ იოჰანსონი, რომელიც მალე რაიან რეინოლდსის ცოლი გახდება, მამაკაცებს პაემანს სთავაზობს! ეს შეხვედრა ერთ-ერთ ინტერნეტ-აუქციონზეა გამოტანილი, შემოსული თანხა კი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება და სიღარიბესთან ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციის— Oxfam ანგარიშზე ჩაირიცხება. ის მამაკაცი, რომელიც სხვებზე მეტს გადაიხდის, 23 წლის ვარსკვლავს პირადად შეხვდება და მასთან ერთად დაესწრება ფილმის He`s Just Not That პრემიერას, რომელიც ივნისში ლოს-ანჯელესში შედგება. იღბლიან გამარჯვებულს, მიღებაზე ლიმუზინით მიაბრძანებენ. მას პაემანზე მეგობრის წაყვანაც შეეძლება! პრემიერის შემდეგ, სკარლეტი ხელგაშლილ თაყვანისმცემელს საკუთარი ხელით დაწერილ ბარათს გადასცემს. როგორც ამბობენ, ინტერნეტ-აუქციონზე ვაჭრობა გაჩაღდა და ფსონი უკვე 8.000 დოლარამდე გაიზარდა. ქალებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ, მაგრამ მათ შეუძლიათ, კოლინ ფირტი „იყიდონ“ და მიუზიკლის Mamma Mia პრემიერას მასთან ერთად დაესწრონ. ■

ქველმოქმედი დრიუ მერიმორი

დრიუ ბერიმორმა ოპრა უინფრის შოუში განაცხადა, რომ აფრიკელი ბავშვების დასახმარებლად გაეროს სასურსათო პროგრამის ფონდში 1 მლნ დოლარს გადარიცხავს. მსახიობმა გაეროს პროგრამის ფარგლებში, კენიაში ორჯერ იმოგზაურა და მოშიმშილე აფრიკელი ბავშვები საკუთარი თვალით იხილა. დრიუ ბერიმორი 2007 წლიდან გაეროს ელჩია. „აფრიკაში საკუთარი თვალით ვიხილე, თუ რა ძალა აქვს ერთ ჭიქა შვრიას. ეს უბრალო საკვები ბავშვებს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უნარჩუნებს, სწავლაში ეხმარება და მომავლის იმედით აღავსებს“, — განაცხადა მსახიობმა. ■

თვალტრემლიანი გვენ სტეფანი

ამერიკული ჟურნალის V Magazine მარტის ნომრის პრიალა გარეკანს, ორსული გვენ სტეფანის (ის მეორე ბავშვს ელოდება) ფოტოსურათი

დაამშვენებს. პოპვარსკვლავის ავანგარდული ფოტოსესიის ელვარებამ მრავალი პროფესიონალი ფოტოგრაფი გააოცა. ფოტოსურათები პირველად ინტერნეტში გამოქვეყნდა და ბევრმა მათგანმა გვენი ვერც კი იცნო! როგორც ამბობენ, ფოტოსესიაში მომღერლის სახის შექმნაზე ამერიკის რამდენიმე წამყვანი სტილისტი მუშაობდა.

ცნობილია, რომ გვენ სტეფანი პირადი ცხოვრების შესახებ მუდამ გულახდილად საუბრობს და პუბლიკას არაფერს უმალავს. მომღერალმა ამჯერადაც გულახდილობა გამოიჩინა და ჟურნალის მკითხველს იმის შესახებ მოუთხრო, რომ მისი 21 თვის ბიჭუნა ხშირად დედის ცრემლების მიზეზი ხდება. „ამას წინათ, როდესაც დასაძინებლად დავაწვინე, ავტირდი... მასთან საუბრის დროს, ყოველთვის მეტირება, რადგან ეს ძალზე ამაღელვებელია. როდესაც იცინის ან ჩემს თმას ეთამაშება, ცხადად ვგრძნობ, რომ ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო და დიდებული წუთებია!!!“ ■

„ოსკარის“ აუტსაიდერმი კანადის კინოაკადემიის თავიზიდმი გახდნენ

წლევანდელი „ოსკარების“ აუტსაიდერი ფილმები: „მისგან შორს“ და „საექსპორტო მანკიერება“ კანადის კინოაკადემიის კინოკონკურსის — „ჯინი“ ფავორიტი გახდა. 29 წლის კანადელი რეჟისორის, სარა პოლის სურათმა — „მისგან შორს“, ნომინაციებში „საუკეთესო ფილმი“, „საუკეთესო რეჟისურა“, „ქალისა და მამაკაცის როლების საუკეთესო შემსრულებლები“ გაიმარჯვა და საბოლოოდ 7 „ჯინის“ მფლობელი გახდა. სარა პოლის არც დევიდ კრონენბერგი ჩამორჩა, რომლის ფილმმა „საექსპორტო მანკიერება“ აგრეთვე „ჯინის“ 7 ქანდაკება მოიპოვა. ფილმი „მისგან შორს“ „ოსკარის“ 2 ნომინაციაზე იყო წარდგენილი. სარა ლი საუკეთესო ადაპტირებული სცენარის“ ნომინაციაზე აცხადებდა პრეტენზიას, მსახიობი ჯული კრისტი კი „ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი, მაგრამ კანადელი პრეტენდენტები სამშობლოში „ოსკარის“ გარეშე დაბრუნდნენ. დევიდ კრონენბერგის სურათსაც ხელი მოეცარა, მიუხედავად იმისა, რომ „ოსკარის“ მოსაპოვებლად, თავად ვიგო მორტენსენი იბრძოდა. ■

კანადის კინო და ტელეინდუსტრია ცენზურის შემოღებას აპროტესტებენ

კანადური კინო და ტელეინდუსტრია პროტესტს უცხადებენ ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, სექსის და ძალადობის ამსახველი ფილმებისათვის საგადასახადო შეღავათები უნდა გაუქმდეს. ინდუსტრიის წარმომადგენლები კანადის ხელისუფლებას ცენზურის შემოღების მცდელობაში ადანაშაულებენ, ჩინოვნიკები კი აცხადებენ, რომ მათ მხოლოდ და მხოლოდ, ფილმების უკანონოდ დაფინანსების აღკვეთა სურთ. კანადაში 1 წლის განმავლობაში საგადასახადო შეღავათებით 1000-მდე ფილმის ავტორი სარგებლობს. ამ შეღავათებით ჰოლივუდის სტუდიებიც სარგებლობენ. მაგალითად, ფილმი „ჩიკაგო“ ტორონტოშია გადაღებული; ენ ლის გახმაურებული სურათი „კუზიანი მთა“ კი — კანადის პროვინცია ალბერტში შეიქმნა. ■

სპარტელი მაცლური კინოინდუსტრიაში მიდის



კინოფილმ „300 სპარტელის“ ვარსკვლავმა, შოტლანდიელმა მსახიობმა, ჯერარდ ბატლერმა საკუთარ მენეჯერთან, ალან სიგელთან ერთად, კინოკომპანია Evil Twins შექმნა. ბატლერი და სიგელი უკვე 11 წელია, რაც ერთად მუშაობენ. კომპანიონთა პირველი პროექტი ფსიქოლოგიური ტრილერი Law Abiding Citizen იქნება. სურათში, რომლის გადაღებები 2008 წლის ზაფხულში დაიწყება, მთავარ როლს თავად ჯერარდ ბატლერი ითამაშებს. ამ ფილმის გარდა, კომპანიაში Evil Twins კიდევ რამდენიმე პროექტზე მუშაობენ. ჩვენი მაყურებელი ჯერარდ ბატლერს იცნობს ფილმებით: „ოპერის აჩრდილი“, „300 სპარტელი“ და „P.S. მე შენ მიყვარხარ“. ■

რომან პოლანსკის ტრილერი ეკრანებს უმტუნდება

კინოკომპანიამ —Platinum Dunes, რეჟისორ რომან პოლანსკის ტრილერის „როზმარის ბავშვი“ რიმეიქის გადაღება გადაწყვიტა. ამჟამად, სტუდია კომპანია Paramount-თან გადაღებების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს და სცენარისტს ეძებს. აირა ლევინის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით შექმნილი ფილმი ეკრანებზე 1968 წელს გამოვიდა. სურათში მთავარ როლებს მსახიობები — მია ფეროუ, ჯონ კასავეტისი და რუთ გორდონი თამაშობდნენ. კინოფილმი ახალგაზრდა ქალის, როზმარისა და მისი ქმრის შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც ნიუ-იორკში დასახლდნენ. დროთა განმავლობაში, როზმარის ეჭვი უჩნდება, რომ მისი მეზობლები სატანისტური კულტის მსახურნი არიან და მისი ჯერ არდაბადებული შვილის მიმართ, კერძო ინტერესები ამოძრავებთ...

ამჟამად კომპანია Platinum Dunes ფილმების — „პარასკევი 13“ და „კოშმარი თელების ქუჩაზე“ რიმეიქებზე მუშაობს. ■

რობერტ პლანტის ატჩეკანი

ლეგენდარული როკჯგუფის Led Zeppelin ფრონტმენმა რობერტ პლანტმა ჯგუფის მსოფლიო ტურნეში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. საგასტროლო ტურნეს ჩატარება 2008 წლის სექტემბერში იყო დაგეგმილი, მაგრამ პლანტის უარმა საბოლოოდ გაუცრუა იმედი იმ ფანატებს, რომლებიც საყვარელი ჯგუფის კვლავ სცენაზე ხილვას ნატრობდნენ. როგორც ჩანს, მომღერალს ყოფილ კოლეგებთან ერთად, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მოგზაურობის პერსპექტივა ნაკლებად ხიბლავს. საგასტროლო ტურნეს იდეა ასმა მილიონმა დოლარმაც კი ვერ გადაარჩინა, რომელიც ორგანიზატორებმა თითოეულ მუსიკოსს ჰონორარის სახით შესთავაზეს. გაზეთის The Sundey Mirror მონაცემებით, მუსიკოსთა გარემოცვა ირწმუნება, რომ 59 წლის რობერტ პლანტის უარი ფულს არ უკავშირდება. სულ მალე, აპრილში პლანტისა და 36 წლის მომღერლისა და ქანთრი-მეგიოლინის — ელისონ კრაუსის საგასტროლო ტურნე დაიწყება, რომელიც მათი ერთობლივი ალბომის Raising Sand მხარდასაჭერად გაიმართება. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ალბომი აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში პოპულარობით მეორე ადგილზეა და როგორც მუსიკოსი ფიქრობს, ახალი პროექტი ბევრად უფრო პერსპექტიულია, ვიდრე ერთ დროს ლეგენდარული, მაგრამ ამჟამად უკვე დრომოჭმული ჯგუფის აღორძინების იდეა.

1970-იანი წლების ლეგენდის აღორძინების შესახებ ლაპარაკი მას შემდეგ დაიწყო, რაც ჯგუფის დაშლიდან 19 წლის შემდეგ, 2007 წლის დეკემბერში, მათი პირველი კონცერტი გაიმართა. ლონდონის არენა „02“-ის 20000-ადგილიან დარბაზში შესასვლელი ბილეთები ინტერნეტში კენჭისყრით გაიყიდა, რადგან კონცერტზე დასწრების მსურველთა რაოდენობა 100-ჯერ აღემატებოდა დარბაზში ადგილების რაოდენობას! ბილეთების გაყიდვის დაწყების პირველ დღეს, საიტზე 120 მილიონი ადამიანი შევიდა, რაც როკერთა შემოქმედებისადმი უდიდეს ინტერესზე მეტყველებს. თავად კონცერტს კი მსოფლიოს 50 ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო. კონცერტის შემდეგ, პრესა ჯგუფის აღორძინების შესახებ გავრცელებულმა ხმებმა ააფორიაქა. ჯგუფის გიტარისტმა ჯიმი პეიჯმა ისიც კი განაცხადა, რომ Led Zeppelin საგასტროლო ტურნესთვის მზად არის, მაგრამ პლანტის უარმა ეს იდეა საბოლოოდ დაასამარა და ლონდონში გამართულ კონცერტს ლეგენდარული ჯგუფის ისტორიაში უკანასკნელი კონცერტის სტატუსი მიანიჭა. ■

კასუჩკასოვის ბაბალითები, კეთილშობილი ბოთაკასები და „კომუნისტურად“ დასჯილთა „პაკომუნისტები“

სოლოლაკში, ლადო ასათიანის ქუჩაზე, იაშვილების სახლთან რომ მიხვიდეთ, ამისთვის ორი გზაა: ქვემოდან — თავისუფლების მოედნიდან და ზემოდან — ამაღლების ქუჩიდან... ადრე „ამაღლებას“ დავითაშვილის ქუჩა ერქვა, „ასათიანს“ — ენგელსის, „თავისუფლებას“ კი — ლენინის მოედანი. დრონი მეფობენ და ქუჩებმაც და მოედნებმაც ახლა ის სახელები შეიძინა, რომლებიც ერის მიერ არჩეულ გეზს შეეფერება — თავისუფლებისა და ამაღლებისკენ... თეკლა ბატონიშვილის სახლი, რომელშიც იაშვილების ოჯახი ცხოვრობს, იმ კლდის ძირში დგას, სადაც ბიზნესმენი და მეცენატი ბიძინა ივანიშვილი თავის სახლს აგებს. ბატონი ბიძინას სახლი თავისუფლების მოედნიდანაც მოჩანს. იაშვილების სახლი თვალისგან მოფარებულ ადგილზეა, მაგრამ მასზე ლეგენდები ადრეც დადიოდა და ახლაც ინტერესის საგანს წარმოადგენს...



მიშა იაშვილი შვილიშვილთან ერთად

ლეა ცუცქირიძე

ლადო ასათიანის ქუჩამდე პაოლო იაშვილის ქუჩა მიგიყვანთ. მას ადრე, ჯაფარიძის ქუჩა ერქვა, უფრო ადრე — რომელიღაც სხვა კომუნისტის, ვისი — ახლა ვეღარ ვიხსენებ. ალბათ, ამას დიდი მნიშვნელობა აღარც აქვს...

დიდი პაოლო იაშვილის შთამომავალი, მხატვარი მიშა იაშვილი ამ ქუჩებით დადის და ამ ქუჩებით ცხოვრობს. ეს სოლოლაკელისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა — ქალაქის ამ პატარა, მაგრამ განსაკუთრებული უბნის გულისცემით ცხოვრება. თუ ყურადღებით დააკვირდებით ამ გულისცემას, მაშინ იოლად დაინახავთ, რომ ის თბილისელობის, კაცურკაცობისა და ვაჟკაცობის ეტალონადაც შეიძლება მოვიყვანოთ...

— ჩვენ ირგვლივ იმდენი აგრესია, ძალადობა, სხვისი ცხოვრების, სიცოცხლის ხარჯზე საკუთარის მოწყობის მაგალითია, რომ ქართველ ქალებს ერთგვარი აპათია დაგვმართია. ნუთუ, გადაშენდნენ კარგი ქართველი მამაკაცები?

— ძალიან ფილოსოფიურად უდგები საკითხს და ართულებ.

— მაშინ, შეგიბრუნებთ კითხვას, თან, ღიმილით დაგისვამთ: რას ნიშნავს ვაჟკაცობა?

— მაშინ, მეც დავსვამ კითხვას: რა არის ჭეშმარიტი მხატვრობა? შეგიძლია, ამაზე მიპასუხო?

— არა, მე არა ვარ ხელოვნებათმცოდნე. მაგრამ ბატონმა გურამ დოჩანაშვილმა ყველას მიგვითითა ხელოვნების შეფასების უტყუარ საზომზე — ემოციისგან სხეულზე დაყრილ ხორკლზე... ისე გამოდის, რომ ხელოვნების ნიმუში არაპროფესიონალმაც შეიძლება შეაფასოს, მაგრამ როგორ შევაფასოთ — ჩვენს საზოგადოებაში კიდევ დარჩნენ თუ არა კაცები? ძალიან მწარედ ჟღერს?

— ჩვენ ახლა ისე დავიწყეთ, რომ ჩიხში შევალთ. რა თქმა უნდა, დარჩნენ, მაგრამ მეორე საკითხია, ეს რამდენად მასობრივი მოვლენაა.

— არ მეშინია ჩიხების. იქიდან გამოსასვლელსაც ვიპოვით. გავაგრძელებ თემას. XXI საუკუნის დასაწყისი უამრავ შეცდომას დაემთხვა. ამ შეცდომებს მამაკაცები უშვებენ და მცდარ პოლიტიკას, მცდარ შეხედულებებს, მცდარ დამოკიდებულებებს ქმნიან. რადგან ასპარეზი უმეტესწილად მამაკაცების ხელშია, ქალები ბევრს ვერაფერს ცვლიან... ჰო, კიდევ ერთი ტენდენცია შეიმჩნევა: იმ ქალბატონებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს, იბრძოლონ, მამაკაცური მეთოდები აირჩიეს.

— ამას წინათ, ქვემოთ, სოლოლაკში მეგობართან ერთად ვიდექი.

— ბირჟაზე...

— ჰო, ნუ გეღიმება, იქ ძალიან მნიშვნელოვანი ამბები ირჩევა ხოლმე, სხვათა შორის. ბირჟაზე ვიდექი და ვსაუბრობდით. ორი პატარა გოგოს ჩხუბის მომსწრე გავხდი. ერთმანეთს კაცებივით დაერივნენ. იჩხუბეს და აგინეს კიდეც კაცურად ერთმანეთს. იცი, ეს რა მოვლენაა? მათ გვერდით ნორმალური მამაკაცი რომ იყოს, ეს არ მოხდებოდა: რადგან მათ არავინ იცავს, საკუთარ უფლებებს ქალისთვის ასეთი შეუფერებელი მეთოდებით იცავენ.

— ბებიათქვენი გამახსენდა...

— თათუშა? ვხვდები, რატომაც გაგახსენდა: ის არასდროს არავის უნახავს აღელვებული. არც მრისხანება იცოდა და არც განწირულებაში ვარდებოდა, იმიტომ, რომ კაცების გვერდით გაიზარდა, მამაკაცის გვერდით იცხოვრა და შვილიც კაცი ჰყავდა.

— მოდით, მკითხველს განვუმარტოთ: მამათქვენი, პაოლო იაშვილის ძმისშვილი იყო, არა?

— დიახ, მამაჩემი, ნოდარ, იგივე კუკუნა იაშვილი, პაოლოს ძმისშვილი იყო. მამა 22 წლისა გადაასახლეს ციმბირში. ამბობენ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ხალხმრავალ ადგილას პაოლოს სადღეგრძელო შესვა... გადასახლებაში 15 წელი დაყო და იქიდან დედაჩემთან, მარიკასთან ერთად დაბრუნდა.

— კიდევ ერთი ამბავი, რომელზეც მთელი რომანის დაწერა შეიძლება: რამდენადაც ვიცი, ქალბატონი მარიკა „გულაგის“ ექიმი იყო.

— მკითხველმა არ იცის, რომ ჩვენ მეზობლები ვართ და ამიტომ, შენც იცი ეს ამბები. სხვათა შორის, მამა ბებიამ ციმბირში ინახულა. მაშინ ეს სასწაულის ტოლფასი იყო. ძალიან ტრაგიკული ამბავია: 15 წელი ხომ ელოდა თავის ერთადერთ ვაჟს, მერე, სასაფლაოს გზამდეც მან გააცილა. როცა მამა გარდაიცვალა, ბებია 100-ს იყო გადაცილებული. კუკუნა 80-ის იყო მაშინ...

— მაშინ, როდესაც იაშვილების თითქმის ნახევარი დახვრიტეს ან გადაასახლეს, ალბათ, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ ოდესმე, საქართველოს საფოსტო მარკად, იაშვილების საგვარეულო ფოტოსურათს დაბეჭდავდნენ.

— ეს პატარა მაგალითია იმისა, რომ სამართალი არსებობს...

— ისეთ ქაოსში ვიცხოვრეთ ამდენ ხანს, რომ კომუნისტების დროინდელ ეპოქაზე ფიქრიც ვერ მოვასწარით. ალბათ, მოვა დრო, დავწყნარდებით და ყველაფერს თავის

სახელს დავარქმევთ... ამას იცით, რატომ ვამბობ? წელან რომ თქვით — მამა 15 წელი გადასახლებაში იყოო, ეს სიამაყით თქვით; ანუ, ვინც გადასახლებაში იყო, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ის ჩვენი საზოგადოების გამორჩეული წევრი გახლდათ.

— ამასთან დაკავშირებით, ჩემი შარშანდელი გამოფენა გამახსენდა... ჟირინოვსკის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლას ვუსმენდი. მისი „გასაოცარი“ გამონათქვამები მთელი საქართველოსთვისაა ცნობილი. ბევრ „სიკეთესთან“ ერთად, ასეთი ფრაზაც თქვა: ქართველებმა მხოლოდ ხაჭაპურის ცხობა იციან კეცზეო... ჩვენი, ოთხმოციანელების თაობა მხატვრებად, „შუაგულ“ საბჭოეთში ჩამოვყალიბდით. თუკი მხატვარიც საზოგადოებრივი არსებაა (იმედია, ამაში ეჭვი არავის ეპარება), მაშინ, ბუნებრივია, რომ ჩვენს ტილოებზე ამ ეპოქის ანალიზიც უნდა იყოს. ანალიზი კი, ცალმხრივ ხედვას არასდროს ნიშნავს. მაშინ, როდესაც საბჭოელები გვერქვა, აკრძალვების გამო, რეალურ სურათს ვერ ვქმნიდით. მერე, როდესაც ამის შესაძლებლობა გაჩნდა, თითქოს სურვილი აღარ გვაქვს, ეს რომ გავაკეთოთ. მაგრამ წარსული, როგორიც არ უნდა იყოს ის, იმ ელემენტარული ჭეშმარიტების გამო მაინც უნდა გახსოვდეს, რომ შენ იქიდან მოდიხარ... ფიქრი ბადებს იდეას, დაწყების ბიძგად კი შეიძლება პატარა უხამსი შეძახილიც იქცეს. ჰოდა, ავიღე და თიხის კეცები საღებავებით მოვხატე... სახელიც შევურჩიე — „კეც-კულტურა“. ის იმის საჩვენებლად დაიბადა, რომ ქართველმა კეცზე შეიძლება, ხაჭაპურიც გამოაცხოს და მხატვრული შედეგრიც შექმნას, რადგან ის უსაზომოდ ნიჭიერია... იმ გამოფენაში ბევრი იყო კომუნისტური ეპოქიდან შემორჩენილი სახე. ამისი არ უნდა შეგვეშინდეს: ეს გზა ხომ უკვე გავლილი გვაქვს! მამაჩემმა, შუა აზიაში ჩემი დიდი ბებიის გარდაცვალების ამბავი რომ შეიტყო, თავადაც გადასახლებაში იმყოფებოდა. ბებია მიქელაძის ქალი იყო, ის 86 წლის ასაკში გადაასახლეს, რაღაც, ფანტასმაგორიული ბრალდებით... აბა, კომუნისტების დროზე, როგორ შეიძლება, აღფრთოვანებით ილაპარაკო?! მაგრამ ისტორიას ხომ ვერ წაშლი!

— როგორც ვიცი, მამათქვენმა ბებიის — ნინო მიქელაძის ნეშტი საქართველოში გადმოასვენებინა...

— თავად ჩავიდა და გადმოასვენა ქუთაისში... ამ სევდიან ამბავს ერთი მხიარულიც ემთხვევა: როდესაც ჩემი დიდი ბებიის ნეშტი ქუთაისში ჩაუსვენებიათ, აღმოჩნდა, რომ ოჯახს შავი ფერის ქსოვილის ყიდვა დავიწყებოდა. მაინც უჩვეულო სიტუაცია იყო... ნეშტის გადმოსვენებისას როგორ მოქცეულიყვნენ, მაინცდამაინც კარგად არ იცოდნენ... მოკლედ, შემოირტყეს თავში ხელი, იმიტომ, რომ გვიანი საღამო იყო და არ იცოდნენ, საიდან მოეტანათ ეს „დალოცვილი“ შავი „მატერია“. უფიქრია ცოტა ჟორჟიკა იაშვილს და წასულა... გაუტეხავს უნივერმაღის კარი, აუღია ერთი „თოფი“ შავი ქსოვილი, დაუტოვებია ფული, წარწერა — „აქ იყო ჟორჟიკა!“ — და წამოსულა. კარიც გულმოდგინედ დაკეტაო, ამბობდნენ.

— ჟორჟიკა იაშვილი ქუთაისის კოლორიტი იყო. მთაკაცი, ჯან-ღონითა და ვაჟკაცობით გამორჩეული...

— ბოლოს თბილისში ცხოვრობდა. მისი შთამომავლები ახლაც აქ ცხოვრობენ. თბილისის კოლორიტიც იყო. მახსოვს, ჩვენი მეზობელი დათო კობერიძე მიყვებოდა: დავალება მომცეს პოლიციაში, — ჟორჟიკას იარაღი აქვს და უნდა ჩამოართვაო. ჟორჟიკას მაშინ პატარა კაფე ჰქონდა, „ლოკომოტივის“ სტადიონთან. მისულა დათო მასთან. დახვდა ჟორჟიკა შუბლგახსნილი, უმასპინძლა. ერთმანეთის იარაღიც დაათვალიერეს და კარგა ქართულადაც მოილხინეს... დათო ამბობდა, — მაგას მე ხელს როგორ დავადებ? ქალაქის კოლორიტია, გაუშვი, იაროს იარაღითო.

— მაგრამ ამ იარაღს ის არასდროს იყენებდა...

— ჩვენს ოჯახში გამუდმებით იშლებოდა სუფრა, ყველანაირი მიზეზით და — უმიზეზოდ. აქ თბილისის ნაღები საზოგადოება იყრიდა თავს. არ მახსოვს, რომ ამ სუფრებზე ოდესმე, პოლიტიკაზე ესაუბრათ, ეჩხუბათ, ვინმესთვის ზიანი მიეყენებინათ. ყველა ეს შეხვედრა დღესასწაული იყო. მერე ერთგან წავიკითხე, — იაშვილების სახლში ისეთი ქეიფები იმართებოდა, „ქეთო და კოტეში“ რომა�ა... მამას, ყარაჩოხელივით, თავზე სურით უყვარდა ცეკვა. ერთხელაც, შემოიდგა თავზე სურა და ცეკვავს. ჟორჟიკამ აიღო და ის, თავზე შემოდგმული სურა ტყვიით გაუხვრიტა. სურაში შავი ღვინო ესხა. როცა სასმელი დაიღვარა, დედაჩემს უფიქრია, ქმარი მომიკლაო, სტაცა ჯოხს ხელი და ჟორჟიკას მთელი ძალით თავში ჩასცხო. იმხელა იყო ის დალოცვილი, ვერც კი იგრძნო, რა დაემართა, მგონი, იფიქრა — ბუზი დამაჯდაო და თავზე ხელი მოისვა... ერთი შემთხვევა მახსოვს კიდევ: ერთ-ერთი ახლობლის ქორწილია ჩვენს სახლში. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ერთი კაცი ადგა და გავიდა. როგორც ჩანს, მეორესთან უსიამოვნებას გაერიდა. ეს, მეორე ადგა და უსიტყვოდ გაეკიდა. უფრო სწორად — ფანჯრიდან გადავიდა.

— მესამე სართულის ფანჯრიდან გადახტომას, გადასვლას ეძახით?!

— ჰო, არ მოერიდა სიმაღლეს. სამაგიეროდ, ოჯახში აყალმაყალის ატეხა არ იკადრა!.. ეს თაობა არავის აპატიებდა დამცირებას, შეურაცხყოფას, მაგრამ საკუთარი თავმოყვარეობის აღსადგენად, არც უდანაშაულო ადამიანს მიაყენებდა შეურაცხყოფას. აი, ეს განსხვავებაა ახლანდელსა და ძველ თაობას შორის.

— ჟორჟიკაზე საოცრებებს ჰყვებიან. მის ჯან-ღონეზე ლეგენდები დადიოდა. თვითმხილველები ისე აღწერდნენ მის ორთაბრძოლებს, როგორც შოთა რუსთაველი აღწერს ტარიელის შერკინებას, ვთქვათ, არაბთა ლაშქართან — თავების სვეტზე შეტაკებითა და სისხლის ტბებით... ნუთუ ეს კარგი იყო? ყველაფერი უნდა გავაიდეალოთ, რაც წარსულში დარჩა?..

— არა, რა თქმა უნდა. მაგრამ ჟორჟიკა იაშვილი სწორედ იმით იყო გამორჩეული, რომ არასოდეს დაჩაგრავდა ადამიანს საკუთარი ჯან-ღონით. ის მხოლოდ სამართლიანობის აღსადგენად თუ ჩაებმებოდა ჩხუბში. თვითდამკვიდრებისთვის კი არ იბრძოდა და ამიტომ კი არ ასისხლიანებდა ვინმეს, არამედ იმისათვის, რომ სამართლიანობა დაეცვა. სხვათა შორის, ეს კაცური გარჩევები ყოველთვის შერიგებით მთავრდებოდა. ადამიანი წაგებასაც უნდა შეეგუოს და მოგებასაც. იმასაც, რომ თავად არის მტყუანი და არც თავისი სიმართლე უნდა დათმოს.

— მეგობრობაც ამიტომ, განსაკუთრებული იცოდნენ...

— როგორ ვთქვა, ქართველებმა მეგობრობა აღარ ვიცით-მეთქი?! უამრავი მეგობარი მყავს და ჯვარი გვწერია, რომ

იაშვილების საგვარეულო მარკა

მიშა იაშვილი

ეიორგი, ჟორჟიკა იამშილი

სხვანაირად იყოს. მაგრამ ერთ ამბავს მოგიყვები, რომელიც, მართალი რომ გითხრა, მითია თუ რეალობა — დღემდე ვერ გამირკვევია... მოკლედ, მამა რომ დააპატიმრეს, რა თქმა უნდა, ჯერ ორთაჭალის ციხეში ჩასვეს — იმის გასარკვევად, დასახვრეტი იყო თუ გადასასახლებელი. 1942 წელია. როგორც მერე მიყვებოდნენ, მუსტაფა შელიამ, რომელიც აქ, სოლოლაკში მოკლეს ბერიას დევნისთვის, მოახერხა და, ბერიას პირადი მძღოლის დახმარებით, ბერიასივე მანქანით, ორთაჭალის ციხეში შეაღწია. კუკუნა მაშინ პატარა ბიჭი იყო, მაგრამ იცოდა, რომ თუ გაიქცეოდა, მის მაგივრად, მის ახლობლებს დახვრეტდნენ და ამიტომ, მუსტაფას თავგანწირვა თავის გადასარჩენად არ გამოიყენა. იმ სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდა, რომელზეც — სასამართლოაო, — ვერაფრით იტყოდი და თხუთმეტწლიანი სატანჯველი კაცურად გადაიტანა. აი, ასეთი მეგობრობა ჰქონდათ...

— ჩვენს რეალობაში ზედაპირზევე დევს ერთი უტყუარი ფაქტი: ფული და მდგომარეობა ბევრ ადამიანს აყოყოჩებს და სხვებზე ზემოდან გადმოხედვის სურვილს უჩენს. ის თაობა, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, როგორი იყო ამ თვალსაზრისით?

— ეს ყველა დროში ასე იყო და აღბათ, ასეც იქნება. ის, ვინც დაბადებით მეფე არ არის და „მეფურ“ მდგომარეობას აღწევს, ყოყოჩდება. ძალიან დიდი ადამიანი უნდა იყო, რომ მოულოდნელად თავს დატეხილ მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას, აურაცხელ სიმდიდრეს თვალი გაუსწორო და ისეთივე დარჩე, როგორიც იყავი. ეს ერთეულებს ხელეწიფებათ მხოლოდ. ძალიან მინდა, რომ წინაპრებზე მხოლოდ საქებარი სიტყვები ვთქვა, მაგრამ ამ მხრივ, ისინიც, რასაკვირველია, სცოდავდნენ... წარმოიდგინე, მთელი თაობა იყო გადასახლებული. იქიდან კაცურად დაბრუნდნენ, იქ, ასე ვთქვათ, ქუჩის კანონები დაიცვეს — არც არავინ ჩაუშვეს და არც არავინ დააზარალეს, მაგრამ მერე, დაბრუნებულები, პარტიაშიც შევიდნენ და დიდი ფულიც იშოვეს.

— კომუნისტები გახდნენ?

— არა, რას ამბობ?! პარტიული ბილეთები ჰქონდათ მხოლოდ კომუნისტური. კომუნისტურმა წყობამ საქართველოს, ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, გვერდზე ჩაუარა და კვალი ვერ დაამჩნია: თითზე ჩამოსათვლელი იყო, სულით კომუნისტი, ასე ვთქვათ, სამუზეუმო ექსპონატი, თავისი ღარიბული საცხოვრისით და მწირი წარმოდგენებით სამყაროზე.

— ჩვენ ის თაობა ვართ, რომელმაც არცთუ ურიგო განათლება სწორედ იმ ხანაში მიიღო, რომელსაც ახლა აგდებულად მოვიხსენიებთ...

— მართალია. ჰოდა, ერთი კარგი ამბავიც გამახსენდა ამასთან დაკავშირებით. მეც, შენი არ იყოს, პირველსკოლელი ვარ, იმ განსხვავებით, რომ შენ — ლიანა შეწირულის პირველ სკოლაში სწავლობდი, ჩემს დროს კი, დირექტორი — კიკვაძე იყო. მკაცრი და დისციპლინის მოყვარული კაცი გახლდათ. ისეთი ყურის ამოტრიალება იცოდა, ახლაც მწარედ მახსოვს. იმედი მაქვს, ჩემს კლასელს, გია ნოდიასაც კარგად ახსოვს ყველაფერი... მოკლედ, ერთი, ქართულის მასწავლებელი გვყავდა, რომელსაც ისეთი სახელით მოვიხსენიებდით, რომელსაც ახლა ვერ ვიტყვი... ერთხელაც, ამ ქალის კარიკატურა დავხატე და მერხზე დავტოვე. საშინელი რეაქცია ჰქონდა. ვიფიქრე, — გაუვლის-მეთქი, მაგრამ — ნურას უკაცრავად. მოკლედ, მთელი წელი გავიდა და გონში ვერ ჩავაგდე: მიწერს და მიწერს ორიანებს, ერთიმეორის მიყოლებით. რა არ ვუთხარი, როგორ არ ვუბოდიშე... სახლშიც მივაკითხე, პლეხანოვზე. ვუთხარი, — თავიდან დაგხატავ, ოღონდ ის კარიკატურა დაივიწყე-მეთქი... არაფერი გამოვიდა. სხვა რა გზა იყო? მივედი სახლში და მამაჩემი საქმის კურსში ჩავაყენე. ჩემს სახლში ასეთი სურათია: მამაჩემი, დოდო აბაშიძე, ჟორჟიკა იაშვილი — ეს სამი, დევივით კაცი ზის და მისმენს. ახლა რაღა ვქნათო? — შემოიკრეს თავში ხელი. მოკლედ, საშემოდგომო თუ გამომყვა, აკადემიაზე ოცნებასაც უნდა გამოვეთხოვო... წავიდეთ სკოლაშიო, — თქვა დოდომ. ჟორჟიკამ სიბრაზისგან, სულ გიტარის სიმები დაწყვიტა, თავისი კუნთებასხმული თითებით. მამაჩემიც ნერვიულობს. მეტი რადგან ვერაფერი მოიფიქრეს, დაეწყვნენ მეორე დღესვე და სკოლისკენ გაეშურნენ, თან, იპოლიტე ხვიჩიაც გაიყოლეს, იმის იმედით, — იპოლიტე ჩვენზე მოქნილია და იქნებ, მას უფრო გაუწიონ ხათრიო.

საოცარი სანახაობა იყო, პირველი სკოლის დერეფანში ეს სამი მთაკაცი და იპოლიტე რომ გამოჩნდნენ. გამოეფინა მთელი სკოლა გარეთ, მაგრამ ჩემს ორიანს ვერაფერი უშველეს... კაცმა არ იცის, როგორ აეწყობოდა ჩემი ბედი, მაშინ დედაჩემს რომ არ მოეძებნა მარტივი გამოსავალი: მან, იმ პერიოდისათვის ყველაზე მოდური სამოსი — ნეილონის „სარორჩკა“ ლამაზად გადაახვია, ზემოდან „გაბანტული“ სუნამოც დაადო და ჩემს გაბრაზებულ მასწავლებელს მიუკითხა. ამას ქართულად, ქრთამის მიცემა ჰქვია... სხვათა შორის, ამბობენ, რომ ეს რუსებმა გვასწავლეს, მაგრამ ხომ გაჭრა! დამიწერეს სამიანი და აღმოჩნდა, რომ ამ ქრთამმა სამართალი ჰქმნა, რადგან იმ წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გავხდი...

ახლა რასაც მიშა იაშვილი ქმნის, სრულყოფილებასთან მიახლების ძიებაა, სადაც ყველა საშუალება ამართლებს — აკვარელი, ზეთი, კერამიკა, მოზაიკა. რადგან მიზანი — მშვენიერების წარმოჩენაა, არაპროგნოზირებადი მასალებიც მისაღებია. ჩვენ ვცოცხლობთ და გვიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ რთულია სიცოცხლე, — ეს ის დევიზია, რომელიც თავად, ასე არ გამოუთქვამს, მაგრამ მისი საუბრიდან მე გამოვიტანე. უდავოდ, ამ სიცოცხლის წყურვილის დადასტურებაა, მისი სატელეფონო ზარებიც ახლობლებთან. თბილისური ყოფის მშვენიერი დეტალი წარსულიდან: დამოკიდებულებე-

კუკუნა იამშილი

ბი ადამიანთა შორის. ქართველები ყოველთვის, ყოველგვარ პირობებში ახერხებდნენ, ერთმანეთი მოეკითხათ, თბილი და კეთილი სიტყვებით გაემხნევებინათ, მარტოობის განცდა აერიდებინათ. ეს ადრე იყო. ადრე, როცა მიშაც და ბევრი ჩვენგანიც სამყაროს აღქმას, შედარებით მხიარული ფერების თანხლებით ვიწყებდით. ახლა?.. ახლა საოცრად ენანება, როცა ახლობელ ადამიანს ურეკავს, აკითხავს, ის კი, — რამ შეგაწუხაო? — ეტიკეტს იცავს მხოლოდ... ღმერთო ჩემო, რა გინდაო? — მკითხა!.. რა უნდა მინდოდეს? გავიგე, როგორ არისო... რატომ ვილაპარაკეთ წასულ ადამიანებზე?.. მიშა ამბობს, — იმის იმედით, რომ ისინი, ვინც საკუთარ დედებს აგინებენ და კარგი ბიჭები ჰგონიათ თავი, ამ პატარა მოგონებებიდან რაღაც კეთილ მარცვალს ამოიღებენ... და საქართველოც სულ იქნება. ■

მხედართმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-10

კურსკის ბრძოლა გადაიტანეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს ჯარებმა, რომლებსაც გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრები სარდლობდნენ. სტალინმა ფრონტების სარდლობა როკოსოვსკის, ვატუტინს, კონევს, სოკოლოვსკის, პოპოვს დააკისრა. ის პირადად არჩევდა ან ამტკიცებდა არმიებისა და დივიზიების მეთაურებს. ფრონტების მოქმედებათა კოორდინაციას ახორციელებდნენ უმაღლესი შტაბის წარმომადგენლები — ჟუკოვი და ვასილევსკი.

გერმანელთა ჯარების განადგურება „კურსკაია დუგაზე“ ფაშისტებისთვის, მთელი საზაფხულო კამპანიის კრახს ნიშნავდა. სტალინმა გასცა განკარგულება, რომ გენერალურ შტაბს მოემზადებინა საგანგებო მისალოცი ბრძანება ჯარებისთვის, რომლებმაც მოწინააღმდეგე კურსკის ბრძოლაში დაამარცხეს. როცა ადგენდნენ დასკვნით ნაწილს, სადაც ეწერა: *„ამგვარად, გერმანელთა საზაფხულოდ გამიზნულმა საიერიშო გეგმამ სრული კრახი განიცადა“*, — უმაღლესმა მთავარსარდალმა, როგორც გენერალი შტემენკო იხსენებდა, ასეთი ჩანართი უკარნახა: *„ამის შედეგად, სრულიად გაიფანტა ლეგენდა იმის შესახებ, რომ გერმანელები ზაფხულობით განხორციელებული იერიშის დროს ყოველთვის აღწევენ წარმატებას, საბჭოთა ჯარები კი თითქოს იძულებული არიან, უკან დაიხიონ“*. ამის შესახებ ხმამაღლა უნდა ითქვას, — დასძინა სტალინმა, — ფაშისტები, გებელსის მეთაურობით, მოსკოვთან ზამთარში განცდილი მარცხის შემდეგ, გამუდმებით ელოლიავებიან ამ ლეგენდასო.

სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლისა და როგორც პოლიტიკოსის მოღვაწეობის შეფასებისას შეუძლებელია არ აღინიშნოს ისეთი ფაქტიც, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა ჯარების საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების საქმეში. საბჭოთა მიწებიდან ოკუპანტების მასობრივი განდევნის დაწყების ვითარებაში, ბელადმა მიიღო გადაწყვეტილება, შეიარაღებული ძალების ყველა დიდ ბრძოლაში მიღწეული გამარჯვება მოსკოვში სალუტით აღენიშნათ.

გარემოებებზე, რომლებიც თან ახლდა ამ გადაწყვეტილების მიღებას, არმიის გენერალი შტემენკო წერდა: *„5 აგვისტოს, როცა ორიოლი და ბელგოროდი დავიკავეთ, შტაბში ახალი იდეა წარმოიშვა. როგორც კი ფრონტების სარდლებმა მთავარსარდალს ამ ქალაქების აღების შესახებ უპატაკეს, გენერალი ანტონოვი და მე უმაღლეს შტაბში გამოგვიძახეს. სტალინი ის-ის იყო, კალინინის ფრონტიდან დაბრუნდა. შტაბის ყველა დანარჩენი წევრიც გამოცხადდა.*

— ომის ისტორიას თუ კითხულობთ? — მოგვმართა უმაღლესმა მთავარსარდალმა მე და ანტონოვს.

ჩვენ დავიბენით, არ ვიცოდით, რა გვეპასუხა. შეკითხვა გვეუცნაურა: სწორედ ისტორიისთვის გვცხელოდა მაშინ!..

სტალინი კი ამსობაში, განაგრძობდა:

— თქვენ რომ ის წაგეკითხათ, გეცოდინებოდათ, რომ ჯერ კიდევ უძველეს ხანაში, როცა ომებში იმარჯვებდნენ, მხედართმთავრებისა და მათი ჯარების პატივსაცემად, ზარები რეკდნენ. ჰოდა, კარგი იქნებოდა, ჩვენც უფრო თვალსაჩინოდ აღგვენიშნა გამარჯვებები და არა მარტო მისალოცი ბრძანებებით. ჩვენ ვფიქრობთ, — თავით მიგვანიშნა მაგიდასთან მსხდომ შტაბის წევრებზე, — იმ ჯარებისა და მათი მეთაურების პატივსაცემად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, საარტილერიო სალუტი მივცეთ და ერთგვარი ილუმინაციაც მოვაწყოთ...

ასე გადაწყდა, აღნიშნულიყო საბჭოთა ჯარების გამარჯვება სადღესასწაულო სალუტით მოსკოვში და ყოველ გასროლას თან უნდა ხლებოდა სხვადასხვა ფერის რაკეტები, მანამდე კი, საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგურს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება უნდა გადაეცა“.

პირველად საარტილერიო ზალპებმა მოსკოვის ზეცა 1943 წლის 5 აგვისტოს გაანათა — ბრიანსკის ფრონტის ჯარების პატივსაცემად, რომლებმაც გაათავისუფლეს ორიოლი, და საველე ფრონტის ჯარების პატივსაცემად, რომლებმაც გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლები ბელგოროდიდან განდევნეს. უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაში, ჯარების საბრძოლო გმირობათა ჩამონათვალის გარდა, მოცემული იყო აგრეთვე, ბრძოლებში მონაწილე შენაერთებისა და ნაწილების ჩამონათვალიც, განსაკუთრებით გამორჩეულ მეთაურთა სამხედრო წოდებებისა და გვარების მითითებით. მთელ პირად შემადგენლობას, უმაღლესი მთავარსარდლის სახელით, მადლობას უცხადებდნენ.

ინფორმაცია გამარჯვების სალუტის შესახებ, ვეებერთელა ქვეყნის ყველაზე შორეულ კუთხეებშიც კი აღწევდა, როგორც მისი შვილების გმირობის სიმბოლო...

1943 წლის 5 აგვისტოდან მოყოლებული, მოსკოვში სულ 363 საზეიმო საარტილერიო სალუტი გაისროლეს იმ გამარჯვებათა აღსანიშნავად, რომელთა შედეგადაც, საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს: მოკავშირე რესპუბლიკებისა და უცხოეთის სახელმწიფოების დედა-

გერმანელთა ჯარების განადგურება „კურსკაია დუგაზე“ ფაშისტებისთვის, მთელი საზაფხულო კამპანიის კრახს ნიშნავდა

1943 წლის 5 აგვისტოდან მოყოლებული, მოსკოვში სულ 363 საზეიმო საარტილერიო სალუტი გაისროლეს

ქალაქები, დიდი ქალაქები, მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძები, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები.

მაგრამ ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ავტორი ამ დიდებული ტრადიციის გაქილიკებასაც ცდილობს. მაგალითად, გავრცელებულია სიცრუე, თითქოს ამა თუ იმ ქალაქის აღება ამა თუ იმ თარიღს საგანგებოდ დაამთხვიეს და ამ მიზნის მისაღწევად, ჯარისკაცების სიცოცხლესაც არ ზოგავდნენ. ამასთან, ბუნებრივია, ავიწყდებათ, რომ თითოეული ასეთი შეტევითი ოპერაცია საგულდაგულოდ მზადდებოდა, უზრუნველყოფილი იყო საბრძოლო ტექნიკის ყველა აუცილებელი სახეობით და ა.შ. ფრონტებზე განვითარებულმა მოვლენებმა საბჭოთა არმიას საშუალება მისცა, ასეულობით გათავისუფლებული ქალაქიდან მხოლოდ ორი აეღო დღესასწაულისთვის: 1943 წლის 6 ნოემბერს — კიევი და 1945 წლის 2 მაისს — ბერლინი.

რაც შეეხება ბერლინის აღებას, — ეს ამგვარად მოხდა. 1945 წლის აპრილის ბოლოს, საბჭოთა არმია, გერმანიის დედაქალაქისთვის უმძიმეს ბრძოლას აწარმოებდა. ჟუკოვმა მოახსენა სტალინს, რომ 1-ლი მაისისთვის ბერლინის აღებას ვერ შეძლებდნენ, საჭირო იყო ძალების გადაჯგუფება. *„მე, — წერდა მოგვიანებით ჟუკოვი, — ამაზე სტალინისგან ხისტ შეწინააღმდეგებას ველოდი. მაგრამ ბელადმა მიპასუხა: „არა უშავს, წინ პირველი მაისის დღესასწაული გველის, ეს ისედაც დიდი დღესასწაულია, ხალხი მას კარგად შეხვდება. ხოლო რაც შეეხება იმას, ავიღებთ თუ არა ბერლინს 2 ან 3 მაისს, — დიდი მნიშვნელობა არა აქვს. გეთანხმებით, ხალხი უნდა დავზოგოთ, ასე ნაკლებ ჯარისკაცს დავკარგავთ. უკეთ მოამზადეთ ამ ოპერაციის დამამთავრებელი ეტაპი“.*

სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლებში მიღწეული გამარჯვებები ნიშნავდა, რომ ქვეყანამ გაუძლო ომის საწყისი პერიოდის უმკაცრეს გამოცდას და დამაჯერებლად მტკიცედ დაადგა დიდი იერიშის განხორციელების გზას. ომის მსვლელობაში მართლაც, უდიდესი ცვლილებები მოხდა. *„თუ ბრძოლა სტალინგრადთან გერმანელ-ფაშისტთა არმიის დაისს ნიშნავდა, ბრძოლამ კურსკთან იგი კატასტროფის წინაშე დააყენა“,* — აღნიშნავდა სტალინი 1943 წლის 6 ნოემბერს თავის მოხსენებაში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 26-ე წლისთავის აღსანიშნავად მოამზადა.

ასე და ამგვარად, უმაღლესმა საბჭოთა მთავარსარდლობამ შეძლო, წარმატებით გადაეწყვიტა არა მარტო 1943 წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიისა და კურსკის ბრძოლის ამოცანა, არამედ დასახული გეგმების შესასრულებლად არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენების ურთულესი პრობლემაც. ძირითადად უშეცდომოდ იქნა განაწილებული ძალები, რომლებიც გათვალისწინებული იყო თავდაცვითი ბრძოლების და კონტრშეტევისთვის, ასევე კარგად იყო განაწილებული ძალები ფრონტებსა და არმიებს შორის; გამოიყო აუცილებელი რესურსები უმაღლესი მთავარსარდლობის სტრატეგიული რეზერვისთვის; გათვალისწინებული იყო აგრეთვე ისიც, რომ „კურსკის დუგაზე“ გამარჯვების შემდეგაც, საერთო სტრატეგიულ შეტევაზე გადასასვლელად საჭირო ძალები და საშუალებები შემოგვრჩენოდა.

სტალინი მტკიცედ იცავდა პრინციპს — გეგმის განხორციელება მისი შესრულების ხელოვნებაზეა დამოკიდებული. მას საოცარი ნიჭი ჰქონდა, გონივრულად და ენერგიულად გადაეწყვიტა უამრავი საორგანიზაციო საკითხი, რომელიც საომარი კამპანიებისა და სტრატეგიული ოპერაციების წარმატებას უზრუნველყოფდა. მოხსენებებში, ბრძანებებსა და მიმართვებში იგი ხალხისა და არმიის წინაშე იმ ამოცანებს სვამდა, რომლებიც მოცემულ ისტორიულ მომენტს ზუსტად შეესაბამებოდა.

309-ე ბრძანებაში, რომელიც 1943 წლის 7 ნოემბრითაა დათარიღებული, უმაღლესი მთავარსარდალი მოითხოვდა: *„მთელმა წითელმა არმიამ გაბედულად და მტკიცედ განახორციელოს მტრის თავდაცვითი პოზიციების გარღვევა, დღე და ღამე კვალში სდიოს მტერს, რათა საშუალება არ მისცეს, შუალედურ საზღვრებზე გამაგრდეს, მოხერხებული და გაბედული მანევრით გადაუჭრას მტერს კომუნიკაციები, ალყა შემოარტყას და გაანადგუროს მისი ჯარები, გაანადგუროს და ხელთ იგდოს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა და ტექნიკა“.*

უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი 1944 წლის ოპერაციათა მოსამზადებლად, მოხერხებულად იყენებდა შექმნილ კეთილსაიმედო სტრატეგიულ ვითარებას. *„უმაღლესმა შტაბმა და გენერალურმა შტაბმა, — წერდა ჟუკოვი, — აწონ-დაწონეს მთელი ჩვენი შესაძლებლობები, ღრმად გააანალიზეს მოწინააღმდეგის მდგომარეობა ფრონტის მთელ სტრატეგიულ სიღრმეზე, ბარენციდან — შავ ზღვამდე. ანალიზმა უჩვენა, რომ გარდატეხა, რომელიც უკვე მიღწეული იყო ომის მსვლელობისას, ჩვენ წინაშე ფართო პერსპექტივებს შლიდა.*

მტრის დაჯაბნა საბრძოლო ძალებისა და საშუალებების რაოდენობით, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ხელში ინიციატივის გადასვლა, მომგებიან პოზიციებზე ჯარების განლაგება, საფუძვლიანი ადამიანური და მატერიალური რეზერვები და სხვა სასიკეთო ფაქტორები ახლა უკვე საშუალებას იძლეოდა, ახლებურად გადაგვწყვიტა სტრატეგიული ამოცანები. საბჭოთა ზურგის გმირული და უწყვეტი შრომა გეგმაზომიერად უზრუნველყოფდა მოქმედ არმიას ყოველგვარი საჭიროებით. ჩვენ უკვე შეგვეძლო მოგვემზადებინა და ჩაგვეტარებინა მასშტაბური საომარი ოპერაციები არა მარტო ერთი ან ორი მიმართულებით, არამედ თანამიმდევრულად განგვეხორციელებინა დარტყმა მთელ სტრატეგიულ ფრონტზე. იმავდროულად, მტრის უნარი, მოეგერიებინა ეს დარტყმები, მნიშვნელოვნად შემცირდა“.

ამაზე სტალინისგან ხისტ შეწინააღმდეგებას ველოდი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჯონ მაკქეინი — რუსეთისგან ჩაგრულთა ქომაგი

გავრეზიდენტების შემთხვევაში, სენატორი ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობას „გამოაცხადებს"...

ეჭვს აღარ იწვევს, რომ რესპუბლიკური პარტიიდან აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატად, 71 წლის სენატორი (არიზონის შტატიდან), ვიეტნამში ნაომარი და რამდენიმე წლის მანძილზე ტვეობაგამოვლილი



ჯონ მაკქეინი მოგვევლინება. მრავალი ექსპერტის აზრით, მაკქეინს ნოემბრისთვის დაგეგმილ საერთოეროვნულ არჩევნებზე, დემოკრატიული პარტიის შესაძლო კანდიდატების — ჰილარი კლინტონისა და ბარაკ ობამას დამარცხების დიდი შანსი აქვს.

კონკურენტებისგან განსხვავებით, მაკქეინი საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას დიდ ყურადღებას უთმობს საგარეო პოლიტიკის საკითხებს. ვიღაცას შეიძლება მოსწონდეს მისი სწორხაზოვანი პოლიტიკა, ვიღაცას — არა, მაგრამ ერთ საკითხში ყველა ერთსა და იმავე აზრს იზიარებს: სენატორის განცხადებები არა წინასაარჩევნო კონიუნქტურულ რიტორიკას, არამედ მის მტკიცე მრწამსს წარმოადგენს, რომელსაც თეთრ სახლში მისვლის შემთხვევაშიც არ უღალატებს. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ჩვენი მკითხველითვის საინტერესო უნდა იყოს ჯონ მაკქეინის სტატია, რომელიც გერმანულ Sueddeutsche Zeitung-ში თვეების წინ გამოქვეყნდა და სადაც სენატორი, ბევრ სხვასთან ერთად, საქართველოს საკითხსაც საკმაოდ ფართოდ შეეხო.

რუსეთის პროვოკაციული თამაში დასავლეთ ევროპისთვის საფრთხეს წარმოადგენს

რუსეთის მთავრობის ავტორიტარული სტილი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა დასავლური გაერთიანების ფასეულობებსა და უსაფრთხოებას. რუსეთი საკუთარი ნედლეულის რესურსებს საკუთარივე პოლიტიკური მიზნების მისაღწევ ინსტრუმენტად იყენებს და მეზობელ ქვეყნებში დესტაბილიზაციას იწვევს.

იანვრის დასაწყისში (*2007 წლის. — რედ.*) მოსკოვმა ევროპისთვის გაზის მიწოდება კვლავ შეწყვიტა. ამჯერად მიზეზი, ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანასთან (წელს ეს ბელორუსია აღმოჩნდა) ფასებთან დაკავშირებული კამათი აღმოჩნდა. შარშან ასეთსავე მდგომარეობაში იყო უკრაინა. ახლახან რუსეთმა საკუთარი ენერგომატარებლები, როგორც იარაღი, საქართველოსა და მოლდავეთის წინააღმდეგაც გამოიყენა. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ასეთ მოქმედებას დესტრუქციული უწოდა, ენერგეტიკული მიწოდებები განახლდა.

ამ კრიზისმა და გერმანიის მტკიცე რეაქციამ ჩვენი ყურადღება საკვანძო საკითხისაკენ მიმართა: რა ზომების მიღება გვმართებს იმისათვის, რათა რუსეთისადმი ნდობის საფუძველი შევინარჩუნოთ და არა მარტო მასთან, არამედ აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ასევე საკმაოდ რთული ურთიერთობები განვავითაროთ? ამერიკის შეერთებული შტატები საკმაოდაა დაინტერესებული, აყვავებული და უსაფრთხოდ მცხოვრები ევროპით, რომელიც მტკიცედ აღუდგება წინ რუსეთს, თუკი ის ენერგომიწოდების შეწყვეტის მუქარით ზეწოლის მოხდენას კვლავაც შეეცდება. ბევრი ევროპული სახელმწიფო და მთავრობის მეთაური მიხვდა, რომ ევროკავშირი ნავთობსა და გაზზე დამოკიდებული არ უნდა იყოს. ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ უფრო შორსაც წავიდა და ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საერთო პოლიტიკის შემუშავება მოითხოვა. გასაკვირია — ბაროზუს, ყველასათვის იმის შეხსენებამ მოუწია, რომ ენერგეტიკის სფეროში მსგავსი ერთიანი პოლიტიკა ევროკავშირს ჯერაც არ გააჩნია. ისევე, როგორც არ არსებობს აშშ-სთან და კანადასთან კოორდინაციის მექანიზმიც. ასეთი მიდგომა, ერთობლივი ძალებით მოქმედება, რუსეთთან სანდომიანი ურთიერთობების შექმნის კარგ წინაპირობას წარმოადგენს. თუმცაღა, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებში არასტაბილურობის აღმოსაფხვრელად, ეს მაინც არ იქნება საკმარისი. არადა, არასტაბილურობა რუსეთს მის მეზობლებზე არაჯანსაღი და ხშირად იმპერიალისტური ზეგავლენის მოხდენისკენაც უბიძგებს.

თუ ამ საკითხებში ნატო და ევროკავშირი ერთობლივად და შეთანხმებულად იმოქმედებენ, მათ დიდი წარმატების მიღწევა შეუძლიათ. გერმანიამ და ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მიღწეულით ნამდვილად უნდა იამაყონ. სწორედ ამ წარმატებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ აღმოსავლეთ ევროპის რთული პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობის დროსაც.

ევროპის მეზობელ სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მაგალითს საქართველო წარმოადგენს. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" დროს ქართველი ხალხი ავტორიტარული მმართველობისგან გათავისუფლდა. ფართომასშტაბიანი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარების თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა ნამდვილად შთამბეჭდავია. მიუხედავად იმ გარემოებებისა, რომ ქვეყნის ახლანდელ მთავრობას მემკვიდრეობად, სუსტი და კორუმპირებული სახელისუფლებო ინსტიტუტები ერგო, რუსეთი საქართველოს დასავლურ ორიენტაციას ეწინააღმდეგება, ხოლო ქართულ პროვინცია აფხაზეთში სეპარატისტული მისწრაფებები მძლავრობს.

საქართველო იზიარებს ევროატლანტიკურ ფასეულობებს და მათ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც თანამიმდევრულად იცავს. ჩვენც მეტი უნდა გავაკეთოთ საქართველოს წარმატებისთვის. წელს ეს ქვეყანა ნატოში შესვლის სამოქმედო გეგმაში მონაწილეობის მისაღებად უნდა მოვიწვიოთ. ეს საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცებასა და ამ საშიშ რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფაში დაეხმარება. ევროკავშირი კი თავის მხრივ, ამ ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტებ-

ისა და ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებაში შეასრულებს მნიშვნელოვან როლს.

მაშინაც კი, თუ ერთობლივ ენერგეტიკულ პოლიტიკას შევიმუშავებთ და ევროპის მეზობლად, ეკონომიკური მდგომარეობისა და მთავრობების განმტკიცებას მოვახერხებთ, შავი ზღვის რეგიონში არსებული მუდმივი კონფლიქტები უკრაინის, მოლდავეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მათთან ერთად, მთელი ევროპის სტაბილურობას მაინც არ ააცილებს საფრთხეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 15 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ არც ერთი ეს კონფლიქტი არ გადაჭრილა. პირიქით, დნესტრისპირეთში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღში აშკარაა რემილიტარიზაციის ყველა ნიშანი. ამასთანავე, ეთნიკური დაპირისპირებისა და სეპარატისტული ტენდენციების გარედან წახალისება ხდება. საკუთარი პროვოკაციული და ცინიკური მოქმედებებით რუსეთი ამ კონფლიქტების ჩაქრობის ყველა შესაძლებლობას გამუდმებით უშლიდა ხელს. მოსკოვი დარეგულირების საკითხში მონაწილე ისეთი ორგანიზაციების მუშაობასაც კი უქმნის წინააღმდეგობებს, როგორებიც არიან ეუთო და გაერო. ამ მხრივ, შეშფოთებას დასავლეთის გულგრილობაც იწვევს.

მართალია, ამ კონფლიქტების უმეტესობა ამჟამად გაყინულია, მაგრამ ნებისმიერ წუთს შეიძლება, ხელახლა და უმძიმესი შედეგებითაც იფეთქოს. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების განახლება ქართულ დემოკრატიას შეუქმნის საფრთხეს, ხოლო ახალი სომხურ-აზერბაიჯანული ომი შეიძლება, ენერგეტიკის სფეროში დასავლეთის ინტერესებს შეეხოს. რუსეთის ახალი ავტორიტარული სტილი დასავლური საზოგადოების ფასეულობებსა და უსაფრთხოებას ემუქრება. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ რუსეთთან დიალოგისთვის და ხანგრძლივ პერსპექტივაში, რუსეთში დემოკრატიის განვითარების იმედიც გვქონდეს. მაგრამ რუსეთის მმართველ ელიტას ისიც უნდა შევაგნებინოთ, რომ მას დასავლეთთან ნამდვილი პარტნიორობის იმედი მანამ არ უნდა ჰქონდეს, სანამ მისი მოქმედებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ევროატლანტიკური დემოკრატიის ფასეულობებთან ესოდენ კარდინალურ წინააღმდეგობაში მოდის.

ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში ჩვენი ინტერესების დასაცავად, რუსეთსა და კასპიის რეგიონთან თანამშრომლობაში ახალი საერთო ენერგეტიკული პოლიტიკა გვესაჭიროება. ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავუთმოთ ყურადღება ჩვენს უახლოეს ევროპელ მეზობლებს — უკრაინას, მოლდავეთსა და საქართველოს და ეკონომიკის განმტკიცებასა და მაყრი დემოკრატიული რეჟიმების დამკვიდრებაში უნდა დავეხმაროთ.

ჩვენ უნდა მივხედოთ შავი ზღვის რეგიონის კონფლიქტებს, რომლებიც ევროპულ უსაფრთხოებასა და ევროატლანტიკურ ფასეულობებს ემუქრება. და უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთთან ნამდვილი პარტნიორობის აგება მხოლოდ საერთო ფასეულობების საფუძველზეა შესაძლებელი. ყველა ეს თემა კარგად მიესადაგება ამერიკულ-ევროპული პარტნიორობის მორიგ ფურცელს, რომლის შევსებასაც, იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში დავიწყებთ.

შარშან შემოდგომაზე, აშშ-ში წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიის დაწყებისთანავე, ჯონ მაკქეინმა თავისი ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, სხვასთან ერთად, დასავლურ ელიტაზე გათვლილ გავლენიან ჟურნალშიც — Foreign Affairs — დაასაბუთა. მასში გამოქვეყნებულ საპროგრამო სტატიაში სენატორი რუსეთს ახლო აღმოსავლეთზე უფრო მკაცრად აკრიტიკებდა. „დღეს ჩვენ წინაშეა რუსეთი, რომლის სათავეშიც სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლებისგან შემდგარი ხროვა დგას. ისინი თავიანთი დემოკრატიული მეზობლების — ისეთების, როგორიცაა საქართველო, — დაშინებას ცდილობენ. რუსულ გაზსა და ნავთობზე ევროპის დამოკიდებულება სურთ გაითამაშონ! რევანშისტულად განწყობილ რუსეთზე დასავლეთის შეხედულებები უთუოდ უნდა გადაისინჯოს. თავდაპირველად, „დიდი რვიანი“ უნდა გავაფართოოთ და მასში საბაზრო დემოკრატიის ლიდერები — ბრაზილია და ინდოეთი ჩავრთოთ, ხოლო რუსეთი — გავრიცხოთ“, — ასეთია ჯონ მაკქეინის ვერდიქტი...

მაკქეინმა კოსოვოს პრობლემასთან დაკავშირებით კრემლის პოზიციის გამოც გამოთქვა უკმაყოფილება. მან მოსკოვი „სერბეთში შეუწყნარებლობისა და უკიდურესი ნაციონალიზმის“ გაღვივებაში დაადანაშაულა. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისას მაკქეინმა განაცხადა: „ჩვენ ვუახლოვდებით იმ რყევების დასასრულს, რომლებიც იუგოსლავიის დაშლას მოჰყვა“.

მაგრამ ყველაზე საინტერესო და ახალი რამ, გერმანიის ტელევიზიით 23 თებერვალს გასულ მაკქეინის ინტერვიუში გაისმა. სენატორმა კერძოდ, განაცხადა: „მას (კრემლს) ბალკანეთზე კარგი არასდროს არაფერი გაუკეთებია, ამიტომაც სერბებმა მოსკოვში მყოფ ადამიანთა იმპერიალისტურ ჯგუფთან კავშირი უნდა გაწყვიტონ. თუ ისინი კოსოვოს, როგორც ახალ თავისუფალ სახელმწიფოს, არ აღიარებენ, მაშინ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკუთრივ რუსეთში თავისუფლების მდგომარეობაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. უნდა ვაღიაროთ თუ არა ჩრდილოეთ კავკასია, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა?.. ეს საკითხი ჯერაც სამომავლო მსჯელობის საგნად რჩება...“

დოკუ უმაროვი

ჩრდილოეთ კავკასიაში შედარებითი სიმშვიდე მხოლოდ ერთ ადამიანზე – რამზან კადიროვზე „კიდია“

რუსი პოლიტიკური მიმომხილველის, რუსლან საიდოვის აზრით — „ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობაზე მაკქეინის გამონათქვამები რაღაც ახალი და ძალზე მნიშვნელოვანია. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში, დოკა უმაროვის მეთაურობით მოქმედ, რადიკალური ისლამისტების მიერ გამოცხადებულ, ჯიხადურ „კავკასიის საამიროზე“ ლაპარაკი არ არის. მოსკოვისგან გამოყოფის სხვა პრეტენდენტი კი ამჟამად, ჩრდილოეთ კავკასიაში უბრალოდ, არ არსებობს... მეჩვენება, რომ მაკქეინს, რომელიც, როგორც ჩემთვის ცნობილია, ძირითადად გარკვეულია სიტუაციაში, მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში შედარებითი სიმშვიდე მხოლოდ ერთ ადამიანზე — რამზან კადიროვზე „კიდია“. ამ უკანასკნელს კი მოსკოვში, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობაში, ისეთი მტრების „კრიტიკული მასა“ დაუგროვდა, რომელიც მის წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავს და შეთქმულებებს აწყობს. საკმარისია, კადიროვს რაიმე დაემართოს, რომ ჩეჩნეთში მესამე ომი გარდაუვალი გახდება. და მაშინ, ჯონ მაკქეინის დაპირება — ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ — სულ სხვაგვარად წარმოჩინდება. სიმბოლურია, რომ ეს განცხადება 23 თებერვალს — ჩეჩენი და ინგუში ხალხების სტალინური დეპორტაციის მორიგ, 64-ე წლისთავზე გაისმა...“ ■

„ქართველობისათვის უმაღლესის დამთავრება არ გჭირდება, ქართველობისათვის სული უნდა გესმოდეს...“

„გულმოგებით არ ვამბობ, სიმართლეს ვამბობ“

ლელა ჯიყაშვილი

ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოსო... ისიც ვიცი, რომ ლექსი შესავალი არ არის, მაგრამ ლექსიც არის და ლექსიც. ზოგი ლექსი შესავალიც არის და გამოსავალიც. ამიტომაც ასე დავიწყებ:

დაახანჩოტა გარაი
ათასგვარ ავადობამა,
საქმემაც მეტად დაღალა,
სუმუდამ ფეხზე დგომამა.
შეშის თრევამა, მზადებამ,
ჯაგიანებში ძრომამა,
თოშვამ, სიმინდის თოხნამა,
ზაფხულმა-დ შამოდგომამა.
ამ უსამართლო ყოფამა,
იმის პირისპირ დგომამა,
არაკაცების კაცობამ
იმათ ყეფამ და წვდომამა.
წადილის ვერასრულებამ,
ტყუილ-უბრალოდ შრომამა,
უერთპირობამ ერისამ,
ყროლ ერისშვილთა ყოლამა,
იმედ კი აბოწიწკანებს,
თუმც მოკლა გესლის სროლამა,
თავადავ დასწმენდს ბუნება,
რაც ხოტო-ბოტო მოლამა.
აისრე მითხრა იმედმა,
ჩემის სიცოცხლის სწორამა,
რაც გვიყვა, თავისით გვიყვა
ძილმა და გვერდზე წოლამა.

ამ ლექსის ავტორი გაბრიელ გარაშვილია, 79 წლის პაპა, რომელმაც განა მარტო თავისი სათქმელი თქვა, ქართველი გლეხის გულისნადები გაამხილა. დადის გაბრიელ პაპა თავის ტყეებში, მუხლჩაუხრელად შრომობს თავის მამულში... როცა ლექსის თქმა მოუნდება, ამბობს და იწერს. ვინ იცის, რამდენი რვეული გაუვსია! — რვეულებში, ლექსების გარდა, გამხმარი ყვავილები და ბალახიცაა, რომლებსაც პაპა დიდი, დაკოჟრილი ხელებით ეფერება და ინახავს...

შალვა ოკინაშვილი, თაძია სისაური, ტარიელ ჩიტაშვილი, გაბრიელ გარაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გაბრიელ პაპაც და მასავით ღონიერი სხვა მოლექსეებიც: ტარიელ ჩიტაშვილი, შალვა ოკინაშვილი, თაძია სისაური თბილისში ჩამოიყვანა და საღამო მოუწყო. კახელი მოლექსეების წიგნიც გამოუშვა, რომელიც მალე ყველგან გაიყიდება და ის თანხა, რომელსაც ჩვენ ამ ძარღვიან ლექსებში დაუნანებლად გადავიხდით, სრულად გადაეცემა მთქმელებს...

ახლა ისევ პაპებს მივუბრუნდეთ. ყველაზე ადრე მოვიდნენ საღამოზე. შრომას მიჩვეული ხელები უხერხულად ჩამოუშვეს და ცხოვრებაზე დაიწყეს ლაპარაკი.

გაბრიელ გარაშვილი:

— 79 წელი გამიხდება ახლა, მარტის ნახევარში. პანკისის ხეობაში, სოფელ საკობიანოში ვცხოვრობ. ოთხი შვილი მყავ... ქართველი გლეხი როგორა ცხოვრობს და — ბეჩავურად, ჩვენს ენაზე რო ვთქვა... არ არის სამუშაო. ახალგაზრდობა გამწყემსდა, ჩვენი მამაპაპის დროს დაუბრუნდა. ნიჭიერი ხალხი ვართ, მაგრამ გვეკარგება. არ ვიკვეხი, მართლა ნიჭიერი ხალხი ვართ. ჯერ ერთი, გაუბედავი ვართ და ესეც ღუპავს ჩვენს ხალხს. ეხათრება რაღაც... ესე არ არი (კვერს უკრავენ სხვა პაპებიც)? მეორეც, თავ ძლივ ირჩენენ, ძროხა და საქონელი ჰყავთ და დასდევენ იმას. მამულები აქვთ, მაგრამ მოვლა ძვირია და ზარალზე ხარ. უნდა გაანებო თავი და ეგ არი! მე საქონელსაც ველარ ვუვლი და გავყიდე. აღარაფერი მყავ 7-8 ცხვრის გარდა. შეიძლება ეგენიც დავყიდო.

ეხო, — ამოიოხრეს თითქოს ერთხმად.

მერე თვალები აენთო **ტარიელ პაპას:**

— თელავის რაიონის სოფელ ლეჩურში ვცხოვრობ... მიწას ვამუშავებ, საქონელი მყავს. ახალგაზრდობას ქალაქისკენ აქვს მიდრეკილება, ჩვენ, მოხუცი ხალხი იქა ვართ მოხარულები. სამი შვილი მყავს. ბიჭი ლექსებს წერავს ჩემსავით, ფანდურზეც უკრავს. როგორც ვატყობ, იმასაც სოფელი უყვარს. მიხარია...

შალვა პაპა:

— 63 წლის უნდა გავხდე... ბავშვობიდან ვწერ. სოფლელი კაცი ადრე უფრო ფორმაში იყო, ახლა ფორმიდან არი ამოვარდნილი... ხალხი გაღიზიანებულია, განერვიანებულია. რო იტყვიან, ხმა არ გეეცემათ. ბევრი გადაგვარების გზას დაადგა. იმის აქეთ გადმოყვანა ძნელი დაჯდება.

ჰოო, ეგრეაო — სხვებმაც და მოუსვენარი ხელები უღონოდ ჩამოიწყვეს მუხლებზე. გაბრიელ პაპამ — მუხლები მაწუხებსო და მოაყოლა დაბალ ხმაზე:

— ჩემ პენსიაზე ვარ და არცა ვწუწუნებ. კაცმა რო თქვას, მყოფნის. აბა, მე სასადილოში ქეიფის ფილფო აღარა მაქვს და!

— **ფილფო რა არის?** — *ვეკითხები მორიდებით.*

— რა არის და, ძალა.

— **ლექსების ძალა გაქვთ და მთავარი ეგ არი...**

— ჩემო კარგო, ჩემ ნება არაფერი არ არი. სხვა როგორა წერს, არ ვიცი. რო მოვიდა გაზაფხული, აყვავდა ყველაფერი, ბუნება გაცოცხლდა — მე რო მინდოდეს ძაან, დავწერო — ხანდროს ვერაფერს ვერა ვწერ... მერე რო მოვა, მოგუბდება, თუ არ გამოვიყვანე თავიდან, ავადა ვხდები. უხილავ ძალაა. ის მეუბნება — მე ვწერ.

— **რამდენი გაქვთ დაწერილი?**

— 14 რვეული ამათთან არი (*მერე გაირკვა, 17 ყოფილა ფოლკლორის ცენტრში. — ავტ.*)

— **როგორ ანდობთ?**

— ვენდობი...

— **ქვეყნის ამბებს უყურებთ ტელევიზორში?**

— ვერ არი კარგი საქმე. რაც გასაკეთებელი იყო ამ 4-5 წლის წინა, ახლა დაჰპირდნენ, ახლა გავაკეთებთო. არ ვიცი, გააკეთებენ, თუ არა... ღმერთმა ქნას და შაარიგოს ოპოზიცია და მთავრობა. ერთმაც უნდა გაიგოს და მეორემაც, რო იღუპება საქართველო. ერი ამისაგან იღუპებოდა წინათაც... ერთმანეთის ჭამა-გლეჯით იღუპებოდა, ერთმანეთის თვალების თხრით, დასჯით. შათანხმება უნდა იყოს ძმურად. ოპოზიცია არ ამბობს ტყუილსა, მე როგორა ვთქვა, რაღაცას აბრალებენო. ეს ხალხი ხო მოღალატე არ არი. აკეთა ამ კაცმა, განა არ გააკეთა. „ხელმწიფეა“, ბოლო-ბოლო კაცი (პრეზიდენტი) და უნდა გავუგოთ, მაგრამ... აკი ჩვენი მეფეები გლეხებსაც უგებდნენ, ამაზე ნაკლებები იყვნენ?! მეფე ერეკლე ომში დაბერდა. რამდენს წარკვეთეს თავი ჩვენს მეფეებსა! ა, ესე უნდა იყოს თავდადებული... არ ვამბობ ჩემ თავზე, რო მიჭირს; ან რად მინდა, კარგა ვიყო, ჩემ გვერდზე რო მშიერ იქნება ვინმე. არამ არ არი ჩემზე? სისწორე უნდა თქვას ხალხმა. ამდენი მილიონერია, უწვდის ვინმე ხელს ღატაკებს? ახლა მე ეკლესიების მოვლა მინდა, ლოცვაზე ვდგევარ დღე და ღამ. რო მივიდე და ვუთხრა ვინმეს, — მაიტა, თუ ძმა ხარ, ერთხელ შემოვუარო ეკლესიებს, მამადავითზე ავიდე, მამცემს? არ მამცემს! გულმოგებით არ ვამბობ, სიმართლეს ვამბობ: უფალი არ შაგვარჩენს, სხვას რო მშიერ-ტიტველას უყურო და შენა ფამფარებდე, ეგრე არ არის. გაიღე. ღმერთმა იმიტომ მოგცა, რო გაიღო!

თაძია პაპას *ისე, შალვა ჰქვია თურმე, მაგრამ თაძია ურჩევნია. უფრო სიმღერასავით სახელია და იქნებ იმიტომ, სიტყვა აქვს ისეთი, დაგადულებს:*

— დაღონებულ ადამიანებს როცა ვხედავ, უფრო მაშინ ვწერ... პატარა წვრილმანიც გულს მიკლავს ჩვენს ქვეყანაში. ახლა დაღონებული სოფელშიც ბევრია და ქალაქშიც... ორი წელია, აქა ვარ, ქარხანაში ვმუშაობ. ჩიტი საკენკს დასდევსო, — ნათქვამია, დღეს ყველგან ჭირს, გამომიჩნდა სამუშაო და წამოვედი. თეთრი წყლები — ჩემი სოფელი, რა თქმა უნდა, რო მენატრება. ქართველს თავისი მიწა ენატრება... შენს ნაოფლარზე საკუთარი საქონელიც რო გადმოვიდეს ზედ, რო ყელი გამოსჭრა, არ დაგნანდება. იმიტო იყო, რო კაცი მტერს ვერ იტანდა თავის მიწაზე ფეხდადგმულს. დღეს როგორ ვიქნებით... თუ ქართველი დაიბადა, დედამ გაზარდა და კაცის ცოტა რამე გამოჰყვა, როგორ შეიძლება თავისი მამული დაავიწყდეს. ჩემი მარტო ძვალი რო დარჩება, იმაზეც წაიკითხავენ, ეს ქართველი იყოო. ხევსურეთში დასაფლავებაზე ვიყავი, დაცლილია. კაციშვილი აღარ არის. ნორმალურ კაცს გასაქანი არც თავში ჰქონდა, არც ბოლოში. ძაღლს და მამაძაღლს დარჩენილი აქვს და სხვას რო ვეღარ სჭამენ და გამოელევათ, ერთმანეთს სჭამენ. რა უნდა ჰქნა, რა უნდათ? პატიოსნება კაცს არ უნდა, მიწის მოხვნა, სიმართლის მოსმენა. მე, რაც შვილისთვის უნდა დამეშალა, ის მაკეთებინეს... ტყე ჩემი ხელით მაჭრევინეს... რა ვიცი. სწავლა და უმაღლესის დამთავრება როდის უჭირს იცი, კაცს? თუ შენი ვერა სწვდება. ქართველობისთვის უმაღლესის დამთავრება არ გჭირდება, ქართველობისთვის სული უნდა გესმოდეს. როგორ გმინავს მოხუცი, როგორ ხარობს და მოდის ბალახი, რას ამბობს მიწა, — ამას გულიანი მიდგომა უნდა, სხვისასავით რო უყურებენ, ასე კი არ არის! შვიდი კლასი ვისწავლე. უმაღლესში წიგნებს კითხულობენ. აიღე და წაიკითხე. ზუსტად იმას აიღებ, რაც გინდა და უფრო კარგად ისწავლი. მერე კიდე, თაგვი სულ წისქვილშია და განა მეწისქვილე გამოდისო, — ტყუილად კი არ არის ნათქვამი! უმაღლესში ბევრია, ყველა კი არ ისწავლის. არავის უნდა თავის ქვეყნისკენ მობრუნვა. ესენიც მიმდგრები არიან და უკიჟინებენ, — აბა, რაც შეიძლება ფარეხიდან ჩქარა შორსო! თუ შენ არ იფიქრე, რომ შენია ეს ქვეყანა, შეიძლება უყურებდე და ვერაფერი დაინახო, როცა ფიქრობ, რო შენია, ყველაფერს ხედავ! დღეს ყველა ყველაფერს სხვისასავით უყურებს.

ერთი მოხუცი ქალი ამოვიდა ავტობუსში. მითხრა, — შვილო, არიქა, დამესაქმეო! ახალგაზრდებს რო ვუთხრა, არ გამიგონებენო. კანფეტის ყიდვა დამავიწყდა და წამომიღეო. წავედი, მოვუტანე. აბა, შაჭამე, ქა, მოწამლული არ იყოსო. მერე მოუბრუნდა ხალხს, — რას ფიქრობთ, სანამ საკუთარ ცოლებს სახლის კარზე არ გამოგიყვანენ, ქვეყანას არ უნდა მიხედოთო? ყველაფერს ყიდიან და თქვენ რას ფიქრობთო?! 97 წლის ქალი იყო და ის იბრძოდა. ჩვენ დავმსხდარვართ და შავყურებთ ქვეყანას. ყველამ თავისი ადგილი უნდა გააჩუჩუნოს, გაიწი იქით, ნუ მიშლითო, — ცხვრისა არ იყოს. რას ჩამოვყარეთ ყურები! რად გვინდა ეს ძონძი, რო გვაცვია! რაც მთავარია, იმას ვკარგავთ და ვიშორებთ. რისთვის გვინდა?.. ჩაივლის ყველაფერი ქარივით და რა იქნები — ფერფლი!

დგანან პაპები ძველებური თონის პირას და ლაპარაკობენ. დაღლილები არიან. ამ დილას ჩამოგვლალესო... უბრალო სამოსი აცვიათ და თავდახრილები ელოდებიან: ქალაქელები უნდა მოვიდნენ და მოუსმინონ. ხან იქით მიდგებიან, ხან აქეთ მოდგებიან... რა ქნან. ხელები უჭირვებთ საქმეს: ვერ მიუჩვევიათ უსაქმობისთვის. აიღებენ და ისევ მუხლებზე დაიწყობენ. მერე ადგებიან და უღონოდ ჩამოუშვებენ. ვერ ერგებიან უბრალოდ ჯდომასა და დგომას და რა იღონონ?! ■

დასაწყისი იხ. გვ. 16

იყავით, მალხაზი თქვენი შვილის — მარიამის გატაცებით იმუქრებაო... ცოტა ხნის შემდეგ შემოთვალა, — გიგას მოსაკლავად მზადაა, ფულიც გადაიხადოსო... ამის თაობაზეც შევატყობინე პოლიციას და ვთხოვე, სათანადო ზომები მიეღოთ. არაფერი გააკეთეს მანამ, სანამ კაცი მართლაც, არ მოკლეს... ბოლოს, მკვლელობამდე რამდენიმე კვირით ადრე — 2007 წლის 5 აპრილს, სოფლიდან ბებიაჩემი — დეიდაჩემის დედა ჩამოვიდა. აღელვებული ჩანდა. გვითხრა, — სოფელში ფიქრია (დეიდაჩემი) იყო ჩამოსული და ასეთი შეკითხვა დამისვა, — დედა, გიგა რომ მოკვდეს, შენ ვის მხარეზე დადგებიო? ბებია ჯავრობდა, ძალიან შიშობდა, მართლაც, რაიმე უბედურება არ დატრიალებულიყო. სამწუხაროდ, უბედურება თავიდან ვერ ავიცილეთ. ამაში კი ლომის წილი სწორედ სამართალდამცავ ორგანოებს მიუძღვის. სანაცნობო წრე, მთავრობასთან დაახლოებული პირები, ჩახნაშვილს ჰყავს. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ გამოძიება ინერტული ყოფილიყო. და ეს დღემდე გრძელდება.

— მალე სასამართლო განაჩენს გამოიტანს. თქვენი ვერსია კი ოფიციალურად, სრულიად უგულებელყოფილია. ბრძოლას როგორ აპირებთ?

— სასამართლოს იმედი არ მაქვს, მაგრამ მაინც არ გავჩერდები და ბოლომდე ვიბრძოლებ. ვეცდები, ყველა ინსტანციას მივაწვდინო ხმა ამ ადამიანებზე. მე მხოლოდ სიმართლის დადგენას, ობიექტურ გამოძიებას მოვითხოვ. თვით ის ფაქტი, რომ გამოძიებამ საერთოდ არ იმუშავა ამ ვერსიაზე და ერთი კითხვაც არ დაუსვა ამ ადამიანებს, ბევრ ეჭვს ბადებს. ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებს ამ ვერსიაში. უნდა გამოვლინდეს შუამავალი. მან და შემკვეთებმა პასუხი უნდა აგონ.

იმას, რომ გამოძიებამ აღნიშნულ ვერსიაზე არ იმუშავა, პროკურატურა კატეგორიულად უარყოფს. ბრალდების მხარე ირწმუნება, რომ ძიება ყველა მიმართულებით მიმდინარეობდა, ხოლო რაც შეეხება ვერსიას, შეკვეთილ მკვლელობასა და ამ საქმეში ჩახნაშვილების კავშირზე, — ის არ დადასტურდა.

მალხაზ ჩახნაშვილი:

— ეს ვერსია რომ სრულიად უსაფუძვლო და აბსურდულია, ამას უამრავი ფაქტი ადასტურებს. არც ის შეესაბამება სინამდვილეს, თითქოს სამართალდამცავ სტრუქტურებს ნინო კანდელაკის საჩივრებზე რეაგირება არ მოუხდენიათ. პირიქით, თითოეული მათგანი ძირფესვიანად გადამოწმდა, მაგრამ საჩივრების რეალობა და მოტივაცია არც ერთ შემთხვევაში არ დადასტურდა. რაც შეეხება მკვლელობის შეკვეთის შესახებ აბსოლუტურად უსაფუძვლო, სამარცხვინო და შეთითხნილ ვერსიას, — გამოძიებამ მასზე მუშაობა მკვლელობის დღიდანვე დაიწყო. სწორედ მკვლელობის საღამოს, როცა შემთხვევის ადგილზე პოლიცია გამოცხადდა, ატეხეს თურმე ყვირილი — ჩახნაშვილებმა მოკლეს გიგაო! ბუნებრივია, სამართალდამცველებმა ამას ყურადღება მაშინვე მიაქციეს და მე და ჩემი მეუღლე იმავე საღამოს დაგვიბარეს განყოფილებაში. დილამდე გვკითხავდნენ, სახლიც გაჩხრიკეს, ტანსაცმელიც გამხადეს, სათანადო ექსპერტიზის ჩასატარებლად (იმის დასადგენად, აღმოჩნდებოდა თუ არა მასზე დენთის კვალი), სატელეფონო ზარები გადაამოწმეს და დეტალურად შეისწავლეს ჩემი კავშირები და ადგილსამყოფელი, თუ სად ვიყავი იმ დღეს, რას ვაკეთებდი და საერთოდ, ვისთან მქონდა იმ პერიოდში ურთიერთობა. ვერც ერთი კუთხით საეჭვო ვერაფერი იპოვეს და ვერც იპოვიდნენ, რადგან ღვთისა და ხატის წინაშე ვიფიცებ, რომ ამ მკვლელობასთან ჩვენ არაფერი გვაკავშირებს. თბილისში ცოტა ადამიანი არ მიცნობს, 18 წელიწადი სამართალდამცავ სტრუქტურებში ვიმუშავე და დანაშაულს იქით ვებრძოდი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ასეთ რამეში საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება ოდესმე ან ვინმეს წინაშე მომიხდებოდა. ის, რომ ორგანოს თანამშრომელი ვიყავი, დღეს ნინო კანდელაკისთვის თითზე დასახვევი გახდა და ამბობს, თითქოს ნაცნობობა და კავშირები დავიხმარე, დანაშაულის დასაფარავად. ეს აბსურდია, რადგან ასეთი უმძიმესი დანაშაულის ჩამდენს, ხელს არავინ დააფარებს და საკუთარ რეპუტაციას რისკის ქვეშ არ დააყენებს: ასეთ შემთხვევაში, ისიც ხომ შენი თანამონაწილე ხდება?! ამასთან, ჩემი ყოფილი თანამშრომლების უმეტესობა ამ სისტემაში აღარ მუშაობს. მოგეხსენებათ, სტრუქტურები სრულიად ახალი ხალხით დაკომპლექტდა და მე მათთან არანაირი ნაცნობობა არ მაქვს. ამ საქმესთან დაკავშირებით ჩვენი დაკითხვა მხოლოდ ერთი ჩვენებით არ ამოწურულა, რამდენჯერმე დაგვიბარეს პროკურატურაში, მაგრამ ყოველთვის სიმართლეს ვამბობდით და ამ სიმართლეში გამოძიება საბოლოოდ დარწმუნდა. თუნდაც ერთი მტკიცებულება რომ არსებობდეს იმისა, რასაც ნინო კანდელაკი ამბობს, სხვაგვარად იმოქმედებდნენ. გიგა კანდელაკთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩვენ შორის უთანხმოება მართლაც, გაჩნდა. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მე და ჩემმა მეუღლემ ბიზნესის გაფართოება გადავწყვიტეთ. სასტუმრო გვქონდა, რომელსაც წინ გარკვეული ფართი მივამატეთ და მივაშენეთ. მიშენება ოფიციალურად არ იყო გაფორმებული და მისი დაკანონება გვინდოდა. ეს რომ შეიტყვეს, არ ვიცი, რატომ ან რისთვის, მაგრამ გადაწყვიტეს, ხელი შეეშალათ ჩვენთვის. მათ ასეთ რეაქციაზე ბევრი ვიფიქრეთ და ერთადერთი ახსნა, რაც ვუპოვეთ, სამწუხაროდ, შური და ეგოიზმი იყო. ალბათ შურდათ, რადგან ხედავდნენ, რომ შემოსავალი გვეზრდებოდა. უსიამოვნო ინციდენტი თავის დროზე, საპარიკმახეროს გამოც მოგვიხდა. ჩემს ცოლს ყოველთვის სურდა, საკუთარი სალონი და თავისი, დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო ჰქონოდა. გადაწყვიტა, ბიზნესი დასთან ერთად წამოეწყო. ბანკიდან სესხი გამოვიტანეთ, მაგრამ ვინაიდან ეს ფული მთლიანად ჩვენი დასაფარავი გახდა და მეორე მხარემ მონაწილეობა არ მიიღო, იძულებული გავხდით, გაგვყიდა. ამ ბიზნესიდან კანდელაკებმა წილი მოგვთხოვეს. ათასნაირი საჩივრით იმუქრებოდნენ. უსაფუძვლობის გამო, ამ საჩივრებს ძალა არ ექნებოდა, მაგრამ ეს ყოველივე, ჩემს რეპუტაციაზე დღითი დღე დამღუპველად მოქმედებდა. ამ ცილისწამების გამო, ყოველდღე მჭირდებოდა, ვინმესთვიც ამეხსნა რეალური სიტუაცია და თავი მემართლებინა. ეს რომ თავიდან ამეცილებინა, ცოლის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, გიგა კანდელაკს 15 ათასი დოლარი მაინც მივეცი. ვიფიქრე, კონფლიქტი ამით მაინც ამოიწურებოდა და დაშოშმინდებოდნენ, მაგრამ მწარედ შევცდი. ახლა, მკვლელობას მაბრალებენ და ჩემს სახელს საქვეყნოდ ჩირქს სცხებენ. არც ბავშვის გატაცებას, არც მკვლელობის მუქარას ან შანტაჟს ჩვენი მხრიდან ადგილი არ ჰქონია და ეს აბსოლუტური სიცრუე და ცილისწამებაა. ისინი ამ დანაშაულის ჩემზე გადმობრალებას რომ ცდილობდნენ, ამის მოწმე ჩემი ვაჟიც გახდა. მაშინ, როცა ჩვენ დაკითხვაზე ვიყავით, ბავშვი ქვემოთ, მოსაცდელში გველოდებოდა. იქ მოუსმენია, თუ როგორ ეუბნებოდა ნინოს ნათესავი მის ერთ-ერთ მეგობარს, — თქვი, თითქოს დანაშაულს შეესწარი და მალხაზ ჩახნაშვილს მოჰკარი თვალიო. შვილმა, როგორც კი გვნახა, მაშინვე გვითხრა, რაც მოისმინა. ასეთ რამეს ბავშვი ვერ მოიგონებდა. იმის გამო, რომ ცოლის ნათესავებმა ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობა მიიღეს, მათთან კავშირი საერთოდ გავწყვიტე. ამას ვერასდროს ვაპატიებ ვერც ერთ მათგანს. სალაპარაკოდ ჩემი ბიზნესი აქციეს, რომელიც ბანკის სესხით ავაწყვე და არა, ვინმეს ფულით. ცოლთანაც ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. ოჯახში ჩხუბი ვის არ მოსვლია? ჩვენც შეიძლება, გვიკამათია, მაგრამ სერიოზულ უთანხმოებაში ეს არასდროს გადაზრდილა. ის, რომ სასადილო, საღამოს პატარა ბარი და სასტუმრო მაქვს, დასაძრახია? მართალია, იმ სასტუმროში ნომრებია და იქ ხშირად მამაკაცი ქალთან ერთად შედის, მაგრამ ეს მათი პირადი საქმეა და მე ვერავის ავუკრძალავ და ვერც შევეკითხები, თუ რა მიზნით იღებს ნომერს. ამის გამო, სასტუმროს, საროსკიპო არ უნდა უწოდო. ყველაფერი კანონიერად მაქვს და დოკუმენტაციაც მოწესრიგებულია. ჩემი ბიზნესი არ გამხდარა სამსახურიდან წამოსვლის მიზეზი, არც გიგა კანდელაკი დამიდანაშაულებია ოდესმე ამაში. ასაკის და სხვა ოჯახური გარემოებების გამო, მე თავად დავწერე პატაკი და წამოვედი.

დაზარალებულის დეიდა — ფიქრია ჩახნაშვილი ამჟამად, ერთ-ერთი საბავშვო ბაღის დირექტორი გახლავთ. დისშვილის სიტყვებს ისიც უარყოფს და აღნიშნავს, რომ ქმრის მუქარა ან გაფრთხილება კანდელაკებისთვის არასდროს შეუთვლია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ვერსია სასამართლო პროცესზე არ განიხილება — უსაფუძვლობის გამო.

პროცესი უკვე მხარეთა კამათის ეტაპზეა და მალე თავის სიტყვას უსუბიანისა და შამოიანის ადვოკატებიც იტყვიან. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარე ირწმუნება, ამომწურავი გამოძიება ჩატარდაო, ისინი ვერსიის გადამოწმებას მაინც მოითხოვენ. თუკი განაჩენით უკმაყოფილოები დარჩებიან, მას ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებენ. ■

ტიმ კეხილს საზოგადოება გაუნაწყენდა

„ევერტონის“ ნახევარმცველ ტიმ კეხილს ინგლისურმა საზოგადოებამ ზურგი აქცია. ამის მიზეზი ფეხბურთელის მიერ გატანილი გოლის აღნიშვნა გახდა.

მას შემდეგ, რაც მან ერთ-ერთ ბოლო მატჩში გოლი გაიტანა, ხელები ისე გადააჯვარედინა, თითქოს ხელბორკილები ედო. თუ ვის მიუძღვნა ეს გოლი ავსტრალიელმა ფეხბურთელმა, ამას ყველა ის ადამიანი მიხვდა, ვინც იცოდა, რომ ამჟამად, ტიმ კეხილის ძმა, შონი საპატიმროში იმყოფება. „შონ კეხილმა ისე სცემა ადამიანი, რომ ლამის, სიცოცხლეს გამოასალმა. ცემის შედეგად, დაზარალებულმა მხედველობაც დაკარგა... ტიმი კი სპორტის ვარსკვლავია, რომელსაც ხალხი კარგად იცნობს. მას მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს და წარმოიდგინეთ, როგორ მაგალითს აძლევს იგი ახალგაზრდობას, როდესაც გოლის გატანას ამგვარად ზეიმობს“, — ამბობს კონსტებლი უილ ჰოუში. ■



ტიმ კეხილი ძმასთან ერთად

გაზა ფსიქიატრიულში მკურნალობს

ამას წინათ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მყოფი პოლ გასკოინი მამამ — ჯონმა და ძმამ — კარლმა მოინახულეს. მათ ინგლისის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს სხვადასხვა ნივთით სავსე ჩანთა მიუტანეს და კლინიკის მედპერსონალმაც, პოლის ოჯახის წევრებს, გარდა მობილური ტელეფონისა, ყველაფრის შეტანის ნება დართო. „ექიმებს არ სურთ, რომ პაციენტები გაღიზიანდნენ. ხშირად, მათი გაღიზიანების მიზეზი გარე სამყაროსთან კონტაქტი ხდება. ჩვენს ავადმყოფებს ამიტომაც არ ვაძლევთ ტელეფონებით სარგებლობის უფლებას“, — განუცხადა The Sun-ის ჟურნალისტს Middleton St George Hospital-ის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. პოლ გასკოინი საავადმყოფოში ცოტა ხნის წინ, მწვავე სულიერი აშლილობის დიაგნოზით მოათავსეს. ის აშკარად, არაადეკვატურად იქცეოდა. ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი უახლოეს ოთხ კვირას ჰოსპიტალში გაატარებს. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, ექიმები გადაწყვეტენ, დატოვონ გაზა ფსიქიატრიულ კლინიკაში თუ გაწერონ. ■



პრემიერლიგას მალარიამ შეუტია

„რიდინგის“ ნახევარმცველი, ემერსე ფაე, რომელიც კოტ-დ'ივუარის ნაკრების ღირსებას იცავს, აფრიკის ერთა თასის გათამაშებაზე მონაწილეობისას მალარიით დაავადდა. ფაე „მიდლსბროს“ წინააღმდეგ გამართულ მატჩში მონაწილეობდა, როდესაც შეუძლოდ გახდა. ჰოსპიტალში ჩატარებულმა ტესტმა დაადასტურა, რომ ფაე მალარიით იყო დაავადებული.

„შესაძლოა, ემერსეს მალარიის ვირუსი განაში, აფრიკის ერთა თასის გათამაშების მსვლელობისას გადაედო და რამდენიმე კვირა გახდა საჭირო, რათა სენს თავი გამოეცალინა, — განაცხადა „რიდინგის“ ფიზიოთერაპევტმა ჯონ ფერნმა. — მოთამაშეს საჭირო დახმარება აღმოუჩინეს და იგი ამჟამად, მკურნალობის კურსს შინ გადის. სავარაუდოდ, ემერსე ფაე მალე გამოჯანმრთელდება“.

ინგლისურ პრემიერლიგაში ეს მალარიის პირველი შემთხვევა არ არის. ფაეს თანამემამულემ და „ტოტენჰემის“ წარმომადგენელმა ეს დაავადება ნისლიან ალბიონზე, 2006 წელს ჩაიტანა. ასეთივე უსიამოვნება შეემთხვა „ნიუკასლისა“ და „პორტსმუთის“ ყოფილ მოთამაშეს, ლომან ლუალუას, რომელიც ამჟამად „ოლიმპიაკოსის“ ღირსებას იცავს. სამწუხაროდ, პლანეტის არაერთ კუთხეში მალარია კვლავაც ერთ-ერთ საშიშ დაავადებად რჩება. ყოველწლიურად, მალარიით 350-500 მილიონი ადამიანი ავადდება, ხოლო მათგან 1,3-3 მილიონი იღუპება. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ შემთხვევათა 85-90% სამხრეთ საჰარის რეგიონზე მოდის. თანაც, უმეტეს შემთხვევაში, 5 წლის ასაკამდე ბავშვები ავადდებიან. როგორც მოსალოდნელია, აღნიშნული სენით გამოწვეული სიკვდილიანობა მომავალი 20 წლის განმავლობაშიც პრობლემატური იქნება. საუკუნეების წინ, მალარიის შედეგად გარდაიცვალნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ: ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგისხანი, წმ. ავგუსტინი, დანტე ალიგიერი, ქრისტოფერ კოლუმბი, ოლივერ კრომველი, ლორდი ბაირონი და სხვები. ■

Ariel Motor-ის ყველაზე მძლავრი სპორტავტო

ბრიტანულმა კომპანიამ — Ariel Motor — თავისი ყველაზე მძლავრი სპორტავტოს — Atom-ის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომელსაც სახელად „500“ ეწოდა. იგი 2,5-ლიტრიანი, რვაცილინდრიანი, 500 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავათი აღიჭურვება. სიახლის მოტორი სიჩქარის გადაცემათა სეკვენტალური, ექვსსაფეხურიანი კოლოფით იმუშავებს, რომლის გადართვაც საჭის ქვემოთ დამონტაჟებული სახელურით იქნება შესაძლებელი. ეს სპორტული ავტომობილი სულ რაღაც 500 კგ-ს იწონის. ამ ეტაპზე არაფერია ცნობილი ყველაზე სწრაფი Atom-ის დინამიკური მაჩვენებლების შესახებ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ სპორტავტოს 300 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ვერსია, 96 კმ/სთ სიჩქარეს 3 წამში ავითარებს, ხოლო 160 კმ/სთ სიჩქარეს — 7 წამში. აგრეთვე, Atom 500-ს დიდი უკანა სპოილერი, Alcon-ის სამუხრუჭე მექანიზმი და მაგნიუმის შენადნობისგან დამზადებული Dymag-ის ბორბლების დისკები

დაუმონტაჟდება. სიახლე შეზღუდული ტირაჟით გამოვა და დიდ ბრიტანეთში მისი გაყიდვა ამ გაზაფხულზევე დაიწყება. ჯერჯერობით, Atom 500-ის ფასი უცნობია. ■

სარბოლო Mazda

კომპანია Mazda-ს ავსტრალიურმა ქვეგანყოფილებამ ხუთკარიანი ჰეჩბეკის — Mazda2 — ახალი ვერსიის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც რალიში მონაწილეობისთვის იქნება განკუთვნილი. სიახლეს, რომელსაც Mazda2 Extreme ეწოდა, მელბურნის ეროვნულ ავტოსალონზე წარადგენენ.

„მაზდის“ ავსტრალიური ქვეგანყოფილების წარმომადგენელთა თქმით, ამ მანქანის სიმძლავრის 20%-ით გაზრდაა დაგეგმილი. დანარჩენ კომპონენტებში, პრაქტიკულად, Mazda2 Extreme ნამდვილი რბოლებისთვის უკვე მზადაა. მას უსაფრთხოების კარკასი და ქამრები, ასევე, რალისთვის განკუთვნილი ბორბლები დაუმონტაჟეს. თუ როდის შედგება რბოლებისთვის განკუთვნილი Mazda2-ის დებიუტი უშუალოდ რბოლაში, ამ ეტაპზე უცნობია. არაა გამორიცხული, რომ მანქანის შემქმნელები ამავე მოდელის სამკარა მოდიფიკაციის ბაზარზე გატანას დაელოდონ და სარბოლო „მაზდა“ მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუშვან სერიულ წარმოებაში. ■

ბიოეთანოლი უსაფრთხო არ ყოფილა

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეკოლოგიურად სუფთა საწვავად აღიარებული ბიოეთანოლის გამოყენებისას, ატმოსფეროში უფრო მეტი მავნე ნივთიერება გამოიფრქვევა, ვიდრე ჩვეულებრივი ბენზინის ან დიზელის წვისას. აღმოჩნდა, რომ ბენზინის ეთანოლით შეცვლის შემთხვევაში (რომელიც მცენარეული ნედლეულისაგან იქნება დამზადებული), უახლოესი 30 წლის განმავლობაში, სათბურებისგან გამოწვეული გამონაბოლქვი გაზების რაოდენობა გაორმაგდება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ იმ პლანტაციების რაოდენობის ზრდა, სადაც ბიოეთანოლის საწარმოებლად სხვადასხვა მარცვლეული კულტურა მოჰყავთ, მწვანე ფონდის იმ მცენარეთა ზრდის ტემპს აჭარბებს, რომლებიც ნახშირორჟანგს მოიხმარენ და ჟანგბადს გამოყოფენ. ამასთან დაკავშირებით, როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, გარემოს დაბინძურების ხარისხი გაიზრდება. მათი მოსაზრებით, ეთანოლის წარმოების შედეგად დაბინძურებული ატმოსფეროსაგან გამოწვეული შედეგების აღმოფხვრისთვის, 300 წელზე მეტი დროის გასვლა იქნება საჭირო. მიუხედავად ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მაინც მიიჩნევენ, რომ ეკოლოგიურად სუფთა საწვავის ბაზრის გაზრდა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. ■

ჰოროსკოპი

(13 - 19 მარტი)

ვერძი:

ამ კვირაში ნებისმიერ ახალ სიტუაციას ადვილად შეეგუებით. ოჯახის წევრებისაგან მიღებული რჩევები სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. საქმეების მოსაგვარებლად ენერგია არ დაზოგოთ და შეეცადეთ, პარტნიორებთან უკონფლიქტო ურთიერთობა დაამყაროთ.

ხარი:

ნურაფერზე ინერვიულებთ, რადგან ამან შესაძლოა, თქვენი ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვიოს. ამ კვირაში გამოჩნდება ადამიანი, რომელიც იდეალურ სასიყვარულო ურთიერთობას შემოგთავაზებთ. დაფარული ნიჭის გამომჟღავნებაში მოგზაურობა დაგეხმარებათ.

ჯუჯი:

შეეცადეთ, ახლობლებსა და ნათესავებთან არ იკამათოთ, ამ დღეებში კარიერაში წინსვლა და შემოსავლების ზრდა გელით, რაც თავდაჯერებულობასა და თვითკმაყოფილების გრძნობას შეგმატებთ.

ტყუპები:

კარგი პერიოდია დამატებითი ცოდნის შესაძენად. შეეცადეთ, ამ კვირაში ყველა ის პრობლემა მოაგვაროთ, რომელიც ბოლო დროს გაგიჩნდათ. კვირის ბოლოს რომანტიკულ ვახშამზე მიგიწვევენ.

კირჩხიბი:

ამ კვირაში წამოჭრილი პრობლემები პარტნიორის საიდუმლოებების გამოაშკარავებასთან იქნება დაკავშირებული და ეს სერიოზული ცვლილებებისაკენ გიბიძგებთ. არსებული წინააღმდეგობების გადალახვა ახალი მეთოდებით მოგიწევთ.

ლომი:

ექსტრემალური სიტუაციები თქვენს გამჭრიახობასა და პროფესიონალიზმს გაზრდის. ამ კვირაში გარშემო მყოფების ყურადღების ცენტრში მოექცევით და ამიტომაც, კარგი იქნება, თუ ამ პერიოდს საკუთარი იდეების პროპაგანდისათვის გამოიყენებთ.

ქალწული:

კარგი იქნება, თუ დროის ამ მონაკვეთს ჯანმრთელობაზე ზრუნვას დაუთმობთ. შესაძლოა, საფუძველი ჩაუყაროთ პერსპექტიულ პროექტს, რომელიც ცოტა ხანში თქვენს მატერიალურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს.

სასწორი:

ნურაფერზე ინერვიულებთ, რადგან ამან შესაძლოა, თქვენი ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვიოს. ამ კვირაში გამოჩნდება ადამიანი, რომელიც იდეალურ სასიყვარულო ურთიერთობას შემოგთავაზებთ. დაფარული ნიჭის გამომჟღავნებაში მოგზაურობა დაგეხმარებათ.

ღრეჩო:

კარგი პერიოდია როგორც მატერიალური, ასევე პიროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ნუ დაფარავთ საკუთარ გრძნობებს და ეცადეთ, ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობა აღადგინოთ. შემოქმედებითი საქმეების შესრულებისას, არაორდინარულად იმოქმედეთ.

ღვინოსანი:

კარგი პერიოდია ცოდნის გასაღრმავებლად. ამ კვირაში გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი. წინააღმდეგობებს მხოლოდ შურიანი ადამიანები შეგიქმნიან. უქმე დღეები ახლობლების გარემოცვაში გაატარეთ.

თხის რქა:

ნაკლები ილაპარაკეთ, რათა თქვენგან მიღებული ინფორმაცია არავინ გამოიყენოს. კარგი პერიოდია კრედიტის ასაღებად. შეეცადეთ, ეს კვირა მოგზაურობას დაუთმოთ და დრო საყვარელი ადამიანებისთვისაც გამონახოთ.

ფარეული:

გაგიჩნდებათ ახალი იდეები, რომელთა განხორციელებაში საყვარელი ადამიანი დაგეხმარებათ. დამოუკიდებლობის მოთხოვნილებამ შესაძლოა, ახალი კავშირების დამყარებისა და ოჯახის წევრებთან დაპირისპირებისკენ გიბიძგოთ.

თევზები:

ამ კვირაში ინტუიციის მეშვეობით მიაგნებთ საქმეს, რომელიც დიდ მოგებას მოგიტანთ. კარგი იქნება, თუ საცხოვრებელ ადგილს დროებით მაინც შეიცვლით. გირჩევთ, ამ დღეებში მოგზაურობისგან თავი შეიკავოთ, რადგან ეს შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან ჩხუბის მიზეზად იქცეს.



1 ქართული ქალთა ცეკვა
2 დიდ გომბეშო
3 ნიანგის სახეობა
4 ქვეყანა აზიაში
5 თეთრი ლაქა თვლის გუგაზე
6 საშმელ-სასმლის სა რესტორანში
7 იტალიელი კინორეჟისორი
8 აშშ-ის ელჩი საქართველოში
9 მთავარი მსაჯი
10 თევზის წვნიანი
11 ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
12 ცხენბურთი
13 წალკოტი უდაბნოში
14 უიარაღოს მოთხრობა
15 ქალაქი იაპონიაში
16 შუშა
17 ქვეყანა აფრიკაში
18 მოავკირის ნაწილი
19 ძვირფასი ქვა
20 ავტომობილ-ის კორპუსი
21 აზერბაიჯანის პრეზიდენტი
22 ფ. ბერჟენი ფილოსოფოსი
23 ელძრავას მოძრავი ნაწილი
24 ვიოლინოს ჯოხი
25 ტბა აფხაზეთში
26 წყლის მარწუხებიანი ცხოველი
27 ოპერის სიტყვიერი ტექსტი
28 „ფოლკს-ვაგენის“ მოდელი
29 სასვენი ნიშანი
30 პირის ნაცვალ-სახელი
31 ალკოჰოლი
32 სირაქლემის სახეობა
33 იაპონიის პრეზიდენტი
34 გუბე
35 იგივეა, რაც ქურციკი
36 კორეული ავტომო-ბილი
37 ქართველი კომპოზი-ტორი
38 ფულის გამოძალვა
39 ჭულა ძიუდოში
40 ცენტრიდან დაშორებუ-ლი ადგილი
41 ამერიკელი მწერალი
42 ელე-ქტრული განუხტვა ცაში
43 ზშირი დაბურული ტყე

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ამბიცია; 2. არტისტი; 3. ინსტიტუტი; 4. მუსიკა; 5. ტრამალი; 6. ტუზი; 7. არკანზასი; 8. მანილა; 9. ბაო; 10. აიაზმა; 11. ქაბული; 12. მიქლიო; 13. ლეგა; 14. ბრაზილია; 15. კაფე; 16. სიმდი; 17. ბინდი; 18. ემალი; 19. კლიფსი; 20. სიონი; 21. უფალი; 22. წრე; 23. იელი; 24. ბროში; 25. დუმა; 26. ბუმერანგი; 27. მარგარინი; 28. ზვარი; 29. ფიცხი; 30. ხაიამი; 31. დიანა; 32. ლაღი; 33. იაკი; 34. იალბუზი; 35. აკლდამა; 36. ანა; 37. კუ; 38. ღვინო; 39. იახტა; 40. აქ.

სურათებზე: ირაკლი ფირცხალავა; დიანა ღურწკაია.

რამდენად კარგი მსმენელი ხარ?

უამრავ ადამიანს არც მოსმენა შეუძლია და არც იმის სათანადოდ აღქმა, რასაც მას ეუბნებიან. ამ ტესტის მეშვეობით შეგიძლია გაარკვიო, თავად შენ გაქვს თუ არა მოსმენის უნარი.

პასუხის ვარიანტებია: „თითქმის ყოველთვის“ — 5 ქულა, „ხშირ შემთხვევაში“ — 4 ქულა, „ხანდახან“ — 3 ქულა, „იშვიათად“ — 3 ქულა, „თითქმის არასდროს“ — 1 ქულა.

1. ცდილობ თუ არა, სწრაფად დაასრულო საუბარი, როცა სალაპარაკო თემა ან თანამოსაუბრე უინტერესოა შენთვის?
2. შესაძლოა თუ არა, რომ თანამოსაუბრის მანერებმა გაგაღიზიანოს?
3. შესაძლოა თუ არა, რომ თანამოსაუბრის მიერ წარმოთქმულმა წარუმატებელმა ფრაზამ მკვახე პასუხის გაცემის ან უხეშობისკენ გიბიძგოს?
4. ცდილობ თუ არა, უცნობ ან შენთვის არცთუ კარგად ნაცნობ ადამიანთან საუბარს თავი აარიდო მაშინაც კი, როცა ის ამას აშკარად ელტვის?
5. გჩვევია თუ არა თანამოსაუბრისთვის სიტყვის უბოდიშოდ ჩამორთმევა?
6. გაქვს თუ არა ასეთი ჩვევა: თითქოს თანამოსაუბრეს მთელი გულისყურით უსმენ, სინამდვილეში კი სულ სხვა რამეზე ფიქრობ?
7. შენი საუბრის მანერის, ხმის ტემბრის, სახის გამომეტყველებისა და ლექსიკონის ცვალებადობა იმაზე ხომ არ არის დამოკიდებული, თუ კონკრეტულ შემთხვევაში, ვის ელაპარაკები?
8. თანამოსაუბრის მიერ შენთვის, ცოტა არ იყოს, უხერხულ საკითხზე სიტყვის ჩამოგდებისას, ცდილობ თუ არა საუბრის თემის შეცვლას?
9. თანამოსაუბრისთვის შენიშვნის მიცემა ხომ არ გჩვევია, როცა ის არასწორად წარმოთქვამს სიტყვებს, დასახელებებს, ტერმინებს და ლაპარაკისას არც ვულგარული ფრაზეოლოგიის გამოყენებაზე ამბობს უარს?
10. შესაძლოა თუ არა, რომ ამა თუ იმ ადამიანთან ურთიერთობისას ქედმაღლური, მენტორული ტონი გქონდეს ან თანამოსაუბრის მიმართ დაუფარავად გამოხატავდე ირონიულ, უპატივცემულო დამოკიდებულებას?

ტესტის შედეგები

10-19 ქულა: თუკი საუკეთესო მსმენელის შეფასების კრიტერიუმად, პირობითად, 100-ქულიან სისტემას გამოვიყენებთ, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდები, რადგან ამ კრიტერიუმის თანახმად, შენი პასუხების მიხედვით, მხოლოდ 20-ოდე ქულის მოგროვებას თუ შეძლებ. ეს კი ძალიან ცოტაა და იმაზე მეტყველებს, რომ სასწრაფოდ უნდა შეიცვალო ადამიანებთან ურთიერთობის სტილი! გამუდმებული მონოლოგის მანერით ლაპარაკი სიკეთეს არ მოგიტანს, რადგან ამით უდიდესი მოთმინების უნარის მქონე თანამოსაუბრის დაფრთხობასაც შეძლებ და სულ მარტო დარჩები. ეცადე, მეტი ყურადღება, მოთმინება და გულისხმიერება გამოიჩინო ირგვლივ მყოფების მიმართ და ისინიც სათანადოდ დააფასებენ შენს ძალისხმევას.

20-29 ქულა: შენ, როგორც მსმენელისა და ნათქვამის სათანადოდ აღმქმელის უნარი, ასქულიანი სისტემის მიხედვით, 50 ქულით განისაზღვრება. ეს კი მიუთითებს, რომ სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ ბევრი გიკლია და იმისათვის, რომ დაიხვეწო, საკუთარ თავზე მუშაობა გმართებს.

30-39 ქულა: ადამიანების მოსმენის და გაგების საუცხოო ნიჭითა და უნარით ხარ დაჯილდოებული. ასე რომ, უკეთესი იქნება, თუ ასევე გააგრძელებ.

40-50 ქულა: იდეალური მსმენელი ხარ და ალბათ, ეს უნარი ცხოვრების რთულ გზაზე დიდ სამსახურს გიწევს. ოღონდ, შენთვისვე იქნება უკეთესი, ერთ რამეს თუ გაითვალისწინებ — ზოგჯერ მაინც იყავი უფრო თამამი და საუბრისას შენი პოზიცია უფრო აქტიურად დააფიქსირე.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

3	8	9	2	7	4	1	5	6
2	4	5	1	8	6	7	9	3
7	1	6	9	3	5	8	2	4
5	2	8	3	1	9	4	6	7
9	3	1	4	6	7	2	8	5
4	6	7	8	5	2	3	1	9
1	7	4	6	9	8	5	3	2
8	9	2	5	4	3	6	7	1
6	5	3	7	2	1	9	4	8

3	5	4	6	8	9	2	1	7
2	7	1	3	4	5	6	8	9
8	9	6	2	7	1	4	5	3
1	4	8	9	6	7	5	3	2
5	6	2	8	1	3	7	9	4
9	3	7	5	2	4	1	6	8
7	1	3	4	5	8	9	2	6
4	2	9	1	3	6	8	7	5
6	8	5	7	9	2	3	4	1

1	7	4	8	6	2	9	3	5
6	2	9	4	3	5	1	8	7
8	3	5	9	7	1	4	2	6
4	6	2	1	5	8	3	7	9
9	5	8	7	2	3	6	4	1
3	1	7	6	4	9	2	5	8
7	8	6	2	9	4	5	1	3
2	9	3	5	1	7	8	6	4
5	4	1	3	8	6	7	9	2

* მარტივი

		3	8			9		
		7		6			2	
	9		7				5	4
1				8		4		
		5	2		7	3		
		6			1			8
6	3				2		4	
	5			7		1		
		2			4	5		

** საშუალო

		1		5		9		
	2			8	1	3		
7			4				6	
		4	6				5	
	5			4		7		
	4				9			8
		7	2	1			9	
		5		3		4		

*** რთული

9					8	6		
		3			6			8
			5				9	
		4		8				3
	8		6		3		5	
1				2		7		
	1				4			
7			9			4		
		9	3					1

MK

ᲛᲐᲚᲐᲘᲖᲘᲔᲚᲘ ᲞᲔᲠᲞᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ

მალაიზიის სასამართლომ ყოფილ მასწავლებელ ქალს ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. 57 წლის კამარია ალის ბრალად ედება იმ სექტის წევრობა, რომლის მიმდევრებიც გიგანტურ ჩაიდანს ეთაყვანებიან... კამარია ალი მაჰმადიანად დაიბადა და მალაიზიის კანონების თანახმად, სარწმუნოების შეცვლის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ 1998 წელს, ალიმ ისლამი უარყო და სექტაში — „ზეციური სამეფო“ გაწევრდა. 2005 წელს, განდგომილი ქალი დაპაატიმრეს და რჯულის ღალატში დაადანაშაულეს. სექტა „ზეციურ სამეფოს“ ვინმე აია პინი უდგას სათავეში, რომელიც თავს მთელი სამყაროს ღმერთად აცხადებს. „ღმერთმა“ საკუთარი სახლის ეზოში გიგანტური ბეტონის ჩაიდანი აღმართა და ირწმუნება, რომ ამ ნაგებობას სასწაულმოქმედი განკურნების ძალა შესწევს. სექტის მიმდევრები ირწმუნებიან, რომ ჩაიდანი სიწმინდის სიმბოლოა და მისგან „ღვთაებრივი, ზეციური სიყვარული“ მოედინება...

2005 წელს, მალაიზიის ხელისუფლებამ კამარია ალი და სექტის კიდევ 57 წევრი დააპატიმრა, „სიწმინდისა და ზეციური სიყვარულის“ წყარო კი გაანადგურა. ■

ᲫᲘᲚᲘ – ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

22 წლის ჰოლანდიელმა სტუდენტმა, იდე ვან დიუგეკომმა, 21 დღე საწოლში იკოტრიალა და ამ გზით 3.500 გირვანქა სტერლინგი გამოიმუშავა! სტუდენტი ერთ-ერთ საიტზე, სადაც ვებკამერით იმ საწოლის გამოსახულება გადაიცემა, რომელზეც ის 3 კვირის განმავლობაში ნებივრობდა და მხოლოდ შხაპის მისაღებად და საკვების მოსამზადებლად დგებოდა, სარეკლამო ადგილებს ყიდის. იდე ვან დიუგეკომი ირწმუნება, რომ ძილი — მისი ჰობი და ამასთან, ერთადერთი საქმიანობაა, რომელიც კარგად ეხერხება!

P.S. საგულისხმოა, რომ საიტზე უკვე 450000 ადამიანი შევიდა!!! ■

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ

მილანის სასამართლომ 32 წლის იტალიელს 28-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა. მას ყოფილი შეყვარებულის ეროტიკული ფოტოსურათების ინტერნეტით გავრცელება ედება ბრალად. მამაკაცმა საიტი შექმნა, სადაც გოგონას ფოტოები, ტელეფონის ნომერი და განცხადება განათავსა, რომელიც მსურველებს ინტიმურ მომსახურებას სთავაზობდა. შეტყობინება ელექტრონული ფოსტით 15000 ადრესატს გაეგზავნა... გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ექსშეყვარებულს და მის მშობლებს მუქარის შემცველ შეტყობინებებსაც უგზავნიდა. ასე რომ, წაყენებულ ბრალდებას ცილისწამების, ძალადობისა და მუქარის მუხლიც დაემატა. ■

ᲰᲐᲠᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ – ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲐᲮᲕᲐᲜᲘ

ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთ-ერთ სპორტდარბაზში, განსაზღვრულ საათებში, მამაკაცებს შესვლა აეკრძალათ. ამის ინიციატორი ის ექვსი მაჰმადიანი სტუდენტი გოგონაა, რომელსაც ეროვნული ტანსაცმლით ვარჯიში უჭირს. გოგონებმა დახმარებისთვის ქალთა ცენტრს მიმართეს და მიზანს მიაღწიეს კიდეც — უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დააწესა დრო, რომლის განმავლობაშიც მამაკაცებს, მათ შორის, მომსახურე პერსონალს, სპორტულ დარბაზში შესვლა ეკრძალებათ. ამიერიდან, სპორტულ ფორმებში გამოწყობილი მაჰმადიანი გოგონები თავისუფლად ივარჯიშებენ და მათი მშვენიერი სხეული ცნობისმოყვარე მამაკაცთა მზერას აღარ დაატკბობს. ამ სიახლემ ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ფიქრობენ, რომ დარბაზით სარგებლობის ახალი წესი მათი უფლებების შეზღუდვას გამოიწვევს. ფემინისტები კი ეჭვობენ, რომ დარბაზის ახალი განრიგი სექსიზმის გამოვლინებაა. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა აზრით, მალე ახალი ინიციატივა ჰარვარდის უნივერსიტეტის საზღვრებს გასცდება და სხვა ამერიკულ უნივერსიტეტებშიც გავრცელდება! ■

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲔᲛᲘᲚᲔᲑᲘ!

ჩვენ კვლავაც ველით თქვენს შეფასებებს, იდეებს, სურვილებს. მოგვწერეთ ელფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com, დაგვმესიჯეთ ტელ.: 8.99.17.35.27 ან გამოგვიგზავნეთ წერილი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების მეშვეობით.

ფოტოკუთხეები

საბა ◻ SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელი — გურამიშვილი

PASCHAL

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 65 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თვთრი კარკასი

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში